# კვირის პალიტრა

№ 30 (441) ◆ 28 ივლისი – 3 აგვისტო. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ჩვენ პრეზიდენტი კი არა, ფსიქოლოგი შევარდნაძე გვყავს“



მირცხულავაზე ანტიეროვნული მინისტრი საქართველოს არ ჰყოლია. ყველაფერზე წავა, ოღონდ ის მილიონები არ მოაკლდეს, რასაც იღებს თურქეთისა და აზერბაიჯანის დენის კონტრაბანდული გაყიდვით. გავიგე, ახლა რუსეთშიც დაუწყია დენის გაყიდვა.

როდესაც სააკაშვილი და კირვალიძე ერთმანეთს მაღაზიაში შეხვდნენ და ვითომ იკამათეს, ერთმანეთს გაუკეთეს რეკლამა.

გვ.7,11

## როგორ გაანადგურეს ქართული მრეწველობა „ჩარხიჭამია“ ჩინოვნიკებმა გვ.6



### ჯართის ფასად განიავებული უნიკალური დანადგარები

*— სამი წლის წინ რომ მოსულიყავით, ყველა სახის ჩარხს იშოვიდით. ახლა თითქმის აღარაფერი დარჩა, სულ ირანში გაიტანეს... იქნებ რაღაც გამოგიძებნოთ...*

ყველა ის მოწყობილობა, რომლებითაც პლასტმასის პროდუქცია მზადდებოდა, დღეს ირანშია და ახლა იქიდან შემოდის საქართველოში პლასტმასის ნაკეთობანი. ბაზარზე ვერსად ნახავთ ქართული წარმოების იმავე პროდუქციას.

## თბილისში აღმოჩნდა ის, რასაც ამერიკა ბაღდადში დღესაც ეძებს...



რას წარმოადგენს „იპრიტი“? გვ.5,8

### როგორ აღმოჩნდა თქვენს ხელში ეს სასიკვდილო ამპულა?

ამ ამპულას ათასობით ადამიანის მოწამვლა შეუძლია.

**20 წლის წინ ჰუსეინმა სწორედ იპრიტით ათიათასობით ირანელი ჯარისკაცი და ქურთი მოქალაქე დახოცა.**

### როგორ დამთავრდა „რადიოაქტიური ტაქსის“ ცნობილი ეპოპეა

## საქართველოში აზრის თავისუფლად გამოთქმისათვის დააპატიმრებები დაიწყება?!



აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით დეპუტატს სრული უფლება ექნება, გლანძღოთ, რადგან მას იმუნიტეტი დაიცავს, თქვენ კი მის შესახებ აუგს ვერ იტყვით, რადგან შესაძლოა ციხეში ამოჰყოთ თავი.

როგორ ჩანს, ხელისუფლებას ბრალდებების მოსმენაც მოჰბეზრდა(?!).

გვ.3

## რა ურჩია პრეზიდენტის დიეტოლოგმა „კვირის პალიტრის“ მკითხველს?



### ფალსიფიცირებულ კონიაკს თურმე შევარდნაძესაც აჩეჩებდნენ

დაახლოებით 6 თვის მანძილზე „მსწავლობდნენ“ მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც. არ ვიცი, კონკრეტულად რაზე ამახვილებენ ამ დროს ყურადღებას, რა კრიტერიუმებით არჩევენ თანამშრომელს, მაგრამ ეს ეტაპი გავიარე.

არ იცი, საიდან გელის საფრთხე და ყველაფერს იჭვნეულად უყურებ.

— ეს სალათი გუბერნატორის მეუღლემ დაამზადა, ან მათი ოჯახის წევრმაო, მაგრამ მაინც ვერ ვენდობოდი.

მენიუს შერჩევისას ნაკლებად ვუწევდი ანგარიშს პრეზიდენტის გურულობას.

გვ.13,24

### პროფესიონალის რჩევები დიეტის მოყვარულთათვის

## „იმედია, ჩემი მეგობარი წაიკითხავს ამ ინტერვიუს და მიხვდება...“ გვ.5



პურის თემა, როგორც ჩანს, საარჩევნოდ ძალზე მომგებიანია.

პანიკის დათესვამ შეიძლება პურზე მოთხოვნილება გაზარდოს, ხალხმაც ტომრებით დაიწყოს ფქვილის ყიდვა მარაგისთვის. ამ თემის პოლიტიზება უსინდისობაა და მეტი არაფერი.

ამ ბინძურ თამაშს არ ვითამაშებ.

## რას წერენ ჩვენზე: უმისამართოდ დაკარგული წერილი

საქართველოს პრეზიდენტმა თავის ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ პუტინს მისწერა წერილი, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა რუსეთი და მისი ხელმძღვანელობა აფხაზეთის მთავრობასთან კონტაქტის გამო... რფ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის განცხადებით, კრემლს „არავითარი წერილი“ არ მიუღია საქართველოს პრეზიდენტისგან. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ წერილის კვალს ვერც საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მიაგნეს(?!).

გვ.14

იქნებ მისამართი იყო არასწორად მითითებული, ან მარკა მოსძვრა კონვერტსო...

## ჯეკ-პოტი 200-ლარიანია!

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგი გვ.35

## „ამ ჩაკეტვამ ჩამაღენინა ის საქციელი“...



უმოქმედობამ დეპრესიამდე მიმიყვანა, დეპრესიამ კი ძალზე ცუდ საქმემდე. მთაში რომ ვერ წაველი, კორპუსში ჩავიკეტე.

— დღემდე ვერ გამირკვევია რა იყო — განსაცდელი, ბედისწერა თუ სასჯელი ჩემი ცოდვებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ რაღაც ეტაპი დამთავრდა და დაიწყო უფრო მეტი. აქამდეც ყველაფერს სიყვარულით ვქმნიდი, მაგრამ ახლა სხვანაირი სიყვარული გამიჩნდა.

გვ.11

## ანზორ ბალუაშვილმა მთავრობის სხდომა ჩაშალა

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ანზორ ბალუაშვილის განცხადებით, მთავრობის სხდომა, რომელზეც საგადასახადო შემოსავლების სფეროში არსებული ნაკლოვანებები უნდა განეხილათ, მისი ინიციატივით გადაიდო. „თვის ბოლოსთვის საგადასახადო სამსახურები დაკავებულები არიან შემოსავლების მობილიზებით, ჩემი გამოსვლა ძალზე მწვავე იქნება, ამიტომ რამდენიმე დღით გადაიდო“, — განაცხადა ბალუაშვილმა.

მისი თქმით, მთავრობის უახლოეს სხდომაზე მიმდინარე თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებაც იმსჯელებენ. კითხვაზე, შეუსრულებელი ბიუჯეტის გამო დააყენებს თუ არა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე რომელიმე თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხს, ბალუაშვილმა უპასუხა, რომ „მისი მოხსენებიდან ყველა შეიტყობს, თუ ვისთან აქვს პრეტენზიები სახელმწიფო კანცელარიას“.

ბალუაშვილმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ მას და ფინანსთა მინისტრს, მირიან გოგიაშვილს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რაც ქვეყნის მასშტაბით გადამხდელთა საერთო რაოდენობას ასახავს.

„დაუშვებელია, როდესაც სხვადასხვა უწყებას განსხვავებული მონაცემები აქვს გადამხდელთა საერთო რაოდენობის შესახებ. საგადასახადო სამსახურებმა კანონით გათვალისწინებული წესით ყველა გადამხდელი უნდა აღწერონ და ამის შემდეგ, ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა გადამხდელებმა დროულად შეიტანონ თანხები ბიუჯეტში“, — აღნიშნა ანზორ ბალუაშვილმა.

## გურამ შარაძე საერთაშორისო ასპარეზზე გადის...

იეღოველთა წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი, გურამ შარაძე ბრძოლას საერთაშორისო ასპარეზზე განაგრძობს — გლდანის ეპარქიის წარმომადგენლებთან ერთად უკრაინის საელჩოსთან გამართულ საპროტესტო აქციაზე პარლამენტარმა უკრაინის პრეზიდენტს, ლეონიდ კუჩმას მიმართა, რათა მან 7-10 აგვისტოს კიევის ოლიმპიურ სტადიონზე იეღოველთა კონგრესის გამართვა არ დაუშვას, რომელშიც სავარაუდოდ, საქართველოში არსებული იეღოველთა სექტის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც შარაძემ განაცხადა, უკრაინის პრეზიდენტი ალბათ არ არის ინფორმირებული კიევში იეღოველთა სექტის კონგრესის ჩატარების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ დაუშვებდა „მთელ მსოფლიოში ცნობილი აგრესიული სექტის“ ამგვარ ტოტალურ თავყრილობას უკრაინის დედაქალაქში. აქციის მონაწილეებმა კუჩმასადმი მიმართვის ტექსტი უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ვასილი ივაშკოს გადასცეს.

## გაეროს ტრადიციული გადაწყვეტილება მიიღო

გაეროს უშიშროების საბჭომ საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიას უფლებამოსილების მანდატი ექვსი თვით გაუგრძელა. ამასთან, საბჭომ მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური მდივნის, კოფი ანანის რეკომენდაციას — ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაეროს მისიისთვის 20 საშტატო პოლიციელის დამატების თაობაზე, რაც „უზრუნველყოფს დამკვირვებელთა გაცილებით ნაყოფიერ მუშაობას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისა და დევნილთა დაბრუნებისთვის“. კოფი ანანმა მხარეებს ქართულ-აფხაზური პრობლემის ერთობლივი ძალისხმევით მოგვარებისკენ მოუწოდა. უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა დოკუმენტს „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გადანაწილების შესახებ“ და სინანული გამოთქვა აფხაზური მხარის მიერ აღნიშნული დოკუმენტის და მისი დანართი წერილის მიღებაზე უარის თქმის გამო.

უშიშროების საბჭო უკმაყოფილოა, რომ პროგრესი არ შეიმჩნევა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებში. საბჭო კვლავ მოუწოდებს მხარეებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა სამშვიდობო პროცესების უზრუნველსაყოფად. უშიშროების საბჭომ მკაცრი შეფასება მისცა 5 ივნისს გაეროს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენელთა გატაცების ფაქტს და უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ჯერჯერობით არც ერთი დამნაშავე დაკავებული და დასჯილი არ არის.

## შიდსით ინფიცირებული ბავშვის ბედი გაურკვეველია

პატარა ბიჭუნა, რომელიც ცოტა ხნის წინ შიდსით ინფიცირებულმა დედამ გააჩინა, თავს კარგად გრძნობს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, დასნებოვნებულია თუ არა ბავშვი. შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის განცხადებით, დედისგან შვილის დაინფიცირების ალბათობა 19 თვის შემდეგ გახდება ცნობილი, მანამდე კი ბავშვზე დაკვირვება მიმდინარეობს. შიდსის ცენტრში დღეისთვის სულ შვიდი აივინფექციით ინფიცირებული დედაა რეგისტრირებული, აქედან 2 ბავშვი უკვე დაიღუპა, 1 ჯანმრთელია, 2-ზე დაკვირვება მიმდინარეობს, 1 ქალი კი ამჟამად ფეხმძიმედაა. შიდსის ცენტრში 1989 წლიდან დღემდე, ოფიციალურად 444 შიდსის ვირუსით ინფიცირებულია აღრიცხული. აქედან 375 მამაკაცია და 69 ქალი. ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში რეალურად 1.500-ზე მეტი ვირუსის მატარებელია.

## ეი-ი-ესმა „თელასი“ დაუკითხავად გაყიდა?

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ერისთავის შეფასებით, „ეი-ი-ეს კორპორაციამ“ საქართველო ფაქტის წინაშე დააყენა, როცა ჩვენს ქვეყანაში კუთვნილი აქტივები გაყიდა და ამით საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ დაარღვია. „მოქმედი კანონმდებლობით, აქციონერმა საკუთარი აქციების გაყიდვის შესახებ პარტნიორს, რომელიც აქციათა 10%-ზე მეტს ფლობს, წინასწარ უნდა აცნობოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო „თელასის“ აქციათა 25%-ის მფლობელია, ეი-ი-ესს ჩვენთვის ამგვარი შეტყობინება არ გამოუგზავნია“, — განაცხადა ერისთავმა. მისი თქმით, „ხრამის“ ჰიდროელექტროსადგური ეი-ი-ესის საკუთრება არ ყოფილა და მას მხოლოდ 25-წლიან მართვაში ჰქონდა აღებული. „ეი-ი-ეს ტრანსენერჯის“ შესყიდვით, „რაოესს“ თურქეთში ელექტროენერგიის რეექსპორტის შესაძლებლობა მიეცემა და შესაძლოა, სწორედ ამითაც იყოს დაინტერესებული“. ეი-ი-ესის გადაწყვეტილებამ პარლამენტში დიდი ვნებათღელვა გამოიწვია — პარლამენტარები მთელი დღის განმავლობაში მოითხოვდნენ სხდომაზე მირცხულავას მისვლას, თუმცა საბოლოოდ მათ ხელში სახელმწიფო მინისტრი შერჩათ. მასთან დებატებში, „ორთქლის გამოშვების“ შემდეგ, სხდომა დაიშალა.

## თავმჯდომარემ მედიის მოთხოვნა დააკმაყოფილა

თავისუფალი მასმედიის მოთხოვნის საფუძველზე პარლამენტი განხილვიდან მოხსნის სისხლის სამართლის კოდექსში შესატან იმ ცვლილებათა პროექტს, რომელიც შეურაცხყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას ითვალისწინებს. აღნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თავისუფალი მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს მიიღო. „წინასაარჩევნო კამპანიის დროს აღნიშნული პროექტი გვერდზე უნდა გადავდოთ, რათა მან საზოგადოებაში დაპირისპირება არ გამოიწვიოს“, — აღნიშნა მან. შეხვედრაზე მიწვეულმა ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ კოდექსში შესატანი აღნიშნული ცვლილებები დამოუკიდებელი მასმედიისათვის რეალურ საშიშროებას წარმოადგენს. „თუ პარლამენტი ამ პროექტს მიიღებს და ცვლილებები ძალაში შევა, რამდენიმე სატელევიზიო გადაცემა და გაზეთი აუცილებლად დაიხურება“, — აღნიშნეს შეხვედრაზე გაზეთების რედაქტორებმა.

## ბათუმში ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგმება

ბათუმის ცენტრში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგმება. ასლან აბაშიძემ ბათუმის მთავარ არქიტექტორს ამ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ყველა შესაბამისი საკითხის დროულად მოგვარება დაავალა. მისი განცხადებით, ზვიად გამსახურდიას მიერ შეტანილ წვლილს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში ჯეროვანი პატივი უნდა მიეზღოს.

## შეწყალების კომისია ახალ სიებს ამზადებს

ვეტერანი პატიმრების შეწყალების საკითხზე მუშაობა კვლავ გრძელდება. სახალხო დამცველის განცხადებით, პატიმართა შეწყალების პროექტზე მუშაობის პერიოდში ყოფილი მებრძოლების, ამჟამად მსჯავრდადებულების ახალი სიები მზადდება. როგორც ნანა დევდარიანი განმარტავს, საქართველოს პრეზიდენტმა მიმდინარე წლის მაისში 250 ვეტერანი პატიმრის შეწყალების აქტს მოაწერა ხელი. ამ სიებში ის პატიმრები შედიოდნენ, ვისაც სასჯელის ნახევარზე მეტი უკვე მოხდილი აქვს. შეწყალების პროექტის მიხედვით, ვეტერან მსჯავრდადებულებს დარჩენილი სასჯელის ზომის 1/3 მოაკლდათ.

შეწყალების კომისიას სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რუსუდან ბერიძე და პარლამენტარი გია ყარყარაშვილი ხელმძღვანელობენ.

## დაავადებათა კონტროლის ცენტრი პაციენტს ეძებს

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის განცხადებით, ცოტა ხნის წინ, ყაზბეგის ჩიხის №4-ში დედასთან ერთად მყოფი გოგონა ძაღლმა დაკბინა. ამის შესახებ ძაღლის პატრონმა მას შემდეგ განაცხადა, როდესაც ძაღლს შემოწმების შემდეგ ცოფი აღმოაჩნდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოუწოდებს მოსახლეობას, ნებისმიერი დაკბენის შემთხვევაში მიაკითხოს ახლომდებარე ანტირაბიულ კაბინეტს და ვაქცინაცია ჩაიტაროს. ცენტრი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ წელს ცოფის შემთხვევებმა მნიშვნელოვნად მოიმატა. ამას კი მაწანწალა ცხოველების სიმრავლე განაპირობებს. ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში ყოველწლიურად 15 ათასი ადამიანი იცრება ცოფზე და ქვეყანაში ცოფის პრობლემა მაინც მწვავედ დგას, მაშინ როდესაც სომხეთში წელიწადში საერთოდ 700 ადამიანს უტარდება ვაქცინაცია და იქ დაკბენის შედეგად ცოფის შემთხვევები საერთოდ არ ფიქსირდება.

## საგზაო პოლიციამ ბიუჯეტი აზარალა

საქართველოს შს სამინისტროს საგზაო პოლიციის თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შედეგად, გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 10 მლნ. ლარამდე ზარალი განიცადა. აღნიშნულ კანონდარღვევებს გენერალური პროკურატურა გამოიძიებს და საგზაო პოლიციის სტრუქტურაში მომუშავე ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზეც იმსჯელებს. ამის შესახებ დღეს საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს სხდომაზე განაცხადეს. ანტიკორუფციული საბჭოს მონაცემებით, 2002 წლის განმავლობაში საქართველოში იმპორტის რეჟიმით 20 231 ავტომანქანა შემოიყვანეს. მათ შორის მხოლოდ 10 772 განბაჟდა, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტში 7,9 მლნ. ლარი შევიდა, ხოლო 12 437 ავტომობილი დღემდე არ არის განბაჟებული. ბიუროს დასკვნით, 2002 წლის განმავლობაში საბაჟო გაფორმების გარეშე საგზაო პოლიციის მიერ რეგისტრაციაში უკანონოდ გატარებული ავტომობილების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტმა სავარაუდოდ, 9-10 მლნ. ლარით იზარალა.

## ტაბაწყურის ტბაზე საძიებო სამუშაოები გრძელდება

საგანგებო სიტუაციათა შტაბის სამაშველო სამსახურის თანამშრომლები ტაბაწყურის ტბაში ორი ბავშვის ცხედარს ეძებენ. მანამდე, ამავე ტბიდან 5 მოზარდის ცხედარი ამოიყვანეს. დაღუპულები სავარაუდოდ ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან. 7 მოზარდი ტბაზე გასულ კვირას დაიღუპა. კიდევ ერთ ნათესავთან ერთად, ისინი სამცხე-ჯავახეთში, ტაბაწყურის ტბაზე ნავით სეირნობდნენ. ნავი მოულოდნელად ამოყირავდა და მასში მყოფი რვა მოზარდიდან შვიდი წყალში აღმოჩნდა. უბედური შემთხვევის შედეგად, შვიდივე ბავშვი დაიღუპა.




## მოსკოვში ერაყის საელჩო გაძარცვეს

საელჩოს თანამშრომელთა თქმით, ღამით შენობაში შეიარაღებულმა პირებმა შეაღწიეს, რომლებმაც დარაჯი სცემეს, სეიფი გააღებინეს და 3 მლნ დოლარი და დაახლოებით 6.000 ევრო წაიღეს. მილიციელი, რომელიც საელჩოს იცავდა, აცხადებს, რომ ღამით საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. ემთხვევის ადგილას საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფი მუშაობს. ამჟამად საელჩო გაურკვეველ მდგომარეობაშია. მისი საქმიანობა ივნისის ბოლოს შეწყდა, როცა მოსკოვში ერაყის ელჩი აბას ჰალაფი ბაღდადში გაიწვიეს. მის შემცვლელს კი ერაყის დროებითი მმართველობის საბჭო, ჯერჯერობით, ვერ აგზავნის.

## კუბელებს ამერიკაში სურთ ცხოვრება

12 კუბელი, რომლებმაც აშშ-ში არალეგალურად შესვლა სცადეს, აშშ-ის ხელისუფლებისგან პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. „ეს ჩვენი უკანასკნელი იმედია, ჩვენ კუბიდან წამოსვლა გვინდა, ჩვენი ქვეყანა ძალიან გვიყვარს, მაგრამ აქ მომავალი არ გვაქვს“, — განაცხადა ერთ-ერთმა კუბელმა. გასულ კვირას ცხრა მამაკაცმა, ორმა ქალმა და ბავშვმა ფლორიდის ყურის გადაცურვა ტივზე დამაგრებული სატვირთო ავტომანქანით სცადეს, თუმცა შუა გზაზე ისინი აშშ-ის სანაპირო დაცვამ გააჩერა და უკან, სამშობლოში, დააბრუნა.

## აფეთქება ჩინეთში

ჩინეთის ქალაქ სინძინში, ფეიერვერკების ფაბრიკაში, ძლიერი აფეთქება მოხდა. როგორც ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზია იუწყება, უბედური შემთხვევის შედეგად 29 კაცი დაიღუპა და 141 დაშავდა. საამქროს შენობა, სადაც აფეთქება მოხდა, მთლიანად დანგრეულია, ძლიერ დაზიანდა საამქროდან 100 მეტრში მდებარე ორსართულიანი საოფისე შენობა.

სამაშველო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. დაშავებულები ადგილობრივ საავადმყოფოებში მოათავსეს. ჩინეთის პოლიცია აფეთქების მიზეზს იძიებს.

## თვითნაკეთი „ფრთებით“ ლამანშს გადაუფრინა...

ავსტრიელ პარაშუტისტს, ფელიქს ბაუმგარტნერს თვითნაკეთი ფრთებით ლამანშის სრუტის გადასაკვეთად სულ 7 წუთი დასჭირდა. რეკორდსმენი ინგლისის ტერიტორიაზე, დუვრის მიდამოებში, 9.000 მეტრის სიმაღლიდან თვითმფრინავიდან გადმოხტა. პარაშუტისტმა ჰაერში ნახშირორჟანგით გავსებული ორმეტრიანი „ფრთა“ გაშალა და მისი დახმარებით ლამანშს გადაუფრინა. ფრენის სიჩქარე ზოგიერთ მონაკვეთზე საათში 2 კილომეტრს აღწევდა, ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსით -68 გრადუსი იყო. დაახლოებით 300 მეტრის სიმაღლეზე, სპეციალურ აეროდინამიკურ კოსტიუმში გამოწყობილმა ბაუმგარტნერმა პარაშუტი გახსნა და საფრანგეთის ტერიტორიაზე მშვიდობიანად დაეშვა.

CMYK

# საქართველოში აზრის თავისუფლად გამოთქმისათვის დააპატიმრებები დაიწყება?!

გიორგი სანაიას მკვლელობამ საქართველოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია — მაშინ ძლივს მოხერხდა, ხალხის მწუხარება და ემოციები მასობრივ გამოსვლებში არ გადაზრდილიყო. რასაკვირველია, გამოძიების ობიექტურობასთან და შედეგებთან დაკავშირებით, უიმედო პროგნოზები მაშინვე კეთდებოდა, თუმცა ყველა შემთხვევაში, პროგნოზის გამომთქმელი დაამატებდა ხოლმე, რომ სამართალდამცველები და ხელისუფლება ხალხის მრისხანებას მაინც მოერიდებოდა, რომ „ხალხი მტკნარ სიცრუეს და გაყალბებას არ აიტანდა" და ა.შ. როგორც აღმოჩნდა, ხალხს ბევრი რამის ატანა შეუძლია — სანაიას მკვლელობის ორი წლის თავზე სასამართლომ, როგორც იქნა, მოახერხა და სამართალდამცველთა მიერ „მოძიებულ" ბრალდებულს „უცნობი" მოტივაციით, მაგრამ თავისუფლების აღკვეთა მაინც შეუფარდა — მერე რა, თუ მისი ბრალეულობისა არა მხოლოდ მსხვერპლის ოჯახს და საზოგადოების დიდ ნაწილს, არამედ გულისგულში ალბათ თავად მსჯავრდებულსაც არ სჯერა... ორი წლის წინ გამოთქმულ მოსაზრებათა ციტირებით თავს აღარ შეგაწყენთ — ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიც და ქართული საზოგადოების დანარჩენი ნაწილიც გიორგი სანაიას მკვლელობას ერთხმად აცხადებდნენ სიტყვის თავისუფლებისთვის მიყენებულ უზარმაზარ დარტყმად. მოგვიანებით, მავანთა მიერ ინტენსიურად განხორციელებული პოლიტიკის შედეგად, მოტივაცია თანდათან გაუფერულდა, ბოლოს კი საერთოდ გაქრა. რაც შეეხება სიტყვის თავისუფლებას, იგი ბოლო დრომდე პირვანდელი ხარისხით რჩებოდა, ანუ ყველას შეეძლო ეწერა, ეჩვენებინა და ეთქვა ის, რაც სურდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არანაირ ბრალდებას და გამოაშკარავებას შედეგი არ მოჰყვებოდა და მხარეთა სურვილები სურვილებად დარჩებოდა, ანუ მამხილებელი — ამხელდა, ჩამდენი კი მაინც ჩაიდენდა... ბოლო დრომდე იმიტომ, რომ დღევანდელ საპარლამენტო ბაქანალიაში ქართველმა კანონმდებლებმა საკმაოდ უცნაურ ვითარებაში პირველი მოსმენით მიიღეს ასევე საკმაოდ უცნაური კანონპროექტი, რომელიც ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, ცილისწამებას და ღირსების შელახვას ეხება. სანამ პროექტზე რამეს ვიტყოდეთ, ნორმალურ ქვეყანაში ენერგეტიკის ქვეკომიტეტის (რომელმაც კანონპროექტი შეიმუშავა) მიერ სისხლის სამართალთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილების ავტორობაც უცნაური იქნებოდა, რომ არა ქართული სინამდვილე, რომელშიც ტრაქტორისტს თამამად შეუძლია ავიალაინერის პილოტობა გასწიოს, ელექტროშემდუღებელს იაპონურის თარჯიმნობა, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარს — დეპუტატობა. მთავარია, ფული და მისი ხარჯვის გამოცდილება; განათლება და პროფესიული გამოცდილება აქ არაფერ შუაშია... ერთი დეტალიც: ცივილიზებულ მსოფლიოში დეპუტატის იმუნიტეტთან დაკავშირებით საგულისხმო დათქმაა გაკეთებული — დეპუტატი დაცულია პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი შეურაცხყოფს ან ცილს სწამებს ვინმეს — ჩვენში კი ეს ცნება კვლავაც უკიდეგანო გაგებით რჩება და ქართველი პარლამენტარები მათ მიერვე შექმნილი კანონებისგან ყოველთვის დაცულნი არიან. კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს". გამოდის, რომ თუ ზემოაღნიშნული კანონპროექტი ძალაში შევიდა, დეპუტატებს საპარლამენტო მასკარადების გამართვისა და ერთმანეთის ლანძღვა-გინების სრული უფლება მაინც ექნებათ, მოსახლეობას კი, ამ შემთხვევაში, თუნდაც თავისი რჩეულის კრიტიკისთვის — 2-დან 5-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, რადგან ახალი კანონპროექტის თანახმად, შეურაცხყოფა, ესე იგი სხვისი პატივისა და ღირსების შელახვა ჯარიმით, ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. კანონპროექტს უფრო მკაცრი მუხლიც აქვს — იმ შემთხვევაში თუ ბრალდებამ, ან შეურაცხყოფამ მძიმე შედეგი გამოიღო, — თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე. მოგეხსენებათ, საქართველოში მიკროინფარქტზე ცნობის აღება კი არა, მამაკაცზე ფეხმძიმობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღება შეიძლება — აქედან გამომდინარე, შედეგებზე თავად იფიქრეთ. საინტერესოა ისიც, რომ პარლამენტში გატანამდე კანონპროექტს იურიდიული კომიტეტის ექსპერტიზა უნდა გაევლო. კომიტეტის თავმჯდომარეს, **ზაქარია ქუცნაშვილს** კი ამასთან დაკავშირებით ცალსახა პოზიცია აქვს: „პროექტი ახლებურად აყალიბებს ცილისწამების ცნებას და ახდენს ქმედებათა უფრო ფართო წრის განსაზღვრას, ვიდრე ეს მოქმედი რედაქციით არის გათვალისწინებული. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის სისხლის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა, ვფიქრობ, არ არსებობს და სისხლის სამართლებრივი სასჯელი აზრის გამოთქმისათვის არაადეკვატურ ზომად მიგვაჩნია. ამასთანავე, კანონპროექტით წარმოდგენილი ცილისწამების დისპოზიცია უახლოვდება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის დეფინიციას. შელახული პატივისა და ღირსების აღდგენა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაწესებითაც არის შესაძლებელი, ცილისწამებისა და შეურაცხყოფის კრიმინალიზაცია სიტყვის თავისუფლების და აზრის გამოხატვის უფლების პირდაპირი აკრძალვაა. არადა, ევროპის საყოველთაოდ აღიარებული სამართლის მიხედვით, სიტყვის თავისუფლება და აზრის გამოხატვის უფლება უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებაა, ვიდრე პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა დასჯადი არ არის. საქართველოშიც და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებშიც იგი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯება. მოკლედ, აღნიშნული კანონპროექტის არსებული სახით პლენარულ სხდომაზე გატანა მიზანშეუწონლად მიმაჩნია, სხვაგვარად კი სერიოზული საფრთხე არსებობს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" არასასურველი ცვლილებების შეტანა მოხდეს, რაც დღევანდელ პირობებში გააძნელებს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას".

შეიძლება თუ არა ადამიანის ღირსების დაცვა, არშემდგარი სახელმწიფოს არშემდგარი

> აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, თუნდაც დეპუტატს, სრული უფლება ექნება, გლანძღოთ, რადგან მას იმუნიტეტი დაიცავს, თქვენ კი მის შესახებ აუგს ვერ იტყვით, რადგან შესაძლოა, ციხეში ამოყოთ თავი.

კანონმდებლობის გამო, მასმედიისა და თავისუფალი აზრის ლაგმად მოგვევლინოს? რა არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოში კანონები მხოლოდ იწერება და იკითხება, საქმე კი მათ შესრულებამდე თითქმის არასოდეს მიდის? რამდენად შესაძლებელია ფარატინა ქაღალდად ქცეული კონსტიტუციის მქონე ხალხმა სრულფასოვანი საზოგადოება ჩამოაყალიბოს, ან რატომ იქცა ნებისმიერი სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველი ფარატინა ქაღალდად?

ვესაუბრებით იურისპრუდენციის ექსპერტს, **დავით უსუფაშვილს.**

**— სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამებასთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანამ საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია — ერთი ნაწილი ღირსებისა და პატივის შელახვის გამო თავისუფლების აღკვეთას უკან გადადგმულ ნაბიჯად და მომავალში პრესაზე განხორციელებულ ზემოქმედებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ დემოკრატია ზღვარგადასულ ქმედებას არ ნიშნავს და ქართული საზოგადოების ამაში დასარწმუნებლად მსგავსი კანონი სწორედ რომ საჭირო და დროული იყო...**

— რასაკვირველია, ცრუ ინფორმაციის შეგნებულად გავრცელება დასაგმობი მოვლენაა და იგი საზოგადოებას კარგს არაფერს მოუტანს. ამდენად, კარგად მესმის იმ ადამიანებისა, რომლებიც შეწუხებულნი არიან იმ ფაქტით, რომ დღევანდელ საქართველოში ძალიან ბევრი ცრუ ინფორმაცია ვრცელდება, თანაც ვრცელდება არა იმდენად ზოგადი პროცესების შესახებ, რამდენადაც კონკრეტული ადამიანების მიმართ და ფიქრობენ, რომ ამ მოვლენის წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. მაგრამ ვერ დავეთანხმები ამ კანონპროექტს, რადგან ჯერ იგი ზემოაღნიშნულ პრობლემას ვერანაირად ვერ მოაგვარებს და დროთა განმავლობაში მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებს საზოგადოებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან მეორე ღირებულებას — აზრის გამოთქმის უფლებას, მედიის თავისუფლებას და, რაც მთავარია, ყველანაირად შეზღუდავს სახელმწიფო ჩინოსნების კრიტიკას. კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ კონსტრუქციაზე გაცილებით უარესია. განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ პროექტის მიხედვით ყველაზე მკაცრად დასჯად ქმედებაზე — პატივისა და ღირსების შელახვაზე: ზოგადად და, კერძოდ საქართველოში, შეურაცხყოფა საკმაოდ არასტაბილური ცნებაა. თქვენ შეიძლება ვინმეზე თქვათ, ცხრა საყვარელი ჰყავსო და ამ ვინმემ, იქნებ შესაძლოა იამაყოს კიდეც, რომ ცხრა საყვარელი ჰყავს და „ნამდვილი მამაკაცია". თუმცა, ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც საყვარლების ყოლის ფაქტს შეურაცხყოფად მიიღებენ. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიურ მრწამსზე, პარტიულ კუთვნილებაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე... საინტერესოა, რა კრიტერიუმებით გადაწყვეტს სასამართლო ბრალეულობას, თუ ეს მომჩივანის გუნებაგანწყობაზე იქნება დამოკიდებული? მსგავსი ნორმებით თავისუფლების აღკვეთას არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ უსჯიან. სისხლის სამართლის კოდექსი სამოქალაქოსგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია ჩამდენს დანაშაული აპატიოს და საქმეც აქ მთავრდება. სისხლის სამართლის დამნაშავე კი სახელმწიფომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დასაჯოს, რადგან მისი დანაშაული კერძო ურთიერთობების ფარგლებს სცილდება და საზოგადოებისთვის საშიშ მოვლენას წარმოადგენს.

**— ანუ ასეთ დროს ერთ მხარეს არის კერძო პირი, მეორე მხარეს კი სახელმწიფო მანქანა. აქედან გამომდინარე, პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაიცვას ჩვენი პატივი და ღირსება... ჩვენივე სიტყვის უფლების ხარჯზე.**

— ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ერთადერთი, რასაც ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოახერხებს, ეს იქნება საჯარო პირების დაცვა საზოგადოების კრიტიკისგან. ამიტომაც ერთი, ღირსებისა და პატივის უფლების დაცვის მოტივით ავტომატურად შეილახება მეორე — აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება. საკმარისი იქნება, მოქალაქემ ეჭვი შეიტანოს ჩინოსნის კომპეტენტურობაში, რომ მას უჩივლებენ და დადგება საშიშროება 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთისა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი ინსტანციის სასამართლო მას გაამართლებს და მის „ბრალდებას" სამართლიანად სცნობს, მომჩივანს უფლება ექნება, განაჩენი შემდგომ ინსტანციაში გაასაჩივროს და ასე შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში კი თქვენ ვალდებული ხართ, ჩუმად იყოთ და ამ ჩინოსანზე აღარ



ილაპარაკოთ, რადგან საბოლოო განაჩენამდე საქმე გადაწყვეტილად არ ითვლება. მეტსაც გეტყვით, ევროპული სამართლის მიხედვით, საჯარო მოხელის და კერძო პირის შეურაცხყოფა მკვეთრად არის გამიჯნული. ის, განცხადება თუ ბრალდება, რაც კერძო პირთან მიმართებაში დასჯადია, თავისუფალია საჯარო მოხელესთან მიმართებაში, რადგან ჩინოსანი, ამ შემთხვევაში, ნებისმიერი მოქალაქის წარმომადგენლად ითვლება და, შესაბამისად, მისი კრიტიკის სრული უფლებაც აქვს. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით კი, თუნდაც დეპუტატს, სრული უფლება ექნება, გლანძღოთ, რადგან მას იმუნიტეტი დაიცავს, თქვენ კი მის შესახებ აუგს ვერ იტყვით, რადგან შესაძლოა, ციხეში ამოყოთ თავი. რასაკვირველია, მესმის, რომ პრესის მეშვეობით ზოგჯერ შეგნებულად და ზოგჯერ შეუგნებლად, მცდარი ინფორმაცია ვრცელდება, მაგრამ ამას რეპრესიები ვერ უშველის. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტისთვის ყველაზე დიდი სასჯელი საზოგადოების რეაქცია, საზოგადოებრივი გაკიცხვა უნდა იყოს. ჟურნალისტს უნდა ეშინოდეს, რომ საზოგადოებამ ტყუილის მთქმელად არ მონათლოს. მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ეს საკითხი პროფესიული კავშირების გზით არის მოგვარებული — ჟურნალისტები ტყუილს არ წერენ არა იმიტომ, რომ ციხისა ეშინიათ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იმიჯი დაუმკვიდრდებათ და მათი საქმიანობაც აქ დამთავრდება.

**— მაგრამ აქ მეორე მხარეც არის: ქართულ მედიაში უკვე დიდი ხანია, ტყუილსაც და მართალსაც ერთი ფასი აქვს. „წერე და იკითხეს" მაგალითზე შედეგი არ ჩანს...**

— შედეგი არ ჩანს იმიტომ, რომ სიტყვის თავისუფლება მხოლოდ ლაპარაკის თავისუფლება არ არის. ცივილიზებულ სამყაროში სიტყვის თავისუფლება სახელმწიფოსგან მოსმენის ვალდებულებასაც ნიშნავს და გათვალისწინებასაც. ამ ცნების ერთი ხელმოწერით და ბეჭდის დასმით დაკანონება შეუძლებელია, რადგან იგი სახელმწიფოს განვითარების პროდუქტი გახლავთ. როდესაც ქვეყანას ანგარიშვალდებული მთავრობა ჰყავს, ხალხის აზრს მხოლოდ მაშინ ითვალისწინებს. მთავრობა კი ანგარიშვალდებულია მაშინ, როდესაც დემოკრატიული არჩევნებით არის მოსული, როდესაც ხალხი მას ნებით — ოფიციალური გადასახადებით ინახავს და არა ყაჩაღურად წართმეული ქრთამით. როცა სახელმწიფოს თავის ფუნქციად არ მიაჩნია, მოგისმინოს და ადეკვატური ზომები მიიღოს, შენი სიტყვის უფლება დარღვეულია. ასე რომ, ქართველ ხელისუფალთ სულ ტყუილად მოაქვთ თავი საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების და მედიის თავისუფლების არსებობით. ჩვენთან მხოლოდ ლაპარაკის თავისუფლებაა, რაც სიტყვის თავისუფლებისგან არსობრივად განსხვავდება და უბრალოდ, ხალხისადმი ხელისუფლების ცინიკურ დამოკიდებულებაზე მიგვითითებს — რასაც უნდა, იმას ჩაიდენს და შენ, რაც გინდა, ის ილაპარაკე, მაინც არაფერი შეიცვლება. როგორც ხედავთ, ასე ხდება კიდეც... თუმცა, ჩანს, ხელისუფლებას ბრალდებათა მოსმენაც მობეზრდა (განსაკუთრებით არჩევნების წინ არ აწყობთ) — თუ გავითვალისწინებთ, როგორ მოიპოვებენ ჩვენებებს და ნივთმტკიცებებს ქართველი პოლიციელები, ან რა პრობლემებია სასამართლო სისტემაში, გასაგები ხდება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნული ცვლილების შეტანით არასასურველ პირთა გაჩუმება ძალიან იოლი და მოსახერხებელი იქნება:

**— ანგარიშვალდებული მთავრობა მაშინ გახდება, როდესაც მას ანგარიშს მოსთხოვენ. ფაქტია, რომ ზოგადი უკმაყოფილების მიუხედავად, ხელისუფლებას დღეს ხალხი პასუხს არ სთხოვს. თითქოს ყველაფერი, რაც ჩვენ გარშემო ხდება, უნდა ხდებოდეს და გასაკვირი, ან აღსაშფოთებელი აქ არაფერია. თუ რომელიმე პოლიტიკოსი აღშფოთებას გამოხატავს, უმთავრესად საკუთარი ინტერესების გამო და კაცმა არ იცის, როგორ მოიქცევა ხვალ, როდესაც ხელისუფლებაში მოვა...**

— ჩვენი მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ქართველმა ერმა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ჩვევა გადაივიწყა. საბჭოთა კავშირი დაშალა მექრთამეობამ, კორუფციამ, ხელისუფლების უზურპაციამ, კანონის უგულებელყოფამ. დამეთანხმებით, რომ ეს ყველაფერი დღეს გაცილებით უარეს ფორმებში ხდება. გამოდის, რომ საქართველომ საბჭოთა კავშირისგან „თავის დაღწევის" შემდეგ სახელმწიფოებრიობა და დემოკრატია, ანუ ის, რის გამოც საბჭოთა კავშირის დაშლა ყველას გვწადდა, არ განავითარა. პირიქით, უფრო ჩამოვრჩით, ვიდრე კომუნისტების დროს ვიყავით. მაშინ ცენტრის შიში მაინც არსებობდა. პარტიულმა ნომენკლატურამ იცოდა, რომ ორს თუ შინ წაიღებდა, ერთი მაინც უნდა დაეტოვებინა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთადერთი, რაც გაქრა, ცენტრის შიში იყო. დანარჩენი კი უარესი ფორმებით წარიმართა. სხვათა შორის, რომ არა ეროვნული ხელისუფლების მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომები, პოსტსაბჭოთა სივრცეში ბიზნესურთიერთობებზე გადასვლის ყველაზე მეტი საშუალება საქართველოს ჰქონდა — შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებისგან და იმავე რუსეთისგან განსხვავებით, ალბათ მენტალიტეტიდან გამომდინარე, სახელმწიფოსთვის მოპარული ფული არა ვიწრო კომუნისტური ოლიგარქიის, არამედ ფართო, ფარული ბიზნესწრეების საკუთრება იყო. უბრალოდ, საჭირო იყო ამ ურთიერთობების ლეგალიზება და სახელმწიფოს მიერ ბიზნესმენთა ურთიერთობებს შორის გარანტად ჩადგომა. სამწუხაროდ, ეროვნულ ხელისუფლებას ქვეყნის მართვის უნარი და გამოცდილება არ ჰქონდა და პოლიტიკურ ინტრიგებს გადაჰყვა. შეიარაღებული დაპირისპირების და ქაოსის დროს კი ლეგალიზებაზე არავინ ფიქრობდა — საკუთარ სიმართლეს ავტომატებით ამტკიცებდნენ. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ საქართველოში შევარდნაძე ჩამოვიდა და მინიატურული საბჭოთა წესრიგი დაამყარა — ძველი პარტიული ჩინოსნებითა და ცეკას მდივნებით, მოქკავშირის კომუნისტური ძალაუფლებით...

დააკვირდით თქვენ გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრების წესს და მიხვდებით, რომ საბჭოთა კავშირის დროიდან ბევრი არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნის და არა — კრემლს, საბჭოთა რუსეთს. კანონის უგულებელყოფა ხომ სწორედ საბჭოთა კავშირიდან მოდის. ალბათ ათწლეულების წინანდელი ანექსიის გამო გამოყოლილი პროტესტის გრძნობა — საბჭოური კანონებისთვის მოხერხებულად გვერდის ავლა, სახელმწიფოსთან ერთგვარი ფარული ბრძოლა მისთვის ფულის მოპარვის გზით, პრესტიჟად, სიჩაუქედ მიიჩნეოდა. დღესაც ხომ სწორედ ასე ხდება. წითელ სინათლეზე ვინც არ გააჩერებს, ესე იგი, საამისო შნო აქვს... ელემენტარულ რამეს გეტყვით: დაკვირვებული ვარ, უცხოეთიდან ყოველი ჩამოსვლისას საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ერთი და იგივე სურათი მხვდება — რიგში მდგომი ხალხიდან მესაზღვრეები თუ აეროპორტის სხვა თანამშრომლები ნაცნობებს გამოარჩევენ ხოლმე და საპასპორტო კონტროლზე ურიგოდ გაჰყავთ. ერთი განახვათ ამ დროს მათი სახეები — როგორი თვითკმაყოფილნი არიან, რომ მათ ამ უპირატესობის მოპოვება მოახერხეს, როგორი თავმოწონებით უყურებენ რიგში მდგომ ხალხს, რომელსაც, სხვათა შორის, არანაირი რეაქცია ამაზე არ აქვს, გარდა ერთი-ორისა, რომელიც ხმადაბლა, უფრო თავისთვის, გამოხატავს უკმაყოფილებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნაცნობი მასაც არ გამოუჩნდა, ეს გახლავთ მენტალიტეტი, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების, მმართველი ელიტის შესაცვლელი არ არის. ამაზე ბევრად უფრო სიღრმისეული, საყოველთაო მუშაობაა საჭირო, რადგან თუნდაც წითელზე გავლის შემთხვევა ავიღოთ — თუ ერთ მშვენიერ დღეს წესრიგს არავინ დაარღვევს და ყველა მძღოლი პატიოსნად ივლის, ავტოინსპექტორზე უბედური ადამიანი საქართველოში ალბათ არ იქნება, რადგან მისი ოჯახი იშიმშილებს... იგივე ითქმის კორუფციაზე, რომელიც საქართველოში ლეგენდარულ და დაუმარცხებელ ურჩხულს უტოლდება — მოსახლეობაში ამ მოვლენისადმი მკვეთრად ჩამოყალიბებული სიძულვილი არ არსებობს და იმიტომ. კორუფცია თავის რჩენის, კარგად ცხოვრების საშუალებად ითვლება და თუ ხალხში მას ვინმე აკრიტიკებს, ხშირად მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კორუფციაში ჩართვის საშუალება არ აქვს...

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს მაინც რჩება შანსი შემობრუნებისა, ჯანსაღი ცხოვრების დაწყებისა და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამაში წვლილი ჩვენს პრეზიდენტსაც მიუძღვის — ხუთწლიანმა საბჭოთა მინისტრობის გამოცდილებამ და მაშინ დამყარებულმა კავშირებმა ცივილიზებულ მსოფლიოსთან, საკუთარმა პატივმოყვარეობამ შევარდნაძეს არ მისცა უფლება, საქართველო ბოლომდე ტოტალიტარულ სახელმწიფოდ ექცია. ამიტომაც არის, რომ არც იქით ვართ და არც აქეთ — სადღაც ცუდსა და უარესს შორის ვართ გაჩხერილნი, თუმცა მდგომარეობის გაუმჯობესება ყოველთვის შეიძლება...

*დაჩი გრძელიშვილი*

# გგონიათ, შვლის ნუკრზე ნაკლებად მგრძნობიარე ვარ?

სამწუხაროდ, გრძნეულ მინდიასავით მცენარეების და ნადირ-ფრინველთა ენა არ მესმის, მაგრამ ღრმად რომ დავფიქრდები ხოლმე რომელიმე მათგანის ბედზე, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მათ სათქმელს, სატკივარს, სიხარულს და ნაფიქრალს ვხვდები. თუ ძალიან მოინადინებთ, ამას თითოეული თქვენგანი შეძლებთ, შეძლებთ ჩვენს პირველწყაროს, ბუნებას დაუბრუნდეთ დაკარგული მეექვსე გრძნობით. ალბათ გიკვირთ, რამ ამიჩუყა ასე გული და ფილოსოფოსობა რად დავიწყე — ერთი შეხედვით უბრალო მიზეზია, ერთი პაწია დათვის ბელის გამო, რომელსაც ბოროტმა ბრაკონიერებმა დედა მოუკლეს. როგორც ეს სამწუხაროდ, ხშირად ხდება, ჩამოიყვანეს დედაქალაქში და ცირკის მასხარასავით ფეშენებელური რესტორნის ეზოში დააბეს გასართობად. ერთ მშვენიერ დღეს ბელმა მომვლელის უყურადღებობით ისარგებლა, გაწყვიტა „ბორკილები“ და ღვთის ანაბარად მშობლიური ტყისაკენ აიღო გეზი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადნენ, ბელის პატრონებმა მისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს და ტელევიზიით გამოაცხადეს — დაგვეკარგა ბელი. ერთი შეხედვით ალერსიანი და მიმნდობი, შესაძლოა ცოფიანი იყოს. ნუ ეცდებით მასთან მიახლოებასო და სიტყვა „ცოფიანის“ გარევით უკვე სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ისე შემაძრწუნა იმ საბრალოს ამბავმა, რომ (სულაც არა ვარ გიჟი) ფიქრებით ბელუკას დავუკავშირდი და აი, რა ინფორმაცია მივიღე მისგან:

„რახან დათვის ბელი ვარ, გგონიათ, შვლის ნუკრზე ნაკლებად მგრძნობიარე ვარ? ეჰ, როგორ არ გესმით ადამიანებს, ჩვენც რომ მგრძნობიარე და ალერსიანი გული გვაქვს... რას მერჩოდით, როცა ჩემი და-ძმა დაიღუპა, მე დავრჩი ცხოვრების იმედად და სანთლად დედაჩემს. მაგრამ ბოროტმა მონადირემ დედა თვალწინ მომიკლა. მე კი მისი დატირებაც არ მაცალეს და საშინელ, ხმაურიან ქალაქში ჩამომიყვანეს, სადაც ხეზე ჯაჭვით მიმაბეს და ჩემს წრიალზე სიცილით კვდებოდნენ. დათვი და დაბმული? ვის გაუგონია ასეთი მწვალებლობა. რამდენჯერ მინატრია — ნეტავ დედასთან ერთად მეც მოვეკალი-მეთქი. რამდენი საშინელება ვნახე იქ, რესტორნის ეზოში. რა საშინელი ყოფილა მთვრალი კაცი, დათვებიც თვრებიან თაფლით, მაგრამ ასე არ იქცევიან. მთვრალი კაცები იარაღს ისროდნენ, ჩხუბობდნენ, გასაგრილებლად აუზში ხტებოდნენ ტანსაცმლიანად, მე ვაშლებს და ათასნაირ ხილს მესროდნენ. კინაღამ გავგიჟდი, მოვიკრიბე მთელი ძალა. ერთი კვირა ვღრღნიდი თოკს, რომელიც ჩემს საყელურსა და ჯაჭვს აერთებდა. ერთ დღესაც ასრულდა ჩემი ოცნება და დაკარგული თავისუფლება დავიბრუნე. ახლა რაჭის მთებში ვარ. რა გზა გამოვიარე, რა გულის ხეთქვა, ვერ წარმოიდგენთ ჩემს განსაცდელს. ათასი ხიფათი შემხვდა გზაში, ათასი თოფიანი კაცი. როგორ მეტკინა გული, როცა რესტორნის მეპატრონეების განცხადება გავიგე. როგორც კაციჭამია სისხლისმსმელ დამნაშავეს, ისე მეძებდნენ, რა გჭირთ, ადამიანებო? ჩვენ ჩამოვდივართ ქალაქში და თავს გესხმით? გვაცალეთ ტყეში მშვიდად ცხოვრება და ნუ დაემსგავსებით მართლა მხეცებს. ნუ გაბოროტდებით, აცალეთ პატარა ბელებს ცხოვრება, ჩვენც ღმერთმა შეგვქმნა და დიდი მეგობრობაც ვიცით. თუ არ გჯერათ, მოძებნეთ რას წერდა „კვირის პალიტრაში“ ეთერ თარიმანი ერთი მოხუცი ქალის შესახებ, რომელიც დათვებმა შეიფარეს და მიხვდებით, რომ ჩვენ საერთო სიყვარული გვაქვს“....



***ეკა ლომიძე***

# გიორგი სანაია



2001 წლის 26 ივლისის შემდეგ ყოველი წლის ეს დღე სასტიკ რეალობას გვახსენებს. რეალობამ, რომელმაც ზუსტად ორი წლის წინ საშინელი ამბავი გვაუწყა — ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემის წამყვანი, ჟურნალისტი გიორგი სანაია მოკლეს. მოკლეს გაურკვეველ ვითარებაში, საკუთარ სახლში. მშრალი, მაგრამ შემაძრწუნებელი ინფორმაცია, დღემდე პირვანდელი ძალით ახდენს ზეგავლენას ყველაზე...

# მოვა უცხო, იყიდის ამ „ძონძებს“ და ნახონ, როგორ გამოიყენებს...

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ახლა ცხოვრება აღარ დუღს...

დაცარიელდა შენობები, რომლებიც „ქართულ ფილმს“ ხან ნაცნობმა გამოჰგლიჯა ხელიდან, ხან უცნობმა. თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ქართული კინოს ერთი შეუფასებელი განძი ჯერ კიდევ დარჩა — ერთგული ადამიანები, რომლებიც უვლიან ქართული კინოს ქონებას. მხოლოდ თითო-ოროლა კაცისთვის თუა ცნობილი, რომ ამჟამად იქ ქართული ფილმებისთვის 100 წლის განმავლობაში შეკერილი ათასობით კოსტიუმი ინახება. უხელფასო მეგარდეროზეები მათ შენობიდან შენობაში დაათრევენ გადასარჩენად.

70 წლის თინა მიქელაძე, ისე, როგორც ათეული წლების მანძილზე 10 საათიდან 5 საათამდე ჩაბნელებულ და დანესტიანებულ ოთახებში დადის. თან გულშემოყრილი ანგარიშობს, რა ქონება აკლდება ქართული კინოს მომავალს.

**— რას წერთ, დეიდა თინა?**

— მოხსენებითი ბარათია, შვილო, რეზო ჩხეიძის სახელზე. შარშან და შარშანწინ წაღებული კოსტიუმები ვერ დავაბრუნებინე გადამღებ ჯგუფებს. ბევრი ვდიე და ვემუდარე, მაგრამ არ დამაყენეს საშველი. იქნება რეზოს სცენ პატივი და მოძებნონ... თითოეული კაბის წამლებს ჩემს სულსაც ვაბარებ, დამპირდებიან, დროზე მოგიტანთო, მაგრამ სად მიაგდებენ, კაცმა არ იცის. აგე, მარაო მომიტანეს დამტვრეული... იცი, რა ხნის არის? დალოცვილო, ამოდენა სიმდიდრეს ხომ აუბედურებ, მასში ჩადებული შრომა მაინც არ გეცოდება? ხვალ ხომ ეს ყველაფერი ისევ მაგათ და მათ შვილებს დასჭირდებათ? ვჯდებით მერე ქალები და ვწვალობთ, ვკერავთ, ვკემსავთ, ვაწებებთ...

**— ყველაფრის აღდგენა შეგიძლიათ?**

— შეგვიძლია, თუ მთლად დაგლეჯილი არ მოიტანეს... ასე რომ არ ვუვლიდეთ, აქ აღარაფერი აღარ იქნებოდა. ერთხელ ხნიერი თანამშრომელი მძიმედ გამიხდა ავად. სანახავად რომ მივედი, საწოლზე იჯდა, ედო კალთაში გიორგი სააკაძის კაბა და მოგლეჯილ მძივებს აკერებდა. აბა, ნახე, რა მტვერში და სუნში მუშაობენ ეს ქალები! გამოაქვთ ამოდენა ტანსაცმელი, ამზეურებენ, ფერთხავენ და მერე ისევ ამ დანესტიანებულ ოთახებში შეაქვთ. ნაფტალინს თავიანთი ფულით ყიდულობენ... დღეს კინოს თითო-ოროლა კაცი თუღა იღებს და ისიც დეტექტივებს. რაღაში სჭირდებათ ჩვენი ჯაჭვის პერანგები და ჩოხები? ვეუბნები რეჟისორებს, — რა სულ კაცის კვლასა და უბედურებაზე იღებთ-მეთქი? — რა ვქნათ, დეიდა თინა, ახლა ასეთი დროაო... რა ქნან? სერიალებში უხდიან მხოლოდ ფულს...

**— ყველა ქართული ფილმის კოსტიუმი გაქვთ შენახული?**

— ყველასი, „წითელი ეშმაკუნებიდან“ დაწყებული 9 აპრილზე გადასაღები ფილმებით დამთავრებული. აბა, ნახე რა სილამაზეა? — რა კაბები, რა მაქმანები, რა მძივები! ჯაჭვის პერანგით დაწყებული, ფრანგული სმოკინგის ჩათვლით, ყველაფერი გვაქვს... რაც აქ ვმუშაობ, რომელ ფილმში რომელ მსახიობს რა კოსტიუმი ეცვა, სულ მახსოვს. სერგო ზაქარიაძე ტანსაცმელს რომ მოიტანდა, თვითონვე ჰკიდებდა თავის ადგილას, თქვენ ნუ შეწუხდებითო. მოკრძალებული კაცი იყო. ასე იყო მთელი მისი თაობა. იდგნენ და მშვიდად გველოდებოდნენ, როდის რას მოვუძებნიდით. ახალგაზრდები უფრო მოუთმენლები არიან, ელეთმელეთი ემართებათ.

**— ამდენი ტანსაცმელი რა ხელმა შეკერა?**

— იცი, როგორი სპეციალისტები გვყავდა? — უმაღლესი კლასის! საწყალი გურამ ჯვაშეიშვილი კაცს რომ შეხედავდა, ყველაფერი გასაგებიაო, იტყოდა — ასე, ორ დღეში მოდიო. მოვიდოდა ის კაცი, მოირგებდა ჩოხას და დახატულივით ჰქონდა ტანზე. ქალებს ვარდენ გელაშვილი უკერავდა. მხატვარი იყო. დედოფალივით გამოაწყობდა ხოლმე ისედაც ლამაზ გოგოებს. ირეოდნენ სიხარულით. მივარდებოდნენ ამ ლიპიან ვარდენს და კოცნიდნენ. ის იდგა და მორცხვად იღიმებოდა, — კარგით ახლა, გეყოფათო... მე თუ მკითხავ, იმათ სულაც არ სჭირდებოდათ განსაკუთრებული ჩასაცმელი, ლია ელიავასთვის და მარინე თბილელისთვის ტომარა რომ ჩამეცმია, იმაშიც ბრწყინავდნენ.



**— დეიდა თინა, ეს ოთახები ამ სიმდიდრის შესანახად ნამდვილად არ გამოდგება, ზოგან სახურავიდან წყალიც ჩამოსულა, ნუთუ აქაურობის ცოტა უკეთ მოწყობა არ შეიძლება?**

— ყველაფერი შეიძლება, შვილო, მაგრამ რა ქნას ერთმა რეზო ჩხეიძემ? ბევრი, ადრე რომ ერთგული ჩანდა, ახლა წართმევაზეა გადასული. უწინ ცოტა უკეთეს შენობაში ვიყავით. ის შენობა ერთმა რეჟისორმა მიისაკუთრა და ჩვენ აქ გადმოგვიყვანეს. წყალი ჩამოდიოდა. დავდიოდი და ვეხვეწებოდი ყველას, ხალხი არ ხართ? მიხედეთ აქაურობას, ამხელა სიმდიდრე ისპობა-მეთქი. ერთმა მითხრა, — რა სიმდიდრე, რის სიმდიდრე, ძონძები გიყრიაო... მაშ, ეს ძონძებია?! მოვა უცხოელი და იყიდის, ნახონ მერე იმისთვის თუ იქნება ძონძები. რამდენიმე კაცმა მითხრა, აქაურობის უფროსი შენ ხარ, გამოეყავი კინოსტუდიას, დიდ ხელფასს დაგინიშნავთო. სანამ ცოცხალი ვარ ამ ქონებას უცხოს არ ჩავუგდებ ხელში.

**— ქალი ხართ, რაიმე არ ჩაგიცვამთ ამ გარდერობიდან?**

— როგორ არა, ჩამიცვამს. ქალი რის ქალია, ლამაზი ტანსაცმელი თუ არ მოირგო. ის კი არა, ერთხელ ქორწილშიც ჩავიცვი მარინა თბილელის ხავერდის მწვანე კაბა. მართლა ლამაზი ვიყავი... ახლა პატარა გოგოები ქირაობენ ამ კაბებს.

**— საზეიმო საღამოებისთვის?**

— ჰო, ადრე უფრო ბევრი მოდიოდა. ახლა ოპერა გვიწევს კონკურენციას. ამ ტანსაცმელს რომ ჩაიცვამენ, იმათი ნახვა ერთ რამედ ღირს! ძალიან ლამაზი ახალგაზრდობა მოვიდა — რა სახეები აქვთ, რა ფეხებზე დგანან! იმას რა სჯობს, ეს ბავშვები საკუთარ სულში ჩავახედოთ და საკუთარი ერის პატრონად გავზარდოთ?

***ეთერ ერაძე***




## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „გმირები ყოფილხართ, ბრალია თქვენი დახოცვა“ — 118 ხმა
2. **ინგა ჯაყელი** — „რუსეთის არმიის პოლკოვნიკის მარადიული სიყვარული“ — 55
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „პური არ გაძვირებულა(?!) — მხოლოდ წონაში დაიკლო“ — 45
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „დაისვას კონკრეტული პირების კონკრეტული პასუხისმგებლობის საკითხი“ — 29
5. **ეკა ლომიძე** — „დაბადებიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე, ცხოვრება აღმოჩენაა...“ — 25
6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 20
7. **ნინო ბურჭულაძე** — „როდის მოეღება ბოლო საქართველოში „ლეკიანობას“? — 16
8. **იზო რიკაძე** — „დიდოსტატი მზარეული და წინასაარჩევნო კარტის მარაო“ — 11
9. **მარინა ბაბუნაშვილი** — „გვიან მოსული და მალე დასრულებული სიყვარული“ — 10

თქვენს პრემიას ამჯერად ჟურნალისტი **ვაჟა გავაშელი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 362-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***



# „იმედია, ჩემი მეგობარი წაიკითხავს ამ ინტერვიუს და მიხვდება...“

„შენ მომატყუე... ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ“ — ასეთი განაჩენი გამოუტანა პრეზიდენტმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს. პრეზიდენტის განრისხების მიზეზი პურის გაძვირება-არგაძვირების საკითხია, რომელიც ლამის ჰამლეტისეულ ყოფნა-არყოფნასავით პასუხგაუცემელი რჩება. მაინც რა დგას ამ სამთავრობო სკანდალის მიღმა, რომლის დამაგვირგვინებელი აკორდი კონტროლის პალატამ უნდა აიღოს?

როგორც ამბობენ, დავით კირვალიძე კულუარულ პოლიტიკურ ბრძოლას ეწირება. ოპონენტებმა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრზე პრეზიდენტს საგანგაშო ცნობები მიაწოდეს, — კირვალიძე ანზორ ბურჯანაძეს შეეკრა, ეს დუეტი დიდ ფულს აკეთებს, რომელიც ოპოზიციის წინასაარჩევნო დაფინანსებას ხმარდებაო... იცოდნენ, ეს ყველაზე მტკივნეული იქნებოდა პრეზიდენტისთვის და მართლაც ასე მოხდა...

მინისტრის ბედი ამ კვირაში გადაწყდება. როგორც ამბობენ, მის სავარძელს ხელისუფლება ოპოზიციასთან სავაჭროდ გამოიყენებს. თუ კირვალიძის მეგობრები ბიუჯეტის სეკვესტრს დაჰყაბულდებიან, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი გადარჩება და თუ არა — მოხსნილი მინისტრების მრავალრიცხოვან ამალაში გადაინაცვლებს.

„კვირის პალიტრა“ **დავით კირვალიძეს** ესაუბრა:

— ყველაფერი ეს რომ პურის ფასებს არ უკავშირდება, ალბათ ყველასთვის გასაგებია. როგორ ფიქრობთ, ახლა უფრო საშიში ვითარებაა, როცა ხორბლის მოსავალი აღებულია და რეზერვიც გვაქვს, თუ ზამთარში, როდესაც მართლაც მერყეობდა პურის ფასი?! გასულ წლებშიც არაერთხელ შექმნილა მძიმე ვითარება, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. ახლა რა მოხდა? პურის ფასმა გორში მოიმატა 25-30%-ით. ეს იმიტომ, რომ იქ ერგნეთის ბაზრობაზე იყვნენ დამოკიდებული და კონტრაბანდული ფქვილით მუშაობდნენ. რაკი კონტრაბანდა შემცირდა, ახლა ლეგალურად შემოტანილი ფქვილით უწევთ საცხობებს მუშაობა და პურის ფასიც იმდენად გაიზარდა, რაც სინამდვილეში ღირს. შეუძლებელია ქარხანამ, რომელიც პურს ლეგალური ფქვილით აცხობს, დენის, გაზის გადასახადს იხდის, პური 25 თეთრად გაყიდოს.

— **რა არის ამ აურზაურის რეალური მიზეზი?**

— უპირველეს ყოვლისა, არჩევნები. შეიძლება სხვა რამეც იყო გამიზნული. ეს იმდენად ბინძური თემაა, არ მსურს ამაზე ლაპარაკი. ამ ბინძურ თამაშს არ ვითამაშებ.

პანიკის დათესვამ შეიძლება პურზე მოთხოვნილება გაზარდოს, ხალხმაც ტომრებით დაიწყოს ფქვილის ყიდვა მარაგისთვის. საბაზრო ეკონომიკის პრინციპია — როცა მოთხოვნა მარაგს გადააჭარბებს, პროდუქტზე ფასები უთუოდ გაიზრდება... ამ თემის პოლიტიზება უსინდისობაა და მეტი არაფერი.

ისიც დაგვაბრალეს, ვითომ ხელშეკრულება გვაქვს პურპროდუქტების კორპორაციასთან. თითქოს ანზორ ბურჯანაძისთვის დაგვევალებინოს ხორბლის შემოტანა. თითქოს ხორბლის იმპორტს ხელოვნურად ვაფერხებდეთ და ამიტომაც არის პურზე მაღალი ფასი. დოკუმენტი რომ ვერ წარმოადგინა გოგავამ, ახლა ამბობს, — ასე არ მითქვამსო.

პურის თემა, როგორც ჩანს, საარჩევნოდ ძალზე მომგებიანია. ჯერ ნაციონალებმა განაცხადეს — ჩვენ რომ ჩავატარეთ მიტინგები, პურის ფასი იმიტომ არის სტაბილურიო. რატომ თესენ ასეთ პანიკას? არავითარი საშიშროება არ გვემუქრება, ნაციონალებს სხვა „პურის მოყვარული“ ხალხი აჰყვა. ალოგიკური ბრალდებები მესმის, ცხადია, პურის ფასი აქ არაფერ შუაშია.

— **კულუარებში ითქვა, გოგავას მამალაძე ალაპარაკებს, რომელიც კირვალიძეზე იმიტომ არის გაბრაზებული, ახლობელი თანამდებობაზე რომ არ დაუნიშნაო.**

— ლევან მამალაძესთან მსგავს რამეზე არასოდეს მისაუბრია.

— **აბა, სხვამ გთხოვათ?**

— გოგავას ჰკითხეთ და გიპასუხებთ.

— **პრეზიდენტმა გითხრათ, რაკი მომატყუეთ, თქვენთან ვერ ვიმუშავებო?**

— მითხრა, მაგრამ დრო გამოაჩენს, ვინ მოატყუა პრეზიდენტი. შესაძლოა დროის მცირე მონაკვეთში უკეთურობამ აჯობოს კეთილსინდისიერებას, მაგრამ ადრე თუ გვიან სიმართლე მაინც გაიმარჯვებს. თუ სიმართლე არ გაირკვა, მეეჭვება, ძველებურად შევძლო მუშაობა.

— **რას ეწირება თქვენი სავარძელი?**

— სკამზე დახარბებული ხალხის ინტრიგებს.

— **რატომ გახდა თქვენი სავარძელი წინასაარჩევნოდ ასე სასურველი?**

— იმიტომ, რომ ამ სამინისტროში ხელს ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ აფათურებს.

— **ვისი გუნდის წევრი ხართ?**

— რა თქმა უნდა, პრეზიდენტის.

— **უწინ ჟვანიას თანაგუნდელებთან მეგობრობდით.**

— ჩემს პირად მეგობრობასა და სახელმწიფო საქმიანობას ერთმანეთში არ ვურევ. ვისთან ვმეგობრობ, თავისუფალ დროს როგორ ვატარებ და ფეხბურთს ვისთან ვთამაშობ, — ეს ჩემი საქმეა და თუ ჩემი პირადი ურთიერთობებით სახელმწიფო საქმე გაფუჭდა, ამის კონკრეტული მაგალითი უნდა დამისახელონ. სახელმწიფო საქმისა და სკამის გამო მეგობრებზე უარს ვერ ვიტყვი... მაგრამ არც ჩემი მეგობრების გამო მიმიყენებია იოტისოდენა ჩრდილი სახელმწიფო საქმისთვის.

ვიღაცებს უნდათ, მართვადი ვიყო, ზეწოლით მიმაღებინონ რაღაც გადაწყვეტილებები — ამას არასოდეს ვიზამ. ამ სამინისტროში ის ხალხი მუშაობს, რომელთა კვალიფიკაციაც აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს. თუ ადამიანი პროფესიონალი არ არის, ის აქ ვერ იქნება. თანამშრომლებს მეგობრობის კრიტერიუმებით არ ვარჩევ, ჩემი ძმაც ჩემი პროფესიის არის და დღეს უმუშევარია...

— **თქვენ მიმართ ყველაზე არაობიექტურად ვინ მიგაჩნიათ?**

— ზოგისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს, მაგრამ არის ადამიანი, რომელიც დღეს ჩემი ოპონენტების მხარდამჭერია, მასთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა. ჩვენი ერთად გატარებული წლები არ მაძლევს მასზე აუგის თქმის უფლებას. იმედი მაქვს, იგი ამ ინტერვიუს წაიკითხავს და მიხვდება, რასაც მივანიშნებ ამ სიტყვებით. მის გასაგონად ვამბობ, — ჩემთვის ჩვენი მეგობრობა უფრო ღირებულია, ვიდრე მინისტრის სავარძელი.

— **ვისზე საუბრობთ, ლევან მამალაძეზე?**

— გთხოვთ, ნუ დამაკონკრეტებინებთ.

***იზო რიკაძე***

# თბილისში აღმოჩნდა ის, რასაც ამერიკა ბაღდადში დღესაც ეძებს...

22 ივლისს დამთავრდა „რადიოაქტიური ტაქსის“ 52-დღეღამიანი ეპოპეა.

მცხეთის რეაქტორის ტერიტორიას საგანგებო კომისიის წევრები ეწვივნენ, რომლებმაც, ბოლოს და ბოლოს, გაათავისუფლეს საცოდავი „ჟიგულის“ საბარგული საშიში რადიოაქტიური ხელსაწყოებისგან და მონატრებული მანქანა პატრონს დაუბრუნეს.

მკითხველი, ბუნებრივია, იკითხავს, რაც „ჟიგულის“ პატრონს, თამაზ ცუცუნაშვილს (მისი ინტერვიუ „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ) მოსვენებას არ აძლევდა — რამდენად დასხივდა მანქანა და საშიშია თუ არა მისი საშუალებით მგზავრთა გადაყვანა?

ჩვენ დოკუმენტურად დავაფიქსირეთ ზემოხსენებული კომისიის მიერ ჩატარებული გაზომვა: როცა რადიოაქტიური ხელსაწყოს ორივე ყუთი მანქანის საბარგულში იდო, სალონის უკანა სავარძელზე გამა-გამოსხივების დონის სიმძლავრე ბუნებრივ ფონს — 0,3 მიკროზივერტი/სთ-ში, მხოლოდ ორჯერ აღემატებოდა (ამ დროს თავად საბარგულში გამა-გამოსხივების სიმძლავრე ათჯერ მეტი იყო). ყუთების ამოღებისთანავე ბუნებრივი რადიაციული ფონი აღდგა არა მარტო სალონში, არამედ თავად საბარგულში. როგორც ამ კომისიის თავმჯდომარემ, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ბატონმა **ზურაბ სარალიძემ** გვითხრა, გამა-გამოსხივება, როგორც წესი, არ რჩება ნივთებზე (თუმცა მანქანის მძღოლი თამაზ ცუცუნაშვილი ამბობს, დაბრუნებულმა მანქანამ ჯანმრთელობა მკვეთრად გამიუარესაო).

მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრებმა იცოდნენ, რა იყო მოთავსებული დიდ ყუთში, მაინც მოუწიათ მისი დეტალური შესწავლა. თუკი გამა-გამოსხივების სიმძლავრე დაკეტილი ყუთის თავზე შეადგენდა 91 მიკროზივერტი/სთ-ს, ყუთის სახურავის მოხსნისთანავე ეს განზომილება 416 მიკროზივერტი/სთ გახდა. მაგრამ კულმინაციური მომენტი მაშინ დადგა, როდესაც 88 კგ-იანი ტყვიის სფეროდან „მთავარი გმირი“, სულ რაღაც 10 სმ-იანი ცეზიუმ-137-ის ღერო ამოიღეს. უსაფრთხოების მიზნით, ეს განხორციელდა გრძელი, 4 მ-იანი სპეციალური ჯოხით, რადგან გამა-გამოსხივების ეს შიშველი რადიოაქტიური წყარო 6 მლნ მიკროზივერტი/სთ სიმძლავრეს იძლეოდა. ეს კი ბუნებრივია, 0,3 მიკროზივერტი/სთ რადიაციულ ფონს 20 მილიონჯერ(!) აღემატებოდა. უშუალოდ მის ახლოს ყოფნა სიკვდილს მოასწავებს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მოუვა მას, ვინც ამ მომაკვდინებელ ღეროს უცოდინარობით ჯიბეში ჩაიდებს.

აღსანიშნავია, რომ ეს რადიოაქტიური, დამაგრადუირებელი ხელსაწყო საბჭოთა კავშირში 1977 წელს დამზადდა. ცეზიუმ-137-ის ნახევრად დაშლას (გამოუსადეგარ მდგომარეობაში გადასვლას) 30 წელი სჭირდება. უკვე გასულია 26 წელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ინარჩუნებს თავისი სახიფათო დოზის გამა-გამოსხივების სიმძლავრეს.

საბარგულიდან ამოღებულმა მეორე, მცირე ზომის ყუთმა თავდაპირველად გააოცა კომისიის წევრები, რადგან იგი ნამდვილად არ იყო საბჭოთა წარმოებისა. მისი გულმოდგინედ დათვალიერების შედეგად გამოირკვა, რომ ამ ხელსაწყოში (იგი რადიაციული ტესტირებისთვისაა განკუთვნილი და სავარაუდოდ გერმანიაშია დამზადებული) სტრონციუმ-90 ტიპის რადიოაქტიური წყაროა, რომელიც ბეტა-გამოსხივებას იძლევა.

მაგრამ, რაც მართლაც გამაოგნებელია, ტაქსის საბარგულში, მისი დაკავების მომენტში, აღმოჩნდა კიდევ ერთი ნივთი, რომელიც იმ ორივე რადიოაქტიურ ხელსაწყოზე ბევრად საშიშია.

ეს გახლავთ სწორედ ის ნივთიერება, რომელიც საბაბად გამოიყენეს ვაშინგტონმა და ლონდონმა ბაღდადზე თავდასასხმელად, რომლის ნიმუშებსაც დღემდე ამაოდ ეძებენ დასავლელი მზვერავები მთელ ერაყში.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

# მაია ნიკოლეიშვილი პოლიტიკაში მიდის?!

## ვისი დაკვეთით გაათავისუფლეს დამოუკიდებელი ექსპერტი?

იუსტიციის მინისტრსა და ექსპერტიზის ცენტრის ხელმძღვანელის მაია ნიკოლეიშვილის დაპირისპირება იმით დასრულდა, რომ როლანდ გილიგაშვილმა ცენტრის ხელმძღვანელი სამსახურიდან დაითხოვა. მაია ნიკოლეიშვილი ამას ენერგომაფიას უკავშირებს და მოვლენების განვითარებას დეტალურად ჰყვება. მისი თქმით, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის მიერ 54 თბო და ჰიდროელექტროსადგურის, ასევე „საქგაზის“ შემოწმებამ **მაია ნიკოლეიშვილის** თანამდებობა შეიწირა.

— **თქვენსა და იუსტიციის მინისტრს — როლანდ გილიგაშვილს შორის დაპირისპირება რომ არსებობდა, ეს რამდენიმე თვის წინ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუშიც გამოიკვეთა. მაშინ განაცხადეთ, რომ იუსტიციის მინისტრის უმოქმედობის გამო დიდი შანსი იყო, ამერიკიდან ჩამოტანილი ლაბორატორია სომხეთში წასულიყო. თუმცა იმჟამინდელ დაპირისპირებას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. დღეს უკვე გათავისუფლებული ხართ. რა მოხდა ამჯერად?**

— როცა ლაბორატორიაზე გვქონდა საუბარი, პარალელურად, „საქგაზის“ თემა იყო აქტუალური. ვთქვი კიდეც, რომ ალბათ ამას სერიოზული გართულებები მოჰყვება-მეთქი. იმ დროს პარლამენტში დეპუტატ დავით ბეჟუაშვილის („საქგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი) იმუნიტეტის მოხსნის საკითხი იდგა. დასკვნა, რომელიც პარლამენტში გახლდათ წარმოდგენილი, ჩვენთან გაკეთდა. იგი 42 ტომს შეადგენს და მომზადებულია ეკონომიკის სამინისტროს, კონტროლის პალატის და სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით. ამ დასკვნის მიხედვით ბრალი წაუყენეს „საქგაზის“ ყოფილ გენდირექტორს გურამ ჩიჩუას, რომელიც მიმალვაშია, იმალება მთავარი ბუღალტერიც. რაც შეეხება ბეჟუაშვილს, ყველა ბრალდებას იგი პოლიტიკურ დევნას უკავშირებს. მაგრამ გარწმუნებთ, რომ დასკვნა აბსოლუტურად ობიექტური იყო. უბრალოდ, კიდევ სჭირდებოდა რიგ დეტალებს დაზუსტება. კვლავ უნდა ჩატარებულიყო ე.წ. საფინანსო-ეკონომიკური შემხვედრი შემოწმებები. საბაჟოზე უნდა გაეკონტროლებინათ, რა რაოდენობის გაზი გადის ტრანზიტით სინამდვილეში სომხეთში. მაგრამ 22 ივლისს, ორშაბათს ჩვენი სპეციალისტები, გენერალური პროკურატურის გამომძიებლებთან ერთად, საბაჟოდან გამოისტუმრეს და შემოწმების საშუალება არ მისცეს. 22-შივე ქალაქის პროკურატურა „ჩითახევი ჰესის“ შესამოწმებლად წავიდა, მაგრამ ხაშურის დეპუტატმა, თამაზ გელაშვილმა და ოთარ კერვალიშვილმა, რომლებიც ჰესის ოფიციალური მფლობელები არიან, შემმოწმებლები უკან გამოაძევეს. არადა ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებით იყვნენ მისულნი. ზუსტად ამ თარიღს ემთხვევა მთავრობის სხდომა. მოგეხსენებათ, რომ სხვადასხვა მინისტრს, სავალუტო ფონდის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის 844-ე განკარგულების მიხედვით, ენერგეტიკის მაქსიმალური კონტროლი ევალებათ. გილიგაშვილს კი, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე საქმის კურსში იყო, მთავრობის სხდომაზე ხმაც არ ამოუღია.



— **რატომ?**

— რატომ და... წინა საღამოს იუსტიციის პრესცენტრი გავაფრთხილე, რომ მეორე დღეს, 24-ში, 12 საათზე, „ჩითახევთან“ დაკავშირებით, პრესკონფერენცია უნდა გამემართა. პრესკონფერენციამდე ნახევარი საათით ადრე კი, იუსტიციის სამინისტროს შვიდმა წარმომადგენელმა ჩემი გათავისუფლების ბრძანება მომიტანა. სახტად დავრჩი. იმიტომ, რომ ორი დღის წინ, ორშაბათის თათბირზე, მსგავსი რამ არ თქმულა. არც კოლეგიაზე განუხილავთ ჩემი გათავისუფლების საკითხი. გილიგაშვილი გაცეცხლებულია და ამბობს, ვერ დავიმორჩილეთო! უკაცრავად, რატომ უნდა დამიმორჩილოს?!

ეს ხომ კოლმეურნეობის კანტორა არ არის, ადამიანი შენს ჭკუაზე ატარო. ეს არის ყველასგან დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრი. აბსურდული მოტივი მოიგონეს, მედავებიან, რომ იურიდიული სამსახურის ოთახი არასათანადოდ არის დაცული. შესაძლებელია დოკუმენტები დაიკარგოსო. ფანჯარაზე რიკულებია და სეიფი დგას. სხვანაირად როგორ დავიცვა? ვუთხარი: — დალოცვილებო, ციხიდან დასტა-დასტა ხალხი გაგირბით, ჩემთან არაფერი დაკარგულა, რას მედავებით-მეთქი?.. როგორ გითხრათ, რუსები რომ იტყვიან — „სალდატსკაია პრიჩინა“. კიდევ ბრალს მდებენ, რომ სახანძრო უსაფრთხოების წესები არ არის დაცული ბუღალტერიაში. კარგით რა! ეს არის თავის აგდება.

— **როგორ ფიქრობთ, გილიგაშვილმა ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო?**

— ჩემი ინტერვიუების შემდეგ, დიდად შეურაცხყოფილი იყო. მაშინვე ამბობდა — ან მე, ან მაია ნიკოლეიშვილიო, მაგრამ საფუძველი არ ჰქონდა გათავისუფლების. ამჯერად ენერგეტიკის საკითხების შემოწმების შემდეგ ვიღაცის პირდაპირი ბრძანება შეასრულა. მაქვს გარკვეული ინფორმაციები, მაგრამ ეჭვების დონეზე არ მინდა ვისაუბრო. სულ ცოტა ხანში გამოჩნდება, მაგრამ ფაქტია, რომ ენერგეტიკის თემას ეხებოდა.

— **ანუ ფიქრობთ, რომ იძულებული გახდა გაეთავისუფლებინეთ?**

— დაკვეთა იყო, ბრძანება თუ გარიგება, ეს მინდა ამ დღეებში გავარკვიო.

— **რა ბედი ეწევა ლაბორატორიას, რომლის ნაწილი ისევ აშშ-ის საელჩოშია განთავსებული?**

— ფაქტია, რომ ლაბორატორიის შეფერხებაში რაღაც ინტერესი იყო ჩადებული. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს პროექტი ჩაიშალოს. ჩემთვის ეს ტრაგედია იქნება. საკმაოდ დიდი პოლიტიკის ნაწილია ლაბორატორიაც და ენერგეტიკაც. ერთი მეორეზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა ენერგეტიკამ აჯობა.

— **რის საფუძველზე მიდიოდა ენერგეტიკაში ასეთი კომპლექსური შემოწმებები?**

— საბოლოო ჯამში უნდა გარკვეულიყო სემეკის მიერ სწორად არის დადგენილი თუ არა გაზის და ელექტროენერგიის ტარიფები.

— **ამ მასალებიდან ხომ არ ირკვეოდა, რომ ტარიფები გაბერილია?**

— რა თქმა უნდა და ისიც ფაქტია, რომ ვიღაც „ძლიერთ ამა ქვეყნისას“ ამის გახმაურება არ აწყობდათ.

— **რას აპირებთ?**

— ქვეყანა ჩალით არ არის დახურული. ეს თანამდებობა ჩემთვის დიდ რამეს არ წარმოადგენდა. დაუმსახურებლად რომ გესვრიან ტალახს, ეს არის შეურაცხმყოფელი. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ მართლა ვიმსახურებდი გათავისუფლებას, მხოლოდ ამიტომ ვიბრძოლებ. თუ გავარკვიე, რომ მითითება ზევიდან მოხდა, მაშინ პოლიტიკაში წავალ, რომ ეს ხალხი ვამხილო. თუ არა და, გავაგრძელებ ბრძოლას პროფესიისთვის და არა ადგილისთვის.

***მარინა მამისაშვილი***

# როგორ გაანადგურეს ქართული მრეწველობა „ჩარხიჭამია“ ჩინოვნიკებმა

ბოლო ათი წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზით, საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში უამრავი დაზგა-დანადგარი ჩამოიწერა, შემდგომ მათი საზღვარგარეთ გატანის მიზნით. სულ თხუთმეტიოდე წლის წინ კი ქვეყანაში ასეულობით ტექნიკურად გამართული ფაბრიკა-ქარხანა მუშაობდა. სამწუხაროდ, დღეს ბევრი აგურ-აგურ არის გაყიდული. თუ რომელიმე გადარჩა, მხოლოდ კედლებიღაა დარჩენილი, საამქროები პირწმინდადაა გაძარცული. იქ მომუშავე ხალხმა (სხვათა შორის, მაღალი კვალიფიკაციის მუშა-მოსამსახურეებმა) თავი ბაზრობებს შეაფარა და იქ ნაშოვნი გროშებით ირჩენს თავს. ქარხნების აღჭურვილობა (ზოგჯერ უნიკალური და ძალიან ძვირად ღირებული) კი ახალგამომცხვარმა ქართველმა მეწარმეებმა თურქეთში ან ირანში ჯართის ფასად გაყიდეს. არადა, ზოგიერთი დანადგარი ახალთახალი იყო, მაგრამ მაშინდელი მრეწველობის და ყოფილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროების ხელმძღვანელებს ხელი არ აუკანკალებიათ, ისე მოაწერეს ხელი ახალი დაზგების ჩამოწერისა და მათი საზღვარგარეთ ჯართად გაყიდვის ბრძანებებს.

— ისეთი უნიკალური ჩარხები გაყიდეს, არა მარტო რესპუბლიკაში, მთელ მაშინდელ საბჭოთა კავშირშიც თითზე ჩამოსათვლელი რომ იყო, — გვესაუბრება საქართველოს მრეწველობის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, — მათი საშუალო ღირებულება 10 ათასიდან 30 ათას დოლარამდე მერყეობდა. უზუსტესი ჩარხები იყო, მართვის პროგრამული ავტომატიკით აღჭურვილები. სანამ ქარხნების პრივატიზაცია დაიწყებოდა, მანამდეც და მას შემდეგადაც, უნიკალური ჩარხები საგანგებოდ დააზიანეს საწარმოს მაშინდელმა ხელმძღვანელებმა. მაკომპლექტებელი ნაწილები და ბლოკები საწყობებსა და თავიანთ სახლებში გადამალეს. მრეწველობის სამინისტროდან მოწვეულ სპეციალისტებს კი აქტი შეადგენინეს, რომ ესა თუ ის ჩარხი აღდგენას არ ექვემდებარებოდა. აქტის საფუძველზე ქონების მართვის სამინისტრო სინამდვილეში უნაკლო ჩარხის ჯართად გაყიდვის უფლებას აძლევდა საწარმოს ხელმძღვანელობას. ამ გზით საქართველოდან საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ირანში, ათასობით დაზგა-დანადგარი გავიდა. იმ დანადგარებით ირანი მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს. მერე ჩვენივე ჩარხებით გაკეთებული ნაკეთობები ირანიდან ისევ საქართველოში შემოდის და მამასისხლად იყიდება...

**— ნუთუ მრეწველობის ან ქონების მართვის სამინისტროების თანამშრომლებმა არ იცოდნენ, ქარხანა-ფაბრიკების დირექტორები რა მაქინაციებსაც მიმართავდნენ?**

— როგორ არ იცოდნენ, მაგრამ მათ თავისი წილი ეძლეოდათ და ხმას ვინ ამოიღებდა. ახლაც ანალოგიური მდგომარეობაა. უბრალოდ, მრეწველობის სამინისტროს მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტრო დაერქვა. თუ არ ვცდები, მას ახლახან ქონების მართვის სამინისტროც შეუერთდა სახელმწიფო ქონების სააგენტოს სტატუსით. ასე რომ, სახელების გადარქმევით არაფერი შეცვლილა. ირანელი მეწარმეების ემისრები მთელ საქართველოში დადიან და დღესაც უამრავი ჩარხი გააქვთ სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნიდან. საწარმოების დირექტორებს ჯერ კიდევ მუშა მდგომარეობაში მყოფი ჩარხები წინასწარ ჩამოწერილი აქვთ, რათა დრო და კლიენტი არ დაკარგონ. ამას მხოლოდ პრივატიზებული, კერძო საწარმოთა ხელმძღვანელები რომ აკეთებდნენ, კიდევ არაფერი, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქარხანა-ფაბრიკების დირექტორებიც არ აკლებენ ხელს. პარადოქსული სიტუაციაა — ფაბრიკა-ქარხნები რამდენიმე წელია არ მუშაობს, ბევრი დაკონსერვებულია, მუშა-მოსამსახურეები უვადო შვებულებაში ან საერთოდ დათხოვილები არიან სამსახურიდან. დირექტორები და მთავარი ინჟინრები კი მილიონერებივით ცხოვრობენ. საიდან ამდენი ფული და შემოსავალი?! საიდან და სწორედ ირანში ჯართად გაყიდული ჩარხების ფულიდან. აქედან გამომდინარე, ქიმერად მეჩვენება ჩვენი მთავრობის კონცეფცია მრეწველობის აღდგენისა და განვითარების შესახებ. განვითარებული მრეწველობა დაანგრია და გააპარტახა და ახლა აღადგენს?!..

ჩვენს რესპონდენტთან საუბრის შემდეგ არ დავიზარეთ და გლდანიდან სამგორის რაიონამდე ჩვენთვის ნაცნობი ყველა ქარხანა-ფაბრიკა ჩამოვიარეთ. სამწუხაროდ, ჩვენი რესპონდენტის სიტყვები გამართლდა. ერთ-ორ ქარხანას თუ არ ჩავთვლით, დანარჩენები „მტკიცედ“ არიან გაჩერებულები და არც იმის პერსპექტივა ჩანს, რომ შორეულ მომავალში მაინც ამუშავდებიან. თავდაპირველად, მუხიანის დასახლებაში მდებარე რადიოქარხანას ვესტუმრეთ (იგი 80-იანი წლების დამდეგს აშენდა). ქარხნის ტერიტორიაზე ისე შევედით, არავის დაუშლია. ადამიანის ჭაჭანება არსად ჩანდა. ერთ საამქროში რამდენიმე, უპატრონოდ მიგდებული ჩარხი შევნიშნეთ. შუადღე იყო, მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობა ჯერაც არ ჩანდა. იქვე, საამქროს კარებთან ჩამომჯდარ ერთ-ერთ დარაჯს გავესაუბრეთ:

— არც კი მახსოვს, როდის გაჩერდა ქარხანა. ვზივარ აქ და არაფერს ვაკეთებ. დამლაპარაკებელიც არავინ მყავს.

**— სხვა ქარხნებისგან განსხვავებით, ზოგიერთი ჩარხი მაინც შემოგრჩენიათ.**

— ეგ ჩარხები უვარგისია, თორემ აქამდე ირანში გაყიდდნენ. რაც კარგი იყო, რამდენიმე წელია გაახაზირეს. სამაგიეროდ, ცოდვების მოსანანიებლად ეკლესია ააშენეს... აქ ადრე უამრავი ალუმინის კარ-ფანჯრის კონსტრუქცია და კარადა იყო. დარაჯს ხუთ-ათ ლარს მიუგდებდნენ და ქარხანაში ღამით მეჯართეები შემოდიოდნენ. გაჰქონდათ ალუმინის კონსტრუქციები და მუხიანშივე ჯართის მიმღებ პუნქტებში აბარებდნენ. მუხიანში რამდენიმე ჯართის მიმღები პუნქტი იმიტომაცაა, თორემ აქ სადაა იმდენი რკინა და ფერადი ლითონი, რომ ჯართის მიმღებმა სამმა პუნქტმა იმუშაოს...



საამქრო, სადაც ათეულობით ჩარხის მაგივრად, დღეს მხოლოდ დომინოს სათამაშო მაგიდა დგას

მუხიანიდან დიდუბეში, თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანას ვესტუმრეთ. ჩვენთან საუბარი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეშ, **ნოდარ ჩხოლორაიამ** ისურვა: — ვისღა ანაღვლებს, იმუშავებს თუ არა ქარხანა. სანამ კანონი მეწარმეთა შესახებ და საგადასახადო კოდექსი ლიბერალური არ გახდება, მანამდე უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება.

**— თქვენ გაყიდეთ ჩარხები?**

— სერიული წარმოების ყველა ჩარხი ადგილზეა, ოღონდ უფრო პატარა შენობაში გადავიტანეთ. ზოგიერთმა ქარხანამ მართალია გაყიდა დაზგები, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, — არ მუშაობდნენ, მიწისა და ქონების გადასახადს კი არავინ აპატიებდა და იძულებული გახდნენ, გაეყიდათ (ბატონ ნოდარს საამქროს ფოტოგრაფირება ვთხოვეთ. მაგრამ გაპარტახებული საამქროებისთვის ფოტოს გადაღება არ დაგვანება გასაგები მიზეზების გამო, თუმცა ჩვენ მაინც მოვახერხეთ... — ზ. ჩ.)...



ნახევრად გაძარცული საამქრო

გზა გავიმრუდეთ, და დიღომში „მიონის“ ქარხანას, როგორც ჩარხების მყიდველები, ისე მივადექით. ამ უდიდეს საწარმოში ერთ დროს შვიდი ათასამდე კაცი მუშაობდა, ახლა კი ქარხნის უზარმაზარი ტერიტორია რომ შემოიარო, მხოლოდ რამდენიმე ათეულ კაცს თუ ნახავ. ისინიც ქარხნის ტერიტორიაზე მოქმედი შპს-ების თანამშრომლები არიან. „მიონი“ ჯერ კიდევ სახელმწიფოს კუთვნილებაა. ვესაუბრებით ქარხნის ერთ-ერთი განყოფილების გამგეს, **გოგი სალდაძეს:**

**— თუ დაგრჩათ ჩარხები გასაყიდად?**

— რაღაც-რაღაცები შემოგვრჩა, ძირითადად, მოძველებული და გაცვეთილი ჩარხებია. რაც კარგი იყო, ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით გაიყიდა. მერე იქიდან ჩვენც მოგვიგდებდნენ ცოტაოდენს. თქვენ ჩარხი ხომ არ გინდათ?

**— დიახ, მითხრეს, „მიონში“ ჯერ კიდევ აქვთ ჩარხებიო.**

— სამი წლის წინ რომ მოსულიყავით, ყველა სახის ჩარხს იშოვიდით. ახლა თითქმის აღარაფერი დარჩა, სულ ირანში გაიტანეს... იქნებ რაღაც გამოგიძებნოთ... „სევერნი ვაროტასთან“ დირექტორის მოადგილე იკითხეთ, უთხარით, გოგიმ გამომაგზავნა-თქო და რამეს მოგიხერხებთ...

როგორც იქნა, ერთ საამქროს მივადექით, მაგრამ დირექტორის მოადგილის ნაცვლად, იქ საამქროს უფროსი დაგვხვდა, რომელსაც ჩვენი „გაჭირვება“ შევჩივლეთ.

— რაც გვქონდა, ყველა გავყიდეთ. ორი დამრჩა, მაგრამ მე თვითონ მჭირდება. სამაგიეროდ, გვაქვს ახალთახალი „თერმოპლასტავტომატი“, — იგი პოლონეთში დამზადებული, უნიკალური და ძვირად ღირებული ჩარხია. პლასტმასის სხვადასხვა ფორმას ასხამს. ვაკუუმის დანადგარიც გვაქვს — 1000 დოლარად მოგცემთ. პროგრამული მართვის ორი საბურღი ჩარხიც გამოინახება. 1985 წელს ვიყიდეთ, მაგრამ არ გამოგვიყენებია. ამ ოთახში კი ულტრაბგერითი გენერატორები გვაქვს, სრულიად ახლებია, მაგრამ ჩამოწერას ექვემდებარება(?!). ზემოთ ავიდეთ, იქაც მაქვს ელექტრონული ღუმელი, რომელიც 1300 გრადუსს იძლევა. ერთი სიტყვით, მალე შპს-ს დირექტორი მოვა და ფასებზე მას მოელაპარაკეთ...

დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია, მალე დირექტორიც მობრძანდა და მაშინვე საქმეზე გადავიდა:

— „თერმოპლასტავტომატი“ არ გვჭირდება, ვერ ვამუშავებთ, მაგრამ მის გაყიდვას ჯერ არ ვაპირებთ. სამაგიეროდ, სხვა დანადგარები გვაქვს ჩამოწერილი და კანონი მისი რეალიზაციის უფლებას გვაძლევს. მაგრამ დანადგარები ბლოკებად უნდა დავშალოთ და ისე უნდა გაიტანოთ საამქროდან, თორემ გამართული და აწყობილი დაზგის გაყიდვის უფლება არ გვაქვს.

საბურთალოზე ინსტრუმენტალურ ქარხანასაც მივაკითხეთ, სადაც ჩვენი მეგზურობა ქარხნის მატერიალურ ფასეულობათა მენეჯერმა **ნუგზარ მიქაძემ** ითავა. მან ქარხანა დაგვათვალიერებინა, თუმცა დასათვალიერებელი იქ აღარაფერია. გამოცარიელებული საამქროები ძალზე ცუდი სანახავი იყო. მხოლოდ ერთ ოთახში მოეთავსებინათ რამდენიმე ჩარხი და ორი მუშა რაღაც დეტალს ჩაჰკირკიტებდა. ეს იყო და ეს მთელი ქარხანა.

**— რას აკეთებთ, თავს რითი ირჩენთ?** — ვკითხე ნუგზარ მიქაძეს.

— ქარხნის ეზოში ავტოსადგომი გვაქვს მოწყობილი. ქარხნის ნაწილი კი კერძო საწარმოებზე იჯარით გვაქვს გაცემული. ამით გაგვაქვს თავი.

**— ჩარხები სად წაიღეთ?**

— ამორტიზებული, მორალურად მოძველებული, 40-50 წლის ჩარხები გვქონდა და ამიტომ ყველა ჩამოიწერა და გაიყიდა...

სწორედ ამორტიზებული ჩარხების გაყიდვის კატეგორიული წინააღმდეგია თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორის პირველი მოადგილე **ზურაბ რატიანი**. მისი განცხადებით: — ჩვენი ქარხანა 1999 წელს სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა, მანამდე სახელმწიფოს საკუთრება გახლდათ. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არც ახლა და არც ადრე ქარხნიდან ერთი, თუნდაც ამორტიზებული ჩარხი არ გაგვიყიდია. პირიქით, უკვე ჩამოწერილი და ბალანსიდან ამოღებული ჩარხი შეგვიკეთებია, აღგვიდგენია და გაგვიმართავს. თუ გნებავთ, საამქროებს დაგათვალიერებინებთ. უამრავი ჩარხი კი გვაქვს, მაგრამ მაინც ვეძებთ ახალ ჩარხებს მარაგად. თუ ჩარხი მუშაობს და უწუნო პროდუქციას უშვებს, თუნდაც 60 წლის იყოს, რა უჭირს? თუ რამე გაუფუჭდება, გამოვუცვლი და ისევ იმუშავებს. რუსეთში რომ ვიყიდო ჩარხი, 20 ათასი დოლარი უნდა გადავიხადოთ, ამდენი ფული სად გვაქვს. ამიტომ ვეძებთ სხვა ქარხნებში ამორტიზებულ ჩარხებს...

**— ნუთუ არაფერი გსმენიათ ჩარხების შავ ბიზნესზე?**

— ყველაფერი ვიცი. ზოგიერთმა ქარხანამ ჩალის ფასად გაყიდა ირანში თავისი დანადგარები. ბევრი დანადგარი, რომელიც სრულიად ახალი იყო და მშვენივრად იმუშავებდა რამდენიმე ათეული წელი, ჯართად გაიყიდა საზღვარგარეთ. მაშინ კი იშოვეს ფული, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გაუთავდათ არმად ნაშოვნი. ქარხანა ველარ აამუშავეს — ჩარხები აღარ ჰქონდათ და დარჩნენ მშრალზე.

„...სადაა ქარხანა, „ჰიდრომეტხელსაწყო“ დიდი ხანია მოკვდა და დავმარხეთ კიდეც, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ქარხნის ხარატმა **გივი გაბელაიამ**, — გაყიდეს ჩარხები. შენობა კი იჯარით კერძო ფირმებს მისცეს. ქარხნის ხელმძღვანელები საიჯარო შემოსავლით მშვენივრად ცხოვრობენ“.

ჩვენ ზემონახსენები ქარხნის დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთ წევრსაც შევხვდით. **ანზორ დურგლიშვილი:**

— არც ერთი ჩარხი არ მუშაობდა, ამორტიზებული იყო და ჩამოვწერეთ. სამინისტროს ხელშეწყობით არ გაყიდეს ჩარხები „მიონსა“ და „ელვაში“ და ახლა აქეთ გვაბრალებენ თავიანთ ნაკაიკაცარს? სწორედ სამინისტრომ გასცა ჩარხების „გასუხარების“ ნებართვა. მიბრძანდით ეკონომიკის სამინისტროში, ლიცენზიების განყოფილებაში და იქ გაიგებთ, ვინ რას ყიდის...

ის იყო, წამოსვლა დავაპირეთ, რომ ფოიეში უცნობი მამაკაცი წამოგვეწია და მეტად საინტერესო დოკუმენტები გადმოგვცა, თან დასძინა: „ქარხანა მისმა ხელმძღვანელებმა ქონების მართვის სამინისტროში საქმის ჩაწყობით ჩალის ფასად იყიდეს. იმ ფასად მხოლოდ ერთი დანადგარი გაყიდეს ირანში. ნახავთ დოკუმენტებს და დარწმუნდებით“.

მართლაც, დოკუმენტებით გაირკვა, რომ ყოფილ „ჰიდრომეტხელსაწყოსთვის“ ახალ მეპატრონეებს შპს „მეგატა-სტანდარტი“ უწოდებიათ. მის გენერალურ დირექტორს, ანზორ დურგლიშვილს (ბატონმა ანზორმა რატომღაც გენერალური დირექტორობა დაგვიმალა. — ზ. ჩ.) 1998 წლის 9 მარტს ხელშეკრულება დაუდია შპს „თაზოს“ დირექტორთან ექსპლუატაციაში მყოფი ცამეტი სხვადასხვა ტიპის ჩარხის მიყიდვის თაობაზე. ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია წარმატებით განხორციელებულა, მაგრამ საინტერესო შემდეგი დოკუმენტია, სადაც ვკითხულობთ, რომ თავის მხრივ შპს „თაზომ“ კერძო მეწარმე ალი რეზა ედელად ჰასთან — ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქესთან, იმავე წლის 10 მარტს დადო ხელშეკრულება წინა დღეს „მეგატა-სტანდარტიდან“ ნაყიდი ჩარხების მიყიდვაზე. ამ ოპერაციის ჩატარებაზე თანხმობა გაცემული აქვს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს. ჩარხების ირანში გატანას ადასტურებს თბილისის რეგიონალური საბაჟო-გამშვები პუნქტის დოკუმენტიც. ეკონომიკის სამინისტროში განგვიმარტეს: — არც ერთ ჩარხს, მით უმეტეს 1K-62 მარკის სახარატო ჩარხს, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს იგი, 150 ლარად არავინ მოგცემთ. თუ გავითვალისწინებთ ამ ჩარხის წონას, რაც ორ ტონას აღემატება და იმასაც ვიანგარიშებთ, რომ ერთ ტონა ჯართს საქართველოში მინიმუმ 80 ლარად იბარებენ, გამოდის, რომ საქართველოდან მუშა მდგომარეობაში მყოფი ჩარხები ჯართის ფასად გაედინება ირანში...

**— რატომ დასჭირდა „მეგატა-სტანდარტს“ ჩარხების გასაყიდად შუამავალი ფირმა „თაზო“?**

— ალბათ თავის გასამართლებლად. იტყვიან, ჩარხები საზღვარგარეთ არ გაგვიყიდია, როგორც ჯართი, ისე ჩავაბარეთ სხვა ფირმასო. თავს იზღვევენ ალბათ, თანაც საშემოსავლო გადასახადებსაც მალავენ...

ჩვენ მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს პრესსამსახურს შევეხმიანეთ, რომელმაც კომენტარისთვის სამრეწველო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსთან, **ლევან თურმანიძესთან** გასაუბრება გვირჩია:

**— ბატონო ლევან, საქართველოში ე. წ. ჩარხების მაფია მოქმედებს?!**

— დიახ, ბევრი ჩარხი და დანადგარი გაიყიდა ირანში. საქართველოში პლასტმასის ნაკეთობების წარმოება კარგად იყო განვითარებული. ყველა ის მოწყობილობა, რომლებითაც პლასტმასის პროდუქცია მზადდებოდა, დღეს ირანშია და ახლა იქიდან შემოდის საქართველოში პლასტმასის ნაკეთობანი (ვედროები, აქანდაზები, ტაშტები, სათამაშოები და სხვა). ბაზარზე ვერსად ნახავთ ქართული წარმოების იმავე პროდუქციას. რაც შეეხება ჩარხების უკანონო გაყიდვაში სამინისტროს მონაწილეობას, ამას სათანადო გამოკვლევა და დამტკიცება სჭირდება.

**— რა დამტკიცება სჭირდება, ორ დღეში ჩარხების მაფიის მუშაობის მთელი მექანიზმი გავიგეთ, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად ამ ბიზნესში ჩართული იყო ყოფილი ქონების მართვის სამინისტრო.**

— გეთანხმებით, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძირითადად ამორტიზებული და მორალურად მოძველებული ჩარხები გაიყიდა. ვიცი, რომ ამ სფეროში დარღვევები იყო, მაგრამ სანამ არ დამტკიცდება, მანამდე ვერაფერს ვიტყვი...

თავს აღარ შეგაწყენთ სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების მდგომარეობის აღწერით. მერწმუნეთ, უმრავლესობაშიც იგივე სიტუაციაა. რაც შეეხება რაიონებსა და პერიფერიულ ქალაქებს (ყველა რაიონში ორი-სამი პატარა ქარხანა ან ფაბრიკა მაინც იყო. — ზ. ჩ.), იქ კარგა ხანია ჩარხები კი არა, ფაბრიკა-ქარხნების მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი. ხელისუფლება კი ამაყად აცხადებს, რომ მრეწველობის აღდგენის კონცეფციაც შემუშავებული აქვს და სათანადო პოლიტიკასაც ახორციელებს. ვის რად უნდა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი კონცეფციები, თუ მათ განხორციელება არ უწერია?!

**P. S.** სანამ ოფიციალური სტრუქტურები ჩარხების მაფიის არსებობას საჯაროდ აღიარებენ, მანამდე საქართველოში უბრალო სახარატო ჩარხიც კი სანთლით საძებარი გაგვიხდება.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# „ჩვენ პრეზიდენტი კი არა, ფსიქოლოგი შევარდნაძე გვყავს“

პარლამენტში მორიგი პოლიტიკური შოუ გათამაშდა — დიდი პერიპეტიების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანომ საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებით ბეიკერის ვარიანტი მიიღო (პირველი მოსმენით). რისთვის იყო საჭირო ამდენი შეხლა-შემოხლა, თუ ბეიკერისთვის ისედაც უნდა დაგვეკრა კვერი? ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, — აქაოდა ცოტა რამ ჩვენც გაგვეგებაო. მთელი იმდღევანდელი პოლიტიკური ისტერია წინასაარჩევნოდ ტელემაყურებელთა თვალწინ გაკეკლუცების უკანასკნელი შანსის გამოყენება იყო და მეტი არაფერი.

სანამ საკანონმდებლო ორგანოში ვნებები ბობოქრობს, პრეზიდენტი ახალი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის იწყებს ბრძოლას და პოლიტიკურ სამკუთხედს კრავს — საქართველო-ამერიკა-რუსეთი. მაგრამ პრეზიდენტს რატომღაც ავიწყდება, რომ ე. წ. სამკუთხედში ყოველთვის მოგებული ვერ იქნები. ყოველ შემთხვევაში, სასიყვარულო სამკუთხედში რომ ერთ-ერთი ყოველთვის წაგებულია, ეს უკვე აქსიომაა და რატომ გვგონია, რომ პოლიტიკურ სამკუთხედზე ეს წესი არ გავრცელდება. ან კიდევ, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ წაგებული სწორედ საქართველო არ იქნება.

ვესაუბრებით ლეიბორისტული პარტიის ლიდერს **შალვა ნათელაშვილს** (რომელმაც ისიც გვაუწყა, პარლამენტში ბეიკერის ვარიანტად მონათლული მოდელის ავტორი მე ვიყავიო და ექსსახელმწიფო მდივანს თავის მეგობრადაც მოიხსენიებს).

**— აქამდე ვიცოდი, რომ ბეიკერი შევარდნაძის მეგობარი იყო. რაკი თქვენც მეგობრობთ მასთან, პრეზიდენტთან ალიანსს უთუოდ დაგაბრალებენ.**

— შევარდნაძემ როგორი მეგობრობაც იცის, საკუთარ თავზე იწვნიეს მისმა ყოფილმა მეგობრებმა, რომელთაგან ზოგი დახვრეტილია, ზოგი — უმუშევარი, ზოგი კი საზღვარგარეთ გაქცეული. იმედი მაქვს, ბეიკერსაც ეცოდინება შევარდნაძის „მეგობრობის“ ნიუანსები. ბეიკერმა აქ ჩამოსვლით დიდი ქართული საქმე გააკეთა, რასაც შედეგად მოჰყვა შევარდნაძის უმრავლესობის მოსპობა კომისიებში, მისთვის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების დანიშვნის აკრძალვა, ხმების დათვლის შემდეგ ხმების გადათვლის სავალდებულო პროცედურის შემოღება და ამით არჩევნების გაყალბების შესაძლებლობის მინიმუმამდე შემცირება... ყველაფერ ამას მოჰყვება შევარდნაძის ეპოქის უსისხლო დასასრული. ამის გამკეთებელი ბეიკერი, მგონი ნამდვილად არის ქართველი ხალხის მეგობარი, თორემ მასთან ვახტანგური მე ნამდვილად არ დამილევია.

**— საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხზე მსჯელობისას პარლამენტში დიდი ვნებათაღელვა იყო. ყველა პარტია თავის სასარგებლო ვარიანტს ეჭიდებოდა, მერე კი ითქვა, საკანონმდებლო ორგანოში ამ დღეს ყველაზე დიდი ფარსი გათამაშდაო.**



„პურს ხრუშჩოვის დროიდან სულ აკლდა წონაში და ახლა აღმოაჩინეს?!“

— გულიანად მეცინებოდა ჩვენი პოლიტიკოსების აქტიორული ნიჭის შემხედვარეს (კიდევ კარგი, ამის ნიჭი მაინც მისცა ღმერთმა), ბეიკერთან შეხვედრის შემდეგ პრაქტიკულად გამორიცხული იყო სხვა ვარიანტის მიღება, რადგან ეს ამერიკის ადმინისტრაციასთან ომის გამოცხადება იქნებოდა. ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭებას კი რა შედეგებიც მოსდევს, ამაში კარგად დავრწმუნდით სადამ ჰუსეინის ვაჟიშვილების მაგალითზე, რომლებიც რამდენიმე დღის წინ საიქიოში გადასახლდნენ. არ არის სასიამოვნო, რომ სხვა გიგვარებს უმნიშვნელოვანეს შინაპოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ კარგის გამკეთებელს მადლობა მაინც უნდა უთხრა და აღარ უნდა გააკრიტიკო. როცა სხვები გვიწესებდნენ ელექტროენერგიის ტარიფს, ხმა მაშინ უნდა ამოეღოთ ჩვენს პოლიტიკოსებს, მაგრამ მაშინ ყველა პარტია გაყუჩდა და თავის ოფისში შეძვრა, „ეი-ი-ეს თელასის“ წინააღმდეგ კრინტი არ დაძრეს. სავალუტო ფონდზეც ხმაჩაკმენდილები არიან, მსოფლიო ბანკის ხსენებაზე ფერიფური მისდით და თურმე ბეიკერის ვარიანტში დაინახეს სუვერენიტეტის შელახვა. ეს ხომ ცინიზმია... ყველა პოლიტიკურ ძალას ერთი მიზანი ამოძრავებდა — საარჩევნო კომისიაში გამყალბებლების მეშვეობით მიეწერა ხმები, მაგრამ ამას ველარ მოესწრებიან.

პრეზიდენტი იძულებული გახდა, ბეიკერს დასთანხმებოდა, იმიტომ, რომ ის არჩევანის წინაშე დააყენეს, — ან ჩაატარებ დემოკრატიულ არჩევნებს, ან საპრეზიდენტო ვადას ვერ დაასრულებო. იმდენი ჭკუა კი აქვს შევარდნაძეს, რომ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა ის მემორანდუმი. იგი მშვენივრად გრძნობს პოლიტიკური სიოს მიმართულებას. ბეიკერის მემორანდუმის მიუღებლობას შედეგად მოჰყვებოდა ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაყინვა, ეკონომიკური დახმარების შეწყვეტა და ამ ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკური კრახი.

**— სახელმწიფო მინისტრის ჩრდილში გადანაცვლება კარის ინტრიგების შედეგი იყო თუ შევარდნაძის ტაქტიკური სვლა?**

— სახელმწიფო მინისტრები შევარდნაძისთვის ყოველთვის მეხამრიდის როლს ასრულებდნენ. საბიუჯეტო კრიზისის დროს ჯერ ლეკიშვილი დაიკლა, მერე ლორთქიფანიძე და ბოლოს, საწყალი არსენიშვილი და, ბუნებრივია, ამ ხვედრს ვერც ჯორბენაძე გაექცეოდა. სახელისუფლებო ბლოკში პირველი განხეთქილება სიების შედგენისას მოხდება, მეორე და დამანგრეველი კი, კომიტეტის თავმჯდომარეების არჩევისას — მაშინ „მანტიროვკებით“ დაუწყებენ ერთმანეთს დევნას პრეზიდენტის თანაგუნდელები.

**— ე. ი. სახელისუფლებო ბლოკის შანსს მაინც ოპტიმისტურად უყურებთ, ზოგიერთი ოპოზიციონერივით არ ფიქრობთ, — ისინი ბარიერს ვერ გადალახავენო.**

— ვერ გადალახავდნენ, რომ არა მარნეულის, ბოლნისისა და ნაწილობრივ, წალკის რაიონები. სახელისუფლებო ბლოკს მხოლოდ მათი იმედი შეიძლება ჰქონდეს.

ჩვენ პრეზიდენტი კი არა, ფსიქოლოგი შევარდნაძე გვყავს, რომელიც მინისტრების გარეკვით დროდადრო ფსიქოლოგიურად ამშვიდებს უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობას.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას ოპოზიციაც თავის სასარგებლოდ იყენებს და ხელისუფლებაც. ხელისუფლება იტყვის, — მინისტრის გამო პურის ფასი მატულობდა და ამიტომ მოვხსენიო. ოპოზიცია კი მტკიცებას მოჰყვება — მე რომ აქციები მოვაწყვე, ვირბინე და ვაპროტესტე, პური ამიტომ არ გაძვირდაო. არადა, პურს ხრუშჩოვის დროიდან 100 გრამი სულ აკლდა და ახლა აღმოაჩინეს? მეპურე რომ მოკლა, მაინც დააკლებს პურს წონას. კომუნისტების დროს „ობეხეესიც“ კი ხუჭავდა ამაზე თვალს და ახლა გააკეთა მსოფლიო აღმოჩენა „მოქკავშირმა“?.. როდესაც სააკაშვილი და კირვალიძე ერთმანეთს მაღაზიაში შეხვდნენ და ვითომ იკამათეს, ერთმანეთს გაუკეთეს რეკლამა. ხომ ყველამ იცის, რომ ეგენი თანაგუნდელები არიან. აბა, მე რომ დამერეკა, მოვიდოდა რომელიმე მინისტრი?

**— და მაინც, რომელ მინისტრს დაურეკავდით „საქმის გასარჩევად“, ალბათ მირცხულავას?**

— მირცხულავას ადგილი საბრალდებო სკამზეა და მას მე კი არა, პროკურორმა უნდა დაურეკოს.

მირცხულავაზე ანტიეროვნული მინისტრი საქართველოს არ ჰყოლია. ყველაფერზე წავა, ოღონდ ის მილიონები არ მოაკლდეს, რასაც იღებს თურქეთისა და აზერბაიჯანის დენის კონტრაბანდული გაყიდვით. გავიგე, ახლა რუსეთშიც დაუწყია დენის გაყიდვა.

***(დასასრული გვ.11)***

# დოკუმენტებზე პარლამენტის თავმჯდომარის ყალბი ფაქსიმილე იყო

## ყალბისმქმნელი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის უსაფრთხოებას

გახსოვთ, ალბათ, ამ 3-4 წლის წინ საქართველოში ეროვნული და უცხოური ვალუტის გაყალბების ბუმი იდგა და საინფორმაციო საშუალებებიც ხშირად იუწყებოდნენ ამა თუ იმ გამყალბებლის დაკავების შესახებ. საეჭვოა, ახლა უკეთესი დრო იდგეს და მსგავსი აფერებით აღარავინ ითბობდეს ხელს. უფრო სარწმუნო ალბათ ის ფაქტია, რომ ასეთი დანაშაულების გამოვლენას სამართალდამცველები ვეღარ ახერხებენ. თუმცა, უშიშროების სამინისტროს სპეცსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყინული დაიძრა და ვალუტის არა, მაგრამ ყალბი ოფიციალური დოკუმენტაციის გავრცელების ბრალდებით პირველი ღლავი მოჰყვა ბადეში. გვესაუბრება უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი **ნიკა ლალიაშვილი**:

— უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული (ყოფილი ანტიტერორისტული) დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნაძალადევის რაიონში დააკავეს აფხაზეთიდან ლტოლვილი რომან უბირია, რომელსაც ბრალად ედება ყალბი დოკუმენტაციის დაბეჭდვა.

**— კერძოდ, რა დოკუმენტებზეა ლაპარაკი?**

— სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლის ყალბი პირადობის დამადასტურებელ მოწმობებზე, რომელთა მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო სახელმწიფო სტრუქტურებში დაუბრკოლებლად შესვლა. გარდა ამისა, უბირია ისეთ მოწმობებსაც აკეთებდა, რომლებიც იარაღის ტარებისა და მკაცრად გასაიდუმლოებულ ობიექტებზე შესვლის უფლებას იძლეოდა. ყალბისმქნელი ამით საშუალებას აძლევდა ქვეყნის მტრებს მიეღოთ მათთვის საჭირო საიდუმლო ინფორმაციები და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის უსაფრთხოებას — მის „გაცემულ“ ზოგიერთ დოკუმენტზე ხელისუფლების მაღალჩინოსანთა და სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირთა ხელმოწერებიც იყო გაყალბებული.

**— შეგიძლიათ რომელიმე დაგვისახელოთ?**

— მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ყალბი, მაგრამ იუველირული სიზუსტით შესრულებული ფაქსიმილე ამშვენებდა რამდენიმე დოკუმენტს.

**— დაკავებული მარტო მოქმედებდა?**

— არა. საკმაოდ სერიოზული დამნაშავეთა ჯგუფის წარმომადგენელია. გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან საქართველოში მოქმედ რუსულ მოძრაობასთან, „კაზაკთა კორპუსთან“. მიმდინარეობს ძიება სხვა დამნაშავე პირთა დასადგენად.

**— როგორ მიაგენით ბანდას?**

— აგენტურული მონაცემების საფუძველზე ჩვენი სამსახურის მიერ დაიგეგმა ოპერაცია და მოხდა ჩვენი თანამშრომლის ამ ბანდაში ე.წ. „ჩანერგვა“, რის შემდეგაც დავაკავეთ უბირია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს მუშაობა ბანდის დანარჩენი წევრების დადგენა-დაკავებისათვის.

**P.S.** იმედი ვიქონიოთ, რომ ყალბისმქნელების დახმარებით ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განწყობილმა ძალებმა ვერ მოასწრეს საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებზე შეღწევა და საზიანო ჩანაფიქრის განხორციელება.

***მოამზადა ეკა ლომიძემ***

# „საქართველო დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს დაკარგავს“



რუსეთი საქართველოს ენერგეტიკული მარშით იბრუნებს. „გაზპრომის“ ხმაურიან შემოსვლას ალბათ უახლოეს მომავალში „ეი-ი-ეს თელასის“ ახალი მეპატრონის, რუსული კომპანია „რაო-ეესის“ გამოჩენაც მოჰყვება და როგორც ოპოზიციური პოლიტიკური ძალები აცხადებენ — საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით რუსული ენერგოექსპანსია წარმატებით განხორციელდება. თუმცა სხვაგვარად ფიქრობს ენერგეტიკის ენერგიული მინისტრი დავით მირცხულავა — რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ენერგოკომპანიის, „გაზპრომის“ შემოსვლას საქართველოს ენერგოანექსიად კი არ ნათლავს, შემაცბუნებელ განცხადებასაც აკეთებს: უკვე უცხოელებისთვის მიყიდულ თუ დროებით მმართველობაში გადაცემულ ენერგოობიექტებს ასახელებს. ამასთან დასძენს: — როცა ეს პროცესები დასრულდება (ალბათ, ყველაფერს სხვებს რომ მივყიდით), ენერგოსისტემას მხოლოდ მაშინ ეშველებაო. არადა, ცოტა ხნის წინ მირცხულავა ხსნის გზას სრულიად სხვა მხარეს ხედავდა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰ-დენიზის გაზსადენის გაყვანის შემდეგ, საქართველო ენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა გახდებოდა და გარეშე თუ შინაური მტერი პირში ჩალაგამოვლებული დარჩებოდა. ახლა კი „გაზპრომმა“, რომელიც შაჰ-დენიზის პროექტის ერთადერთ ალტერნატივად მოიაზრება, საქართველოს მთავრობასთან 25-წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს „გაზპრომის“ ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. შეთანხმება „გაზპრომის“ მიერ საქართველოში გაზის მოწოდებასა და მომხმარებლამდე მიტანას, საქართველოს გაზსადენების სისტემის რეკონსტრუქციის გაფართოებას, ელექტროენერგეტიკული სექტორისათვის გაზის მიწოდებას, გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთობლივ რეალიზაციასა და საქართველოში გაზის სატრანზიტო პროექტების ერთობლივ განხორციელებას გულისხმობს. თუ ყოველივეს მილერის თბილისში გამოთქმულ სურვილსაც დავუმატებთ, რუსული კომპანია ალბათ გაზსაცავების მშენებლობაშიც მიიღებს მონაწილეობას. რომან გოცირიძის აზრით, „გაზპრომთან“ შეთანხმების დოკუმენტში ფარული პრივატიზაციის ხელშემწყობი პირობებიცაა გათვალისწინებული და შესაძლოა, რუსული კომპანია საქართველოს სტრატეგიული მილსადენის მფლობელიც გახდეს. ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი — მისი თქმით, ეს შეუძლებელია ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. დასავლურ პრესაში კი გამოითქვა აზრი, რომ რუსეთის მონოპოლისტ კომპანიას თურქეთში ბუნებრივი აირის იმპორტის შორს გამიზნული გეგმები აქვს. მირცხულავამ მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა: — დოკუმენტის მომზადების პროცესში გათვალისწინებულია ამერიკული მხარის შენიშვნები და ვიდრე „გაზპრომთან“ ხელშეკრულება გაფორმდებოდა, ჩასწორებული პროექტი ამერიკის საელჩოსაც გავუგზავნეთო. თუ მირცხულავას დავუჯერებთ, „გაზპრომთან“ შეთანხმება აშშ-ის მთავრობის თანხმობით მომხდარა, რასაც დამოუკიდებელი ექსპერტები არ იზიარებენ. მათი აზრით, ამერიკას არ შეიძლება ხელს აძლევდეს ამგვარი შეთანხმება.

გაუგებარია, რატომ ფარავდნენ მირცხულავა და საქართველოს მთავრობა 21 ივლისს „გაზპრომთან“ ხელშეკრულების დადების ფაქტს. რატომ გახდა იგი ცნობილი მხოლოდ 24 ივლისს და ისიც რუსული ინტერნეტ-საიტებიდან. ამის თაობაზე პირველი ცნობები ყოველკვირეულმა გამოცემა „ლეფტ კომპასმა“ გააკეთა. მინისტრი გვარწმუნებს: — არასდროს მიფიქრია საზოგადოებისთვის სიმართლის დამალვაო. მომხდარი კი ჯიუტად მეტყველებს საწინააღმდეგოს. მაგალითად, იმას, რომ „გაზპრომი“ საქართველოს გაზის სექტორზე სრულ გავლენას მოიპოვებს, თუნდაც საგანგებო სატარიფო პოლიტიკით (რომელიც ერთ მშვენიერ დღეს არავითარ კომერციულ ლოგიკას აღარ დაექვემდებარება), რომელსაც რუსეთი სურვილისამებრ შეცვლის და დღეს მისი შემოთავაზებული გაზის ვითომ დაბალი ტარიფი, რომლითაც ქართული მხარე მოხიბლა, ის ხაფანგი აღმოჩნდება, რომელშიც ჩვენი ხელისუფალნი თვითონვე „გაებმებიან“ და ქვეყანასაც საფრთხეს შეუქმნიან. „გაზპრომი“ კი საქართველოში ფეხის მოკიდებისთანავე საკუთარი პირობების კარნახს დაიწყებს, რასაც საეჭვოა საქართველოს მთავრობაში მოწინააღმდეგე გამოუჩნდეს. გზაგახსნილი რუსეთი დასავლეთის ინტერესების სფეროში მოქცეული კავკასიის უმნიშვნელოვანეს სექტორში — ენერგეტიკაში მყარად დამკვიდრდება.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენერგომანქანა ერთი შეხედვით დაუბრკოლებლად მიიწევს წინ, საეჭვოა, დასახულ მიზანს მიაღწიოს, რადგან ამერიკა ალბათ არც ამ შემთხვევაში დათმობს პოზიციებს და იმედია, მზე საქართველოსთვის ისევ ჩრდილოეთიდან აღარ ამოვა.

მიუხედავად ამისა, მუდმივად ცვალებადი და არაპროგნოზირებადი ქართული პოლიტიკური კურსის გამო ძნელია მომავლის ზუსტად განსაზღვრა. არც ის არის გამორიცხული, ხელისუფლების ორმაგი თამაშების გამო ჩვენმა შორეულმა მოკავშირემ, აშშ-მა საქართველო დასაჯოს. საფრთხის საფუძველს კი „გაერთიანებული დემოკრატების“ ლიდერის მიერ ატეხილი განგაშიც იძლევა. ზურაბ ჟვანიას თქმით, დასკვნით ეტაპზეა მოლაპარაკებები „ეი-ი-ეს თელასსა“ და „რაო-ეესს“ შორის, რომლის დასრულების შემდეგ ამერიკული კომპანიის აქციების 75% რუსული მხარის ხელში გადავა. თუ „ეი-ი-ეს თელასს“ დაისაკუთრებს, ჩვენი ჩრდილოელი „ძმა“ საქართველოს ენერგომომარაგების სისტემაში აბსოლუტური მონოპოლისტი გახდება, რაც ათწლეულების განმავლობაში წელში გაწყვეტს ქართულ სახელმწიფოს. გარიგების შემთხვევაში საქართველო თავისი დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს დაკარგავს და შესაძლოა სამუდამოდაც მოუწიოს „მბრძანებლისთვის“ ღალისა და ხარკის ხდა. ზურაბ ჟვანიას განცხადებით, „ეი-ი-ეს თელასის“ საქართველოსთვის დასაბრუნებლად 25 მლნ დოლარია საკმარისი. ჟვანია ქუდზე კაცს იწვევს ამ თანხის შესაგროვებლად. ვინ იცის, იქნებ თანხის გადახდის მსურველიც გამოჩნდეს, მაგრამ რუსეთი იქნება კი ამ დროს გულზე ხელდაკრეფილი?..

# თბილისში აღმოჩნდა ის, რასაც ამერიკა ბაღდადში დღესაც ეძებს...

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ლაპარაკია საბრძოლო მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერება იპრიტზე. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე „მონათლა" ის მოწითალო ფერის სითხე, რომლით სავსე ამპულაც გვაჩვენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა **ლევან გოგუამ**.

— **ეს სასიკვდილო ამპულა როგორ მოხვდა თქვენს ხელში?**

— იგი 31 აპრილს დაკავებული „რადიოაქტიური ტაქსის" საბარგულში ორ რადიოაქტიურ ხელსაწყოსთან ერთად აღმოჩნდა. ამპულა მსხვრევადია და იყო საშიშროება, რომ გატეხილიყო. ამიტომაც ჩვენმა თანამშრომელმა დამატებით შეფუთა და საიმედოდ შეინახა. მისი მანქანაში დატოვება კატასტროფას გამოიწვევდა.

— **მას შემდეგ ეს ამპულა თქვენთანაა?**

— წესით, გამომძიებლებს სპეციალური წერილი უნდა მოემზადებინათ ორგანული და ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის სახელზე, რათა იქ ჩაეტარებინათ ამპულის გამოკვლევა. თავდაპირველად, საქმეს შსს იძიებდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, შემდეგ საქმე უშიშროების სამინისტროს გადაეცა, მაგრამ ჯერჯერობით არც მათ მოუკითხავთ ამპულა.

— **რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ამ ამპულაში მაინცდამაინც იპრიტია?**

— ჩვენ ყოფილი საბჭოთა სამხედრო ნაწილების შემოწმებისას არაერთხელ აღმოგვიჩენია მსგავსი ამპულები, რომლებსაც სათანადო წარწერები ჰქონდათ.

— **თქვენი აზრით, საიდან უნდა მოხვედრილიყო მანქანაში რადიოაქტიური ხელსაწყოები და იპრიტი?**

— იპრიტზე გამიჭირდება თქმა, მაგრამ ცეზიუმ-137-ის შემცველი კონტეინერი ქობულეთიდან კი არ იყო წამოღებული (როგორც ამას ტაქსის მძღოლი აღნიშნავდა), არამედ პირიქით, იქ უპირებდნენ ჩატანას, რადგან იგი იდენტურია იმ წყაროებისა, რომლებიც ვაზიანში ა.წ. თებერვალში მოიპარეს. მაშინ ჩვენ იქ, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, სპეციალურ ბეტონის ორმოში ოთხი ასეთი კონტეინერი შევინახეთ. თებერვალში სამი მათგანი დაიკარგა და დღემდე ვერ მოხერხდა მათი პოვნა. ჩემი აზრით, ტაქსის საბარგულში აღმოჩენილი 88 კგ-იანი კონტეინერი სწორედ იქიდანაა მოპარული, ხოლო მეორე, ვაზიანიდან მოპარული კონტეინერი — სავარაუდოდ სოფ. საკაძის ყოფილ სამარხში ნახეს.

— **რისთვის სჭირდება ამ ხალხს ასეთი სახიფათო ბიზნესი?**

— არ გამოვრიცხავ, სპეცსამსახურის თუ პოლიციის ზოგიერთი თანამშრომელი საგანგებოდ ავრცელებდეს ხმას, რომ შეისყიდის ასეთ ნივთიერებებს. გაბრიყვებული ხალხი პოულობს მათ და გაყიდვას ცდილობს. შედეგად მათზე ან სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, ან დიდ თანხებს ართმევენ. თავის დროზე ასეთივე ბუმი იყო ე.წ. წითელ ვერცხლისწყალზეც.

როგორ ჩანს, სიცოცხლისათვის საშიში „რადიოაქტიური ბიზნესი" საქართველოში ჯერ კიდევ აქტუალურია და მას შეიძლება საზღვარგარეთთანაც ჰქონდეს კავშირი, რადგან ტაილანდში დაკავებულმა 47 წლის კონტრაბანდისტმა აღიარა, რომ ცეზიუმ-137-ის შემცველი წყარო (ზუსტად ისეთი, როგორიც „ჩვენი" ტაქსის საბარგულში აღმოჩნდა), „სადღაც რუსეთშია" მოპარული. ბანგკოკელი ავანტიურისტისთვის კი სამხრეთ კავკასიაც რუსეთთან ასოცირდება.



კომისიის წევრებმა თავად ამოიღეს რადიოაქტიური წყაროები საბარგულიდან



ტაქსის პატრონმა, თამაზ ცუცუნაშვილმა თავისი ხელით გაზომა რადიაციის დონე მანქანაში

**ჩვენი დოსიე: მაქსიმალური რადიაციული დოზა იმ პირებისთვის, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ რადიოაქტიურ წყაროებთან, წელიწადში შეადგენს 50 მილიმიკროზივერტს, ხოლო ჩვეულებრივი მოქალაქისთვის — ათჯერ ნაკლებს.**

**სპეციალისტმა წელიწადში 2 ათასი საათი უნდა იმუშაოს 25 მიკროზივერტ/სთ-ში სიმძლავრის გამა-გამოსხივების წყაროსთან, რომ დააგროვოს თავისი ე.წ. „წლიური ნორმა" — 50 მილიმიკროზივერტი. შორეულ საჰაერო მარშრუტებზე მფრენი (მაგალითად, პარიზი-ლოს-ანჯელესი) სამგზავრო ლაინერის ეკიპაჟი, ისევე როგორც მგზავრები, საათში იღებენ დაახლოებით 2,5 მიკროზივერტი სიმძლავრის გამა-დასხივებას, ხოლო რენტგენის აპარატით გულმკერდის გაშუქებისას პაციენტის ორგანიზმზე 300 მიკროზივერტი სიმძლავრის გამა-გამოსხივება ხვდება.**



იპრიტით სავსე ამპულას ათასობით ადამიანის მოწამვლა შეუძლია

**ჩვენი დოსიე: ნივრის ან მდოგვის სუნის მქონე მოწითალო ფერის სითხე იპრიტი კანზე მოქმედ მომწამვლელ ნივთიერებათა კლასს განეკუთვნება. იპრიტი გამოიყენება ქიმიური ჭურვების, საავიაციო ბომბების და ნაღმების ასაჭურვად. მათი აფეთქებისას ჰაერში გაბნეული იპრიტის წვეთები ხვდება ადამიანის კანს, თვალებს ან სულაც სასუნთქ ორგანოებს. მას ადვილად იწოვს ადამიანის კანი და ქსოვილი. თხევად მდგომარეობაში იპრიტი აზიანებს კანს, თვალებსა და ფილტვებს. თუ საჭმელთან ერთად მოხვდა ადამიანის სხეულში, დამღუპველად მოქმედებს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე. იგი ადვილად შეიწოვება სისხლში, რომელსაც ის მთელ ორგანიზმში გადააქვს, რის შემდეგაც საბოლოოდ ზიანდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა. იპრიტით დაზიანების დამახასიათებელი ნიშნებია: კანის გაწითლება ორგანიზმში მისი მოხვედრიდან 2-6 საათის შემდეგ. მეორე დღეს დაზიანებულ კანზე წარმოიქმნება ბუშტუკები, რომლებიც 2 დღის შემდეგ წყლულებად იქცევა. მათ შეხორცებას ერთი თვე მაინც სჭირდება. იპრიტის ორთქლის ჩასუნთქვიდან რამდენიმე საათში ადამიანს ყელის სიმშრალე ეწყება, მძიმე მოწამვლის შემთხვევაში კი — ფილტვების ანთება და 3 დღეში ხუთვით იღუპება. იპრიტის წვეთის თვალზე მოხვედრისას ადამიანი შეიძლება დაბრმავდეს. 20 წლის წინ ჰუსეინმა სწორედ იპრიტით ათიათასობით ირანელი ჯარისკაცი და ქურთი მოქალაქე დახოცა.**



# სოხუმი სოჭს რკინიგზის შემდეგ უკვე ზღვითაც დაუკავშირდა

*სოხუმში საზეიმოდ აღნიშნეს სოხუმი-სოჭის რეგულარული საზღვაო რეისების დაწყება. ჯერ სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა, შემდეგ უკვე საზღვაო. რა იქნება ხვალ?*

*ამის გასარკვევად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ* **თამაზ ნადარეიშვილს** *მივმართეთ.*



„კოლხიდა“

— **როდის გაიგეთ სოხუმი-სოჭის საზღვაო გზის გახსნის შესახებ?**

— ეს ამბავი კარგა ხნის წინ შევიტყვე. მათ მომზადებული აქვთ ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების აღდგენის მთელი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო პორტების ამოქმედებას. პირველ ეტაპზე სეპარატისტებმა და მოსკოვმა სარკინიგზო მიმოსვლა აღადგინეს, თანაც დააკვირდნენ, ამაზე როგორი იქნებოდა საქართველოს რეაქცია. მეორე ეტაპზე საზღვაო მიმოსვლა აღდგა. მართალია, რამდენიმე აფხაზური გემი მანამდეც ეწვია რუსულ პორტებს, მაგრამ ოფიციალურად სწორედ დღეს დაიწყო რეგულარული რეისები. მათ ჩამოტანილი აქვთ თანამედროვე სანავიგაციო აპარატურა ბაბუშერის აეროპორტის ასამუშავებლად.

— **როგორია საქართველოს პოზიცია ყველაფერ ამასთან გაკავშირებით?**

— ძალიან მეუხერხულება, რომ ყოველთვის ასე მოტყუებული ვრჩები. აფხაზები, რუსებთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ აკეთებენ თავიანთ საქმეს, ხოლო იმ ქართველებს, რომლებიც მათთან დადიან მოლაპარაკებებზე, უბრალოდ, ატყუებენ. ჩვენი ასეთი პასიურობით განვამტკიცებთ აფხაზურ სეპარატიზმს.

— **რა ტიპის კატარღები ასრულებენ ამ რეისებს?**

— ჯერჯერობით, აფხაზების „კოლხიდის“ ტიპის პატარა სამგზავრო გემები ასრულებენ სოხუმი-სოჭის რეისს, მაგრამ ეს მხოლოდ გზის გაკაფვაა. მალე ამ მარშრუტით უკვე დიდი რუსული სამგზავრო ლაინერებიც იცურებენ. რუსი დამსვენებლები ზღვით უფრო უხიფათოდ ჩავლენ აფხაზეთის კურორტებზე, ვიდრე საავტომობილო გზითა და რკინიგზით.

— **საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური განკარგულებით დიდი ხანია აფხაზეთის მიმდებარე საზღვაო აკვატორია დახურულადაა გამოცხადებული და იქ შემსვლელმა ყველა უცხოურმა გემმა ჯერ შემოწმება ფოთის პორტში უნდა გაიაროს. ეხება ეს თუ არა სოხუმი-სოჭის რეისზე მცურავ სამგზავრო გემებს?**

— მართალია, ასეთი დოკუმენტები არსებობს, მაგრამ მას არას დაგიდევთ ასობით რუსი თუ თურქი გემის კაპიტანი. საქართველოს ხელისუფლება ყოველ ასეთ ფაქტზე მხოლოდ სიტყვიერ განცხადებას აკეთებს, მაგრამ ორი-სამი დღის შემდეგ ყველაფერი მიჩუმდება ხოლმე. ამის თაობაზე ჩვენს მესაზღვრეებს ველაპარაკე. მათ ამიხსნეს პრობლემის არსი — თუკი ფინანსურად სათანადოდ უზრუნველგვყოფენ, შევძლებთ სრული კონტროლის ქვეშ ავიყვანოთ აფხაზეთის მიმდებარე აკვატორიაო. სიმართლე გითხრათ, ამ საერთაშორისო ორგანიზაციების არავითარი იმედი აღარ დამრჩა, რადგან ისინი, თავიანთი უცნაური პოზიციით, ხელს უწყობენ აფხაზი სეპარატისტების გაძლიერებას.

## გაეროსთვის მისაღებია აფხაზეთის „გაყინული მშვიდობა“

ვიდრე ქართველი პოლიტიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს გაცხარებით უმტკიცებდნენ, მეშვიდე თავის ამოქმედებით რამდენიმე თვეში დავიბრუნებთ აფხაზეთსო, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მორიგი ცივი წყალი გადმოგვასხა — გაეროს უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია მისცა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კიდევ ექვსი თვით — 2004 წლის 31 იანვრამდე — გაუგრძელდეს გაეროს მისიას მანდატიო. ამასთან, გენერალური მდივანი აღიარებს, რომ პოლიტიკურ და უშიშროების საკითხებში რაიმე შესამჩნევი პროგრესი არაა მიღწეული. როგორც მოსალოდნელი იყო, რეკომენდაციაში გაკვრითაც არ არის ნახსენები მეშვიდე თავის ამოქმედება.

ეს მარტო იმიტომ როდი მოხდა, რომ საქართველოს ჯერ ოფიციალურად არ მიუმართავს გაეროს უშიშროების საბჭოსთვის გაეროს წესდების მეშვიდე თავის ამოქმედების მოთხოვნით, უბრალოდ, გაეროში ყველასთვის ხელსაყრელია დღეს აფხაზეთში არსებული „გაყინული კონფლიქტი“.

სამაგიეროდ, გაერო იწონებს ლიბერიაში აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნას ისევე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ეს განა იმიტომ ხდება, რომ გაერო საქართველოს ავი თვალით უყურებს, უბრალოდ, მის ბიუროკრატიულ აპარატს ძალიანაც აძლევს ხელს ის, რომ აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტი შეჩერებულია და იქ სისხლი ინტენსიურად არ იღვრება, ხოლო როდის დაბრუნდება ასიათასობით დევნილი მშობლიურ სახლებში, ეს გაეროს შტაბბინაში ნაკლებად აღელვებთ. იქ ალბათ მიაჩნიათ, რომ მათი მთავარი მოვალეობა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტაა.

ისე, ჩვენს პოლიტიკოსებს არ უნდა დაავიწყდეთ ერთი მთავარი ნიუანსი — გაეროს წესდების მეშვიდე თავის ამოქმედება ითვალისწინებს ძალით მშვიდობის დამყარებას, ოღონდ მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მომენტში, აფხაზეთში ხომ ხელჩართული ომი არ მიმდინარეობს?!

# ჰუსეინის გარშემო რკალი ვიწროვდება



უდეი



ყუსაი

გასული კვირის მიწურულს ერაყში დისლოცირებულმა აშშ-ის მე-4 ქვეითი დივიზიის სპეცრაზმმა ათამდე შეიარაღებული ერაყელი დააკავა. ეს უკანასკნელნი სხვა, ასობით დაპატიმრებულისგან, იმით განსხვავდებოდნენ, რომ თვით სადამ ჰუსეინის პირადი დაცვის წევრები იყვნენ.

ამ ფაქტამდე ორი დღით ადრე კი ამერიკულმა ელიტარულმა დანაყოფებმა ქ. მოსულში ნანგრევებად აქციეს მშვენიერი ვილა, მხოლოდ იმისათვის, რომ იქ გამაგრებული 4 კაცი მოეკლათ. ამ შემთხვევაშიც ლაპარაკია განსაკუთრებულ პიროვნებებზე — სადამ ჰუსეინის შვილებზე — უდეისა და ყუსაიზე, აგრეთვე ერთ-ერთ შვილიშვილზე და მცველზე.

პენტაგონი ძალიან ამაყობს ამ სპეცოპერაციით, თუმცა სხვა ქვეყნების გამოცდილი მებრძოლები თავიანთ კომენტარებში ხაზს უსვამენ ამერიკელთა არცთუ ისე დიდ პროფესიონალიზმს — ავტომატებით შეიარაღებული 4 კაცის განადგურებას სულაც არ სჭირდებოდა 200 ჯარისკაცი, შვეულმფრენები და 10 ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა „ტოუ“ (სხვათა შორის, სტატიის ავტორს თავისი თვალით აქვს ახლოდან ნანახი, თუ რა შეუძლია „ტოუ“-ს რაკეტას), — აღნიშნავენ ისინი.

როგორც ჩანს, ვიწროვდება რკალი თავად სადამ ჰუსეინის გარშემო, რომელიც სავარაუდოდ, მშობლიური ქალაქის — თიქრიტის შემოგარენში უნდა იმალებოდეს.

პენტაგონს იმედი აქვს, რომ ყოფილ დიქტატორს ისევ მისი თანამემამულეები გაყიდიან, როგორც ეს მისი შვილების შემთხვევაში მოხდა — მათი ადგილსამყოფლის გამჟღავნებისთვის ინფორმატორმა ამერიკელებისგან 30 მლნ დოლარი მიიღო.

ვაშინგტონის თავსატეხი დღეისათვის ერაყში დაწყებული პარტიზანული ომია. დღეში დაახლოებით 12 ასეთი თავდასხმა ხორციელდება, ხოლო თავად ამერიკელები ამას დღეში 16-18 სპეცოპერაციით პასუხობენ; მაგრამ ამ უკანასკნელს დიდი შედეგი არ მოაქვს — ერაყელი პარტიზანები ადრევე იგებენ ამერიკული კოლონების მოახლოებას.

# მკითხველის სვეტი

**რა განსხვავებაა AK-47 და AK-103 ავტომატებს შორის?**

***გ. კანდელაკი***

## გაახალგაზრდავებული „კალაშნიკოვი“

AK-47 და AK-103, ფაქტობრივად, ერთმანეთის „ბაბუა“-„შვილიშვილია“.



AK-47

მიხაილ კალაშნიკოვის ცნობილი „პირმშო“, AK-47 ტიპის ავტომატი, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა აღჭურვაში 1949 წელს მიიღო, AK-103 კი ნახევარი საუკუნის შემდეგ შეიქმნა. მიუხედავად ამისა, ორივესთვის ძალზე გავრცელებული 7,62X39 (1943 წლის დროინდელი) ვაზნა გამოიყენება.

ეს შეიძლება ერთგვარი უკან დაბრუნებაა, რადგან AK-47-ისა და განსაკუთრებით მისი „შვილობილის“ — AKM-ის შემდეგ საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მიღებული იქნა უფრო



AK-103

მცირე, 5,45 მმ კალიბრის „კალაშნიკოვის“ ავტომატები — AK-74, AKC-74, AKC-74У და AK-74M. მაგრამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ამ 5,45 მმ კალიბრის ვაზნების საბრძოლო ეფექტიანობა საკამათო გახდა, ამიტომაც კვლავ 7,62 მმ კალიბრის ვაზნებზე დაბრუნება ბუნებრივად მოჩანს.

თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთის გაღარიბებულმა არმიამ დიდი რაოდენობით შეიძინოს AK-103-ები. შედარებისთვის: თუკი AK-47 ვაზნებითურთ, 4,7 კგ-ს იწონის და მისგან ნასროლი ტყვიის საწყისი სიჩქარე 715 მ/წმ-ია, დატენილი AK-103-ის წონა 4 კგ-ს არ აღემატება, ხოლო ტყვიის საწყისი სიჩქარე კი 910 მ/წმ-ს აღწევს.

გარდა AK-103-ისა, კალაშნიკოვმა შექმნა AK-101-ის და AK-102 ტიპის ავტომატები, რომლებიც NATO-ს სტანდარტის 5,56X45 ტიპის ვაზნებს მოიხმარენ.

**ჰყავს თუ არა საქართველოს გამანადგურებელი თვითმფრინავები?**

***ლევან გეჯაძე, კასპი***

## გამანადგურებლების გარეშე

საქართველოს საჰაერო სივრცე ჯერჯერობით, ყველასათვის სანავარდოა. სამწუხაროდ, ეს არახალი ფაქტია, თუმცა საჰაერო სივრცის ეფექტიანი გაკონტროლება მარტო რადიოლოკატორებისა თუ საზენიტო საშუალებების ხარჯზე როდი უნდა ხორციელდებოდეს, თავისი სიტყვა გამანადგურებელმა ავიაციამაც უნდა თქვას.



МиГ-21

მაგრამ ამ მხრივ საქართველო სავალალო მდგომარეობაშია, რადგან შვიდი Су-25 მოიერიშე და ცხრა სასწავლო-საბრძოლო L-29 „დელფინის“ გარდა, სხვა საბრძოლო დანიშნულების თვითმფრინავი არ გაგვაჩნია; ამით ჩამოვრჩებით არა მარტო ჩვენს ორ უზარმაზარ მეზობელს — რუსეთსა და თურქეთს, არამედ „ჩვენს ბედშივე მყოფ“ აზერბაიჯანსა და სომხეთს. ჩემი თვალით მაქვს ნანახი ნასოსნის სამხედრო აეროდრომზე აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების ექვსი, ასაფრენად გამზადებული МиГ-25 ტიპის გზაგადამჭრელი-გამანადგურებელი თვითმფრინავი (ზედ ჩამოკიდებული ოთხ-ოთხი P-40 ტიპის „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართვადი რაკეტებით). სომხებს ერთი МиГ-25 ჰყავთ, თუმცა მათსავე ინტერესებს ემსახურება რუსების 18-მდე МиГ-29-ც.

ჩვენ კი ვერ დავიტოვეთ ცხაკაიაში, ამჟამინდელ სენაკში მდგარი МиГ-29-ების მთელი პოლკი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოლკის რუსმა მეთაურმა ეს თვითმფრინავები დაალუქვინა, მზად იყო, გადმოეცა ქართული მხარისთვის და თავის პილოტებთან ერთად დარჩენილიყო საქართველოში სამუშაოდ (ეს ფაქტი და აგრეთვე იმ ქართველების გამოვლენა, ვინც ეს საქმე მიზანდასახულად ჩაშალა, ჟურნალისტურ გამოძიებას მოითხოვს). მარნეულში დარჩენილი Су-15-ები მხოლოდ ჯართში ჩასაბარებლად გამოდგა. ორი მათგანის ამოქმედებას, მართალია, თბილისის საავიაციო ქარხანაში ცდილობდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

სხვათა შორის, ამავე ქარხანაში დარჩენილია ორი ორადგილიანი МиГ-21УБ ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი. მართალია, მათ არ გააჩნიათ რადიოლოკაციური მანძილმზომი, მაგრამ გაჭირვებისას დაუპატიჟებელი „საჰაერო სტუმრის“ დაფრთხობას მაინც მოახერხებენ.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

არსენალი

# თვითმფრინავის სიჩქარით — წყალქვეშ

## 125 წლის წინ პირველმა ტორპედომ „საბრძოლო ნათლობა“ ბათუმთან მიიღო...

მიდიოდა რუსეთ-თურქეთის ომი.

1878 წლის 26 იანვრის სუსხიან ღამეს, ბათუმის პორტთან ორი გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა და ორ წუთში ჩაიძირა თურქული სადარაჯო ხომალდი „ინტიბახი“.

ეს იყო მსოფლიოში ახალი იარაღის — ტორპედოს — ბრძოლაში გამოყენების ერთ-ერთი პირველი შემთხვევა. ამ შემთხვევამდე რამდენიმე საათით ადრე კი ფოთის პორტში (მას მაშინ რუსეთი აკონტროლებდა, განსხვავებით ბათუმისაგან, რომელსაც თურქები დაპატრონებოდნენ) მდგარ რუსულ თბომავალ „კონსტანტინიდან“ ზღვაში ჩაუშვეს ორი კატარღა — „ჩესმა“ და „სინოპი“. თითოეული მათგანი იმ დროისთვის უახლესი იარაღით — საზღვაო ტორპედოთი — იყო აღჭურვილი.

ამ საბრძოლო ოპერაციის ფინალი კი უკვე ცნობილია.

სახელწოდება „ტორპედო“ ელექტრონული თევზის სახელიდან მოდის. რუსების გარდა, „თვითმავალი ნაღმი“ დაამზადა ინგლისელმა რობერტ უაიტჰედმაც. ტორპედომ, როგორც ეფექტიანმა საზღვაო იარაღმა, სახელი პირველი მსოფლიო ომის დროს გაითქვა, ხოლო მეორეში — მდგომარეობა განიმტკიცა; თუმცა „ცივი ომის“ დაწყებისთანავე იგი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტამ მკვეთრად შეავიწროვა.

უპირატესობა კვლავ არავის დაუთმეს საბჭოთა კონსტრუქტორებმა და შექმნეს მანამდე არნახული შესაძლებლობების მქონე ტორპედო, რომელიც წყალქვეშ წამში 100 მ-ს გადიოდა! ანუ მისი სიჩქარე 200 კვანძს აღწევდა, რაც 375 კმ/სთ-ის ტოლი იყო!

ეს მართლაც ფანტასტიკური მაჩვენებელი გახლდათ, რადგან ჩვეულებრივი (ანუ ხრახნებით მოძრავი) ტორპედოს სიჩქარე 40-60 კვანძს არ აღემატებოდა.



რაკეტა-ტორპედო Шквал-ი

წყალქვეშა „ზებგერით“ ტორპედოს Шквал-ი უწოდეს. იგი ერთ-ერთი პირველი საბჭოთა საიდუმლო გახდა, რადგან მაშინ არაფერი ამის მაგვარი ამერიკელებსაც კი არ გააჩნდათ; გამორიცხული იყო, Шквал-ს რომელიმე ხომალდი გაქცეოდა — თვით თანამედროვე ყველაზე სწრაფი, წყალქვეშაფრთიანი სარაკეტო კატარღის მაქსიმალური სიჩქარე ძნელად თუ აღწევს 50-60 კვანძს, კრეისერებისა და ავიამზიდებისა კი 30-35 კვანძია, რომ აღარაფერი ვთქვათ წყალქვეშა ნავებზე.

საბჭოთა, ხოლო ამჯერად რუსული Шквал-ი ერთგვარ „წყალქვეშა გამანადგურებლად“ იქცა, რადგან ამერიკული ატომური ავიამზიდის ჰიდროაკუსტიკოსებს რომც მოესწროთ Шквал-ის მოახლოების დაფიქსირება, რეაგირებას ვერ შეძლებდნენ, რადგან ეს უკანასკნელი ელვისუსწრაფესად მოხვდებოდა მიზანს.

ასეთ უნიკალურ შედეგს საბჭოთა კონსტრუქტორებმა სუპერკავიტაციის მეთოდით მიაღწიეს. საქმე ისაა, რომ წყალში მოძრავ სხეულს ბევრად უფრო მეტი წინააღმდეგობა ხვდება, ვიდრე ჰაერში მფრენს. წყალში მცურავი სხეულის გარშემო წარმოიქმნება ჰაერის ბუშტუკები. გემის ხრახნის ფრთები ერთგვარ „საჰაერო ორმოში“ ვარდება და ცურვის სიჩქარეც მცირდება; თანაც ეს ბუშტუკები ხრახნის მეტალს ვნებს.

ეს უარყოფითი მოვლენა Шквал-ის სასიკეთოდ გამოიყენეს — რაკეტული ძრავის საშუალებით წყალქვეშ მცურავი Шквал-ის გარშემო იქმნება ე.წ. სუპერკავიტაციური ეფექტი — რაკეტა-ტორპედო მიცურავს, უფრო სწორად, „მისრიალებს“ უკვე „ჰაერის ორთქლში“. ამ უკანასკნელს კი ქმნის ჰიდროაქტიური მყარი საწვავი, რომელსაც წვისათვის წყალი სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ გაღარიბებული რუსეთი ყველას სთავაზობს ამ საოცრების საექსპორტო ვარიანტ Шквал-Э-ს, მის საიდუმლოებაზე ნადირობა მაინც გრძელდება. რუსეთის პრეზიდენტმა თავისი ამერიკელი კოლეგის ხათრით შეიწყალა ამერიკის მოქალაქე ედმუნდ პოუპი, რომელიც რუსეთის კონტრდაზვერვამ სწორედ Шквал-ის საიდუმლოების მოტაცებისას დააკავა.

როგორც ამბობენ, Шквал-ები სამი წლის წინ ტრაგიკულად დაღუპული რუსული ატომური წყალქვეშა ნავის Курск-ის ბორტზეც იყო. Шквал-ის მთავარ მინუსად მის უმართავობას ასახელებენ, ანუ ის წააგავს ჩვეულებრივ საარტილერიო ჭურვს — კარგად დაუმიზნე და ესროლე, დანარჩენს ამ რაკეტა-ტორპედოს უზარმაზარი სიჩქარე გააკეთებს და მოწინააღმდეგის ხომალდს რეაგირების საშუალებას არ მისცემს. ეს, ერთი მხრივ, კარგიცაა, რადგან დღეისთვის არაერთი თვითდამიზნებადი ტორპედოს მისატყუებელი ვარიანტი არსებობს (ალბათ ბევრს უნახავს ამერიკულ მძაფრსიუჟეტიან ფილმებში, თუ როგორ ატყუებენ იმიტატორებით წყალქვეშა ნავთან მიახლოებულ თვითდამიზნებად ტორპედოებს). თუმცა გამორიცხული არ არის, Шквал-ები მალე თვითდამიზნებადი სისტემითაც აღჭურვონ, რაც ამ ტორპედო-საოცრებას ავიამზიდების ყველაზე არასასურველ „სტუმრად“ აქცევს.

ორადგილიანი მსუბუქი ნავი წყნარად მიუყვებოდა პალიასტომის ტბის ჯაგნარით დაფარულ ნაპირს. გათენებას აღარაფერი უკლდა. წვიმა რომ არა, სიცივეს როგორმე გაუძლებდა მისი მენავე. წინადღეს ისე ცხელოდა, ტანსაცმლის მომარაგებაზე არც უფიქრია. მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, ეს წუთი მალე დამდგარიყო. წუთი, როცა ძვირფასი ნადავლით ხელში ამ ადგილამდე მოაღწევდა და, აბა, იმისთვის სად ეცალა, თბილ ტანსაცმელზე ეზრუნა. არადა, ერთიანად სველი თვითონ ხომ კანკალებდა და კანკალებდა, მაგრამ ტყვე ბიჭი უფრო ეცოდებოდა, რომელიც ნავის ფსკერზე მოკუნტულიყო და კბილს კბილზე აცემინებდა.

— ცოტაც მოითმინე, შვილო! მალე ამ ჯაგნარს გავცდებით, მერე ლელიანი დაიწყება და გვეშველება, ხელ-ფეხსაც გაგითავისუფლებ და... ისე, ნუ იფიქრებ, რომ ზოგიერთებივით მეც კაციჭამია ვარ...

გიორგი ბურკაძეს (გასაგები მიზეზების გამო გვარ-სახელები აქაც და შემდგომშიც შეცვლილია. — ვ. გ.) უნდოდა ეთქვა, — მამაშენივითო, მაგრამ დაზოგა ბიჭი. მამა არ გაულანძღა, — ცოდოა, ეგონოს, რომ მამამისი ყველა მამას სჯობია ამქვეყნად. ისიც საკმარისია, მე რომ ვიცი მისი ავკაცობის შესახებო და ნიჩბებს დააწვა. ამ დროს შეიძლებოდა მეთევზეებს ან მონადირეებს გადაჰყროდა. ცოტაც და ლელიანში შეაცურა ნავი, აქ ნიჩბების მოსმას ვეღარ მოახერხებდა. ერთხანს ცალი ნიჩბით მიიკვლევდა გზას. გამოცდილმა მენავემ ზუსტად იცოდა, სადაც მიდიოდა. მალე მიადგა პატარა კუნძულს, სადაც ამ შემთხვევისათვის წინასწარ მომარაგებული შეშა და სასმელ-საჭმელი ეგულებოდა. მეტიც, კოღოების მოსაგერიებელი სპირალიც კი მოემარაგებინა.

ნავი კიჩოთი ისე შესვა მეჩეჩზე, მიბმაც არ დასჭირვებია. თვალის დახამხამებაში გამართა კარავი. მერე კარვის წინ პატარა კოცონი ააგუზგუზა, ერთიანად მოცახცახე ტყვეს ხელ-ფეხი შეუხსნა და ახლაღა დააკვირდა. ერთი გალეული, ათი-თორმეტიოდე წლის, თითქოს საგულდაგულოდ ნაშიმშილები ბიჭი იყო.

— რა, სახლში არ გაჭმევენ, ბიძიკო? — ჰკითხა და პასუხს არ დალოდებია, აბგიდან სანოვაგის ამოლაგებას შეუდგა.

— მადა არა მაქვს... — აშკარად ჩანდა, წუხანდელს აქეთ ბიჭი იმდენად შეგუებოდა თავის მდგომარეობას, რომ ბავშვური ცნობისმოყვარეობითაც კი ელოდა, რა მოხდებოდა მომავალში. მით უმეტეს, მას შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ მისი გამტაცებელი სულაც არ ჰგავდა იმ ბავშვიჭამიას, რომლის შიშითაც ეზოს გარეთ არ ახედებდნენ საბრალოს. ერთადერთი, რაც ამ კაცისა არ მოსწონდა, მისი ხილაბანდით ახვეული თვალები იყო. სხვა მხრივ სიამოვნებით იმეგობრებდა მასთან.

— რა ვიცი, მთელი ვარია გადაგისანსლავს და... ღმერთმა შეგარგოს, შვილო.

— ჰო... აქ ჭამა მომინდა.

გიორგის გაეღიმა. განა რა იყო აქ მოსაწონი, მაგრამ არ გაჰკვირვებია — ბიჭისთვის ყველაფერი ეს სიახლე იყო და აქაურობა იმიტომ მოსწონდა. ეს ისე, თავისთვის გაიფიქრა, თორემ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ბიჭი აღარ ჭირვეულობდა, თორემ გიორგის დაფიცებული ჰქონდა, უკან დაებრუნებინა იგი. წუხელ კი გათოკა კიდეც, ნავიდან რომ არ გადახტომოდა. საბედნიეროდ, ახლა ეს აღარ დასჭირდებოდა. ბუნებით ლმობიერი ძალადობას ვერ ეგუებოდა და თუ ასეთი ნაბიჯი გადადგა, საამისო მიზეზიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა თვითონ. ასეა თუ ისე, ახლა გიორგი შურს იძიებდა, ოღონდ არა მოტაცებულ ბავშვზე, არამედ მამამისზე — კაცზე, რომელმაც ჯერ გაძარცვა, მერე შვილი მოუკლა. ესეც არ აკმარა, დანარჩენი შვილების დახოცვის მუქარით საკუთარი სახლიდან აყარა და ზღვისპირეთში ერთ-ერთი შეძლებული ოჯახი დევნილად აქცია. საკუთარ სამშობლოში.

ორასორმოცდაათი სკა ედგა გიორგი ბურკაძეს. წელი ისე არ გავიდოდა, ხუთი-ექვსი ტონა თაფლი არ გამოეწურა. ორმოც ტონამდე ციტრუსს კრეფდა საკუთარ კარ-მიდამოში და მართალია, ბოლო დროს არც თაფლს, არც მანდარინს ფასი აღარ ჰქონდა, ოჯახს მაინც არ გასჭირვებია. მეტიც, იქით უმართავდნენ ხელს გაჭირვებულებს. უფროსმა შვილებმა ქვეყნის არევამდე მოასწრეს თავიანთი ცხოვრების აწყობა, უმცროსმა კი, მალხაზმა, იმ დროს დაამთავრა საშუალო სკოლა, როცა თითო სოფელზე თითქმის თითო უმაღლესი სასწავლებელი მოდიოდა, მაგრამ უფულოდ არავინ წაიკარა. არადა, არ იყო მალხაზი ისეთი სუსტი მოსწავლე, ხელით თრევა დასჭირვებოდა. სხვა დროს ალბათ დამოუკიდებლადაც ჩააბარებდა მისაღებ გამოცდებს, მაგრამ ახლა რაკი ცოდნა აბიტურიენტის მშობლის შეძლებით განისაზღვრებოდა, გიორგიც იძულებული გახდა დროისთვის ფეხი აეწყო. რომ გაიგო, ეკონომიკურ ფაკულტეტზე აბიტურიენტების ჩარიცხვის საკითხს იქაური კათედრის დოცენტი, პარლამენტის წევრი რამაზ გაგოშიძე წყვეტსო, მაშინვე მეზობლად მცხოვრებ გაგოშიძეების ოჯახს მიადგა.

— რა გითხრა, ძია გიორგი. ხომ ხედავთ, როგორ აირია ცხოვრება. ახლა ფულის გარეშე ძმა-ძმას არაფერს უკეთებს, მე ჩემს წილს არ ავიღებ, მაგრამ კომისიის წევრებმა თავ-თავიანთი რომ არ მიიღონ, კოპერნიკიც რომ იყოს, ბიჭს მაინც ჩაჭრიან გამოცდაზე. 25 ათასი დასჭირდება მაგ საქმეს.

— ამხელა ფული კარგა ხანია აღარ მინახავს, თუმცა, დაქცეულიც არ ვარ. ფუტკრის სკებს რომ ვინმე იყიდდეს, ხვალვე გადავიხდიდი. თუ მათ გაყიდვამდეც მადროვებ, სიტყვას არ გადავალ.

— რატომ უნდა იწვალო, ფუტკარს თვითონ ვეძებ და ბარემ მე ავიღებ. კომისიის წევრებსაც მე გავუსწორდები...

გადაწყდა: ფუტკრის თვრამეტჩარჩოიანი ორმოცდაათი ოჯახი გადასახლდებოდა გაგოშიძეების ეზოში, მაგრამ საქმე ის იყო, ფუტკარმა ყიდვა-გაყიდვისა და გარიგებისა არაფერი იცოდა და თუ ძველი პატრონის ეზოდან რვა კილომეტრზე მაინც არ გადაასახლებდნენ, აუცილებლად წინა სამყოფელს დაუბრუნდებოდა. გაგოშიძეებისა და ბურკაძეების ეზოებს შორის კი მანძილი რვაასი მეტრიც არ იქნებოდა. ისევ გიორგიმ მოისაზრა: სამი დღე და ღამე, ვიდრე ძველი გარემო დაავიწყდებოდათ, საფრენი ჩაუკეტა ფუტკარს და მწერი აიძულა ძველი სამყოფელი დაევიწყებინა.

## პარტია... ჩვენი დამაქცევარი

კარგი ბიჭი გამოდგა მალხაზი. სტუდენტად რომ ვარგოდა, ეს ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა და არც არავის უკვირდა, მაგრამ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ისეთი ფხა გამოიჩინა, რამაზ გაგოშიძემ თავის პარტიაში მისი გაწევრება გადაწყვიტა.

— ისეთი ენერგიული და მიზანსწრაფულია, მომავალ არჩევნებში უეჭველად გამოგვადგებაო, — უმტკიცებდა თავის პარტიულ ბოსებს. მალხაზმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— რის პარტია, რა პარტია, პოლიტიკა არ მაინტერესებსო და ბატონ რამაზს ზრდილობიანი უარი უთხრა. რამაზი და მისი პარტია უკან დახევას არ იყვნენ ჩვეულნი და თავიანთი პარტიისავე წევრს, მალხაზის ბიძას, დედის ძმას დაავალა დისშვილის გადმობირება, თუმცა არც ამან გამოიღო შედეგი.

— ვინ მიგდია მაგის ოხერი დედაც! ამ ამბავს ინსტიტუტის სტუდენტობა გაიგებს და რაღა ავტორიტეტი ექნება ჩვენს პარტიას მათ თვალში. ერთი სიტყვით, ამ ორ კვირაში ან პარტიაში შემოსვლაზე დაგვეთანხმება, ანდა თავის თავს დააბრალოს. ერთზეც შენ უნდა იზრუნო და მეორეზეც, შენი დისშვილი ჩვენს პარტიას შეურაცხყოფს. ამისთვის კი უნდა დაისაჯოს, — კიდევ ერთხელ დამოძღვრა მალხაზის ბიძა ნოდარი რამაზმა და პარლამენტის მორიგ სესიაზე გაემგზავრა.

ცოდვა გამხელილი სჯობს: დისშვილთან კი ვერას გახდა, მაგრამ თავდაპირველად ბიჭის დასჯა არც უფიქრია, პარტიას დავტოვებ და ეგ იქნებაო, გადაწყვიტა, მაგრამ კარგად რომ აწონ-დაწონა ყველაფერი, დასკვნაც გამოიტანა: ჯერ ერთი, იმავე დღეს გამოაპანღურებდნენ ბენზინის ბიზნესიდან, სადაც საკმაოდ მსუყე ლუკმა ჰქონდა და მეორე, რაკი მალხაზს შურისძიებით დაემუქრნენ, სულერთია, უმისოდაც მოიყვანდნენ განაჩენს სისრულეში.

...და იმ საღამოს, როცა პარტიუ-




## ფულის ნაცვლად „კუკლა“ მივუგდოთ...

ლი ფუნქციონერი რამაზ გაგოშიძე ტელევიზიით მთელი ქვეყნის გასაგონად თავისი პარტიის კეთილშობილურ მიზნებზე, თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულზე ლაპარაკობდა, თავისსავე სახლში გამეტებით სცემა ბიძამ დისშვილი. მაინც რომ ვერ დაიყოლია, იფიქრა, ცხოვრებას მინგრევსო და ისე გამეტებით ჩასცხო სკამი თავში, ბიჭმა სული განუტევა. დიდად არც უდარდია ვითომ აქ არაფერიაო, სატირალშიც აპირებდა მისვლას, მაგრამ ვეღარ გაბედა. ძალზე დიდი იყო რისკი. გიორგიმ უკვე იცოდა, ვინ იყო მისი შვილის მკვლელი.

ორი წელი იომა შვილმკვდარმა მამამ სიმართლის მისაღწევად. ორი წელი დარბოდა ადგილობრივი მთავრობის კაბინეტებში, მაგრამ ახლოსაც არ გაიკარეს. თავიდან რომ ვერ მოიშორეს, იქით შეუტიეს და აგრძნობინეს, თუ ინტრიგანობას თავს არ დაანებებდა, სხვა შვილებსაც იგივე ბედი ეწეოდა, რაც მალხაზს. მანამდე კი რამდენჯერმე გაიქურდა ბურკაძეების სახლი. ხვდებოდა გიორგი, ქურდობებიც, მუქარის წერილებიც მისი შვილის მკვლელების ნახელავი იყო. მათ კი ხუმრობა არ იცოდნენ, აუცილებლად შეასრულებდნენ დანაპირებს, მით უმეტეს, კანონიც და სამართალიც მათ მხარეს იყო. და გამწარებულმა კაცმა ერთ ღამეს წყალი გადაასხა და შვილივით ნაფერები ფუტკრის ორასი ოჯახი ამოხოცა. მერე სინანულით გადახედა უკვე ჯაგნარად ქცეულ ციტრუსების პლანტაციას და კეთილი მეზობლის დახმარებით ოჯახთან ერთად დატოვა მამა-პაპათა სამყოფელი, მაგრამ ვერც დედაქალაქში იპოვა სამართალი და ისევ უკან დაბრუნდა ახლა უკვე შურისძიების მიზნით. ოღონდ ამჯერად ქურდულად, წვერმოშვებული და იერშეცვლილი. მეგობრისაგან ნათხოვარი მანქანა გაგოშიძეების ჭიშკართან სწორედ იმ დროს მიაყენა, როცა ბიჭი მარტოდმარტო დაიგულა და მანქანის კარიც არ გაუღია, ისე გასძახა:

— მამუკა, ბიძი, შენი მამა ფოთშია ჩამოსული. გამომგზავნა, ჩამომიყვანე, ოღონდ დედას არ გააგებინოს, თორემ არ გამოუშვებსო. თუ წამოხვალ, წაგიყვან, თუ არადა, არ მცალია, სხვაც ბევრი საქმე მაქვს.

ბიჭს დროდადრო ამგვარად ანებივრებდა მამამისი. ამიტომ მამუკასაც არ გაჰკვირვებია უცხო კაცის მოსვლა. კარგა ხანი იყო, რაც მამაც არ ენახა და არც დაფიქრებულა, ისე ჩაუხტა მანქანაში გიორგის.

როცა განზრახულს მიაღწია, გიორგი დაიბნა, — არ იცოდა, რა უნდა ექნა ამის შემდეგ. ამაზე ადრე არ უფიქრია და ახლა უკვე ვერც ის გაერკვია, ვინ ვისი მძევალი იყო, — თვითონ ბიჭისა თუ ბიჭი — მისი.

მაინც რა უნდა უყოს ამ გალეულ ბიჭს, რომლის ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ გულღრძო კაცის, მალხაზის მკვლელობის შემკვეთის შვილია...

ფოთში ჩასვლას რომ საშველი არ დაადგა და არც მამამისი გამოჩნდა, ბიჭი მიხვდა, ეს უცნობი ძია რომ მის სასიკეთოდ მოსული არ იყო. ტირილისგან დაოსებულს საღამო ხანს ჩაეძინა... სიკვდილს ნატრობდა გიორგი, ბავშვის გულამოსკვნილი ტირილის გამგონე, მაგრამ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და ბედს შეურიგდა... ასე მივიდნენ პალიასტომამდე. იქ ნავში გადაიყვანა ბიჭი და კუნძულამდეც მშვიდობიანად მივიდნენ... შებინდებულზე, როგორც კი ქარმა წამოუბერა, რეზინის ნავი გაბერა, ბიჭს შიგ საწოლი გაუმართა და ხელით ისე მიაბა ნავზე, რომ სხვის დაუხმარებლად ვერასგზით შეიხსნიდა მარყუჟს, თან გააფრთხილა:

— პალიასტომმა, ბიძი, დროდადრო აღელვება იცის და ჩემს მტერს, ვინც დაუცველი შეხვდება მის მრისხანებას. ნუ გგონია, შენი გაქცევის მეშინია. უბრალოდ არ მინდა წყალმა მოგიტაცოს. აგერ, ამ ფესვებზე გამოგაბამ და ღელვა თუ იქნა, ადგილზე იტივტივებს. არ შეგეშინდეს... და დასაძინებლად მიწვა.

იმ ღამით ღრუბელი გაიფანტა, ნიავიც ჩადგა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მომდევნო დღეებშიც სიწყნარე იყო ტბაზე. გიორგი და მამუკა თევზაობდნენ და ბავშვი ისე გაერთო, აქედან წასვლაზე არც ფიქრობდა. ერთ დილით გიორგიმ მტკიცე გადაწყვეტილებით გაიღვიძა. დრო იყო, საქმის მეორე ნაწილს შესდგომოდა, რომელიც დიდად არ ეპიტნავებოდა და წასასვლელად მოემზადა.

— მამუკა, ბიძი! საღამომდე უნდა დაგტოვო. აბა, შენ იცი, რა კარგად ითევზავებ. როცა დავბრუნდები, ტკბილეულს მოგიტან, ხომ გიყვარს? ჰოდა, თევზს თუ დამახვედრებ — ბარი-ბარში ვიქნებით. აბა, შენ იცი, გახსოვდეს, ცალი ხელით ნავზე უნდა იყო მიბმული, ტბაში ატეხილმა ღელვამ რომ არ გაგიტაცოს.

ბავშვს პროტესტი არ გამოუთქვამს მარტო დარჩენის გამო. ის კი არა, კუნძულზე გადმოსვლის შემდეგ ერთხელაც არ უკითხავს, რისთვის მოვიდნენ აქ, რატომ არ მიდიოდნენ მამასთან ან რას ნიშნავდა ყველაფერი ეს. ჯიუტად დუმდა და თითქოს აინუნშიაც არ აგდებდა თავის ახლანდელ ყოფას. გიორგი ამჩნევდა, ბიჭი დღეს მოწყენილი იყო. ამიტომაც ჩქარობდა, იგი ვეღარ გაუძლებდა ატირებული ბავშვის ცქერას.

დილაადრიან მალთაყვიდან ქუთაისისკენ მიმავალ ავტობუსს გაჰყვა. იქ ერთი შეძლებული ნათესავისგან ფული ისესხა და ბაზრობაზე ჯერ რკინის საჭრელი და მძიმე ჩაქუჩი იყიდა, შემდეგ ძველისძველი მინებჩამუქებული „ჟიგული“ და თავისი ძველი ნამოსახლარისკენ აიღო გეზი. გაგოშიძეების ჭიშკარს რომ ჩაუარა, ხალხითა და მანქანებით გადაჭედილ ეზოს შეავლო თვალი. მიხვდა, ბავშვის დაკარგვის გამო თანაგრძნობის სათქმელად მოსულიყვნენ. თუმცა, მათ შორის ვერც ერთი პოლიციელისფორმიანი ვერ დაინახა.

— როგორც ჩანს, პოლიციას ვერ ატყობინებენო, — გაიფიქრა. მანქანა იქვე სანაპიროს ქუჩაზე გააჩერა. მერე მთელი ღამე ამ ქუჩასა და მის გასასვლელებს სწავლობდა. გამთენიისას კი გაგოშიძეებთან დარეკა.

— წინასწარ გაფრთხილებთ, არც ერთი კითხვა არ დამისვათ. თუ ბავშვის დაბრუნება გინდათ, ორ მილიონ დოლარს ჩადებთ სანაპიროს ქუჩაზე, ცაცხვის ქვეშ გაჩერებულ „ჟიგულიში“ და იქაურობას გაეცლებით. ორი დღის შემდეგ ბავშვი დაგიბრუნდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი არსებობაც დაივიწყეთ... — ჩაილაპარაკა და ყურმილი დაკიდა.

ოჯახის წევრებმა და მათმა მეგობრებმა დიდხანს ითათბირეს.

— ფულის ნაცვლად, „კუკლა“ რომ მივუგდოთ, შესაძლოა გავიშიფროთ, — ასეთ დროს ციხე ხომ უპირველესად შიგნიდან ტყდება. არ შეიძლება გამტაცებლებს თავისიანი არ ჰყავდეთ ჩვენ შორის, ამიტომ ნაღდი ფულია საჭირო და თანაც დღესვე, — განაცხადა რამაზმა და ორ უახლოეს მეგობართან ერთად მეორე ოთახში გავიდა სათათბიროდ.

— ფული აგერ, ჩვენს მეზობელ ეზეკიას გავატანოთ. ყველაზე მეტად მაგისი გამოხედვა მაღიზიანებს. უეჭველია, ამ საქმეშია გარეული. როგორც კი მანქანა დაიძრება, შორიახლო მივყვეთ და გავთოკოთ. პოლიციის ჩარევა არც ახლაა საჭირო, მე თვითონ მოვუვლი მაგ გარეწრებს, — მტკიცედ განაცხადა ოჯახის პატრონმა და ჩანაფიქრის შესრულებას შეუდგა. ფული მეზობელს გაატანა და მანაც პატიოსნად ჩადო იგი ძველ „ჟიგულიში“, მაგრამ შუადღემდე ავტომანქანას არავინ გაჰკარებია. ამასთან, იმ დილით ზღვაზე ისეთი ღელვა ატყდა, ბავშვის დაკარგვით ისედაც შეჭირვებული ოჯახი კიდევ უფრო აფორიაქდა.

შუადღისას ნერვებმა უმტყუნა რამაზს, თვითონ გახსნა „ჟიგულის“ კარი და გაოცებისაგან პირი დააღო — მანქანის გამოჭრილი ფსკერის ქვეშ თავღია საკანალიზაციო ჭა მოჩანდა...

— გაგვაცურეს, — გააღრჭიალა კბილები რამაზმა და კაცი ვერ შეატყობდა, რა უფრო ანაღვლებდა ამ წუთში, — ბავშვი თუ ფული.

## მრისხანე პალიასტომი

ზღვა კი ღელავდა, ნელ-ნელა ატორტმანდა პალიასტომიც. გიორგიმ იმ დროს მიატანა ტბას, როცა ის იყო, პირველი ტალღები აიქოჩრნენ. იცოდა, ცოტა ხანში აქ ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავის ნავს მიერეკებოდა. მის ადგილზე სხვა ფულით სავსე ფუთას ნაპირზე დამალავდა. მას კი ამაზე არც უფიქრია. ფუთა ნავის ფსკერზე მიაგდო და ამ ქარაშოტს მისცა თავი. ახლა მხოლოდ ბიჭის გადარჩენაზე ფიქრობდა და სულაც არ ანაღვლებდა გაგოშიძეების გამომეტებული ნაძარცვი მილიონები. ნავი რამდენჯერმე ისე შეისროლა ტალღამ, სხვა უეჭველად წყალში მოადენდა ზღართანს. ის კი ისე მხნედ ჩაჰფრენოდა ნიჩბებს, ეტყობოდა, ცოცხალი თავით არ დანებდებოდა გაავებულ პალიასტომს. როგორც იქნა, ლელიანში მიმალულ კუნძულს მიადგა. ახლა უკვე გარკვევით ხედავდა, როგორ აბურთავებდა ტალღა მიწაზე მიბმულ გასაბერ ნავს, რომლის კიდეზეც მარცხენა ხელით მიბმული ბიჭი ისე შემზარავად კიოდა, წამით გონება დაუბნელდა გიორგის.

თუ გადარჩა, ამას ალბათ ვერასოდეს აპატიებს თავს. რა დღეში ჩააგდო ეს უმწეო ბიჭი, რომელსაც არაფერი დაეშავებინა მისი ოჯახისთვის, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო — ბიჭის სიცოცხლე უნდა ეხსნა.

— ნუ გეშინია, აქა ვარ, ბიძი! ხელი მომეცი და ჩემს ნავში გადმოდი, გავაღწევთ... — შესძახა დაფეთებულ ბავშვს, მერე მარცხენა ხელიც გაუთავისუფლა და ნავი ყალყზე შემდგარი ტალღის პირისპირ მიმართა. ცალი ხელი ბიჭს წელზე მოხვია, ცალითაც ნავის კიჩოს ჩააფრინდა და ნავმაც და მისმა მგზავრებმაც ერთხანს ტბის ფსკერზე ჩაყვინთეს. როცა, როგორც იქნა, წყალმა ისევ ზემოთ ამოისროლა, შორიახლო ჯაგნარით დაფარული ნაპირი შენიშნა და მკლავში ძალა მოემატა. არც ის გამოჰპარვია, როგორ გადაფარა დოლარების კუპიურებმა წყლის ზედაპირი და როგორ წავიდა ფსკერისკენ ფული, თანაც სამუდამოდ. ეს არც სწყენია. ესიამოვნა კიდეც, რომ გათავისუფლდა. გიორგის ეს ფული არ სჭირდებოდა, ამ ფულით ვერ გაიხარებდა. მთავარი ის იყო, რომ თავისი დამაქცევარი გაამწარა. ეს იყო და ეს, დანარჩენი არ ანაღვლებდა და როცა ფეხი მიწაზე დადგა, ღმერთს მადლობა შესწირა, ბიჭი რომ გადაარჩინა.

*ვაჟა გავაშელი*




რუბრიკა „ვერსიის“ რჩეული პუბლიკაციების კრებული
კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!
ფასი 2.5 ლარი

# „ამ ჩაკეტვამ ჩამადენინა ის საქციელი“...



სიკვდილთან ნაომარი, დაჭრილი, მაგრამ უტეხი და სიკეთით სავსე „მაგიური მთიული“ ისევ ბრძოლისთვის ემზადება. **გოდერძი ჩოხელი** პოლიტიკაში მოდის, — რამდენიმე დღის წინ მას ლეიბორისტული პარტიის წევრის მოწმობა გადასცეს...

ბევრს გაუკვირდა დაუნდობელ და სახელ-გატეხილ პოლიტიკაში ჩოხელისნაირი კაცის გამოჩენა, მაგრამ იქნებ სწორედ მისნაირმა ხალხმა მოაცილოს პოლიტიკას ჭუჭყი, ტალახი და ერის მსახურად აქციოს. რეჟისორმა და მწერალმა თავისი ნაბიჯი „კვირის პალიტრასთან“ საუბარში ასე ახსნა:

— ვერ ვიხარჯები, ვერ ვავლენ ჩემს სიყვარულს, მოსაზრებებს და დამოკიდებულებას იმის მიმართ, რაც ჩვენ გარშემო ხდება. ქართული კინო აღარ არის, მწერლობა ხალხამდე ვერ მიდის. მთელი ჩემი სიცოცხლე ბრძოლა იყო. კომუნისტების დროს კომუნისტებს ვებრძოდი, მერე იმათ, საქართველოს რომ წეწენ და გლეჯენ. ახლაც არ მინდა უმოქმედოდ ვიყო. იმიტომ, რომ უმოქმედობამ დეპრესიამდე მიმიყვანა, დეპრესიამ კი ძალზე ცუდ საქმემდე. კინო რომ ვერ გადავიღე, მთაში ველარ წავედი. მთაში რომ ვერ წავედი, კორპუსში ჩავიკეტე და ამ ჩაკეტვამ ჩამადენინა ის საქციელი... პოლიტიკაში მოსვლა არის მცდელობა ბრძოლის სხვა გზის მოსანახავად. ჩემს თავს თუ ვერ ვადგები, სხვა ნიჭიერ ხალხს მაინც გავუკვალავ გზას.

**— ამბობენ, პოლიტიკა ცხოვრების ჭუჭყიაო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ვიცი, ერთი და ორი მერცხალი გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანს და არც მაქვს ილუზია, რომ ჩემი მისვლით პოლიტიკა გაიწმინდება, არც მაქვს ეს მიზნად დასახული. რაკი კინოდან ჩემი ხმა ვერავის მივაწვდინე, მინდა პარლამენტიდანაც ვცადო.

**— იმას, რაც გადაგხდათ, თუ მოუძებნეთ ახსნა?**

— დღემდე ვერ გამირკვევია რა იყო — განსაცდელი, ბედისწერა თუ სასჯელი ჩემი ცოდვებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომ რაღაც ეტაპი დამთავრდა და დაიწყო უფრო მეტი. აქამდეც ყველაფერს სიყვარულით ვქმნიდი, მაგრამ ახლა სხვანაირი სიყვარული გამიჩნდა.

რეზო ინანიშვილი სულ მეჩხუბებოდა, — ბიჭო, სიკვდილზე ეგრე ხელაღებით ნუ წერო. ვიღაცას შეგვაყვარებ, აიღებ და მერე მოკლავო. ვუმტკიცებდი, — სიკვდილი კარგია, მასში ცუდი არაფერია — სიკვდილი და სიცოცხლე ძმები არიან-მეთქი. აკანკალდებოდა და მეტყოდა ხოლმე, — გეყოლება შვილიშვილები და მიხვდები, რა კარგი და სანატრელი იქნება სიცოცხლეო. ჩემზე წინასწარმეტყველური სიტყვები აქვს ნათქვამი, — ეს მაგიური მთიული თავის თავსაც არ დაინდობს თუ დასჭირდაო. მართლაც არ ვიცი, რატომ დამჭირდა ამის გაკეთება, აზრზე არა ვარ.

**— როდესაც ახლოს მიხვედით სიკვდილთან, ისევ ხიბლიანი გეჩვენათ?**

— ლამაზი იყო... ჩემსა და სიკვდილს შორის ლამაზი რიტუალი ჩატარდა. გვერდით ჯვარი მედო და ლოცვანს ვკითხულობდი, როდესაც პირველად დავირტყი დანა...

**— მერე?**

— ისევ აქა ვარ... მივხვდი, რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვიყოთ ამ ქვეყანაზე. შეძლებისდაგვარად უნდა ვაკეთოთ ის, რაც ხალხს სასიკეთოდ წაადგება და არა ცუდი რამისთვის. სიცოცხლე სევდა არის ადამიანებისათვის, სიკვდილის სევდა...

**— როგორ აპირებთ ცხოვრებას?**

— ეს უფალმა იცის. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ისეთ რამეს თუ ჩავიდენდი, რაც იღბალმა თუ ბედისწერამ გამაკეთებინა. აკი ვთქვი, აქამდეც სიყვარულით ვცხოვრობდი-მეთქი და ამის შემდეგ მეტი სიყვარულით ვიცხოვრებ.

**— ღმერთს ჰყვარებიხართ.**

— რომ არ ვყვარებოდი, აქამდე ვიქნებოდი ლეში...

# „ჩვენ პრეზიდენტი კი არა, ფსიქოლოგი შევარდნაძე გვყავს“

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

**— თქვენც ხომ პროკურორი ხართ?**

— ყოფილი... მირცხულავაზე ანტიეროვნული მინისტრი საქართველოს არ ჰყოლია. ყველაფერზე წავა, ოღონდ ის მილიონები არ მოაკლდეს, რასაც იღებს თურქეთისა და აზერბაიჯანის დენის კონტრაბანდული გაყიდვით. გავიგე, ახლა რუსეთშიც დაუწყია დენის გაყიდვა. მირცხულავა ახლა იბრძვის ჩვენ მიერ გაიაფებული დენის ტარიფის გასაზრდელად. თუ ამ განზრახვაზე ხელს არ აიღებს, — ვაფრთხილებ, სკამიანად გამოიტანენ კაბინეტიდან.

**— ბატონო შალვა, გოდერძი ჩოხელი როგორ აღმოჩნდა ლეიბორისტულ პარტიაში?**

— გოდერძი ჩოხელი ის კაცია, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობისათვის არ მიუკითხავს ხელისუფლებისთვის. არ გამხდარა მისი მეხოტბე და არ დაუწყია ხელისუფლებისგან გადმოყრილი ძვლების ხვრა. ასეთია ჩვენი ინტელიგენციის უმეტესობა — ასეთი ხალხი უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში. ზნეობრივი, არაკორუმპირებული ადამიანები უნდა წყვეტდნენ ქვეყნის ბედს და არა — პარტიული ბანდიტები.

**— თუმცა ითქვა, გოდერძი ჩოხელის გალეიბორისტება ამომრჩევლის ემოციაზეა გათვლილი და პოპულისტური ნაბიჯიც იყოო.**

— გეთანხმებით (გაკვირვებით), პოლიტიკური ნაბიჯი ხალხზე უნდა იყოს გათვლილი, აბა, ჩემს ოჯახზე თუ გავთვალე, სიაში იმისთანა ფულის ტომრებს ჩავწერ, კონტეინერები დამჭირდება ფულის შესანახად.

***მოამზადა იზო რიკაძემ***



საქრისტიანო მოამბე

# მიახლება ფესვებთან

მოგეხსენებათ, კოლხური კულტურა უძველესია ცივილიზაციათა შორის, ხოლო ლაზები და მეგრელები ამ კულტურის ძირითადი მემკვიდრეები არიან. ბოლო ხანებში თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება დაინტერესება ძველი კულტურების მიმართ. გასაკვირი არ არის, რომ ეს ინტერესი ლაზებსაც შეეხო. სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში ლაზურ კულტურაზე ზრუნვა არასწორი მიმართულებით მიმდინარეობს და, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ლაზური სამყარო ერთიანი, ტრადიციული კოლხური კულტურისაგან განცალკევებით წარმოჩნდეს. სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილებას და ერთიანი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრის შექმნის საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივა. ამ იდეის პრეზენტაციაზე გვიწვევდა გემოვნებით გაფორმებული მოსაწვევი 23 ივლისს ოპერის თეატრში, სადაც თურქეთიდან ჩამოსული ლაზების პატივსაცემად ქართული ჰანგებით დამუხტული საზეიმო კონცერტი გაიმართა. ლაზურ სიმღერებს თავად სტუმრები ასრულებდნენ. ასწლეულების წინ ჩვენი წინაპრების ნამღერ ჰანგს ჰარმონიულად ერწყმოდა „რუსთავის“ და აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის უზადოდ შესრულებული სიმღერები და ცეკვები. დარბაზი თითქოსდა ძველი საქართველოს მუხტით შეიკრა. ლაზურ ლექსს ქართული პოეზია ენაცვლებოდა, ხოლო




როდესაც ლაზმა მომღერალმა „ასე ჩონგური“... მეგრულად დაამღერა, „რუსთავის“ მოგუდული ბანის ფონზე, დაუტეველი ემოცია ცრემლად და ოვაციად დაიღვარა.

შეგახსენებთ, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ლაზეთი დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა.

„უკვე 10 წელია ვცდილობთ შევქმნათ ლაზური წერილობითი კულტურა. მართალია შევძელით ქარტეხილებში თავის გადარჩენა, მაგრამ თუ გეგმაზომიერად არ ვიზრუნებთ, შესაძლოა ლაზური კულტურა გაქრობის საშიშროების წინაშე დადგეს“ — გვითხრეს სტუმრებმა. იმედია, ქართული საზოგადოება თავის სეფესიტყვას იტყვის ამ მამულიშვილურ საქმეში.

# ქართული ეკლესია — ლონდონის ცენტრში

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ იკიდებს ფეხს ევროპაში. ამას ხელი შეუწყო არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასავლეთ ევროპის ეპარქიის დაფუძნებამ. ეპარქიის ძირითადი ამოცანაა სულიერი მზრუნველობა გაუწიოს უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს.

ამჟამად ევროპაში საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციით მოქმედებს სამი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია — მიუნხენში, სტრასბურგსა და ბრიუსელში. ამ დღეებში კი ლონდონიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა — ქალაქის ცენტრში მდებარე ტაძარი შემოდგომიდან ქართულ მრევლს გადაეცემა. 17 ივლისს ტაძარი მოინახულა დასავლეთ ევროპის ეპარქიის მიტროპოლიტმა აბრაამმა. მას თან ახლდნენ ბატონი თეიმურაზ მამაცაშვილი (საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოში) და ლონდონის ეპისკოპოსი რიჩარდი.

ყურადსაღებია, რომ მიტროპოლიტი აბრაამი შეხვდა დედოფალ ელისაბედ მეორეს და მოახსენა ლონდონში თავისი ვიზიტის მიზანი — ქართული ეკლესიის გახსნა, რასაც მისი სამეფო უდიდებულესობა ინტერესითა და თანადგომით შეხვდა.

ვულოცავთ ლონდონში გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებს სულიერი ნავსაყუდელის დაარსებას.



# კიდევ ერთხელ გაბრიელ ბერის შესახებ

ღმერთის შეწევნით გადავწყვიტე, დავწერო მოგონებები ბერ გაბრიელზე. მან დამაყენა რწმენის გზაზე და დამანახვა ის სამყარო, რომელიც მანამდე ჩემთვის არ არსებობდა. ქალმა, რომელსაც დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ფაკულტეტი, არ ვიცოდი ის ძირითადი რამ, რაც მთავარია სულის გადასარჩენად.

გავიდა ხანი და მამა გაბრიელთან ჩემმა ნათესავმა მიმიყვანა. შეუძლებელია იმის გადმოცემა, რაც მე კელიაში შესვლისას განვიცადე. გაოგნებული ვუსმენდი მამა გაბრიელს. კელიიდან კი არ მოვდიოდი, მოვფრინავდი...

იმ პერიოდში დავუახლოვდი მამა ნიკოლოზსაც (მაქარაშვილს). იგი წმინდა ოლღას მონასტერში ლოცულობდა. ეს წლები ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი წლები იყო. წირვა-ლოცვის შემდეგ მთელი მრევლი სამთავროში ჩავდიოდით მამა გაბრიელთან ან პირიქით — მამა ნიკოლოზთან ავდიოდით საღამოს ლოცვაზე.

მამა გაბრიელი ხშირად მაგზავნიდა ბერ ნიკოლოზთან. მიკვირდა, როგორ შეიძლება ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა ადამიანი ბერი იყოს. ნუთუ მას ქალისადმი ლტოლვა არ ჰქონდა, ბერად რომ აღიკვეცა-მეთქი?

ეს აზრი მაწუხებდა, ამის შესახებ სხვებსაც ვეკითხებოდი. მამა გაბრიელთან მისულმა სახარების იმ ადგილის განმარტება მოვისმინე, სადაც საჭურისზეა საუბარი. შემრცხვა. მან კი, ვითომ არაფერი, თავად ამიხსნა, რომ არსებობს სამნაირი მამაკაცი: ერთი, რომელსაც შაჰ-აბასის დროს ასაჭურისებდნენ; მეორე, რომელსაც უფალი დედის მუცლიდანვე დაბადებს ასეთად (მაგ., იოანე ნათლისმცემელი დედის მუცლიდანვე აღივსო სულიწმიდით) — უვნებელს, თან დააყოლა აი, როგორც მეო; და მესამე, ვნება აქვთ, მაგრამ იმდენად ძლიერია მათში ღმერთის სიყვარული, რომ თვითონ დაისაჭურისეს თავისი თავი, თან დასძინა — აი, როგორც მამა ნიკოლოზიო (მაქარაშვილი).

ერთხელ ბერმა ასეთი რამ გვიამბო: „ახალგაზრდობაში ბათუმში ჯარში ვმსახურობდი. თავის დახრჩობა გადავწყვიტე. ხელში წმინდა ნიკოლოზის ხატი დავიჭირე და იმ დროს, როდესაც არავინ იყო ზღვის ნაპირას, შევედი წყალში. ზღვაში ჩავიძირე... ჩემი სული სხეულს გამოეყო და ჩემს ცხედარს ზემოდან დავყურებდი. მარტო იმის ფიქრი მაწუხებდა, საწყალი დედაჩემი რა დღეში ჩავარდება თბილისში, ჩემი გარდაცვალების ამბავს რომ მიუტანენო. ამ დროს ჩემი ჯარის ნაწილში უცნობი მოხუცი მივიდა და შეატყობინა — ჩქარა წამოდით, გაბრიელი დაიხრჩოო, თუმცა, მე მაშინ ვასიკოს მეძახდნენ“.

მამა გაბრიელის გადმოცემით, მოხუცმა ჯარისკაცები ზუსტად იმ ადგილას მიიყვანა, სადაც მისი სხეული იყო ჩაძირული. მაიორმა, რომელიც ჯარისკაცებს ახლდა, დააპირა, მადლობა ეთქვა მისთვის, მაგრამ ბერიკაცი თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო. საღამოს შინდაბრუნებულმა მაიორმა კედელზე წმინდა ნიკოლოზის ხატი დაინახა, რომელიც საოცრად ჰგავს იმ მოხუცის გამოსახულებას, მამა გაბრიელის საბედიწერო ამბავი რომ გაახმაურა.

კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინა მამა გაბრიელმა ეს საქციელი, მან ასე გვიპასუხა: — უფლის ნება იყო, რომ მე სულის უკვდავებაზე მექადაგაო. იგი ხშირად გვეტყოდა: — თუ გამოცდილება არა გაქვს, სხვას რჩევას როგორ მისცემო.

...იმ პერიოდში ჩემს ძმას მეზობლის ვალი ჰქონდა და მანქანას ვერ ყიდდა, რომ გაესტუმრებინა. ოჯახური პრობლემებით დამძიმებული მივედი ბერ გაბრიელთან. საუბრისას იგი მეკითხება: — ნანა, შვილო, ხომ არ იცი, ვინმე მანქანას ყიდდეს, მონასტერს სჭირდებაო. მაშინვე მივუგე, რომ ჩემი ძმა ყიდდა, მაგრამ თანხა, რამდენიც სურდა, არ აძლევდნენ.

— მოიყვანოს, შვილო, მანქანა მონასტერში, იმ თანხას, რაც მას სურს, მონასტერი მისცემს, თან თვითონაც დაილოცება და მისი ოჯახიცო.

გახარებული წამოვედი შინ. ჩემდა გასაოცრად, ჩემმა ძმამ მონასტერში მანქანის მიყვანაზე უარი განმიცხადა — ამ დღეებში მანქანა მე მჭირდებაო. რამდენიმე დღეში ჩემი ძმა დაიჭირეს. საბაბად მანქანა იყო გამოყენებული.

გავიქეცი მამა გაბრიელთან. საუბრის თავიც არ მქონდა, რომ მისთვის მომხდარის შესახებ მომეთხრო. სანამ რამეს ვეტყოდი, მეუბნება: — ნანა, შვილო, იცი, რა მოხდა?

— რა მოხდა, მამა გაბრიელ?

— აი, შვილო, ჩვენი ექიმი, ზურაბი რომ არის, ხომ იცნობ. ჰოდა, მონასტერს ორი ცხვარი შემოსწირეს. მე მინდოდა ზურა ექიმისთვის პატივი მეცა და ვუთხარი, აერჩია იმ ორი ცხვრიდან ერთ-ერთი და წაეყვანა. აირჩია, ნიშიც შეაბა, მაგრამ მერე იფიქრა, პარკეტს დამისვრის შინო და არ წაიყვანა. სხვა დროს რომ მოვიდა ცხვრის წასაყვანად, ზუსტად ის ცხვარი, რომელიც აირჩია, მკვდარი დახვდა და იცი, რატომ?

— რატომ? — გაოცებულმა ვკითხე.

— ბერის კურთხევა არ შეასრულა და იმიტომო.

ძალიან განვიცდიდი ჩემი ძმის დაპატიმრებას. განუწყვეტლივ ვლოცულობდი. დედა მარტო ტიროდა. ერთ-ერთი მისვლისას, მამა გაბრიელი მეუბნება: „შვილო, დედამ ილოცოს. დედის ლოცვა არწივის გაშლილ ფრთებზე უფრო ძლიერიაო.“

გამახსენდა ასეთი შემთხვევაც. მამა გაბრიელი კუბოში იწვა. მუცელში დრენაჟები ჰქონდა ჩაყენებული და სითხე ჟონავდა. თავთან ჩამოვუჯექი. ღვინო დამისხიო, მთხოვა — მამა გაბრიელ, გაწყენთ, არ შეიძლება-მეთქი. მან გაბრაზებული თვალებით შემომხედა (ჩემი ნათქვამის შემრცხვა, რომ ამხელა ბერს მე ვასწავლიდი). შემდეგ კი ტანჯული ხმით მითხრა: „შვილო, ყველას ცოდვები მე ავიღე და ველარ ვუძლებო“...

...მეგობარმა წიგნი მათხოვა, „ბალთაზარ კოსა“. ჯერ წაკითხული არ მქონდა, როდესაც მამა გაბრიელთან ავედი. სასულიერო პირებზე ჩამოაგდო საუბარი და მეუბნება: „შვილო, წიგნს გათხოვებ, „ბალთაზარ კოსა“ წაიკითხეო“. — შემდეგ შეყოვნდა, ჩაფიქრდა და მერე დააყოლა: შენ უკვე მტკიცე ხარ, შეგიძლია წაიკითხოო.

...ბებიას (ეროვნებით ბერძენს) ვუვლიდი, რომელსაც სისხლის გათეთრება ჰქონდა. რამდენიმე თვეში ლოგინად ჩავარდა. ექიმმა დიდი-დიდი ერთი კვირის სიცოცხლის ვადა მისცა. ამ დროს გამახსენდა მამა გაბრიელის ზეთი. ბებიას ავუხსენი, რა ზეთიც იყო და მისი თანხმობით წავუსვი. ცოტა საჭმელშიც შევურიე. იმავე საღამოს მოხუცმა წამოჯდომა მოითხოვა. რამდენიმე დღეში სამედიცინო გამოკვლევამ უკეთესი პასუხი აჩვენა. ბებია ჩემი დახმარებით უკვე გავლასაც ახერხებდა. გადავწყვიტე, კვლავ წამესვა მისთვის ზეთი. მან გაწვდილ ხელზე ხელი ამიკრა და მითხრა: — რას მთხუპნი ზეთით, ჭიანჭველები დამესევიან, შენი ქართველი წმინდანი მე რას მიშველისო (მი მე ფაშალიმანი, თა მე ტრონე მირმიგია, დიკოსუ გიორგიანო აგიოს ტი ნა მუ კანი). გავშეშდი. ესღა გავიფიქრე: — უფალო, მიუტევე, არ ესმის, რას ამბობს-მეთქი.

საღამოს მესმის შვილიშვილის გაოცებული შეძახილი: „რა არის ეს“? მეც შევვარდი. ბებიას ფეხზე ჭიანჭველები დასეოდა. ადგილი აღარ უჩანდა. შვილიშვილი ხელით უფერთხავდა ჭიანჭველებს. მაშინვე მივხვდით, თუ რას ნიშნავდა ეს. მეორე დღეს ესღა მითხრა ბებიამ: — გეხვეწები, ილოცე ჩემთვისო...

მამა გაბრიელთან მრავალი სხვა მოგონებაც მაკავშირებს. არის ისეთიც, რომელზეც თვითონ მამა გაბრიელმა ამიკრძალა საუბარი.

**ნანული მერკვილაძე**



# რას გვეტყვი, მამაო?

**— გავიგე, რომ იქ, სადაც ახლა რუსთაველის კინოთეატრია, ადრე ეკლესია მდგარა ჩინგის ხანისგან ქრისტიანობისთვის დახოცილ ყრმათა სახელზე.**

**ცოდვას ხომ არ ჩავდივართ, რომ იქ გასართობად დავდივართ?**

— მართლაც, იმ ადგილას, სადაც დღეს რუსთაველის კინოთეატრია, ადრე კალოუბნის ეკლესია მდგარა. შემდგომში კი კინოთეატრი ააგეს. ეს, რა თქმა უნდა, წმინდა ადგილია, მაგრამ გვერწმუნეთ, კინოთეატრში სიარულის გამო ცოდვები არ მოგეკითხებათ. სახელმწიფო კი პატივით უნდა მოეპყრას ასეთ ადგილებს და წესით, იქ წმინდა ტაძარი უნდა იდგეს. თუმცა, არის გარემოებები, რის გამოც წმინდა ადგილებზე საერო შენობები მდებარეობს.

ამ საკითხს ეკლესია ზოგჯერ შემწყნარებლურად უყურებს... საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში არ არის გოჯი მიწისა, ჩვენი წინაპრის კვალი არ აჩნდეს და მისი სისხლი და ოფლი არ იყოს დათხეული. ბუნებრივია, ყველგან ტაძარს ვერ ავაშენებთ. უბრალოდ, ამ მიწის ყოველ მტკაველს ისე უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ, როგორც წმინდა ადგილს.

**— ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ უძველეს დროში საქართველოში მიცვალებულებს ვერტიკალურ მდგომარეობაში ასაფლავებდნენ, შესაძლოა კუბოს გარეშეც. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს?**

— ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, საქართველოში დაკრძალვის სხვადასხვა ტრადიცია არსებობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებულია დასაფლავების მრავალფეროვანი წესი: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, კრამიტებზე დასვენება, ქვაყუთები (ეს კუბოს ერთ-ერთი პროტოტიპია), სამარხში ჩატანებულ ეტლზე დასვენება, კევრზე დაკრძალვა... ამფორებში დაკრძალვა. პარალელურად გვხვდებოდა სარკოფაგები და აკლდამები.

ეთნოგრაფიულმა ყოფამ გვიანობამდე შემოინახა ე. წ. ქვაყუთები, ანუ ქვის ფილებისგან შექმნილი ჩასასვენებელი. პარალელურად გვხვდებოდა კერამიკული, თიხის დასაკრძალი ჭურჭელი, რომელიც თანდათან ხის ჩასასვენებელმა, კუბომ შეცვალა. სხვათა შორის, უძველესი დოლმენი (უზარმაზარი ქვის ფილებისგან შექმნილი ჩასასვენებელი), სარკოფაგი და აკლდამა ახლაც შეგიძლიათ ნახოთ „ღია ცის ქვეშ“ მუზეუმში.

რაც შეეხება ვერტიკალურად დასაფლავებას, ასეთი რამ არ დასტურდება. უბრალოდ, შეიძლება იგი იქიდანაც მოდიოდეს, რომ სამარხ ქვევრში მიცვალებულს მჯდომარე სახით ათავსებდნენ...

გულითადი განდობანი

# გმადლობთ, რომ გზა გამომიჩინეთ

ამ წერილს გწერთ წარსულში უდიდესი ცოდვილი ადამიანი, რომლის მოქცევაში თქვენს გაზეთსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის. გწერთ უდიდესი მადლიერების გრძნობით თქვენი გაზეთის რედაქციას და ჟურნალისტებს. გმადლობთ, რომ ერთ დროს დამეხმარეთ ტაძრისკენ მიმავალი გზის პოვნაში.

ვცხოვრობდი ცოდვილი ადამიანის ცხოვრებით, მიყვარდა... მძულდა. ბევრი განსაცდელი და ტანჯვა გამოვიარე. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთი, როცა ქვეცნობიერად არჩევანის წინაშე დგები. თითქოს გზაჯვარედინზე დგახარ. ორი განცდა გეუფლება — სინანული და ცოდვის სიყვარული. თუ დაგძლია ცოდვის განცხრომამ თანდათან ეგუები მას. მძაფრი სინანულის გრძნობა თანდათან გიფერმკრთალდება და შენივე ნებით თუ უნებლიეთ უფსკრულში გადაიჩეხები. ეს რომ არ დაუშვას, უფალი ჩვენსავე სასიკეთოდ მრავალ განსაცდელს მოგვივლენს. რჩევას გვაძლევს მინიშნებით (ამას უკვე შემდეგ ხვდები). ერთი ასეთი დახმარება თქვენმა გაზეთმაც გამიწია. მეგონა, ცოდვის სიმძიმის გამო ვერასოდეს დავძლევდი სირცხვილის გრძნობას და აღსარების თქმა წარმოუდგენლად მიმაჩნდა. მაგრამ... დიდი ხნის წინ თქვენს გაზეთში ჩემსავით იმავე კონკრეტული ცოდვით დამძიმებული ადამიანის „აღსარება“ წავიკითხე რუბრიკაში: „რას გვეტყვი, მამაო“, რომელიც სირცხვილის გამო გამოუთქმელი ცოდვის შესახებ რჩევას სთხოვდა სასულიერო პირს. გაოგნებული და დათრგუნვილი დავრჩი წაკითხულით. ვფიქრობდი, მე ტაძარში მისვლა ვერ გამიბედია და ეს ადამიანი კი საჯაროდ აცხადებდა თავის ცოდვის შესახებმეთქი.

მოძღვრის პასუხმა თითქოს გამამხნევა, გულის კანკალით მივედი აღსარებისთვის მამა ელიზბართან. დაბნეული ვიყავი, არ ვიცოდი რა მოხდებოდა. შემდეგ კი მოხდა სასწაული, ენით ვერ აღვწერ, რა დიდ სიხარულს ანიჭებს უფალი მონანულ ადამიანს (ჩემგან გამომდინარე), რამდენ ხილულ თუ უხილავ სასწაულს მოუვლენს ჩემნაირ უღირსსაც რწმენაში განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად. უფლის მიერ მოხდენილი სასწაულებიდან კი მხოლოდ ერთ-ერთზე მინდა მოგიყვეთ. სულთმოფენობის დღესასწაულზე, მოგეხსენებათ, მორწმუნეებს ყვავილები მიაქვთ ტაძარში საკურთხებლად. მეც ასე მოვიქეცი. ვარდები ვიყიდე და ეკლესიაში წავედი. წირვის დროს იქ მყოფი მლოცველებისგან გავიგე, რომ ეს ყვავილები აუცილებლად უნდა შემენახა მთელი წლის განმავლობაში და როცა გამიჭირდებოდა სულიერად თუ ფიზიკურად, საჭიროებისამებრ გამომეყენებინა. მომიტევოს უფალმა და ეს უფრო ტრადიციად მივიჩნიე... შინ დავბრუნდი და ყვავილები ღვთისმშობლის ხატის წინ ლარნაკში მოვათავსე იმ განზრახვით, რომ როცა გახმებოდა, გადავყრიდი. შემდეგ თითქოს მათი არსებობაც დამავიწყდა. ვარდები გახმა. როცა გადაყრა დავაპირე, ცოტა უდიერადაც კი შევახე ხელი ყვავილებს, მაგრამ უეცრად სახტად დავრჩი, გაოგნებული ვიდექი. შეხებისას ყვავილებიდან თითქოს უნაზესი, უხილავი მტვერი გადმოიფრქვაო, მადლი გადმოეფინა. სიხარულის, სიმსუბუქის და სიმშვიდის აუწერელი განცდა დამეუფლა. თითქოს ფილტვები გამეხსნა და უწმინდეს ჰაერს ვსუნთქავდი.

ასეთი განცდა რამდენჯერმე მქონდა სინანულით აღსარებისა და ზიარების შემდეგ. ამ შემთხვევის თქვენთვის გაზიარებით გულწრფელი სურვილი მაქვს, მაგალითი ვუჩვენო ზოგიერთ „განათლებულს“, რომელსაც სასწაული ფანატიზმით, ფსიქიკური თუ სულიერი აშლილობით გამოწვეული ჰალუცინაციები ჰგონია.

და კიდევ: მიუხედავად ასეთი დიდი წყალობისა, ნებსით თუ უნებლიეთ მაინც ვცოდავ, მაგრამ თქვენი წინა რესპონდენტის ნათქვამს ვიმეორებ: „ნუ უყურებ ადამიანებს — უყურე ეკლესიის თავს, ქრისტეს. ის ხომ არ არის ყალბი, არ გიღალატებს. უყვარხარ, თავი შემოგწირა, გეძახის“... უდავო ჭეშმარიტებაა.

**სოფიო ბ., თბილისი**

**გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ**

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



# რა ურჩია პრეზიდენტის დიეტოლოგმა „კვირის პალიტრის" მკითხველს?

## ფალსიფიცირებულ კონიაკს თურმე შევარდნაძესაც აჩეჩებდნენ

*ჩ*ემს რესპონდენტს განსაკუთრებული მისია აკისრია — ხუმრობა ხომ არ არის, რვა წლის განმავლობაში პრეზიდენტს კვებავდე, მენიუს უდგენდე და მისთვის მომზადებულ კერძს თუ სასმელს დეგუსტაციას უკეთებდე. ***ასმათ ჩაკვეტაძე*** *მშვენიერი, სათნო ქალბატონია, პროფესიით კვების ექიმი. კანცელარიასა და პარლამენტში მას ყველა ღიმილით ხვდება და ხშირად „შეწირულს" ან კიდევ „სოკოს ქალს" ეძახიან.*

*ქალბატონ ასმათს პარლამენტის, ე. წ. ბუნკერის კაფეში შევხვდი. ჩემი თანამოსაუბრე ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარისა და დეპუტატების მენიუსა და საკვებზე ზრუნავს, ძველ პაციენტს, პრეზიდენტს კი მხოლოდ გასვლითი ღონისძიებებისას ახლავს. ინტერვიუს დროს ქალბატონი ასმათის გემოვნებით შერჩეული შავი ყავით, გემრიელი ნამცხვრითა და სხვადასხვა ხილით გაწყობილ სუფრას ვუსხედით.*

— სამთავრობო დაცვის სპეციალური სამსახურის სამედიცინო განყოფილების სანიტარიული ინსპექციის თანამშრომელი ვარ. ამ სამსახურში 12 წლის წინ მოვედი, როდესაც პრეზიდენტი ახალი ჩამოსული იყო მოსკოვიდან.

**— სათანადო შემოწმება არ გაგივლიათ?**

— პიროვნების შესწავლა უთუოდ ხდება. დაახლოებით 6 თვის მანძილზე „მსწავლობდნენ" მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც. არ ვიცი, კონკრეტულად რაზე ამახვილებენ ამ დროს ყურადღებას, რა კრიტერიუმებით არჩევენ თანამშრომელს, მაგრამ ეს ეტაპი რომ გავიარე და გულდასმით რომ შემისწავლეს, ვიცი.

**— თქვენი სამსახურიდან გამომდინარე, რისი გაკეთება გიწევდათ?**

— მოგეხსენებათ, პრეზიდენტი დიდ დროს ატარებს კანცელარიაში, ამიტომ სადილის მირთმევა ერთხელ სამსახურში უხდება — 2-დან 3 საათამდე. პრეზიდენტის მენიუს მე ვადგენდი. ბატონ ედუარდს არასოდეს გამოუთქვამს საყვედური სადილზე და არც არასოდეს შეუსწორებია რამე ჩემთვის — ძალზე უპრეტენზიო ადამიანია, განსაკუთრებულს არაფერს მიირთმევს. პირველი კერძი მისთვის ყოველთვის ზეთით და წყლით მზადდებოდა, მეორე თავი ხორცეული და ბოსტნეულის სალათი იყო. არასოდეს მონატრებია რაიმე, არასოდეს უთქვამს, დღეს ეს კერძი გამიმზადეთო. სადილს ცალკე სამზარეულოში ამზადებდა პრეზიდენტის მზარეული. ამ პროცესს მეთვალყურეობას მე ვუწევდი. ადამიანები, რომლებიც პრეზიდენტის სადილს ამზადებდნენ, ალბათ ასევე შესწავლილი და საიმედო პირები იყვნენ.

**— ამბობენ, პრეზიდენტი განსაკუთრებულად იკვებება, რაკი სისხლში შაქრის მაღალი შემცველობა აქვსო...**

— არა, რას ამბობთ... ეს ჭორია. დიაბეტიანებს მკაცრად შეზღუდული კვება აქვთ რაოდენობრივადაც და პროდუქტების სახეობის მხრივაც. პრეზიდენტს ეს შეზღუდვა არასდროს ჰქონია. არ შეიძლება, მას დიაბეტი ჰქონოდა და მე, დიეტოლოგს, ეს არ მცოდნოდა. უბრალოდ, ვცდილობდი, პრეზიდენტს ჯანსაღი საკვები მიეღო, მენიუში ნაკლებად ყოფილიყო შემწვარი ხორცი, ცხარე, მჟავე, მლაშე, კონსერვირებული პროდუქტები, ნახარშებზე დამზადებული კერძები, ე. წ. ბულიონი. რატომღაც მიღებულია, რომ ბულიონი სასარგებლოა, არადა, ის ძნელად ასათვისებელი პროდუქტია. სჯობს ადამიანმა უცხიმო, მოხარშული ხორცი მიირთვას და არა მისი ნახარში. სადილის მოსამზადებლად პროდუქტს ბაზარში ყიდულობდნენ, რომელიც ჯერ ლაბორატორიაში მოწმდებოდა. შემდეგ კი ჩემი მეთვალყურეობით ამზადებდნენ. გამზადებულ კერძს ორგანოლეპტიკურად ვამოწმებდი (ფერით, სუნით, გემოთი) და მერე აჰქონდათ პრეზიდენტთან დაცვის თანამშრომლის თანხლებით.



**— მზა პროდუქტს როგორ ამოწმებდით?**

— რაკი კვების სპეციალისტი ვარ, არასოდეს გამჭირვებია ქარხნული და ფალსიფიცირებული პროდუქტის გარჩევა — ლიმონათის შემოწმებისას ჯერ ბოთლის გარეგნულ სახესა და ეტიკეტს ვათვალიერებდი, შემდეგ გემოსაც ვუსინჯავდი.

**— პროდუქტს ხშირად იწუნებდით?**

— დიახ... გასვლითი ღონისძიებების დროს ბევრჯერ მოუტანიათ ფალსიფიცირებული სასმელები — ბორჯომი, ლიმონათი, შამპანური, კონიაკი. მახსენდება ერთი შემთხვევა — თბილისს ოდისეი დიმიტრიადი სტუმრობდა. აღმაშენებლის გამზირზე, სიმფონიური ორკესტრის საკონცერტო დარბაზში იყო შეხვედრა. კონცერტის შემდეგ დირექტორის კაბინეტში გაიწყო სუფრა. პატრიარქის, პრეზიდენტის, აწ გარდაცვლილი ჯანსუღ კახიძის, ბატონი ოდისეისა და სხვებისთვის. მოიტანეს „ენისელი"... საშინელება იყო, ფერითაც და გემოთიც. უთუოდ მოწამლავდა ვინმეს და მაშინვე დავიწუნე. საიდან მოიტანეს, ვერ გეტყვი.

მუდამ ვცდილობდით რომელიმე ღონისძიებაზე ჩვენს სამზარეულოში მომზადებული კერძები წაგვეღო, მაგრამ ზოგჯერ მასპინძლების სუფრაზე უწევდა სადილობა პრეზიდენტს, მაშინ კი განსაკუთრებული სიფრთხილე მჭირდებოდა. მახსოვს, სახალხო დამცველის ოფისის გახსნაზე გაიმართა ა-ლა-ფურშეტი, რომელზეც შამპანური და ნახევრად ტკბილი ღვინოები მოიტანეს — ყველა ფალსიფიცირებული აღმოჩნდა და მაშინვე გამოვცვალეთ. გაუთვალისწინებელი შემთხვევები, ის, რომ ვიღაცამ „დაუგეგმავად" მიაწოდოს რაიმე პრეზიდენტს, დაუშვებელია. ყოველთვის წინასწარ მოწმდება პროდუქტი.

**— თუ მოწმდებოდა ჭურჭელი, რამდენადაც ვიცი, არსებობს ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ჭურჭელზე კვალს არ ტოვებს და მომაკვდინებელია. დავუშვათ, წახვედით რაიონში, გაწყობილი სუფრა დაგხვდათ და დროშიც შეზღუდული იყავით. ასეთ შემთხვევაში, რით იცავდით პრეზიდენტის უსაფრთხოებას?**

— ყოველთვის თან გვქონდა მიკროხელსაწყო, რომელიც ერთ ჩემოდანში თავსდება. პრეზიდენტის დანა-ჩანგალს, თეფშებს ჩემ თვალწინ ვამუშავებინებდი. შეიძლება ვიღაცამ გამოიყენოს ისეთი შხამი, რომელიც მართლაც არ ჩანს ვიზუალურად, მაგრამ არ არსებობს ისეთი მდგრადი მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც გარეცხვას და მდუღარე წყლით დამუშავებას გაუძლებს. ჩემი მეთვალყურეობით დამუშავებული ჭურჭელი მიჰქონდათ მაგიდაზე და მერე მის მეთვალყურეობას დაცვის თანამშრომელი აგრძელებდა. ყველა სიტუაციაში განსხვავებული მოქმედება მიწევდა, ყველაფრისთვის მზად უნდა ვყოფილიყავი, რათა არაფერი გამომპარვოდა.

რისკის ფაქტორი ნამდვილად არის ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში, მაგრამ როდესაც ასეთ სამსახურში ხარ, შენი მოვალეობა და პასუხისმგებლობა კარგად გაქვს გაცნობიერებული. გულწრფელად გეტყვით, მზად ვიყავი საკუთარ თავზე გამომეცადა ყველაფერი, ოღონდ რამე არ გამომპარვოდა და დასაცავ პირს რამე არ შემთხვეოდა. ამ დროს საკუთარ თავზე არც ფიქრობ, თანაც არ იცი, საიდან გელის საფრთხე და ყველაფერს იჭვნეულად უყურებ, მიუხედავად იმისა, რომ იცი, შემთხვევითი პირი პრეზიდენტის ახლოს არ მოხვდება. ხშირად უთქვამთ — ეს სალათი გუბერნატორის მეუღლემ დაამზადა, ან მათი ოჯახის წევრმაო, მაგრამ მაინც ვერ ვენდობოდი. როცა ეჭვი გამჩენია, ბევრჯერ დამიწუნებია თევზეული, რძის პროდუქტი, ძეხვეული. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს წინასწარ, ცუდი განზრახვით იყო პრეზიდენტისთვის მომზადებული.

*(გაგრძელება იხ. გვ. 24)*


ბაკურიანის გართობისა და დასვენების ჯადოსნურ სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

**სასტუმრო „მელისი"**

*ტყის პირას*

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით, ფოიეში მინიბარი, სასიამოვნო მუსიკა.
და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული კერძები დაგიცხრობთ.
ეს ყველაფერი 20$-ად.




**გაატარეთ ცხელი ზაფხული სიგრილეში**

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42; 899-24-86-86




# უმისამართოდ დაკარგული წერილი



შევარდნაძეს, ეტყობა, პოლიტიკური „ისტერიის“ შეტევა გაუხშირდა. ამჯერად ამის მიზეზი გახდა მოსკოვიდან აფხაზეთში კომერციული ფონდის, „მოსკოვი-აფხაზეთის“ მიერ გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარებით სავსე 13 ვაგონი: 10 სამოქალაქო ავტობუსი და 2 ტროლეიბუსი, სასწრაფო დახმარების მედიკამენტები და სამედიცინო ხელსაწყოები, სასკოლო ინვენტარი და სახელმძღვანელოები. ტვირთს იური ლუჟკოვის მიმართვაც მოჰყვა, სადაც აღნიშნულია, რომ სარკინიგზო ტვირთი პირველი, მაგრამ არა ბოლო მატერიალური დასტურია აფხაზეთისადმი მათი სიყვარულისა, რომ რუსეთის საზოგადოებრიობა განზე არ გადგება და აფხაზეთის მოსახლეობას დანგრეულ ეკონომიკას აღადგენინებს.

საქართველოს პრეზიდენტმა თავის ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ პუტინს მისწერა წერილი, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა რუსეთი და მისი ხელმძღვანელობა აფხაზეთის მთავრობასთან კონტაქტის გამო. შევარდნაძის ამ გამოხდომას კრემლმა დაუყოვნებლივ უპასუხა. რფ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა იტარ-ტასს განუცხადა, კრემლს „არავითარი წერილი“ არ მიუღია საქართველოს პრეზიდენტისგანო და თბილისს შეახსენა: „დიპლომატიურ პრაქტიკაში ორი ქვეყნის მეთაურთა მიმოწერა პრესისათვის მხოლოდ მაშინ ხდება ცნობილი, როცა მას ადრესატი მიიღებს და არა პირიქით“.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ წერილის კვალს ვერც საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში მიაგნეს, თუმცა აღნიშნეს, რომ იქნებ შევარდნაძე პუტინისადმი 2002 წელს გაგზავნილ წერილზე ლაპარაკობდაო. რფ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კი ასე ახსნეს ეს მოვლენა — იქნებ მისამართი იყო არასწორად მითითებული ან მარკა მოსძვრა კონვერტსო... მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის ორშაბათის განცხადების კონტექსტი იმაზე მეტყველებს, რომ ლაპარაკი მაინც ახალ წერილზეა. თუმცა, როგორც თბილისში ამბობენ, მომხდარი გაუგებრობის გამო, გამორიცხული არ არის, „პუტინისადმი ახალი წერილი“ ახლა კი ნამდვილად გაიგზავნოს.

როგორც ეტყობა, საქართველოს ლიდერის „განრისხება“ მარტო მოსკოვის ჰუმანიტარულმა დახმარებამ კი არა, არამედ აფხაზეთში რფ-ის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის დმიტრი როგოზინის ამასწინანდელმა ვიზიტმაც გამოიწვია.

შევარდნაძის განცხადებას როგოზინმა ასე უპასუხა: „ჩვენ ამგვარ ჰუმანიტარულ აქციებს მსოფლიოს ყველა წერტილში ვატარებთ, მაგრამ შევარდნაძეს ეტყობა, აფხაზეთის მოსპობა ურჩევნია. ის წაქეზების პოლიტიკას ეწევა და საქართველოს მორიგი ომისკენ უბიძგებს, რომელიც შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს ამ ქვეყნისათვის. ეს რომ არ მოხდეს, რუსეთმა მაქსიმალური მოთმინება უნდა იქონიოს ექსცენტრიკული ქართველი პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც უსაქმობის გამო ომისკენ მოუწოდებენ ხალხს.“

საგულისხმოა, რომ ყოველივე ეს ხდება ჟენევის მოლაპარაკებების ფონზე, სადაც თავისი პოზიციების დასაფიქსირებლად პირველად მიიწვიეს ერთად აფხაზეთის და საქართველოს დელეგაციები. როგორც რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა განაცხადა, ჟენევაში ორდღიანი მოლაპარაკებები შეიძლება შეფასდეს, როგორც სწორად გადადგმული ნაბიჯი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

„აფხაზ სეპარატისტებთან“ ყოველგვარი მოლაპარაკებების მოწინააღმდეგე თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ ჟენევაში მოლაპარაკებებით „თბილისი აპირებს აფხაზეთი რუსეთს ჩააბაროს“ და საპროტესტო მასობრივი აქციებითა და შევარდნაძის გადაყენებით იმუქრება. მაგრამ, როგორც გაირკვა, ჟენევაში აფხაზეთის რუსეთისათვის გადაცემის საკითხი არ დამდგარა.

გაერო საქართველოსა და აფხაზეთს სთავაზობს 20 სპეციალისტი-ინსტრუქტორის გაგზავნას რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. მათ ფუნქციაში შევა ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისათვის კადრების მომზადება, ლტოლვილთა დაბრუნების ადგილებში კონფლიქტური მხარეების თანამშრომლობის მოგვარება.

შემდეგი შეხვედრა ჟენევაში დაგეგმილია 2003 წლის ნოემბერში.

***კომერსანტი №128***

# კვაშნინი თავისას არ იშლის...

აფხაზეთის ხელისუფლება შეშფოთებულია საქართველოს ცაზე ნატოს „ავაქსების“ გამოჩენით და აპირებს თავის ტერიტორიაზე განალაგოს რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები, რისთვისაც მოსკოვში შესაბამისი თხოვნა უკვე გაიგზავნა — ამ ფრენებით ირღვევა აფხაზეთის საჰაერო სივრცე, ეს ეწინააღმდეგება აფხაზეთსა და საქართველოს შორის არსებულ ყველა მოლაპარაკებას, — განაცხადა აფხაზეთის ვიცე-პრემიერმა ასტამურ თარბამ. მისი აზრით, ფრენები მიმართულია აფხაზეთის ტერიტორიისა და სამხრეთ რუსეთის დასაზვერად. აფხაზი სამხედროების აზრით, თბილისი აპირებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციას და მასში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩართვას.

რფ-ის თავდაცვის სამინისტროში ელიან აფხაზეთის ოფიციალურ თხოვნას, მათ ტერიტორიაზე სარაკეტო სისტემის განლაგების შესახებ. ეს რუსეთს სათანადო წინადადებების მომზადების შესაძლებლობას მისცემს, რომელსაც შემდეგ რფ-ის პრეზიდენტს წარუდგენენ.

მანამდე კი რფ-ის საჰაერო სამსახურის გენერალური შტაბის მთავარ ოპერატიულ სამმართველოში გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრ რუშკინის ხელმძღვანელობით უკვე დამუშავებულია C-300B-ის აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასროლის რამდენიმე ვარიანტი (ზღვით, ჰაერით, ხმელეთით). დოკუმენტებში და სხვ. დიდი ადგილი ეთმობა ოპერატიული შენიღბვის საკითხებს, დეზინფორმაციის სხვადასხვა ხერხს.

შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, C-300B-ს ჩაიტანენ ჩრდილო კავკასიის ან ვოლგისპირეთ-ურალის სამხედრო ოლქებიდან.

„ავაქსების“ წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების მომხრეა ცენტრალური შტაბის უფროსი ანატოლი კვაშნინი, რომელმაც ადრე პანკისის ხეობის დაბომბვაზე გასცა სანქცია. მას მხარს უჭერს თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვიც, რომელმაც სასწრაფოდ ჩაატარა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქებში ჯარების საინსპექციო ჩამოვლა. დონის როსტოვში სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას კი განაცხადა, — ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გვყავს, რადგან იქ მეტი საფრთხეა მოსალოდნელიო. ამჟამად აფხაზეთის საზღვართან სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია საზენიტო რაკეტული ბრიგადა, გაზრდილია რადიოლოკაციური არე.

აშკარაა, რომ რფ-ის თავდაცვის სამინისტროს საჰაერო მდგომარეობის დასაზვერავად შემდეგი ლოგიკური ნაბიჯი სოხუმის თავზე რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო ფარის (C-300B-ს ბაზაზე) გაშლა იქნება.

***ნეზავისიმაია გაზეტა №147***

# ქართული ოპოზიცია უკმაყოფილოა

„გაზპრომი“ საქართველოში მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას აპირებს. 21 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს სათბობენერგეტიკის სამინისტროსა და რუსეთის კომპანია „გაზპრომს“ შორის დადებული 25-წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება. რუსეთიდან მოწოდებული გაზის მოცულობა და ფასი განისაზღვრება ყოველწლიურ კონტრაქტებში, რომელიც „გაზპრომსა“ და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას შორის დაიდება. ერთობლივი რეალიზაციის კონკრეტული პროექტები ჯერ არ არსებობს. ქართული მხარე თავის წინადადებებს 2003 წლის მესამე კვარტალში წარადგენს. ამავე ვადებში გადასცემს რუს სპეციალისტებს საქართველოს გაზის კომპლექსების პრივატიზაციის გეგმას. „გაზპრომი“ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის გაზის სატრანსპორტო სისტემის აღდგენაში. საქართველოს გაზის საკუთარი მარაგი არ გააჩნია. გაზის იმპორტი კი ყოველწლიურად 1 მლრდ კუბმეტრია. მიუხედავად ამისა, ქართული ოპოზიცია აღშფოთებულია. პარლამენტის ყოფილი სპიკერის ზურაბ ჟვანიას აზრით, სტრატეგიული ენერგოობიექტების რუსეთისთვის გადაცემა დიდ პრობლემას შეუქმნის საქართველოს და დაემუქრება მის ეროვნულ ინტერესებს.

საქართველოს არ სურს დამოკიდებული იყოს რუსეთზე, მაგრამ შეუძლია კი საერთაშორისო საბაზრო სტანდარტებით ენერგოსაფასურის გადახდა ან რუსეთის ენერგოკომპანიებს რად სჭირდებათ ის საკუთრება, რომელიც ახლა საქართველოშია? საქართველოს დღევანდელი ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაშია, წარმოების გაზრდის პერსპექტივა არ არსებობს. „თუ რუსეთის ენერგოკომპანიები დათანხმდებიან საქართველოს ტერიტორიაზე რომელიმე ობიექტის შეძენას, ეს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, ხოლო საქართველოსთვის კრიზისული სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალი“, — ამბობს პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე კონსტანტინ სიმონოვი და იმედს იტოვებს, რომ რუსეთ-საქართველოს ერთობლივ ბიზნესფორუმზე, რომელიც ოქტომბერში ჩატარდება, საფუძველი ჩაეყრება ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

***რადიო მაიაკი***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძენობენ

**4 წლის საბა აღნიაშვილმა** ბუხართან მოტრიალე ბიძას ჰკითხა:

— ვალერი ბიძია, თქვენ ნაცარქექია ხართ?

— ჰო, ბიძია, აბა, რა ვქნა, ოჯახში ყველაფერი მე ვარ!

— ჰოდა, ძმები გაგაგდებენ სახლიდან! — წამოიყვირა საბამ.

***

**3 წლის ქეთი კიკნაძეს** ბაბუამ აკოცა. განაწყენებული ქეთი მოუბრუნდა ბაბუას:

— ლაპტო მაკოცე უჩემოდ?!

***

**პატარა თამთა თუჯიაშვილი** ბალეტზე დადის. მის უფროს ძმას ბექას კი ფეხბურთზე ამოსდის მზე და მთვარე. ერთხელ ბექა ფეხბურთის მატჩს უყურებდა. კულმინაციურ მომენტში მისმა საყვარელმა ფეხბურთელმა ბურთი ვერ გაიტანა კარში, ბიჭმა დანანებით თქვა, — ეეჰ, სუფთა ბალერინა ყოფილაო.

თამთამ ყურები დაცქვიტა, მერე კი ნასიამოვნებმა განაცხადა:

— ხომ ხედავ, ბალერინები რა მაგრები არიან, ფეხბურთსაც კი თამაშობენ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ხორცის მჭამელს თაფლიც უყვარს, მისთვის ხეზეც აბობღდება, ქონისა და ტყავისათვის კაცი ძლიერ ემტერება“

II



## იპოვე 10 განსხვავება



I

### აბა, გამოიცანი

**1) რომელ საუკუნეშია აშენებული სვეტიცხოვლის ტაძარი?**

ა) მე-8; ბ) მე-10; გ) მე-11; დ) მე-13.

**2) რომელი ოპერა არ ეკუთვნის ჯუზეპე ვერდის?**

ა) „ბალ-მასკარადი“; ბ) „რიგოლეტო“; გ) „ტრავიატა“; დ) „კარმენი“.

**3) რომელი არ არის ბიბლიური ნოეს შვილი?**

ა) სემი; ბ) ქამი; გ) იასონი; დ) იაფეტი.

**4) რომელია ნორვეგიის დედაქალაქი?**

ა) პრაღა; ბ) ოსლო; გ) ჰელსინკი; დ) ოტავა.

**5) რომელი მულტიპლიკაციური ფილმი არ ეკუთვნის უოლტ დისნეის?**

ა) „მაუგლი“; ბ) „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“; გ) „ბემბი“; დ) „მიკი მაუსი“.

**6)ვინ თამაშობს გიორგი სააკაძის როლს ამავე სახელწოდების ფილმში?**

ა) სერგო ზაქარიაძე; ბ) ოთარ მეღვინეთუხუცესი; გ) გიორგი შავგულიძე; დ) აკაკი ხორავა.






რომელ ოთხ არსებას ხედავ სურათზე?

## ნანა

ლურჯ ჯეჯილს ეკითხებოდა
გაოცებული ნანაო:
— ეგ კაბა ყაყაჩოებით
ვინ მოგიქარგა, ყანაო?
ერთი ის კაცი მაჩვენე,
მეც მინდა მაგისთანაო.

**ნოდარ დუმბაძე**

ზღაპარი

## წიწილა და კატა

დედილო, ღვეზელი გამომიცხვე რა, ძალიან მინდაო, — შეეხვეწა ერთხელ წიწილა დედას.

ქათამს გაეღიმა და შვილი ნაფოტის მოსატანად გაგზავნა. სახლის გვერდით მდგარ სამზარეულოში წიწილა ნაფოტს რომ აგროვებდა, სწორედ მაშინ შევიდა კატა.

— კეთილო ფისუნიავ, გამიშვი და სამაგიეროდ, ღვეზელს გაჭმევო, — სთხოვა კატას წიწილამ, რაკი დაინახა, რომ კატამ ნელ-ნელა ბრჭყალები გამოაჩინა.

— კარგიო, — მიუგო კატამ.

შინ მოსულმა წიწილამ ყველაფერი დედას უამბო.

— ნუ იდარდებ, ჩემო პატარავ, იმხელა ღვეზელს გამოვაცხობ, შენც გეყოს და კატასაცაო, — დაამშვიდა ქათამმა.

დიდი, დიდზე დიდი ღვეზელი რომ გამოცხვა, ქათამმა წიწილას წინ დაუდო და თან კატის წილიც გაახსენა, მაგრამ ღვეზელი ისეთი გემრიელი გამოდგა, ისეთი, რომ ღორმუცელა წიწილას სულ მთლიანად შემოეჭამა. ერთი ნამცეციც არ დაუტოვებია.

— რაღა ვქნათ ახლა? სულ... სულ შემომეჭამაო, — შესჩივლა წიწილამ დედას.

— ოი, შე პატარა ღორმუცელავ, შენაო! — გაუჯავრდა დედა.

— იქნებ, კატას უკვე დაავიწყდა, ან სულაც არ იცის, სად ვცხოვრობთ და ვერ მოგვაგნოსო, — იიმედებდა გულს წიწილა და უცებ მისკენ მიმავალი კატა დაინახა.

— ვაიმე, დედილო, კატა მოდის, კატა! ახლა რაღა ვქნაო? — წამოიძახა გულგახეთქილმა წიწილამ.

— მომყევიო! — ჩაიქოთქოთა ქათამმა და სახლის გვერდით მდგარ სამზარეულოს ეცა.

წიწილა უკან გამოუდგა. იქით მიაწყდნენ, აქეთ მოაწყდნენ და ბოლოს, სამზარეულოში მდგარ ერთ დიდ თიხის ქოთანში ჩაძვრნენ.

კატა მიხვდა, ქათამი და წიწილა მემალებიანო და გაბრაზებულმა დაიძახა:

— ჰეი, თქვენ, ჩემი ღვეზელი რა უყავით? მოიცადეთ, სად გარბიხართო! — და ისიც სამზარეულოსაკენ გაქანდა, მაგრამ იქ ველარავინ იპოვა.

— სადღაც აქ არიან. მე თვითონ დავინახე, როგორ შემოცვივდნენ, მაგრამ, რომ არ ვიცი, სად დაიმალნენ! თუმცა, არა უშავს, დაველოდები. ადრე თუ გვიან მაინც გამოვლენო, — ამბობდა თავისთვის კატა და ზედ კარის ზღურბლზე წამოსკუპებული მოთმინებით იცდიდა.

თიხის ქოთანში კი ქათამი და წიწილა შიშისაგან ცახცახებდნენ. მალე წიწილა გონს მოვიდა, აფორიაქდა და დედას ყურში ჩასჩურჩულა:

— ცხვირს მაცემინებსო...

— არც გაიფიქრო. კატა გაიგონებს და გვიპოვისო, — წყრომით უპასუხა ქათამმა.

გავიდა ცოტა ხანი და წიწილამ ისევ ჩაიჩურჩულა:

— ნახევრად მაინც დავაცემინებ...

— არც ნახევრად გაბედოო, — დაუშალა ქათამმა.

კიდევ გავიდა ცოტა ხანი და წიწილამ კიდევ ჩაიჩურჩულა:

— ცოტას მაინც...

— ახლავე ხმა გაიკმინდე! — გაუჯავრდა ქათამი, მაგრამ ცოტა ხანში წიწილა ისევ აჩურჩულდა:

— თუნდაც სულ ერთი ბეწოს...

დაკარგა მოთმინება ქათამმა და, — დააცემინეო, — უთხრა. წიწილამაც დააცემინა ცხვირი, თანაც ისე ღონივრად, რომ თიხის ქოთანი შუაზე გადაიხსნა. ქათამი და მისი წიწილა სააშკარაოზე დარჩნენ, მაგრამ, იმათ ბედად, კატას ეგონა, ეგ არის, მეხი დამეცაო, და გულგახეთქილმა მოცოცხა.

ასე რომ, ქათამი მთელი და უვნებელი გამოვიდა სამზარეულოდან. მის უკან კი წიწილა მოაბიჯებდა ამაყად.



ამათგან რომელია ხის ნაყოფი?

| ცხენის ჯოგი | მუხის ნაყოფი | „ფისუნია, ფისო, სახურავზე ...“ | ჩაღრმავებული ადგილი მუცელზე | პატარა არხი | სასაცილო და უცნაური შემთხვევა | ქალის სახელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| ნოტი | ერთ-ერთი სახარების ავტორი | მარადმწვანე ხე | პირიქით, საწინააღმდეგოდ | ... და ჟანეირო | ვნება, ზარალი | |



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

მსახიობი ჯემალ ღაღანიძე დღესაც იმავე სახლში ცხოვრობს, სადაც სიცოცხლის პირველი დღეებიდან ცხოვრობდა. იქ, საბურთალოზე, გაიარა მისმა ბავშვობამ, სიყმაწვილემ. ალბათ იქვე განისაზღვრა, რომ იგი მსახიობი უნდა გამხდარიყო. სკოლის დირექტორი, პროფესიით მათემატიკოსი, დიდ ყურადღებას აქცევდა ტექნიკური საგნების სწავლებას... ის თურმე ხშირად ამბობდა: ნოდარ ღაღანიძე ნამდვილად ჩემი მონაფეა, მაგრამ მის ძმას, ჯემალს, მიეცი ხელში ფანდური, აკორდეონი, იმღეროს და იცეკვოს, სხვა არაფერი აინტერესებსო...

და აკი, 48 წელი გაატარა კიდეც რუსთაველის თეატრში...

ბატონ ჯემალს 70 წელი შეუსრულდა.



# ჯემალ ღაღანიძე: „კავკასიური ცარცის წრე“ არ მაქვს ნანახი...

## — ბაბუ, მეც მინდა შენსავით მცნობდნენ, მეც ღაღანიძე უნდა გამოვიდე...

**— თუ გახსოვთ, პირველად რომელი მსახიობი ნახეთ სცენის მიღმა?**

— ერთხელ, პიონერთა ბანაკში ვიყავი. იქ ჩემი ხელმძღვანელი იყო გურამ საღარაძე. სულ მიშლის ხოლმე გურამი ამის თქმას, — მაინც არავინ დაგიჯერებს, ჩემზე უფროსის შეხედულება გაქვსო. ასე იყო და რა ვქნა! ეტყობა, პიონერთა ბანაკის დრამწრეშიც ვიაქტიურე. მერე თეატრალურ ინსტიტუტში ვნახე რამაზ ჩხიკვაძის, ლეილა აბაშიძის, გურამ საღარაძის სპექტაკლი.

**— საინტერესოა, თეატრის სიყვარულით ასე ანთებული ბიჭი რამ წაგიყვანათ საინგილოში. თქვენ ხომ სკოლა იქ დაამთავრეთ?**

— ესეც თეატრის გამო მოხდა. X კლასში რომ გადავედი, გაირკვა, რომ როცა სკოლას დავამთავრებდი, თეატრალურ ინსტიტუტში მიღება არ იქნებოდა. მაშინ წელიწად-გამოშვებით იღებდნენ აბიტურიენტებს. შევუჩნდი მამაჩემს, როგორმე მომიხერხე და ატესტატი ერთი წლით ადრე ამაღებინე-მეთქი. ვერაფერს გახდა. უცებ მამაჩემის ახლობელმა, არჩილ ჯანაშვილმა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საინგილოში ქართული სკოლის გახსნას, უთხრა მამას: წავიდეს ჯემალი საინგილოში, იქ ათწლედია და ერთ წელიწადს გადააგორებს, შეიძლება მედალსაც კი გამოჰკრას ხელიო. აქ კიდევ, მედალი კი არა, ოთხიანზე მეტს არ მიწერდნენ... მეგობარი მყავდა სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანიდან — ანზორი. ვუთხარი, საინგილოში გადავდივარ, შენც ხომ არ წამოხვალ-მეთქი. წავედით. ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი წელიწადი. მაშინ, 1952 წელს, საინგილოში მძიმე სიტუაცია იყო, არეული აზერბაიჯანულ-ქართულით ლაპარაკობდნენ. უფროსი თაობის ქალები ჯერ კიდევ ჩადრით დადიოდნენ. მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ ქართულ სიმღერაზე, თეატრზე, ცეკვაზე... სკოლის ეზოში მიტოვებული ეკლესია იდგა, გავაკეთეთ შიგ სცენა და დავიწყეთ თვითშემოქმედება. მასწავლებლებსაც ვათამაშებდით, მოსწავლეებსაც. მე და ანზორს დიასახლისი გვყავდა — ქალბატონი ნაბათა. ის რომ თავის ბაღდადურ შარვალს გამოაფენდა, მთელი თოკი ჰქონდა დაკავებული. ვიცინოდით ხოლმე. ჩამოგვაკითხავდა ანზორის მამა სანოვაგით... ვიყავით ერთ ამბავში. მოკლედ, არაჩვეულებრივი მოგონებები დამრჩა.

**— თქვენი პირველი სერიოზული სპექტაკლი რომელი იყო?**

— მიხეილ თუმანიშვილი დგამდა „ფილოსოფიის დოქტორს“, მიგვიწვია სპექტაკლში მე და ზინა კვერენჩხილაძე. ასე დაიწყო და აი, უკვე 48 სეზონია, თეატრში ვარ. მინდა გითხრათ, რომ საინგილო არ დამვიწყებია. ჩავიტანე და იქაურებს ვუჩვენე ფილმები: „ჩირიკი და ჩიკოტელა“ და „ლაზარე“, რომლებშიც მეც ვთამაშობ, მერე ჩავიყვანე რუსთაველის თეატრი, „გვადი ბიგვა“ ვითამაშეთ... ახლაც კი მაქვს ურთიერთობა საინგილოს მოსახლეობასთან, ჩამოდიან ხოლმე ჩემთან.

**— „ლაზარე“ ახსენეთ... იქ თქვენი პარტნიორი გეგა კობახიძე იყო. ორიოდე სიტყვით ხომ არ გაიხსენებთ მასთან თქვენს ურთიერთობას?**

— გეგა ნიჭიერი ბიჭი იყო, ძალიან მიყვარდა. მახსოვს, გაუჭირდა იმ სცენის თამაში, სადაც უნდა გვეცეკვა. ფილმის ქორეოგრაფი იური ზარეცკი იყო. დაუნდობელი, დაღლა არ იცოდა. 3-4 საათი გვავარჯიშებდა. გეგა მეხვეწებოდა: უთხარით, რა, ძია ჯემალ, დაგვანებოს თავი, ვერაფერს ველარ გავაკეთებ, დავიღალეო. შეძლებ, ნუ გეშინია-მეთქი, — ვამშვიდებდი... უნდა გადაგველო კადრები, გეგა რომ საჭმელს შემომაყრის და მე ვცემ. წიხლი უნდა მეკრა, წაქცეულიყო, თავი ფილაქანზე დაერტყა... კინაღამ გავგიჟდი, როგორ ვცემო ბავშვს-მეთქი. ბუბა ხოტივარი კი მოითხოვდა: არ დაზოგო, სცემეო. ათამდე დუბლი გადავიღეთ. არ გამოვიდა არაფერი. ისე შეწუხდა გეგა, ხვეწნა დამიწყო, — ბიძია ჯემალ, მირჩევნია მცემოთ, ვიდრე დაუსრულებლად დუბლები ვიღოთო.

ასეთი დავიდარაბით გადავიღეთ ბოლო კადრები. მერე რამდენი ვეფერე, რომ ვცემე... საშინელება იყო... სხვათა შორის, „ლაზარეს“ კინაღამ მეც შევეწირე. გადაღებისას გვჭირდებოდა დამბაჩები, რომლებსაც დენთით ტენიდნენ, რომ გასროლისას უფრო დამაჯერებლად დაექუხა. გასროლის შემდეგ დამბაჩა ნაპერწკლებს ყრის. რეჟისორს — ბუბა ხოტივარს, ეს არ სცოდნია. შესვენების დროს მეხუმრა, სახეთან მომიტანა დამბაჩა და გაისროლა. ვიგრძენი, როგორ შემომეფრქვა ნაპერწკლები. ვუთხარი, — შენ თუ სიცოცხლის ფასად მიღებ ამ ფილმში, არ ვიცი-მეთქი.

**— ბევრ დიდ მსახიობთანაც გიწევდათ ურთიერთობა...**

— ინსტიტუტი 1956 წელს დავამთავრე. მანამდე, როგორც გითხარით, უკვე ნათამაშები მქონდა მიხეილ თუმანიშვილის „ფილოსოფიის დოქტორში“ რამაზ ჩხიკვაძესთან, გოგი გეგეჭკორთან, მედეა ჩახავასთან, ზინა კვერენჩხილაძესთან ერთად... მქონდა აკაკი ხორავასთან თამაშის ბედნიერება. ხალხს რომ მკაცრი ეგონა, სინამდვილეში ბატონი აკაკი ბავშვივით იყო. უყვარდა ახალგაზრდები, ქეიფი. ფულის გადახდას ვერ დაასწრებდი რესტორანში. მღეროდა შესანიშნავად. ჰქონდა მეორე ხმა. პირველ ხმას ვასაძე ამბობდა. ბედნიერი ვარ, რომ ეს ჩემი ყურით მომისმენია.

**— თქვენ თუ მღეროდით?**

— მე რომ ვმღეროდი, იმიტომაც ვხვდებოდი ხშირად მათ სუფრაზე. კარგად ვცეკვავდი კიდეც.

**— აკაკი ხორავას პარტნიორი ბრძანდებოდით „რღვევაში“...**

— ეს იყო ალექსანდრე ახმეტელის დადგმა, რომელიც ვასაძემ აღადგინა. მოქმედება გემზე ხდება, აკაკი ხორავა კაპიტანია. გემზე ანარქიაა. მოდის მენშევიკების ოფიცერი და კითხულობს: სად არის კაპიტანი?! ეს კაპიტანი მაგრად უნდა გაკიცხოს. ამ მენშევიკს თამაშობდა გაგუა. ერთხელაც ავად გახდა, რეპეტიციაზე ვერ მოვიდა. მე მეზღვაურს ვთამაშობდი. ვასაძემ თქვა, — ღაღანიძეს ჩააცვით მენშევიკის ფორმაო. გამიხარდა. ჩავიცვი, გამოვდივარ სცენაზე ყვირილით: — სად არის კაპიტანი?! იღება კარი, შემოდის თეთრმუნდირიანი ხორავა. დადგება სულ ერთ მეტრში ჩემ წინ. მე უნდა ვუთხრა: მე თქვენ გიჩვენებთ სეირს-მეთქი და ხელთათმანები ცხვირწინ ავუფრიალო. ამხელა ხორავას არ გინდა, ხელთათმანი მოუქნიო?! არადა მიზანსცენაა, ვერ შეცვლი. ხელთათმანს მუცელთან ვუქნევ. თვითონ მაჩერებს. კაცო, ჯემალ, აქ არა, ზემოთ, ცხვირთან მომიქნიეო. სანამ თვითონ არ მიმაჩვია ამას, ვერ გავბედე. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა. მერე ბევრ სპექტაკლში გვითამაშია ერთად.

**— ძალიან უყვარს მაყურებელს „მეტეხის ჩრდილში“, სადაც სერგო ზაქარიაძეს უწევთ პარტნიორობას.**

— იმიტომ, რომ ეს სპექტაკლი დარჩა ფირზე გადაღებული. ისეთებიც მეუბნებიან ხოლმე, „მეტეხის ჩრდილში“ რა კარგი ფირუზა ხარო, მხოლოდ ტელევიზიით რომ ვუნახივარ ამ როლში. ამიტომ ვამბობ, ყველა სპექტაკლი უნდა ფიქსირდებოდეს. შესანიშნავი სპექტაკლი იყო „ხანუმა“, ეროსი, რამაზი, ეკატერინე ვაჩნაძე თამაშობდნენ. მე მიკიჩას როლს ვთამაშობდი. წაშალეს ფირი — უკეთესად უნდა გადავიღოთო. დალოცვილო, ჯერ გადაიღე, მერე წაშალე!.. გარდაიცვალა სალომე ყანჩელი, ეროსი მანჯგალაძე და ვეღარაფერი გადაიღეს. მე სულ არ მწყინს, როცა მეუბნებიან, — ფირუზაა შენი კარგი როლიო, მაგრამ 5-6 როლი მქონდა ნათამაშები, ტოლს რომ არ დაუდებდა ფირუზას.

**— ბევრი ლეგენდარული სპექტაკლი იდგმებოდა რუსთაველის თეატრში. „კავკასიური ცარცის წრე“ დღემდე ქართული სპექტაკლების სათავეშია.**

— ეს პიესა რომ წავიკითხე, გავოცდი, ნეტა რატომ დგამს რობიკო-მეთქი. იწყება რაღაცა კოლმეურნეობის დაშლით... მოქმედება ყაზბეგში ხდება, ბრეხტს წარმოდგენა არა აქვს საქართველოზე, მაგრამ რატომღაც ქართული სახელებიც ჰქვიათ პერსონაჟებს. 30 წელია ვთამაშობთ. სატრაბახო მაქვს, არც ერთი სპექტაკლი არ გამომიტოვებია. მარტო მე ვარ, რომელმაც 642-ჯერ ვითამაშე სპექტაკლი. დანარჩენებს, ყველას აქვს გამოტოვებული თითო-ოროლა სპექტაკლი მთავარ როლებშიც კი... აზდაკს ხან ჩხიკვაძე თამაშობდა, ხან ეროსი, ჟანრი ლოლაშვილს საწყალი ტრისტან ყველაიძე ენაცვლებოდა...

ვხუმრობ ხოლმე: ყველას აქვს ჩემ გარდა სპექტაკლი ნანახი, მე სულ სცენაზე ვარ-მეთქი. ეროსი რომ თამაშობდა აზდაკს, რამაზი პარტერში იჯდა. საღამოს დამირეკავდა: ეს რა ვნახე, ეს რა სპექტაკლი გვაქვსო.

**— ამ სპექტაკლმა მსოფლიო შემოიარა.**

— მართლა მთელი მსოფლიო შემოიარა... ვინც თამაშობდა მიშიკოს პირველად, ის უკვე გათხოვილია, შვილები ჰყავს. ის გოგო ჩვენი მოკარნახის შვილი იყო. საგასტროლოდ რომ მივდიოდით, ბავშვებს არ გვატანდნენ, იქ აგვყავდა. ავსტრიაში ერთი გოგონა ავიყვანეთ, პოლონელი ბებია ჰყავდა, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი. რომ ჩავედით, მაშინ ეს გოგო 6-7 წლის იყო და პოლონელი ბებია ქართულ სიტყვებს ასწავლიდა. ხელმეორედ რომ ჩავედით ავსტრიაში, მოგვადგა ქალიშვილი — მე ის მიშიკო ვარო. რამდენი მიშიკო გვყავდა, ვინ იცის...

**— იქნებ სხვა საინტერესო ამბებიც გვიამბოთ, უცხოეთში რომ შეგემთხვათ?**

— ავსტრალიაში, ქალაქ ადელაიდაში ვიყავით საგასტროლოდ. წარმატებით მიდიოდა სპექტაკლები. უცებ აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებაში თურმე შეტანილია, რომ ჩვენ, ქართველებმა, კონცერტიც უნდა ჩავატაროთ. გავგიჟდით. შემოვიდა გია ყანჩელი, — კაცო, მოგვადგნენ, გინდა თუ არა, კონცერტიც უნდა გამართოთო და რა ვქნათო. ვიფიქრეთ და ბოლოს, გადავწყვიტეთ, გვემღერა — სხვა გზა არ იყო. თეატრთან ჰქონდათ ბარი, იქ კი პატარა სცენა. აი, იმ სცენაზე უნდა გვემღერა. ლეილა სიყმაშვილი დაუკრავდა, ჩვენ ვიმღერებდით, ვიცეკვებდით... სპექტაკლის შემდეგ მოგვხსნეს გრიმები და შეგვიყვანეს ბარში. იქაურობა გაბოლილი იყო, მიდიოდა ლუდის სმა, იყო ხმაური, ერთი ამბავი. დავიწყეთ „მრავალჟამიერი“. ნელ-ნელა ხალხი გაჩუმდა, მობრუნდა სცენისკენ. ატყდა ტაში. მერე ლეილა სიყმაშვილმა დაუკრა და „ავე მარია“ იმღერა... ბოლოს კარლო საკანდელიძე ვაცეკვეთ. ძალიან კარგად ცეკვავს ბაღდადურს. თავზე ბოთლს რომ დაიდგამს, გეგონება, დაალურსმესო. ეს ასაკოვანი კაცი ისე ჩაჯდება და ადგება, ბოთლი არ შეირხევა. იცეკვა კარლომ ლუდის ბოთლით. იქ ამბავი ატყდა, გაოცდებოდით. შვეიცარიაში გამოვდიოდით ოპერის თეატრში. საქველმოქმედო სპექტაკლი იყო. შემოსავალი ინვალიდებს უნდა გადასცემოდათ. გაიხსნა ფარდა. მილიონერების ბეჭდებმა და ყელსაბამებმა შემოგვანათა პარტერიდან. გასასვლელებში ინვალიდები სავარძლებით ჰყავდათ შემოყვანილი... დამთავრდა სპექტაკლი და ა-ლა-ფურშეტზე მოგვიწვიეს. იქ იყვნენ მილიონერებიცა და ინვალიდებიც. ერთ-ერთ დავრდომილთან მივედით, დავდექით და ვუმღერეთ ხალხური სიმღერები. სპექტაკლის მერე ამ სიმღერამ საერთოდ გააოგნა ხალხი. გაზეთებში დაიწერა, — ქართველები სიმღერით მკურნალები არიანო.

**— სიმღერის გარდა, რუსთაველის თეატრის მსახიობებს ნარდის თამაში ეხერხებათ თურმე.**

— მაგის დიდი ოსტატი იპოლიტე ხვიჩია იყო. იმან შემოიღო ნარდის თამაში... ერთხელ „ქუთათურებში“ სცენაზე ნარდი უნდა ეთამაშათ და ისეთ აზარტში შევიდნენ, ტექსტს აღარ ამბობდნენ ემანუილ აფხაიძე და იპოლიტე ხვიჩია. მე აზარტული თამაშებისაგან შორს ვარ...

**— თქვენ საათების შეკეთება გყვარებიათ.**

— ჰოდა, რომ აღარ მომასვენეს და რომ მხვდებოდა თეატრში ათი საათი მაინც შესაკეთებელი, უარი ვთქვი ბოლოს. გამოვაკარი განცხადება: სიბერით — სხვა რამესთან ერთად დავკარგე საათების კეთების უნარიც-მეთქი. არა მარტო საათების შეკეთება მეხერხება, ოჯახში ყველაფერს მე ვაკეთებ, ხელოსანი რომ მოვიყვანოთ, ეს ძალიან იშვიათად ხდება. გასტროლებზე რომ ვარ, თან მიგვაქვს მადუღარები, ჩაი, ყავა, რომ ფული დავზოგოთ და გროშები გადავარჩინოთ. ყველა სასტუმროში სხვადასხვანაირი შტეფსელი გვხვდებოდა და ჩემს კართან იდგა რიგი, რომ მადუღარების ჩამრთველები გადამეკეთებინა.

**— მოგზაურობაში ბევრი რამ არის სახალისო და საინტერესო.**

— ახლა რა გვიჭირს და, ადრე რომ მივდიოდით სადმე, მით უმეტეს, კაპიტალისტურ ქვეყანაში, დაგვიბარებდნენ ჩიტაძის ქუჩაზე. გამოვიდოდა პატარა გოგონა — ინსტრუქტორი და გვასწავლიდა, როგორ უნდა ვიაროთ ქუჩაში, როგორ დავლიოთ ყავა, ფულს რომ ვიპოვით, როგორ უნდა ჩავაბაროთ პოლიციას ან როგორ უნდა ამოვიკეროთ შარვლის ჯიბეები, რომ ვინმემ არ ჩაგვიგდოს ბომბი. აქ ქართულად ხომ გვამოძღვრავდნენ, არ ერიდებოდნენ ხარჯს, რომ მოსკოვში ჩავსულიყავით და იქ რუსულად ჩაეტარებინათ ინსტრუქტაჟი. ახლა გაიოლებულია ეს... აი, ზოგჯერ მატარებლით მივდიოდით საქართველოს ფარგლებში, ყველა პატარა ქალაქში პურმარილით გვეგებებოდნენ... ჩვენ რომ სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მივიღეთ, პრემია მოსკოვში გადმოგვცეს. 8 კაცი ვიყავით. ჩავფრინდით ჩვენი პურმარილით და ჩვენი დიასახლისებით. თვითმფრინავი გავავსეთ ხორაგით. პირველ დღეს ხომ ვიქეიფეთ ბანკეტზე, მეორე დღეს რამაზ ჩხიკვაძესთან და ნატაშასთან სასტუმროში მოვაწყვეთ ნამცეცობა. ამინდები გაფუჭდა, ფრენა არ იყო, არადა თბილისში გვქონდა სპექტაკლი დანიშნული. წამოვედით მატარებლით, წამოვიღეთ პურმარილიც. სოჭს რომ მივუახლოვდით, რამაზმა მითხრა: აიღე ახლა ყველაფერი და გადაყარე, სოჭში ახალი პურმარილი ვიყიდოთო. საბედნიეროდ, მე არაფრის გადაყრა არ ვიცი. მოვაგროვე ყველაფერი ყუთში და საბარგოში ჩავდე, ვიფიქრე, მერე გადავყრი-მეთქი. არ გაჩერდა მატარებელი?! თურმე წინ ავარია ყოფილა...

გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... ვდგავართ ტყეში... მოშივდა რამაზს. ბიჭო, არ გადაგვეყარა მაინც საჭმელიო, — წაიწუწუნა. აი, მაშინ გამოვაჩინე.

**— ბატონო ჯემალ, თქვენი ყურისგდება არ მოსწყინდება ადამიანს. დარწმუნებული ვარ, ოჯახის წევრებიც ასე არიან. თქვენი პროფესია კი ჯერჯერობით არავის აურჩევია ოჯახში.**

— ქალიშვილი — ნათია, პიანისტია, მყავს შვილიშვილი, სანდრო. ძალიან კარგად ცეკვავს, ერთხელ, ერთად ვსეირნობდით. ნახა, რომ ყველა მესალმებოდა, მეკითხებოდნენ, — როგორ ხარო... სანდრომ მითხრა, — ბაბუ, მე ღაღანიძე უნდა გამოვიდე, მინდა შენსავით მცნობდნენო...

სხვათა შორის, ბატონი ჯემალის შვილიშვილი, სანდრო მიკუჭაძე, აპირებს ბაბუის გვარიც მიიღოს და მის პროფესიასაც დაეუფლოს. ასე რომ, მალე გვეყოლება მსახიობი სანდრო მიკუჭაძე-ღაღანიძე.

ინტერვიუს შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა აზრი, რომ ბატონი ჯემალი ძალიან ჰგავს თავის გვარს, რაღაცნაირი სილაღე და ხალისი აქვს მთელ არსებაში გამჯდარი. რომ გელაპარაკება, თითქოს ღიღინებს თუ ღაღანებს... და, რაც მთავარია, არც ის წლები ეტყობა, რომლებიც მხრებით მოაქვს.

**ლელა ჯიყაშვილი**



CMYK

# დედას, რომელმაც ორჯერ მაჩუქა სიცოცხლე...

**ეს ამბავი ორი თუ სამი წლის წინ შევიტყვე. ძალიან ამაფორიაქა და იმდენად ღრმა კვალი დამიტოვა, რომ ამაზე დაწერასაც ვაპირებდი, მაგრამ ვერა და ვერ მოვაბი თავი, თითქოს სათქმელს სრულყოფისთვის მთავარი შტრიხი აკლდა, რომელსაც ვერა და ვერ ვაგნებდი...**

ორიოდე კვირის წინ კი ამ ამბის ერთ-ერთი მთავარი გმირი, დეიდა ანა, მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით... პატარაობიდანვე უამრავი სიკეთე მახსოვდა მისგან (მამიდაჩემთან მეგობრობდა). რა თქმა უნდა, დაკრძალვაზე მივედი.

...გამოსვენებამდე ნახევარი საათით ადრე უცნაური ფუსფუსი ატყდა ეზოშიც და სახლშიც, ხალხი ჩურჩულით გადასცემდა ერთმანეთს, — ის მოვიდა... ჩამოსულა... როგორ გაახარებდა ანას მისი დანახვაო...

ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა. სანამ 40-ოდე წლის ახოვანი მამაკაცი დარბაზში შემოვიდოდა, უკვე ვიცოდი, რომ ეს ზურაბი იყო, უჩვეულო ბედის კაცი — რუსეთში დიდი ბიზნესის პატრონი, რომელიც ნამდვილ სახელსა და გვარს გულდაგულ მალავს და ცდილობს გაემიჯნოს „შავ" წარსულს, თუმცა კი დღემდე ჭორაობენ, მისი ბიზნესიც საკმაოდ „შავია" და საეჭვოო...

ზურაბი — დეიდა ანას უცნაური შვილობილი და უსაყვარლესი ადამიანი იყო...

...კაცი ბავშვივით აქვითინდა, გარდაცვლილს შუბლზე ეამბორა და წარმოთქვა: „მაპატიე, დედა!.."

არ ვიცი, როგორ მეყო გამბედაობა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცს უკან გავყევი და ვუთხარი, მასზე ბევრი რამ ვიცოდი და დაწერასაც ვაპირებდი.

ჯერ იუარა, — ჟურნალისტებთან ურთიერთობა ჩემი საქმე არაა, მით უმეტეს, ასეთ პირადულზე ლაპარაკიო... ძლივს დავითანხმე — ანიკო დეიდას ხსოვნას მივუძღვნათ და მთელ ქვეყანას გავაგებინოთ, რა კეთილშობილი ქართველი ქალები ცხოვრობენ ჩვენს დროში-მეთქი...

...მეორე დღეს შევხვდით ერთმანეთს. დაახლოებით ორი საათი ვსაუბრობდით, ოღონდ რატომღაც დიქტოფონის ჩართვის უფლება არ მომცა, თავისი ხმის დაფიქსირება არ ისურვა, — მომისმინე და თუ მგრძნობიარე გული გაქვს, იმაზე მეტს დაიმახსოვრებ და მიხვდები, ვიდრე ეს ნებისმიერ დიქტოფონს შეუძლიაო!..

— დედა ანა... სწორედ რომ დედა ანა და არა დეიდა, ძალიან პატარამ გავიცანი, სამი წლისაც არ ვიყავი მაშინ. მეზობლად ვცხოვრობდით. მაშინ არც მაგათ ჰქონდათ დიდი ქონება, ოროთახიან „ხრუშჩოვკაში" ცხოვრობდნენ, ჩვენ კი მათ გვერდით — ერთოთახიან ბინაში. დედა რუსი მყავს და სამწუხაროდ, დიდი ზნეობით არ გამოირჩეოდა. მამა ცდილობდა მის გამოსწორებას და ოჯახისკენ მობრუნებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამიტომ ლოთობა დაიწყო. დედას სცემდა კიდეც... ძალიან მეშინოდა და ვტიროდი. დედ-მამას, როგორც ჩანს, საკუთარი თავი ადარდებდა და მე ნაკლებად ვენაღვლებოდი. არც ჩემს ტირილს აქცევდნენ მაინცდამაინც დიდ ყურადღებას. ანას კი დანასავით უსერავდა თურმე გულს ჩემი ხმა, ერთხელაც ვერ მოითმინა და კარზე ბრახუნი ატეხა. როცა დაბნეულმა მამამ კარი გააღო, ქალმა ხელი ჰკრა, განზე გასწია და მე ამიტაცა, — ბავშვს როგორ კლავთ, თქვე უსინდისოებოო!..

ანას ორი მოზრდილი ქალიშვილი ჰყავდა, 14-16 წლისები მაინც იქნებოდნენ,



დედამისივით კეთილები. უმცროს ძმასავით მიმიღეს, თან მყვებოდნენ. სამი დღე არც მომიკითხეს მშობლებმა, არ ვიცი, რას ფიქრობდნენ. მერე ანას ქმარი მკაცრად ელაპარაკა მამაჩემს. ბუნებრივია, ვერც მივხვდი, რა უნდოდა, ისევ მეშინოდა და ვტიროდი.

მშობლებმა წამიყვანეს და ცდილობდნენ აღარ ეჩხუბათ, მაგრამ... ისევ დათვრა მამა, ისევ დაიგვიანა გამთენიამდე დედამ და... რამდენჯერმე ჩაარტყა დანა ჩემ თვალწინ მამამ გვიან მოსულ დედას. სისხლის დანახვაზე თითქოს დავმუნჯდი, ტირილიც ვერ გავბედე...

მამა დააპატიმრეს. დედა გადარჩა. სანამ საავადმყოფოში იყო, სულ ანასთან ვიყავი, თავისი შვილების სითბოს და ლუკმას მიყოფდა...

მერე კი უქმროდ დარჩენილმა დედაჩემმა აიშვა და მისი ორგიების მოწმე ვიყავი... ანამ, მილიციაში განვაცხადებ და წაგართმევ ბავშვსო! — გააფრთხილა დედა. მაგრამ ის მაინც თავისას აგრძელებდა. ბოლოს, მეზობლების დაჟინებული მოთხოვნით, დედაჩემს დედობის უფლება ჩამოართვეს და მე ბავშვთა სახლში გამამწესეს. ანა ბევრს ეცადა, რომ თავისთან წავეყვანე აღსაზრდელად, მაგრამ უარი უთხრეს — კანონი ასეთ რამეს არ ითვალისწინებსო!..

მშობელ დედას ერთხელაც არ მოუკითხავს ჩემთვის. დედა ანა ყოველდღე მოდიოდა და შაბათ-კვირასაც შინ მივყავდი. მაინც დამემსხვრა ბავშვობა და სისასტიკე ჩამისახლდა სულში...

მერე მამა გაათავისუფლეს და ბავშვთა სახლიდან წამომიყვანა, შორეულ მთის სოფელში ვიზრდებოდი ბებია-ბაბუასთან, რომლებიც მანამდე არასოდეს მენახა...

ორჯერ გამოვიპარე და მილიციამ დამაბრუნა შინ. მერე სრულწლოვანიც გავხდი და ველარ მომერივნენ, მამაც დაიღალა ჩემთან ჭიდილში და... ქუჩამ შემიკედლა...

**— დეიდა ანასთან არ მიხვედით?!**

— ძალიან მენატრებოდა, მაგრამ ვერ გავბედე, მეგონა, არ ვემახსოვრებოდი, თანაც გავიგე — საკუთარი სახლი აიშენეს ქალაქის სხვა უბანშიო...

**— ბედისწერამ კი მაინც შეგახვედრათ...**

— ჰო, ფული მინდოდა, რომელიც ჩემი თაობისთვის ძნელად მისაწვდომი აღმოჩნდა, მით უმეტეს, პატიოსანი გზით და ხერხებით და... ბანდა შევკარით, რომელსაც „არსენას სამართალს" ვეძახდით: მდიდრებს ვართმევდით, წილს ღარიბებს ვაძლევდით!..

**— და ასე მიადექით ერთ მშვენიერ დღეს დეიდა ანას სახლს...**

— მე არ ვიცოდი, რომ ეს მისი სახლი იყო, არც ის, რომ მისი სიძე კი ის ბიზნესმენი, რომლის ქონებაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ... ნიღბები გვეკეთა... შინ ქალები და ბავშვები დაგვხვდნენ, დედა ანა იმიტომ ვერ ვიცანი, რომ ჩემს შესვლამდე გაეკოჭათ ბიჭებს და პირიც აეკრათ. ქონებას მისი ქალიშვილისგან ითხოვდნენ, რომელიც ისე შეცვლილიყო და დაქალებულიყო, მართლა ვერ ვიცანი... ბავშვები ისე კიოდნენ, ნერვები დამაწყდა და ვიყვირე, — გაჩუმდით, თორემ დაგხოცავთ-მეთქი და არც ვიცი, რატომ, ნიღაბი მოვიგლიჯე — არაფერს გერჩით, ფული და ოქრო მოგვეცით და წავალთ-მეთქი!..

ჩემი ნიღბის მოხსნისთანავე საწოლზე მიბმულმა ქალმა შეშლილი თვალებით შემომხედა, აშკარად ცდილობდა რაღაცის თქმას. ვერ მოვითმინე და პირიდან სახვევი ავაცალე. დაიკივლა, — შვილო, ზურიკოო და გული წაუვიდა...

ადგილზე გავშეშდით ყველანი...

სიკვდილი ვინატრე.

ბიჭებს ვუთხარი, — დედაა ჩემი, მომკალით, დამახალეთ ტყვია-მეთქი!..

დაყარეს ნაძარცვი და უხმოდ გალაგდნენ გარეთ.

...თბილ ლოგინში ჩამაწვინა დედა ანამ. მთელი ღამე მეფერებოდა, მეხვეწებოდა, — თუ ისევ ამ გზით აპირებ სიარულს, ცოცხალს ნუ დამტოვებო, საკუთარი თავი დამაფიცა...

...თუ „შავ სამყაროს" განვუდგებოდი, საქართველოში არ მეცხოვრებოდა. დედა ანას სიტყვის წინაც ვერ წავიდოდი და ამიტომ გადავიხვეწე რუსეთში. ფული მისმა სიძემ მომცა და ბიზნესის ანაბანაც მასწავლა... ჩემს ქორწილში დედად გაეცნო ჩემი ცოლის ნათესავებს. ჩემს შვილებსაც დღემდე ბებია ჰგონიათ. წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა ჩვენთან, ზაფხულში ბავშვებს ვაგზავნიდი საქართველოში!.. დედა ანა ჩემი იმედი იყო. აწი როგორ უნდა ვიცხოვრო! მაგრამ ერთი კი ვიცი, კიდევ უფრო სუფთა და ალალი უნდა გავხდე!..

**— ნამდვილი მშობლები, ბატონო ზურაბ?!**

— ჩემთვის დიდი ხანია მკვდრები არიან, არ ვიცი, სად არიან და რას აკეთებენ, არც მაინტერესებს!..

...ანას საფლავის ქვაზე ბატონმა ზურაბმა ასეთი წარწერა გააკეთებინა: „დედას, რომელმაც ორჯერ მაჩუქა სიცოცხლე!" — ამ ორიდან ერთი დაბადება, უეჭველია, მაშინ მოხდა, ქურდულ სამყაროს რომ გამოსტაცა უკეთილშობილესმა ქალმა გზააბნეული ახალგაზრდა!

პირველი კი... არ ვიცი, რომელი იყო პირველი და არცა აქვს ალბათ მნიშვნელობა. მთავარი უკვე ითქვა: საოცარია ქართველი ქალის ფენომენი!..

***ინგა ჯაყელი***

# გამარჯობა, ჯული!

## ჩემი მეტსახელის გაგონებამ ოცდაათი წლის წინანდელ სიყვარულთან შემაფეთა...



ეს წერილი, როგორც ოდესღაც, მაგნოლიის ფოთოლზე ვერ დაეტევა. მაშინ სხვა დრო იყო. ფოთოლზე დაწერილი ბარათების ფოსტალიონებიც თვითონვე ვიყავით და თავს მოვალედ ვთვლიდით, თითო ბარათი ყოველდღე მიგვეწერა ერთმანეთისათვის. დიდი ხანია ამგვარი ბარათი არ მიმიღია შენგან. დაკარგული მეგონე და ყველაფრის დავიწყებას ვცდილობდი, მაგრამ ვერ შევძელი... ან რა დამავიწყებდა თებერვლის იმ სუსხიან დღეს. შენ, პატარა, კაფანდარა გოგო, კარში გაჩხერილი ცალი ფეხით რომ დაგითრია ტროლეიბუსმა და რომ არაფერი დაგშავებოდა, ხელში აყვანილს მიგარბენინებდი ტროლეიბუსის კვალდაკვალ, ვიდრე გამვლელების განგაშზე გააჩერებდა მისი ცხვირგალურჯებული მძღოლი. მერე დიდხანს გიზელდი ნაღრძობ ფეხს და რაკი დაბიჯება არ შეგეძლო, კვლავაც ხელში აგიყვანე და ფრთხილად, ხელის კანკალით ჩაგსვი ტაქსიში. თავი კი რატომღაც არ გამაცილებინე. მერე ჩვენ წლების განმავლობაში ვმეგობრობდით და ისიც არ გითქვამს, სად ცხოვრობდი — ასე აჯობებსო, — მითხარი ერთხელ და აღარც მოგძალებივარ. იმითაც კმაყოფილი ვიყავი, რომ ჩემი უხეირო რუსულით შენთან საუბარი სულაც არ მეუხერხულებოდა, რადგან უკეთესად არც შენ მეტყველებდი ამ ორივესათვის უცხო ენაზე. თუმცა სიყვარულს რად უნდა ენის ცოდნა, სიყვარული მუსიკასავითაა და ყველა ენაზე გასაგებია. შენი ნათქვამი — მე მოსკოვიდან წავალ და ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებითო, — მაშინ სასაცილოდაც არ მყოფნიდა. მეგონა, ხუმრობდი და მეც ხუმრობითვე გპასუხობდი — მთელ ვილნიუსს გადავაბრუნებ და მაინც გიპოვი. ხომ იცი, ჩემი ხელობა ადამიანების ძებნაა და მოსკოვშიც ასე ხშირად ამის გამო ვარ-მეთქი. თუმცა, შენ ისიც იცოდი, რომ მეტწილად უფრო შენთვის მოვიჩქაროდი საბჭოეთის დედაქალაქში.

მართლა რა ბრმა ყოფილა სიყვარული, ჯული. მე, პროფესიონალ მაძებარს, ერთხელაც არ მიცდია, უფრო მეტი გამეგო შენზე ან, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, არ მიკადრებია შენს პირად ცხოვრებაში კირკიტი და იმით ვკმაყოფილდებოდი, რომ ვიცოდი, ლიტვის წარმომადგენლობაში მუშაობდი და დიდ უხერხულობას შეგიქმნიდა ჩემი იქ მოსვლა ან დარეკვა. ამისათვის შენი დაქალი ნადია ირჯებოდა და დღემდე უსაზღვროდ მადლობელი ვარ მისი. მე, ქართველს, ბუნებით კონსერვატორს, ისიც მაძლევდა ხელს, რომ გადაჭარბებულ კონსპირაციას იცავდი და ამას სახელის გაფრთხილებად გითვლიდი. მერე ერთ საღამოს, ჩვეულებრივად თვალცრემლიანი გამომეთხოვე და მაშინ პირველად მომესმა შენგან ასე შემზარავი სიტყვა — მშვიდობით. თუმცა ეს მხოლოდ შენი დაკარგვის შემდეგ გავაცნობიერე და მისი სიმძიმის მნიშვნელობაც მაშინ გავიგე, როცა უკვე გვიანი იყო. ვერ შეგისრულე დანაპირები, ვერ გიპოვე, თუმცა ვილნიუსი კი არა, მთელი ლიტვა გადავაბრუნე. ისიც კი ვიკადრე, რომ ჩემი მაშინდელი სამსახური გამოვიყენე და ოფიციალურად გავაფორმე შენი ძებნის საქმე. მაშინ რომ გაეგოთ, ამისათვის აუცილებლად დამიჭერდნენ.

მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა და წუხანდლამდე მაწუხებდა იმის განცდა, რომ ადამიანები ალბათ ასე უბრალოდ არ ტოვებენ ერთმანეთს. ვეძებდი მიზეზს, მაგრამ ჩემში საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინე. არც შენი დადანაშაულება მიცდია ოდესმე. მადლობელი ვარ, ამდენი ხნის შემდეგ რომ მაინც გაირკვა მიზეზი. მართალია, ამაზრზენი და დაუნდობელი, რომელმაც, საუბედუროდ, მარტო ჩვენ როდი გაგვწირა. კიდევ კარგი, ბოლოს და ბოლოს, დაინგრა ის ბოროტების იმპერია, რომელიც მარტო სიყვარულს კი არა, ოჯახებსაც შუაზე ხლეჩდა. მას შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი აირია საქართველოში. ბევრმა აქაურ სიდუხჭირეს ვერ გაუძლო და უცხოეთში გადაიკარგა. მათ შორის იყო ჩემი მეგობარი გურამი და მისი ოჯახიც. მათ, სხვებისაგან განსხვავებით, გაუმართლათ და ამერიკაში საშიმშილოდ განწირულთ ვიღაც ქართველებისადმი კეთილგანწყობილმა ქალბატონმა შეაშველა ხელი და ახლა საკუთარი სახლი აქვთ ნიუ-იორკის გარეუბანში...

გუშინწინ დამირეკა გურამმა — ხვალ ახალსახლობას ვზეიმობ და ერთადერთი ამერიკელი, ჩემი ოჯახის გადამრჩენელი ქალბატონი მეყოლება სტუმრადო. წუხელაც დამირეკა და რადგან შენ მის ქართულს ვერ გაიგებდი, ნება მიბოძე გადაგითარგმნო:

— ბიჭო (რაღა დროს ჩემი ბიჭობაა), შე ბემურაზო, რა ამბავია, ამერიკაშიც კი ჩემს ოჯახში უშენოდ სიტყვა ვერ მომიბრუნებია. ეს ჩემი დამსახლებელი ქალბატონი, ვიდრე სუფრას მივუსხდებოდით, საოჯახო ალბომს ათვალიერებდა და უცებ ისე იკივლა, — ეს ვინააო, გული გადამიქანდა. მერე დავამშვიდე — წესიერი კაცია, ჩემი მეგობარი გახლავთ-მეთქი. მან კი სურათი გულში ჩაიკრა და აცრემლებულმა დაიჟინა, — შენი მეგობარი კი არა, ჩემი ჯინოაო...

გულახდილად გეტყვი, ვიდრე ჩემი ადრინდელი მეტსახელი არ გავიგონე, რომლითაც მხოლოდ შენ მიხმობდი, მანამდე ბურანში ვიყავი — რა ქალი, რის ამერიკა! მე რა შუაში ვარ-მეთქი, მაგრამ იმ ერთადერთმა სიტყვამ ერთბაშად ოცდაათი წლით უკან, ჩემს ახალგაზრდობაში დამაბრუნა და საბოლოოდ ახადა ფარდა შენი გაუჩინარების საიდუმლოს.

ახლა ვიცი, რომ დამინდე, რადგან მაშინდელი რეჟიმი უეჭველად გამსრესდა ამერიკელ გოგონასთან მეგობრობისათვის, რომელიც იმხანად თურმე მოსკოვში, მისი ქვეყნის საელჩოში მუშაობდა. ვიცი, რომ შენი ლიტველობაც მოგონილი იყო და მეც ტყუილად მიძებნიხარ ვილნიუსის ვიწრო ჩიხებში და ამის გამო, განცდილი ტკივილის მიუხედავად, მაინც ღმერთის მადლობელი ვარ, რადგან არსებობ და მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მომაწვდინე შენი ხმა.

ან იქნებ სულაც არაა დაგვიანებული, ვინ იცის, ვნახოთ...

***ვაჟა გავაშელი***


# „თესისი"

**ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, რომელშიც დაარსების დღიდან პირველ კურსზე სწავლა უფასოა**

**მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან**

***გარდა ამისა:***

- **ფრიადოსნებს ენიშნებათ *სტიპენდია;***
- **გაიცემა სახელმწიფო *დიპლომი;***
- **კომპიუტერზე მუშაობის დამადასტურებელი *სერტიფიკატი***

**ინსტიტუტში სწავლის ვადა: იურიდიული, ეკონომიკის, ჟურნალისტიკისა და უცხო ენების სხვადასხვა სპეციალობებზე ხუთი წელია**

**მის: თბილისი, ვაკე, ფალიაშვილის 42**

**☎ 25 15 61; 899 19 05 26**


CMYK

# ბევრი პროფესიონალი მოჭიდავეც გამიგორებია ძირს...



თურმე შეიძლება არ იყო ჯუჯა, მაგრამ გეძახდნენ „ჯუჯას“ და გსიამოვნებდეს კიდეც... ჩვენში დღემდე ძალიან უყვართ ჯუჯის კვალობაზე საკმაოდ ტანმაღალი „ორი ჯუჯა“, პიტად ქცეული მათი სიმღერაც ისევ პოპულარულია. მთავარია სამი რამე დედამიწაზე: „სიყვარული, სიკეთე და სილამაზე...“ გაგახსენდათ არა? „თოვლის ბებოს ზღაპარი“ და ორი ძალიან საყვარელი ჯუჯა — პოპულარული „ივერიელები“ ნუგზარ კვაშალი და ვახო ტატიშვილი, რომლებიც თურმე ერთხანს ისე შესულან როლში, რომ კინაღამ ნამდვილ ჯუჯებს დამსგავსებიან, როგორ? ისე, როგორც ბატონი **ნუგზარ კვაშალი** იგონებს:

— „თოვლის ბებოს ზღაპრის“ პრემიერის შემდეგ, დღეში ზედიზედ ოთხ კონცერტზე ვმასპინძლობდით მაყურებელს, რომელთა უმრავლესობა ბავშვები იყვნენ, უმცირესობა კი მათი გაბავშვებული მშობლები, ბებია-ბაბუები ან დეიდა-მამიდები და ა.შ. ანტრაქტზე დასვენების ნაცვლად მეორე სამუშაოს ვიწყებდით — უზარმაზარი რიგი იყო გაჭიმული. „ჯუჯებთან“ ფოტოების გადაღების მსურველი ნორჩების თვლა არ იყო. საღამოს მე და ვახო არაქათგამოცლილი ვბრუნდებოდით შინ. მეორე დღეს იგივე მეორდებოდა. ყველა გვეუბნებოდა: რა გჭირთ? — სიმაღლითაც, „გაბარიტებითაც“, საქციელითაც მართლა ჯუჯებს ემსგავსებითო. მართალი იყო. იმ არნახულ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ვერ გავუძლებდით, ბოლომდე რომ არ შევსულიყავით როლში.

**— მგონი სულ მალე ჯუჯობის იუბილე გიწევთ არა?**

— ამ ამპლუაში სცენაზე პირველად 18 წლის წინ გამოვჩნდით. ორი წელიც და თარიღი დამრგვალდება. ამბობენ, ჯუჯებს ასაკი არა აქვთო. არც მე და ვახოს გვაქვს ასაკი. ის სულ ბავშვობისკენ დაბრუნებას ცდილობდა და ცდილობს, მე კიდევ 8 წლისა ვიძახდი — 14-ისა ვარ-მეთქი და სულ უფროსებისკენ მიმიწევდა გული.

**— საიუბილეოდ არაფერს გეგმავთ?**

— არ არის გამორიცხული „ჯუჯების“ „პაპა კარლომ“ — ჯემალ ბაღაშვილმა რაღაც მოიფიქროს. ფანტასტიკური დრო იყო „ჯუჯების ეპოქა“. ერთ დღეს, გაგანია კონცერტების დროს გავხდი ავად, მივედი ექიმთან და 32 წლის კაცს ჩუტყვავილა აღმომაჩნდა. ჩანს, ჩახუტებისა და ალერსის დროს, რომელიღაც ბავშვმა გადამდო. არ მინდოდა უზომოდ მოსიყვარულე მაყურებლის გაწბილება და სცენაზე სულ სიმღერ-სიმღერით „მოვიბატონე“. ჯუჯები მხიარულების სიმბოლოდ იქცნენ „თოვლის ბებოს“ შემდეგ, თუნდაც სმოკინგი გვცმოდა, საკმარისი იყო წითელი ცხვირები გაგვეკეთებინა, რომ ირგვლივ მყისვე ისადგურებდა მხიარულება.

**— ახლახან „ივერიამ“ იუბილე იზეიმა, რამაც კიდევ განამტკიცა შთაბეჭდილება, რომ „სიყვარული, სიკეთე და სილამაზე“ „ივერიელების“ დევიზია. ეს ანსამბლი მგონი ერთიანობის შესანიშნავ მაგალითს იძლევა.**

— მგონი კი არა, მართლა ეგრეა. ერთმანეთის გვერდში დგომა ძალიან დიდ ძალას გვაძლევს. ამის გამო ვართ მაყურებლის სიყვარულით განებივრებული. მახსოვს „თოვლის ბებოს ზღაპრის“ 102 კონცერტზე ერთსა და იმავე რიგზე, ერთსა და იმავე სკამზე ჰქონდათ მაყურებლებს ბილეთი და ზეპირად ვიცოდით, ვინ სად იჯდა დარბაზში.

**— „ჯუჯების“ ცხვირებს მგონი რაღაც ისტორია უნდა ჰქონდეს.**

— თავიდან ვახომ მაგიდის ჩოგბურთის ბურთები ამოხვრიტა და გავიკეთეთ. ძლივს ვსუნთქავდით, ოდნავ წკიპურტი საკმარისი იყო, რომ ცხვირი გაგვქროდა. მერე „ივერიის“ ბალეტმეისტერმა ჩამოგვიტანა ორი შესანიშნავი „ცხვირი“ უცხოეთიდან. სასწაული ძალა აქვს თურმე „წითელ ცხვირებს“. მე და ვახომ „კალპაკიანი“ ქუდები რომ დავიხურეთ და ცხვირები გავიკეთეთ, მაშინვე დავრწმუნდით „ჯუჯების“ ჯადოსნურ მიმზიდველობაში.

**— თქვენ, უამრავი ბავშვისთვის სიხარულის მიმნიჭებელს, თურმე ბავშვობა არც გინდოდათ.**

— ბაღში არ დავდიოდი. ბაბუა არ მიშვებდა. პირველი კლასიც არ მახსოვს. თავი მახსოვს მერვე კლასიდან, გიტარის პირველი აკორდები და პირველი კონცერტი...

**— „ივერიაში“ როგორ მოხვდით?**

— ყველა ნიჭიერ კაცს ეძახდნენ. მეც დამიძახეს. ანსამბლ „ციცინათელაში“ ვიყავით მე, ჩემი სიძე — დათო აბულაძე და თემურ წიკლაური მეუღლითურთ. დაიშალა ჩვენი ანსამბლი. მე უმაღლესში ჩავაბარე, დანარჩენები „ივერიაში“ წავიდნენ. მეც მაშინ მტაცეს ხელი. ოთხი წლის იყო მაშინ „ივერია“. 32 წელია, აქ ვარ და ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლებოდა ცხოვრება მის გარეშე.

**— ბატონო ნუგზარ, ტელესერიალში „ძილის წინ“ კვაშალები თქვენი „ნათესავები“ ხომ არ არიან?**

— ოთარ შამათავა, ვინც მისი გადაღება დაიწყო, ჩემს ძმასთან სწავლობდა თეატრალურ ინსტიტუტში. ოთარმა ჩვენს გვარს დიდი პოპულარობა გაუწია. ყველას ჰგონია, რომ ჩვენზეა ლაპარაკი, მეკითხებოდნენ კიდეც. მეც ვეთანხმებოდი: კი, ჩვენ ვართ ის კვაშალები-მეთქი. ძალიან მინდა კვაშალები მდგმურებად ჩაუსახლდნენ ცერცვაძეებს და ჩვენი სახით გამოჩნდნენ ეს უჩინარი მეზობლები...

**— როგორც ვიცი, მოსკოვში მიდიხართ რუსულ „ჩხიკვთა ქორწილში“ მონაწილეობის მისაღებად.**

— იქაც ბუს როლში ვიქნები. ულამაზესი სპექტაკლი კეთდება „ივერიისთვის“. ეს არის კიდევ ერთი გამარჯვება. „ჩხიკვთა ქორწილის“ შემდეგ „ფიროსმანის“ პრემიერაც გაიმართება დარბაზ „როსიაში“. „ფიროსმანში“ „ივერიის“ სრული შემადგენლობა ვიქნებით, „ჩხიკვთა ქორწილში“ კი რუსები უფრო მეტნი არიან. თავიდან არწივი რა თქმა უნდა, თემური იქნება, მერე რუსი გააგრძელებს.

**— ბატონო ნუგზარ, სხვა „ივერიელებივით“ თქვენც დადიოდით კარატეზე?**

— აბა, ცხვირ-პირი გვქონდა ვარჯიშის დროს დამტვრეული. სერიოზულად ვვარჯიშობდით. 2 მეტრის სიმაღლეზე შემეძლო ფეხის გარტყმა. სპარინგებში პროფესიონალი მოჭიდავეები შემოდიოდნენ ჩვენთან და ბევრი გაგვიგორებია ძირს.

**— ბატონო ნუგზარ, შეიძლება დავიჯეროთ, რომ თქვენთვის მარტო სიმღერა და „ივერია“ ყველაფერი, სხვა არაფერი გაინტერესებდათ?**

— ჩემს ოჯახში ყველა იურისტი იყო და ჩემგანაც იგივე უნდოდათ. ამიტომაც მომიყვანეს უნივერსიტეტამდე, მაგრამ ღმერთს არ უნდოდა ჩემი ამ გზით წასვლა, ისტორიის გამოცდაზე ჩავიჭერი, ამის შემდეგ გავწიე თეატრალურში, მერე კიდევ ხუთი უმაღლესი სასწავლებელი მოვიარე. ბოლოს დავამთავრე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიით და ჩემი სპეციალობა უცხოეთში გასტროლებზე გამოვიყენე. უნივერსიტეტში ძველი რუსული ენის სპეციალისტი მაფრთხილებდა, თუ არ ისწავლი, შევარდნაძემაც რომ დამირეკოს, ნიშანს არ დაგიწერო. ვისწავლე კიდეც და ოთხიანიც მივიღე გამოცდაზე. ძველი რუსულის ცოდნას პოლონეთსა და სხვა სლავურ ქვეყნებში ჩინებულად ვიყენებდი. თუმცა ახლა აღარც მახსოვს...

*ეკა ლომიძე*

3 აგვისტო კვირა

2 აგვისტო შაბათი

1 აგვისტო პარასკევი

31 ივლისი ხუთშაბათი

30 ივლისი ოთხშაბათი

29 ივლისი სამშაბათი

28 ივლისი ორშაბათი



# ცუცას ანტიპოდი — „ალენ დელონი შეიძლება ერთ წელიწადში მომწყინდეს“



ახლობელმა დამირეკა — გაიგე, ცუცა რომ გათხოვდაო. — რომელი ცუცა-მეთქი, — ვიკითხე გაოცებულმა. პასეანსელი ცუცა გათხოვილა. მისი „პადელნიკი“ ირინაც... პასეანსელები დიდ ქორწილს იხდიანო — მიპასუხა „ინფორმატორმა“. მეც გულმოცემულმა — არიქა, ეგებ ექსკლუზივს გამოვკრა ხელი-მეთქი, ინფორმაციის „მთავარი გმირები“ მოვძებნე, მაგრამ გაწბილებული დავრჩი... „ექსკლუზივი“ კეთილი ჭორი აღმოჩნდა. ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ცუცა თვალის დახამხამებაში სადღაც გაქრა და პასეანსელ „ნატაშკას“ — **ირინა შაჟულაშვილს** საუბარი გავუბი:

**— მართლა პასეანსელი ძმები „ბლოკავენ“ თქვენს საქმროებს თუ ჯადოსნურ პრინცს ელით?**

— არავინ არ გვბლოკავს. პირიქით, თუ ვინმე მომწონს, პირველად პასეანსელებს ვაცნობ. ვთვლი, რომ ჩემი რჩეული მათი მეგობარიც უნდა იყოს, ჩვენი ლამაზი „ოჯახის“ სიამტკბილობა რომ არ დაირღვეს. არც პრინცზე ვფიქრობ. პრინცმა პრინცესა უნდა შეირთოს. ვოცნებობ მასზე, ვინც მეყვარება. და ვეყვარები, დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს.

**— ბინა, აგარაკი, მანქანა, ფული, ლამაზი, მომხიბვლელი გარეგნობა არ გაინტერესებთ?**

— არა, როცა სილამაზეზე ლაპარაკობენ, სასაცილოდ არ მყოფნის. გაივლის წლები, ქარს გაჰყვება სხეულის სილამაზე, მაგრამ მშვენიერებას, რომელიც სულიდან, ადამიანის შინაგანი სამყაროდან მოდის, ვერაფერი გააფერმკრთალებს. მე ვოცნებობ ოჯახის შექმნაზე, სადაც ბედნიერი ვიქნები და არა ალენ დელონზე, რომელიც შეიძლება ერთ წელიწადში მომწყინდეს.

**— მოლოდინი ხომ არ გაგიგრძელდათ?**

— სულაც არა, ჯერ მხოლოდ 31 წლის ვარ. როცა რაღაცის მოლოდინი მიჩნდება, ვგრძნობ, რომ აუცილებლად ამისრულდება. არ უნდა დაგვავიწყდეს ბედიც, რომელიც დაბადებიდან დაგვყვება. ალბათ ბედის საქმე იყო ჩემი გაჩენაც. მშობლები იმედგადაწურულები რომ იყვნენ, სწორედ მაშინ, ქორწინებიდან 10 წლის თავზე გავჩნდი, თანაც 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს. მჯერა, ღმერთი და წმინდა გიორგი არ მიმატოვებენ.

**— თქვენი გარეგნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სლავს უფრო ჰგავხართ.**

— დედა მყავს უკრაინელი. ძალიან მორცხვი ქალია. დღემდე თავს უხერხულად გრძნობს, რომ გამართული ქართულით ვერ ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ისე ღრმად აქვს გამჯდარი ჩვენი ტრადიციები, ბევრ ქართველს „გადააუჯოკრავს“.

**— ქართული ენა ოჯახში ისწავლეთ თუ სკოლაში დაეუფლეთ ასე კარგად?**

— „პასეანსში“ ვისწავლე. როგორც ყველა პასეანსელი, მეც „გეპეიში“ ვსწავლობდი. როცა „პასეანსი“ შეიქმნა, ცუცას ანტიპოდის ძებნის დროს არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. დღემდე ძალიან კმაყოფილი ვარ. არაჩვეულებრივი მეგობრები შევიძინე, რომლებიც სიცილით იხოცებოდნენ ჩემი ქართულის გამო. ასე სიცილ-ხარხარში კი მაგრად გავიწაფე.

**— ახლა შემოქმედებითი პაუზა გაქვთ, მგონი...**

— დიახ, იყო შემოთავაზებები, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებ. რაღაც სასიამოვნოს მოლოდინში ვარ.

**— საქართველოდან წასვლას ხომ არ აპირებთ?**

— სადაც ვიყავი, ვერსად გავჩერდი, ვერსად მოვერგე გარემოს. სამშობლოსთან მაგიური ძალა მაკავშირებს. მისგან შორს ყოფნა არ შემიძლია. კიევში დავიბადე და 9 დღის ვიყავი, როცა საქართველოში ჩამომიყვანეს. ახლა ველარ შეველევი.

**— ე.ი. იცხოვრებთ საქართველოში, ცოლად წაჰყვებით ქართველს, გადაიხდით ტრადიციულ, დიდ ქორწილს, ჩაიცმევთ ულამაზესი თეთრი კაბა და გაზრდით ქართველ შვილებს.**

— ძალიან მინდა ყველაფერი ასე იყოს. მაგრამ დიდი ქორწილი დიდი ფუფუნებაა, ამის საშუალება მე არა მაქვს. თაფლობის თვეს ალბათ მოგზაურობაში გავატარებ, ამით უფრო გავილამაზებ ცხოვრებას, ქორწილს მაინც გადავიხდი, მაგრამ ვიწრო წრეში. არაფერს ვგეგმავ, რადგან მწამს, რომ ბედნიერება ყოველთვის დაუგეგმავად მოდის.

**— პასეანსელებზე რას იტყვით, რას გაიხსენებთ ლამაზი წარსულიდან?**

— ჩვენ შესახებ ის ხალხი უფრო გაიხსენებს, ვინც გარედან გვიყურებდა, თორემ ჩვენ უზომო მხიარულებაში არც გვამახსოვრდებოდა სიცელქე. თითოეული პასეანსელი თავისებური, საინტერესო ადამიანია. მათზე საუბარს დიდი დრო დასჭირდება. აი, მაგალითად, ცუცა ყველგან ცუცაა, არაორდინარული, ორიგინალური და ექსტრავაგანტური. უცნაური ვინმეა.

**— ირინა, ერთხელ ხმები დაყარეს „კიჭა“ და „ნატაშკა“ საყვარლები არიანო.**

— სასაცილო ჭორია. ეს იმ ჟურნალისტმა გაავრცელა, რომელსაც ჟურნალის გასაყიდად მეტის მოფიქრება არ შეუძლია.

**— საზოგადოებამ ხომ არ დაგივიწყათ?**

— პირიქით. ბაზარში თუ ისევ გცნობენ, ე.ი. ისევ პოპულარული ხარ, ეს ხომ ის ადგილია, სადაც ხალხს ყველაზე ნაკლებად სცალია ეკრანისათვის. ძალიან მიყვარს ბაზარში სიარული. განსაკუთრებით მაშინ, თუ ფული ბლომად მაქვს და ყველაფრის ყიდვა შემიძლია. დიასახლისობაც მსიამოვნებს, გემრიელ საჭმელებსაც ვამზადებ...

*ეკა ლომიძე*




ქართველები მიეკუთვნებიან იმ უძველეს ხალხთა რიცხვს, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი პირველი ომების ქარცეცხლიდან დაუდეს სათავე საკუთარი საბრძოლო ხელოვნების ისტორიას.

ომებით ერის გამოცდა ყველაზე სასტიკი გამოცდაა თვითგადარჩენის თვალსაზრისით. მრავალი ხალხი და სახელმწიფო აღგვილა პირისაგან მიწისა ამ „შემოწმების" შედეგად. საქართველომ გაუძლო ისტორიის უმკაცრეს გამოცდას, უფრო მეტიც, — გმირული ფურცლები შემატა მსოფლიო საბრძოლო ხელოვნების მატიანეს.



უცნობი ხევსური ბერი ფარით და დაშნით

უნდა ივარჯიშოს ქართველმა კაცმა საბრძოლო ხელოვნებაში თუ არა?! ანუ

„ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს"

ილია ჭავჭავაძე, „ერი და ისტორია," 1888 წ.

# ომებით ერის გამოცდა ყველაზე სასტიკი გამოცდაა...

ქართველი კაცის, როგორც მებრძოლის აღიარების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ფაქტია, მისთვის მოწინააღმდეგე ტომებისა და ხალხების მიერ შერქმეული სახელი "გურჯი", რომელიც ნიშნავს "მებრძოლს", ხოლო საქართველოს მტერი "გურჯისტანს" ეძახდა...

ქვეყნის გმირულ წარსულს თანამდევად გასდევს ქართველი კაცის არა მარტო ზეადამიანური გმირობა, თავგანწირვა, არამედ მის მიერ ოსტატური ფლობა საბრძოლო ხელოვნებისა: იარაღისა თუ სტრატეგიისა.

სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო: მხოლოდ საბრძოლო საშუალებათა მაღალ დონეზე დახვეწა, განვითარება და შესისხლხორცება იყო მიზეზი მტრის იმ მრავალრიცხოვან ურდოებთან წარმატებული ომებისა, ქართველი ერი რომ აწარმოებდა საუკუნეების მანძილზე.

არ შეიძლება მეომარმა მოიგოს ბრძოლა მხოლოდ შიშველ გულადობასა და თავგანწირვაზე დაყრდნობით იქ, სადაც მოწინააღმდეგე ცოცხალი ძალით ათჯერ აღემატება. არადა, ისტორიამ იცის მრავალი ფაქტი ქართველთა ლაშქრის გამარჯვებისა ასეთ უთანასწორო ბრძოლებშიაც კი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ხელჩართული (იარაღით თუ უიარაღოდ) ბრძოლის ტექნიკა საქართველოში იმ დონეზე იყო აყვანილი, რომ თითოეული მებრძოლი საკუთრივ გახლდათ ხელოვანი საბრძოლო საქმისა.



სვანი ქალი — მეთოფე. კასტელის ნახატი

ამის ნათელი დადასტურებაა იბერთა მეფე ფარსმან მეორე და მისი ამალა, რომლებმაც თავიანთი საბრძოლო მომზადებით, მარსის ველზე, ისე მოხიბლეს რომის იმპერატორი ანტონიუს პიუსი და დამსწრე საზოგადოება, რომ იმპერატორის ბრძანებით, იმავე ველზე აღმართეს ქართველი მეფის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება. ამ შესანიშნავი საბრძოლო სპექტაკლის ფინალში თვით ქართველთ მეფე გამობრძანდა თავისი მხედრული ოსტატობის საჩვენებლად. ბრძანა, სარებზე ჩამოეცვათ ოცამდე გოგრა; გაჭენებული ცხენიდან ფარსმანი ელვის სისწრაფით ჭრიდა მათ შუაზე ისე, რომ ყველა მათგანი უძრავად რჩებოდა ადგილზე, ხოლო თვითმხილველები აღფრთოვანებით ათვალიერებდნენ მახვილის ოდნავ შესამჩნევ კვალს გოგრებზე.

გასათხოვარი ლამაზი ქალი ისეთ საქმროს ეძებდა, რომელიც ხმლის ერთი შემოკვრით გაკვეთდა მის ჯაჭვს (აბჯარს). ეს ჯაჭვი ისეთი თვისებების ყოფილა, რომ ხმალს არ იკარებდა.

გაჭენებული ცხენიდან მახვილის ფლობის დემონსტრირების ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ ქართველები ომში მხოლოდ გულადობით და თავდადებით კი არ გამოირჩეოდნენ, არამედ, თითოეული მებრძოლის ტექნიკური შესაძლებლობები უმაღლეს დონეზე იყო დახვეწილი. სწორედ ამიტომაც, 1110 წელს, თურქების 100-ათასიან მხედრობასთან თრიალეთთან 1500-მა (ათას ხუთასმა) ქართველმა მეომარმა(!) დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით კუდით ქვა ასროლინა თურქებს, რომლებიც გარბოდნენ „ესოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ სცეს ფერხთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნივეს თვისთა ქვეყანასა".



ქართული ფარი

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, ქართველ კაცს, მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ გაუნელეს ორთაბრძოლის, როგორც ხელოვნებისადმი ინტერესი. დავიწყებას მიეცა ქართული ეროვნული საბრძოლო ხელოვნება და მისი ადგილი დაიკავა ძირითადად აღმოსავლურმა ორთაბრძოლებმა, როგორიცაა: იაპონური კარატე-დო, თავისი კლასიკური თუ არაკლასიკური სტილით, ჩინური უ-შუს უამრავი სტილი, კორეული ტაე-კვონ-დო, იაპონური აიკი-დო, ლაოსური დონგ-დიპი და სხვა. დღეს ალბათ, სწორედ ამ ჩამოთვლილმა ორთაბრძოლებმა უნდა შეასრულოს ერთგვარი როლი ქართველი კაცის ტრადიციული რაინდული სულის აღორძინება-ჩამოყალიბებაში.

მსოფლიო საბრძოლო ხელოვნების განვითარების ისტორიას თუ გავაანალიზებთ, ბუნებრივია შევამჩნევთ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების, ბრძოლების პრაქტიკაში მისი დანერგვისა და ფართოდ გამოყენების შემდეგ, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების გარდა, ყველა სხვა ორთაბრძოლებმა პოზიციები დათმეს და შემდეგ, ნელ-ნელა საერთოდ გაქრნენ. უფრო სწორად, დაკარგეს საბრძოლო ხელოვნების შინაარსი, რაც უთუოდ მიგვანიშნებს აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების შინაგან სიმდიდრესა და სპეციფიკურობაზე. თუმცა, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საბრძოლო ხელოვნების ქართველი ოსტატები ისეთ საიდუმლოსაც ფლობდნენ, რომლითაც იაპონელ, ჩინელ, ლაოსელ თუ კორეელ ოსტატებს დღესაც აღფრთოვანებაში მოჰყავთ მთელი მსოფლიო. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, შევეცდებით რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ:

თუ იაპონური ფარიკაობის ცნობილი ოსტატი, მიამოტო მუსასი წყლის წვეთის ვარდნის მომენტში ასწრებდა მახვილის ქარქაშიდან ამოღებას, წვეთის ორ ნაწილად გაჭრას და, ამ ორი ნაწილის მიწაზე დაცემამდე მახვილის ისევ უკან, ქარქაშში ჩაგებას. იარაღის ამ უსწრაფესი გამოყენების ფაქტს თამამად უდგება გვერდით ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული ფარსმან მეორის ოსტატობა, ან პატარა კახის — ერეკლე მეორის ხმლის მოქნევის სისწრაფე: როდესაც მან ლეკთა ბელადს — კოხტას კისერში მოუქნია ხმალი, ამ უკანასკნელის უკვე მოკვეთილი თავი ისევ მხრებზე იდო, რომელმაც „მოასწრო" სიტყვების — „დამაცილე გიაუროს" დაძახება და მხოლოდ ამის შემდეგ განეშორა პატრონის — ჩრდილოეთ კავკასიის უპირველესი მხედრის ტანს.

თუ იაპონური საბრძოლო ხელოვნების — კარატე გოჯუ-კაის დიდ ოსტატს, გოგენ იამაგუჩის შიშველი ხელით ვეფხვი ჰყავს მოკლული, ისტორიამ შემოგვინახა ცნობები, რომ ჩვენი დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ჯარში იყო „მრავალი ლომის ხელით შემპყრობი" რაინდი. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ერთია ვეფხვის მოკვლა და მეორეა ლომის „შეპყრობა", ანუ ცოცხლად დაჭერა! — თან არაერთის, არამედ მრავალი ლომის! — ეს კი მხოლოდ ორთაბრძოლის ზედმიწევნით დახვეწილი, ურთულესი საბრძოლო მომზადების შედეგად თუ იყო შესაძლებელი, ე. ი. არსებობდა ორთაბრძოლების შესაბამისი სისტემა.

საქვეყნოდ ცნობილია ჩინური შაო-ლინის მონასტერი, რომლის ბერებიც ფლობდნენ ჩინური უ-შუს იარაღით თუ უიარაღოდ ორთაბრძოლის ურთულეს ილეთებს. ამ მონასტრის „კურსდამთავრებული" შიშველი ხელებით თავისუფლად უმკლავდებოდა რამდენიმე შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს.

პარალელისთვის: მარაბდის ბრძოლის (1625 წ.) დროს მეფე თეიმურაზი იბრძოდა ისე, როგორც ეკადრებოდა ქართველთა გმირ მეფესა და მთავარსარდალს: „მას დღესა ბატონმა თეიმურაზმა დაამტვრია ყოველი საბრძოლო იარაღი და აღარ შემორჩომოდა რა, ბეჭდებიცა დაამტვრია მუშტის ძგერებით".

ნათელია, რომ შუაგულ ბრძოლაში, შიშველი ხელების ანაბარა დარჩენილს კბილებამდე შეიარაღებული მოწინააღმდეგის პირისპირ, მხოლოდ მუშტის სიდიდე და დარტყმის სიმძლავრე, გინდ ზედ დამატებული ზეადამიანური მამაცობაც ვერას გიშველის, თუ ძალიან მაღალ დონეზე არ ფლობ უიარაღო ორთაბრძოლის ხელოვნებას!

აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთი არსებითი ნაწილი ე.წ. „ალმასის პერანგია". განმარტებისთვის: „ალმასის პერანგი" წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმის მიერ სპეციალური ვარჯიშებით მიღწეულ უნარს, შექმნას თავის გარშემო ენერგეტიკული ფარი, რომელსაც ვერც რკინა და ვერც ცეცხლი (ზოგიერთი ჩინური და იაპონური მასალების თანახმად, ვერც ტყვია) ვერ არღვევს.

თუ იაპონური საბრძოლო ხელოვნების — კარატე გოჯუ-კაის დიდ ოსტატს, გოგენ იამაგუჩის შიშველი ხელით ვეფხვი ჰყავს მოკლული, ისტორიამ შემოგვინახა ცნობები, რომ ჩვენი დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ჯარში იყო „მრავალი ლომის ხელით შემპყრობი" რაინდი. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ერთია ვეფხვის მოკვლა და მეორეა ლომის „შეპყრობა", ანუ ცოცხლად დაჭერა!



სამწვერა შუბი და ფარი, ხმალი, აღმოსავლურ-ქართული მუზარადი და შუაში იმერეთის მეფის ალექსანდრეს ნაქონი ჯაჭვის პერანგი (XVI საუკ.)

შედარებისთვის: როგორ ებრძვის მტერს ქართველთა მეფე მირვანი: „იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, ხოლო მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა, ვითარცა კლდესა სიპსა და იდგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე".

მემატიანენი, რომელნიც ბრძოლათა აღწერებს გვთავაზობენ საერთოდ, გარკვევით უსვამენ ხაზს საჭურვლის (აბჯრის) როლს: ადრეკი, რომლის საქართველოში მეფობისას ბეთლემს იშვა ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე, ასე ებრძოდა მეტოქეს ტახტისათვის: „აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა და მიეტევნეს ურთიერთას... და ვერა ჰკვეთდეს საჭურველსა ერთმანეთისასა და ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ოროლები. ...აიღეს მშვილდები, ...ჰკრა ადრეკიმ მკერდსა არშაკისასა და ველარა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, განვარდა ზურგით და ჩამოვარდა ცხენისგან".

მეფე მირვანის შემთხვევაში გარკვევით არის გამოთქმული: „მირვანს ვერ ჰკვეთდა მახვილი დურძუკთა", ხოლო მეორე შემთხვევისას ასევე გარკვევით არის გამოთქმული — „ვერა ჰკვეთეს საჭურველსა ერთმანეთისასა". ე. ი. პირველ შემთხვევაში მტრის მახვილის გაუკვეთაობის მიზეზი რაღაც შინაგანი ძალა ყოფილა, რომელსაც მირვან მეფე ფლობდა, ხოლო მეორე შემთხვევაში მებრძოლთა უვნებლობის ფაქტორს ბრძოლის პირველ ეტაპზე რომ მათი აბჯარ-საჭურველი თამაშობს, ეს მემატიანეს ხაზგასმით აქვს გადმოცემული.

აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების ქვაკუთხედია სულის აუღელვებლობა (იაპ. მუსინ), თვითკონტროლი, საკუთარი თავის ფლობა, ემოციებისგან გათავისუფლება, რის გარეშეც შეუძლებელია საბრძოლო ხელოვნების უმაღლესი საფეხურის საიდუმლოთა წვდომა. ბატონი კოტე ჩოლოყაშვილი წიგნში „აბჯარი მე-19 საუკუნეში", გადმოგვცემს თქმულებას, რომლის თანახმადაც, გასათხოვარი ლამაზი ქალი ისეთ საქმროს ეძებდა, რომელიც ხმლის ერთი შემოკვრით გაკვეთდა მის ჯაჭვს (აბჯარს). ეს ჯაჭვი ისეთი თვისებების ყოფილა, რომ ხმალს არ იკარებდა. ხმლის ფლობის ოსტატმა, შეყვარებულმა ვაჟმა, შემოჰკრა ხმალი ჯაჭვში ჩამჯდარ ქალიშვილს და მისი, ხმლის უკარება აბჯარი ისე გაკვეთა, რომ სატრფო მხოლოდ მსუბუქად დააზიანა.

ერთია, თუნდაც ხმლის უკარება აბჯრის გაკვეთა, მაგრამ მეორეა ის, რომ აბჯარი საცოლეს აცვია და იმის აღქმა, რომ მცირე უზუსტობის შემთხვევაში, შესაძლებელია სატრფო მოკლა (უკეთეს შემთხვევაში — დააინვალიდო)... ეს ხომ უდიდესი ფსიქოლოგიური განცდის ქვეშ აყენებს პიროვნებას. ჭაბუკის ზუსტი მოქმედება კი წარმოგვიდგენს არა იარაღის მხოლოდ ტექნიკურად დიდოსტატურ ფლობას, არამედ, პირველ ყოვლისა, სულიერად და ფსიქოლოგიურად უმაღლეს დონეზე გაწონასწორებულ (იაპ. მუსინ) მებრძოლს, რომლის არსებობაც ნებისმიერი თანამედროვე ქვეყნის ჯარში (არმიაში), სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს.

საბრძოლო ხელოვნებაში რეგულარული ვარჯიში არა მარტო ხელს უწყობს მებრძოლის სულიერი და ფიზიკური ღირებულებების განვითარებას (რომელთა გარეშეც ჯარისკაცი ომში უძლურია), არამედ, თვით საბრძოლო ხელოვნება ხდება მისი თანმდევი წარმატებების გარანტი.

ჭეშმარიტი საბრძოლო ხელოვნების საბოლოო მიზანი არის არა მოწინააღმდეგის დამარცხება, არამედ დამარცხება საკუთარი სისუსტეებისა, თუნდაც შიშისა... და ვინაიდან საბრძოლო ხელოვნების განვითარების დონეს, მისი შემქმნელი ოსტატები და მებრძოლები განსაზღვრავენ, უპრიანი იქნება დასასრულ, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ 1110 წელს, ერწუხთან, დავით აღმაშენებლის მთავარსარდლობით, ქართველთა მცირე, 1500-კაციანი რაზმით 66-ჯერ მრავალრიცხოვან თურქთა ლაშქრის განადგურების აღმწერი მემატიანის სიტყვები: გარბოდნენ თურქნი „ესოდენ ზარგანხდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ სცეს ფერხთა მათთა უფროს საქონლისა და ესრეთ განიბნივეს თვისთა ქვეყანათა".

**კახაბერ მარკოზაშვილი**

*პროფესორი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*

**კახა ბასილია**

*შავი ქამრის მე-6 დანის მფლობელი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიო ჩემპიონი*


**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები"**

*აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:*

**1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.**

*წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ*

**ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:**

**1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგი; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები.**

*კოლეჯდამთავრებულები ჩაირიცხებიან ინსტიტუტში II კურსზე. ლტოლვილები და მრავალშვილიანები თავისუფლდებიან გადასახადისაგან 50%-ით.*

**მისამართი: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა**

**☎ 35-27-00; 38-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67**


CMYK

# თუ სიმართლე უბედურება მოგიტანა, სჯობს იგი არ გამჟღავნდეს

## ეპიზოდი ბავშვობიდან

გოგონები ეზოში „სახლობანას“ თამაშობდნენ. თათიას ახალი თოჯინა სკამზე დაესვა და „საჭმელს“ აჭმევდა. მაკასაც მოუნდა ახალი „ბავშვისთვის“ რამე გაეკეთებინა, მაგრამ მეგობარმა დაუშალა, — ეგ ჩემი შვილიაო. „ცოტა ხან ჩემიც იყოს, ძალიან მომწონსო“, — წყენით მიუგო მაკამ და წაეტანა. ბავშვები ერთმანეთს დაერივნენ. თათია თმის მოქაჩვას არ დასჯერდა და მაკას დაუყვირა: — ცუდი ხარ, მართლა ანანო დეიდას შვილი კი არ ხარ, სულ სხვა ქალია შენი დედა, ისიც ცუდია და იმას ჰგავხარო, — და ტირილით შევარდა შინ. მაკამ ტირილიც ვერ მოახერხა. იგი უკვე 9 წლის იყო, ეს კი ის ასაკია, როცა სიტყვებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვი...

იმ საღამოს უჩვეულოდ წყნარი ეჩვენა ანანოს შვილი. შუბლი მოუსინჯა, სიცხე ხომ არ აქვსო, მერე ჩაჰკითხა, რა მოგივიდა, ვინმემ ხომ არ გაწყენინაო? გოგონა დიდი, ნაღვლიანი თვალებით მიაჩერდა დედას. დიდხანს უყურა, მერე კი ჩურჩულით უთხრა: — დედა, მე შენი შვილი არა ვარ?

თითქოს ყინულიანი წყალი გადაასხეს ქალს, გახევდა. მერე კარგა ხანს უხსნიდა გოგონას, რომ ეს ბოროტი ხუმრობა იყო, ბავშვები ჩხუბის დროს ასეთ სიტყვებს გასაბრაზებლად ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს. შენ ამას აღარასოდეს მიაქციო ყურადღებაო. მაკას თითქოს გულზე მოეშვა, დედას ჩაეხუტა და ხმამაღლა ატირდა.



## ეპიზოდი სტუდენტობიდან

ძალიან ბედნიერი იყო მაკა: სტუდენტიც გახდა და... სიყვარულიც ეწვია. ისტორიულზე სწავლობდნენ ის და დიტო. მალე, მათი სიყვარული სალაპარაკო, თითქოს მისაბაძი, მაგრამ საჭორაო თემაც გახდა. შურის პატარა ნამცეცები ყოველთვის ქვეშეცნეულად არსებობს თითოეულ ადამიანში, რომელიც მაშინვე იზრდება, როგორც კი პირად ინტერესს ეჯახება ვინმე ან რამე. ეს „ვინმე“ მაკა გახლდათ, „რამე“ კი — ის გრძნობა, რაც მას დიტოსთან აკავშირებდა. შურის ნამცეცები მთად აღიმართა მათი თანაკურსელის მანანას სულში. მასაც უყვარდა დიტო...

მერე, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, მოენეები „გამოცოცხლდნენ“ და ალაპარაკდნენ... მანანამ მაკას წარსული გამოიკითხა და... დიტოს დედის, საკმაოდ ამპარტავანი ქალის, ქეთევანის ყურამდეც მიაღწია, მაკა აყვანილიაო. ქალმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ვისი სისხლი აქვს, ვისი ჯიში, ღმერთმა იცის. მასეთს ოჯახში ვერ შემოვუშვებო. ამდენი მითქმა-მოთქმის მერე, დიტოც შეფიქრიანდა. ნელ-ნელა ჩამოსცილდა საყვარელ გოგონას. მაკა კი ყველაზე ბოლოს მიხვდა, რაც მის თავს ხდებოდა. გადაწყვიტა, დედას სერიოზულად დალაპარაკებოდა და როცა მისგან სიმართლე გაიგო, ჩაალაგა თავისი ნივთები ჩანთაში, დატოვა თვალცრემლიანი დედა, გაოგნებული მამა და ოჯახიდან წავიდა.

## ახლა

ახლა მაკას სამი შვილი ჰყავს. ზემოთ აღწერილი ამბის შემდეგ 12 წელია გასული.

**— ქალბატონო მაკა, რამ გადაგაწყვეტინათ გულახდილად გამნდობოდით?**

— როცა ოჯახი დავტოვე, ვერ ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი, როგორ ვტკენდი გულს ორ ახლობელ ადამიანს, რომლებმაც გამზარდეს, სითბო და სიყვარული არ დამაკლეს... იმ წუთებში მეგონა, რომ ყველასგან განწირული ვიყავი, არავის ვუყვარდი და არც ვეცოდებოდი. თუკი ბავშვობისას წამოძახებული მალე დავივიწყე, მოგვიანებით, ხელმეორედ „დახვედრილი“ სიმართლე მტკივნეულად გადავიტანე. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში თანაკურსელ გოგონებს შევეხიზნე. ორი წლის მანძილზე საშინელ დეპრესიაში ვიყავი. ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივად ვცხოვრობდი: დავდიოდი ლექციებზე, ვაბარებდი გამოცდებს, ვჭამდი, ვსვამდი, ვმხიარულობდი, მაგრამ გული მკვდარი მქონდა. მაშინ მეგონა, რომ ყველა ახლობელმა მიმატოვა. ბიოლოგიურმა დედამ, ფაქტია, მართლაც დამტოვა, დიტომაც აღარ ისურვა ჩემთან ყოფნა, მაგრამ რას ვერჩოდი ჩემს გამზრდელებს, ახლაც არ ვიცი. ალბათ ის მაცოფებდა, რომ მომატყუეს, თავიდანვე არ მითხრეს სიმართლე.

**— თავიდანვე რომ გცოდნოდათ ყველაფერი, ამით შეიცვლებოდა რამე?**

— დიტოსთან ალბათ არა, რადგან იგი დედამისის ზეგავლენის ქვეშ იყო და იმის გამო, რომ მე აყვანილი ბავშვი ვიყავი, ადრე თუ გვიან მაინც დამტოვებდა; ალბათ ნაკლებად ვუყვარდი, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, როცა სიყვარული ძლიერი და მტკიცეა, მას ვერანაირი ძალა ვერ აღუდგება წინ. დიტოზე იმედგაცრუება მძიმედ გადავიტანე.

**— არ გიცდიათ გეპოვათ ბიოლოგიური დედა?**

— რა თქმა უნდა, პირველი ფიქრი, რომელმაც თავში გამიელვა, ის იყო, რომ მომეძებნა ჩემი ნამდვილი დედა. სხვათა შორის, ჩემმა გამზრდელებმა მიმასწავლეს მისი სახლ-კარი. იგი ყვარლის რაიონიდან ყოფილა. ხანდაზმული ქალი დამხვდა მის ოჯახში, ჩემი ბებია აღმოჩნდა. არ მითქვამს, ვინც ვიყავი, უბრალოდ, მოვიკითხე. გაუკვირდა მოხუცებულს: განა არ იცი, რომ ნათელა კარგა ხანია ფოთში ცხოვრობსო? წავედი ფოთში. შეხვედრამდე უზომოდ ვღელავდი. მეგონა, ტრაგიკულ და გულდათუთქულ ქალს ვნახავდი, რომელიც ბედმა აიძულა სიყრმის შვილი სხვისთვის მიეცა. მწარედ მოვტყუვდი. ჩემ წინ იდგა ქალი, რომელიც წარსულს არათუ ნანობდა, პირიქით, ამართლებდა თავის ნაბიჯს. მას ამ ხნის მანძილზე მოესწრო ორჯერ გათხოვებაც და გამოთხოვებაც. ფოთში მესამესთან ცხოვრობდა. მხოლოდ მასთან ჰყავდა ერთი შვილი. მისი ამბავი რომ მოვისმინე (რომელსაც საკმაოდ ხალისიანად მიამბობდა), მხოლოდ ისღა ვკითხე, ნუთუ არასოდეს გაგხსენებივარ, ან ჩემი ნახვა არასოდეს მოგნდომებია-მეთქი, მიპასუხა: გახსენებით რატომ უნდა დამეტანჯა თავი, როცა შენ უკვე სხვისი შვილი გერქვაო. უკანმოუხედავად წამოვედი... აი, მაშინ გავიფიქრე: ამასაც დედა უნდა ერქვას და ანანოსაც-მეთქი? თუმცა ფოთიდან ჩამოსულმა მაინც ვერ გავბედე მშობლებთან შერიგება. როცა გავთხოვდი, მერე უფრო დავრწმუნდი იმაში, რომ ბავშვის გაჩენა არ ნიშნავს დედობას. იზრუნო შვილისათვის, იფიქრო მისი სულიერებისთვის, კეთილშობილური თვისებების ჩამოყალიბებისათვის, — აი, ესაა დედობა. მე მართლაც არ მაკლდა არაფერი იმ ოჯახში, სადაც გავიზარდე.

**— თქვენმა ამხანაგმა, მანანამ, ერთ მიზანს მიაღწია — თქვენ და დიტო დაშორდით, თავად თუ მოაგვარა თავისი ურთიერთობა დიტოსთან?**

— არა. დიტომ სულ სხვა შეირთო ცოლად.

**— დიტოსთან დაშორების შემდეგ მალე გათხოვდით?**

— სამი წლის მერე. გავყევი იმას, ვისაც ძალიან ვუყვარდი. ქმარი ღირსეული კაცი აღმოჩნდა და ძალიან შემიყვარდა. როცა თავად გავხდი დედა და დავიწყე შვილებზე ზრუნვა, მერე მივხვდი, ბიოლოგიური დედობა არ ნიშნავს ყველაფერს... ჩემს გამზრდელს, ანანოს, სიგიჟემდე უნდოდა შვილი, მაგრამ არ შეეძინა, ამიტომაც მოყვარულმა ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, ბავშვი ეშვილებინათ. სწორედ იმ პერიოდში გავჩნდი მე. ღვიძლმა დედამ ხელწერილი დადო, რომ არასოდეს მომიკითხავდა, რა თქმა უნდა, ფულიც აიღო, წავიდა და წავიდა. ანანომ და ვაჟამ (მე მათ ვეძახი ნამდვილ მშობლებს) კი გამზარდეს, თბილი კერა მომცეს, არაფერი დამაკლეს. ძალიან ვბრაზდები საკუთარ თავზე, როცა მახსენდება ის დღე, განაწყენებულმა რომ გამოვიჯახუნე კარი.

**— ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ მშობლებთან?**

— ძალიან თბილი. უზომოდ მადლიერი ვარ მათი.

**— რას იტყვით, უნდა იცოდეს თუ არა ბავშვმა, რომ იგი აყვანილია?**

— ბავშვს გააჩნია... ზოგი შედარებით მშვიდად ხვდება ამ ამბავს, ზოგი კი აგრესიული ხდება, გაბოროტდება და არავინ იცის, რას მოიმოქმედებს. დიტოს რომ ზურგი არ შეექცია ჩემთვის, ალბათ მეც უფრო სულგრძელად შევხვდებოდი ამ ფაქტს. ისე, დაფიქრება მართებთ იმ მოენეებს, რომელთაც ვითომ „სიმართლის თქმის“ წყურვილი ჰკლავთ. მათმა უტაქტობამ შესაძლებელია ძალიან ტრაგიკული შედეგი მოიტანოს.

მკითხეთ, რა სჯობს, იცოდეს თუ არა ბავშვმა სიმართლეო... სიმართლე ზოგჯერ ისეთი მწარე და მსუსხავია, ალბათ აჯობებს, არც გამჟღავნდეს. საუკეთესო ვარიანტი კი ისაა, რომ „კეთილისმსურველებმა“ ენას კბილი დააჭირონ, თავად მშობლები გადაწყვეტენ, უთხრან თუ არა შვილს სიმართლე. ჩემი პირადი გამოცდილებიდან ერთს ვიტყვი მხოლოდ: მადლიერების გრძნობა გაზრდილმა არასოდეს არ უნდა დაკარგოს გამზრდელების მიმართ.

*მარინა ბაბუნაშვილი*

---

გამოხმაურება

# პასუხი ინვალიდ ბიჭს



ჩვენს პუბლიკაციებში ზოგიერთი თავის ამბავს გვიყვება და რჩევას გვთხოვს. თავდაპირველად ვიფიქრე, ფსიქოლოგის კომენტარს დავურთავ ჩემი რესპონდენტის ნაამბობს-მეთქი. დროთა განმავლობაში მკითხველები წერილობით რომ გამოგვეხმაურნენ, მივხვდი, ფსიქოლოგი აღარ დამჭირდებოდა, რადგან საკმაოდ კარგ რჩევებს იძლევიან. მათი წერილები სავსეა თანაგრძნობით, გულთან მიაქვთ სხვათა წუხილი, მეგობრულად არიგებენ და სამომავლო გზის გაკვლევაში ეხმარებიან.

ლევანს, რომელმაც გაზეთის წინა ნომერში გადაგვიშალა გული (**„გვიან მოსული და მალე დასრულებული სიყვარული“**), ეხმიანება ქალბატონი თამარ ს. იგი თავის ამბავს, დარდს უზიარებს ლევანს და თან ამხნევებს:

*„ლევან, შენმა ამბავმა ჩემი წარსული გამახსენა... მე და ჩემი მეუღლე სიყვარულით შევუღლდით. ის მშენებლობაზე მუშაობდა. ერთხელ გამაგებინეს, რომ ალექსანდრე დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა და საავადმყოფოში წაიყვანესო. მეგონა, ცოცხალი აღარ დამხვდებოდა. რეანიმაციულ განყოფილებაში ხელოვნურად ასუნთქებდნენ. ექიმებსაც არ ეგონათ, თუ გადარჩებოდა, მაგრამ გადარჩა. კარგა ხანს ისიც ვერ დგებოდა ფეხზე. რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა. ორი წლის შემდეგ ყავარჯნით გავლა შეძლო, თუმცა ექიმებმა შვილის ყოლის იმედი საბოლოოდ გადაგვიწურეს. არადა სიგიჟემდე მინდოდა შვილი. ჩემმა ქმარმა მითხრა: არ ვიცი, მუშაობას შევძლებ თუ არა, ოჯახს როგორ შევინახავ, თანაც ბავშვი აღარ გვეყოლება. ამიტომ გავშორდეთ. შენ მაინც იყავი ბედნიერიო. ტირილი ამივარდა — უშენოდ ვერ ვიცოცხლებ-მეთქი და გადავწყვიტე ბავშვის აყვანა, ქმარიც დავითანხმე. სულ მალე გოგონა ვიშვილეთ და გავზარდეთ. იგი უკვე 28 წლისაა, გათხოვილია და შვილიშვილებიც გვყავს. მან იცის, რომ აყვანილია, ჩვენვე გავაგებინეთ, რათა სხვას არ ჩაეწვეთებინა და გული არ მოეკლა მისთვის.*

*იგი უზომოდ დიდ პატივს გვცემს და ყურადღებას არ გვაკლებს. მე და ალექსანდრემ ტკბილად ვიცხოვრეთ, ერთმანეთის სიყვარული არ გაგვნელებია. როცა დიდი სიყვარულია, გამორიცხულია დაშორება. შვილად მერგები, ვიცი, ძალიან გტკივა გული, მაგრამ უნდა გამაგრდე. კეთილშობილი ყმაწვილი ჩანხარ, რახან შენს ცოლყოფილს დედობას ულოცავ და ბედნიერებას უსურვებ. როცა ადამიანს სუფთა გული აქვს, მას უთუოდ გაუმართლებს. შვილო ლევან, იქნებ გერმანიაში მოახერხო წასვლა, იქ საუკეთესო ექიმები არიან, იქნებ ვინმე მადლიანმა გაგიმართოს ხელი... ნუ იფიქრებ, რომ შენი ცხოვრება დამთავრდა. 34 წლის ვაჟკაცს ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გაქვს. ცდა ბედის მონახევრეა. მჯერა, შენნაირ ნათელ პიროვნებას ღმერთი არ გაწირავს. წერით კი წერე, ნურასოდეს შეგრცხვება გულახდილობისა, თუ სხვას არა, ქაღალდს მაინც ანდე შენი გულისნადები, ეს ყოველთვის შეგიმსუბუქებს დარდს და ცხოვრების სირთულეებსაც გაგიიოლებს.*

**შენი გულშემატკივარი თამარ ს“.**

---

# რაო? ქალები გიჟდებიან „რა ხდებასთვისო“? თვითონ რატომ გიჟდებიან „მზერისთვის“?

***აქამდე ტელესერიალომანიით „დაავადებულ“ ქალბატონებს ახალი „სენი“ „რა ხდებამანია“ შეჰყრიათ და საბრალო ქმრები თურმე ეკრანს ვეღარ აცილებენ ცოლებს. მეგობრის ოჯახში „უსიამოვნო“ სცენას შევესწარი: 76 წლის ბატონმა ანდრომ საღამოს 8.30-ზე ტელევიზორს რაღაც ნაწილი გამოაძრო. ამ უცნაური ჟესტის გამო ბოდიში მომიხადა და მთხოვა, — თინასთან (მეუღლე) კრინტი არ დაძრაო. ჩემმა მეგობარმა, ბატონი ანდროს შვილიშვილმა სიცილით მითხრა, — ცოტა ხანში შენ აქ ისეთ სცენას ნახავ, როგორისაც ვერც ერთი რეჟისორი ვერ დადგამსო. მართლაც, შემოვიდა თინა ბებო და ტელევიზორს მივარდა, — არიქა, „იუდას ქალი“ დაიწყოო და... „დამნაშავემ“ საქმის გამოსწორება არ ინება და „დაზარალებული“ მეზობელთან გავარდა სერიალის საყურებლად. 8 საათზე ბატონმა ანდრომ ტელევიზორი ჩართო და საინფორმაციო პროგრამა „მოამბეს“ მიუჯდა. როცა გადაცემაში „რა ხდებას“ ანონსზე მიდგა ჯერი, ანდრო ბაბუა აყვირდა, — გააგრძელებს ახლა გადაცემას 2 საათამდე ეს დალოცვილი და ქაჩე შენ, ანდრო, შუაღამემდე თვალები. ამ გადაცემის გარდა ვინ მაყურებინებს რამესო (თინას გულისხმობდა).***

***მივხვდი, რომ ტელევიზორი ბევრისთვის სიამოვნების, ბევრისთვისაც უსიამოვნების მიზეზი შეიძლება გახდეს თუნდ იმის გამო, რომ ოჯახში პულტს ვერ იყოფს ცოლ-ქმარი, და-ძმა, მშობლები და შვილები, შვილიშვილები და ბებია-ბაბუები. ისე კი, ჩემმა გამოკითხვებმა ბრალმდებლის როლში უფრო კაცები გამოავლინა. ბრალდებულისა კი — ქალები.***



**გოგი (56 წლის):** — ამდენი ხანი ველოდი ინგა გრიგოლიას გამოჩენას ეკრანზე, მაგრამ ვინ გაცლის მისი „მზერის“ მზერას. ოჯახში სრული ქაოსი მაქვს. მე „მზერა“ მიყვარს, მამაჩემს „კურიერი“ და ჩემს ცოლს — „რა ხდება“. შვილები გვიანობამდე არ ბრუნდებოდიან შინ. ლამის ერთმანეთს ვხოცავთ. მხოლოდ იმ დროისთვის ვზავდებით, როცა „რა ხდებას“ მესამე ნაწილი, „ოჯახთან ერთად“, იწყება. დედაჩემი ჩასაფრებულია ტელეფონთან, რომ სტუდიაში დარეკოს და სტუმარ-მასპინძელს მიეფეროს. კოკას უთუოდ უნდა დავურეკო და ვთხოვო, დედაჩემი განსაკუთრებული აზრის სათქმელად მიიწვიოს. მერწმუნეთ, ქვეყნის აშენების ისეთ პროგრამას ჩამოარაკრაკებს, მეორე დღესვე დეპუტატად აირჩევენ.

**გურამი (48 წლის):** — ტელევიზორი არ მიხსენოთ. მზად ვარ სამსახურში დავრჩე შუაღამემდე და სახლში მხოლოდ დასაძინებლად მივიდე. ჩემს ცოლ-შვილს ტელევიზორს ვერ „აახევ“, გამაგიჟეს კაცი. სამი ტელევიზორი მაქვს სახლში, სამი, გესმით? მაგრამ რა, ერთსაც არ მაკარებს ცოლ-შვილი. ვითხოვ ერთად-ერთს, „ღამის კურიერი“ მაჩვენეთ ცოტა ხნით-მეთქი, მაგრამ, შეაყარე კედელს ცერცვი, არ გამომდის არაფერი. ამ „რა ხდებას“ მეორე და მესამე ბლოკებმა მომკლა და გამათავა, ჩავრთავ „კურიერს“, აყვირდება მთელი ჯალაბობა — აუ, დაიწყება ახლა პირველ არხზე მეორე ბლოკიო! შენ მოგეცა, კოკა, ჩემი ცოდვა, სხვა დროს მაინც გქონოდა გადაცემა...

**ლილი (63 წლის):** — ტელევიზორის გადამკიდეს ზოგჯერ სიკვდილიც კი მინატრია. განსაკუთრებით მაშინ, როცა საფეხბურთო ჩემპიონატები იმართება. გათენებამდე უზის მთელი ჩემი ოჯახი (სულ კაცებისგან შედგება) ეკრანს და ისეთი ღრიალი ისმის ბურთის არასასურველი მოძრაობის გამო, რომ ვინმეს ეგონება, კაცს კლავენო. რაც მე ტელევიზორის გამომგონებელს ვწყევლი, საინტერესოა, მისი შთამომავლობა კიდევ ცოცხლობს თუ არა, ან კიდევ მომიტევებს ღმერთი ამდენ ცოდვას, რომელიც ტელევიზორის გამო მაქვს აკიდებული? ძილი მინდა ღამით, მაგრამ ეკრანის მანიაკები არ მაცლიან.

**თამრიკო (42 წლის):** — უპ, ქალები გიჟდებიან „რა ხდებასთვისო“? თვითონ რატომ გიჟდებიან „მზერისთვის“? ერთი სული აქვთ, ქაქანა ინგა გრიგოლიას უსმინონ. იცით, რა? კაცებს უნდათ ტელევიზორთან მეფურად ისხდნენ და სულ თვალებში შესციცინებდეთ, — აბა, გენაცვალე, რა გნებავს, აბა, რა თქვა ინგამ, ხომ არ დაიღალე და ა.შ. კითხვები უნდა შეაპარო, უნდა ასიამოვნო. სამზარეულოში უნდა იტრიალო, რომ გადაცემის დამთავრების შემდეგ შემობრძანდეს, მიირთვას გვიანი ვახშამი და მოგიყვეს, რა თქვა ინგამ, კოკამ ან ეკამ. თავი მოიწონოს თავისი ბრძნული დასკვნებითაც. კაცებს უნდათ ტელეეკრანის ერთპიროვნული მაყურებლები იყვნენ.

P.S. *ამის შემდეგ ერთ ახლობელ სოციოლოგს დავურეკე — ხომ არ იცი, უცხოეთსა და საქართველოშიც რომელ გადაცემებს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს-მეთქი. გაირკვა, რომ აშშ-ში მასობრივად ბოლო ხანს დაინტერესდნენ საინფორმაციო გადაცემებით, მანამდე სერიალებს და მხატვრულ ფილმებს უფრო ეტანებოდნენ. ტელემაყურებელთა უმრავლესობა ქალია. ანალოგიური სიტუაციაა დიდ ბრიტანეთში და დანარჩენ ევროპაშიც. საქართველოში კი მხატვრული ფილმები თურმე ათი წელია ბოლო ადგილზეა, პირველ ადგილზეა საინფორმაციო პროგრამები. ეს ჩვენი გაზეთის გამოკითხვითაც დადასტურდა, მეორეზე — ტელესერიალები, რომელთა მაყურებლების უმეტესობა ჩვენთანაც ქალები არიან...*

*ეკა ლომიძე*



ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი

ბამბის ან სელის წმინდა ქსოვილი

ჟურნალში გამოქვეყნ. მეცნიერული ნაშრომი

შეჯიბრებ-ის დასაწყისი



ბენდერი

გერმანელი ფიზიკოსი

მარსელის „ოლიმპიის" სპორტული მენეჯერი

სცენის გასანათებელი მოწყობილობა

საქონელი აუქციონზე

პორვ. ქართ. მხ. ფილმი

გალილეის მიერ აღმოჩენილი თანამგზავრი

3,141...

ბოჭკოვანი მცენარე, ნარკოტიკი

უსიტყვო როლების შემსრ. მსახიობი

მდინარე რომში

თავის ქალის შიგთავსი

კიპლინგის „მაუგლის" პერსონაჟი

მოკრივის „სამუშაო" ადგილი

ბავშვის ენაზე: სასეირნოდ წასვლა

კერამიკისთვის მასალა

წვრილ-წვრილი მრგვალი ტყვიები

ცეცხლის ენა

ამერიკელი მწერალი

ამერიკელი მსახიობი ფილმში „ლამაზმანი"

I ჯ/ფ ბონდზე „დოქტორი ..."

განცხადება (ფრანგ.)

ამრეკლავი ზედაპირი

შტატი აშშ-ში

ვენეციელ მენავეთა სიმღერა

იტალიელი მხატვრის რაფაელის გვარი

უსინათლოთათვის შრიფტის შემქმნელი

უცხოპლანეტელი საბავშვო სერიალში

მიხაილ შუმახერის ძმა

კოსმოსური კვლევის ეროვნული სამმართვ.

იტალიური შიდა ეზო



ინგლისელი მწერალი ივლინ ...

ჩოგბურთში: ძლიერი და დაბალი დარტყმა

იგივეა, რაც არშიყი

ხელის სანიავებელი

კლიმატი

მშობელი

ორქმრიანობა

საკრავი, სიმებიანი ბრტყელი ყუთი

მამაკაცის სახარსის ფორმა

მიმართვა გათხოვილი ქალისადმი გერმანიაში

ნოტი

პარკოსანი მცენარე

ზამი ტყავის ფეხსაცმელი

სახელმწიფო აზიაში

კურორტი ლატვიაში

„ვაზ 2103"

ჭურვის მოძრაობის შემსწავლ. მეცნიერება

რომაული ცერერა, ბერძნულში —?

ფილმი ოდრი ტოტუს მონაწილეობით

„ტომ სოიერის თავგადასავალი". მარკ ...

ესპანელი მხატვარი

აკაკის მამა

„პატარა დრაკონი" – ბრიუს ...

კიდობნის „კაპიტანი"

ქრისტიანი წმინდანი, ექიმი-მკურნალი



ნოტი

საჭადრაკო ფიგურა

გერმანიის დედაქალაქი

ქართული ღვინო

მულტსერიალი ... და ჯერი

კურორტი საფრანგეთში

რუსული წარმოების სარეცხი მანქანა

ლეგენდ. ქართველი მხედართმთავარი

შევჩენკოს მეტსახელი

მდ. არხში

ხეხილი

რუსეთის ნავთობკომპანია



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. განა; 2. „სალამანდრა"; 3. წუნა; 4. ბალაგანი; 5. იმრე; 6. დაკარი; 7. კანა; 8. აგული; 9. უაილდი; 10. კოლხი; 11. ხე; 12. რემი; 13. მოპასანი; 14. ნო; 15. რინგო; 16. ლიე; 17. ჩუ; 18. ემუ; 19. თაგვი; 20. გოტი; 21. ვალსი; 22. რიყე; 23. მახე; 24. ბორი; 25. მყესი; 26. რამპა; 27. პიესა; 28. თებე; 29. ბისე; 30. ბუ; 31. თარსი; 32. ვირი; 33. ძოლა; 34. „ილი"; 35. მეტრი; 36. ყარყატი; 37. ლამინირება; 38. მთვარე; 39. მუყაო; 40. ბე; 41. ნალი; 42. ლოუ; 43. მური; 44. ველი; 45. ვუპი; 46. ბაგიო; 47. მარკესი; 48. გო; 49. კურვიმეტრი; 50. ტორტი; 51. ყველი; 52. ფუტკარი; 53. შუ; 54. ნინა; 55. ხაფანგი; 56. აბა; 57. ხიოსი; 58. იენა; 59. სოლანა; 60. ბიბილო.

1. გადამწყვეტი ორთაბრძოლა; 2. წარსულს ჩახედე თვალებში; 3. მარცხნივ მობრუნდით, გეთაყვა; 4. უგემური ყავა; 5. სოლო პარტია.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**
**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK

## რუსეთის ელჩმა ქართული ენა იცის

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, იცის თუ არა საქართველოში მყოფმა რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა ქართული ენა და თუ იცის, რატომ გველაპარაკება ტელეეკრანიდან რუსულად. ის ხომ ვალდებულიც კია, იცოდეს იმ ქვეყნის ენა, სადაც ელჩად მუშაობს?**

***ვალენტინა ნოვიკოვა***

კითხვაზე უპასუხებს **დენის გონჩარი,** რუსეთის საელჩოს პრესმდივანი.


*ვლადიმერ ჩხიკვიშვილი*

— თქვენ თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რომ რუსეთის ელჩი ქართველია წარმოშობით. ამიტომაც იგი საკმაოდ კარგად ფლობს ქართულ ენას, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჩხიკვიშვილი, რუსეთის წარმომადგენელია და ამის გარდა, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ესმის რუსული, პრობლემას ვერაფერში ვხედავთ. ოფიციალური მიმართვები რუსულ ენაზე კეთდება, მაგრამ როდესაც ელჩს თხოვნით მიმართავენ, ანდა უბრალოდ კითხვას ქართულად უსვამენ, შესაბამისად ჩხიკვიშვილიც ქართულად პასუხობს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ელჩს უარი ეთქვას ქართულად პასუხის გაცემაზე. მაგრამ პრესის წარმომადგენლები ძირითადად მას რუსულ ენაზე მიმართავენ. გარდა ამისა, თუ ელჩი წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, რომლის ენაც ფართოდ არ არის გავრცელებული, ქვეყანაში ჩასვლისას იგი, როგორც წესი, ან თავად საუბრობს ადგილობრივ ენაზე ან ურთიერთობას ახდენს თარჯიმნის მეშვეობით. აუცილებელი პირობა არ გახლავთ, რომ ელჩმა, რომელიც იგზავნება ამა თუ იმ ქვეყანაში, იცოდეს ადგილობრივი ენა. ეს პრაქტიკაში და მუშაობის პროცესში ხდება.

## სიტყვათა კონა

**ბეჩა! ბეჩავ! ბეჩაო!** — შორისდებული. გამოხატავს გაკვირვებას, სიბრალულს, თანაგრძნობას (იხმარება სიტყვის მასალადაც მიმართვისას).

**ბეჩო** — ღრუ ადგილი, ბუნაგი.

**ბეხრეკი** — ბებერი და გამხდარი, ღონეგამოლეული (პირუტყვი).

**ბზაკალი (ძვ.)** — ხის მშვილდი.

**ბზაკუნი** — სკუპ-სკუპით სვლა.

**ბზეკალ-კოდალი** — ხის პატარა საბავშვო მშვილდი (იციან იმერეთსა და გურიაში).

**ბზეწვია** — ყვითელგულა პატარა ჩიტი.

**ბზუკი, ბზუკა (კუთხ.)** — იგივეა, რაც მუწუკი.

**ბია** — 1. გარეული კომში. 2. **(კუთხ.)** იგივეა, რაც კომში.

**ბიგა** — რისამე გასამაგრებლად შეყენებული ძელი.

**ბივრილი (ბერძ.)** — ძვირფასი ქვა.

**ბიფშტექსი (ინგლ.)** — დაბეგვილი ხორცი ძროხისა, ტაფაზე შემწვარი.

**ბიკონი** — იგივეა, რაც კვარი.

**ბილანი (კუთხ.)** — გულუბრყვილო, მიამიტი.

**ბინული** — წყარო, წყაროს წყალი.

**ბისონი (ბერძნ. ძვ.)** — 1. ძვირფასი ქსოვილი (და ტანისამოსი) ერთგვარი. 2. მეფეთა და მღვდელმთავართა ერთგვარი სამოსი.

## პანჩო იმიჯის შეცვლას ქოჩრის მოზრდით აპირებს...

**— ძალიან მომწონდა პანჩოს სიმღერები. უცნობის ახალ კლიპში მისმა დანახვამაც გამახარა. სად არის, რატომ აღარ მღერის?**

***სალომე ლომსაძე***

კითხვაზე უპასუხებს პანჩო — **ლევან მგალობლიშვილი.**



— მე არა მხოლოდ შემოქმედებითი პაუზა მქონდა, არამედ ცხოვრებისეულიც. თუმცა ამის მიუხედავად შინ მუშაობას მაინც განვაგრძობდი და ახალი სიმღერებიც დამიგროვდა. ამჟამად ვმუშაობ ახალ საკონცერტო პროგრამაზე და ამ გზით ვცდილობ „ამოვყვინთო“ ფსკერიდან, რომელშიც აგერ უკვე 3 წელია ვიმყოფები (კითხვაზე თუ რატომ აღმოჩნდა პანჩო ფსკერზე, მან სიცილით მიპასუხა — ალბათ ძალიან მიზიდავსო. — რ.ჟ.), ცხოვრება ხომ ერთფეროვანი არ გახლავთ. ერთხელ ყველა უნდა „ჩაიძიროს“, რომ მიხვდეს, აქვს თუ არა ნებისყოფა და მისწრაფება, რომ კვლავ ზემოთ აღმოჩნდეს. თანაც, მე პოპულარობას არასოდეს შევუწუხებივარ და არც პროფესიონალი მომღერალი გახლავართ. ვმღეროდი და ვიმღერებ მხოლოდ საკუთარ სიმღერებს. ერთადერთი, რაც ამ დროის მანძილზე მაკლდა, ეს იყო სცენა — ის მუხტი და ემოცია, რომელსაც დარბაზი მაძლევს და შთამაგონებს. ამბიციური არა ვარ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ქართულ ესტრადაზე დღეს ბევრი ისეთიც დგას, რომელმაც წესით, საერთოდ არ უნდა იმღეროს. უბრალოდ, ბევრი ფული აქვთ და ამიტომ მღერიან, რის ხარჯზეც ახალ თაობას გემოვნებას უფუჭებენ. ცუდია, როცა ახალგაზრდა მსმენელს არჩევანი არა აქვს.

(კითხვაზე, ხომ არ აპირებს პანჩო იმიჯის შეცვლას შემოქმედებითი პაუზის შემდგომ, მან კვლავ სიცილით მიპასუხა, — კი, ვაპირებ ქოჩორი მოვიზარდო, ისე კი ყველაფერი უცვლელად რჩებაო. — რ.ჟ.).

## არ უარვყოფ, შევარდნაძისტი ვარ!..

**— როგორც თქვენი გაზეთის მკითხველს, მეც მაქვს სურვილი საკუთარი აზრი გამოვთქვა და კითხვით მივმართო ბატონ რამაზ საყვარელიძეს. ასე ცხოვრება არ შეიძლება! შევარდნაძისტ რამაზ საყვარელიძეს კი არ მოსწონს, ხალხი რომ წუწუნებს აუტანელი სოციალური მდგომარეობის გამო. არადა, მოთმინების ფიალა აივსო ამდენი დაპირებებით. პენსიების დავალიანების დაფარვის შესახებ ტყუილები კი ცინიზმია და ხალხის აბუჩად აგდება. იქნებ რამაზ საყვარელიძემ თავად გვირჩიოს, რადგან ჩვენი წუწუნი არ მოსწონს, რა ვქნათ?**

***ოთარ მამაგეიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **რამაზ საყვარელიძე,** პოლიტოლოგი.

— ჩემი დამოკიდებულება წუწუნის მიმართ ნამდვილად არ გახლავთ განპირობებული იმ მოტივით, თითქოს საწუწუნო არაფერია ქვეყანაში, მაგრამ წუწუნით შედეგამდე ვერასოდეს მივა ადამიანი. იქ, სადაც სახელმწიფო თავის ფუნქციას არ ასრულებს და ასეთი მაგალითი მთელ რიგ ქვეყნებში ბევრი ყოფილა, მოქალაქეები საკუთარ თავზე იღებენ ამ ვალდებულებებს. აქტიური სულისკვეთების შენარჩუნებაა აუცილებელი. ეკონომიკაში ნაკლებად ვარ გარკვეული, რომ კონკრეტული რეცეპტი გავცე და გამოსავალი დავსახო, მაგრამ ფსიქოლოგიაში კი ვერკვევი და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ წუწუნი გზა არ გახლავთ, ეს ჩიხია. თუ თხოვნა არ ჭრის, ჯობს თავად იმოქმედო. ხოლო რა გზით — აქტიურად, აგრესიულად, პროდუქტიულად თუ უკიდურეს შემთხვევაში კარის აჭედვით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია იმოქმედო. სამწუხაროდ, წუწუნი მთელი საზოგადოების ქრონიკული სენი გახდა. მნიშვნელობა არა აქვს, რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება ესა თუ ის ადამიანი, ყველა წუწუნებს. „მერსედესში“ მჯდომიც (მნიშვნელობას აღარ ანიჭებს, რა გზით აქვს ნაშოვნი ავტომანქანის ფული, კანონიერად თუ უკანონოდ) კი წუწუნებს, რა უბედურ ქვეყანაში ვცხოვრობ, გაჭირვებულები ვართო და ა.შ. წუწუნის სტილი და მოდა დამკვიდრდა. სწორედ ეს განწყობაა სახიფათო. კაცს თუ არა აქვს იმის განცდა, რომ მისი ბედი მისსავე ხელშია, ის ვერასოდეს გამოასწორებს ვერც საკუთარ ბედ-იღბალს და ვერც ქვეყანას. რაც შეეხება მოქალაქის ჩემდამი დამოკიდებულებას, როგორც შევარდნაძისტის მიმართ, მე ამას ბრალდებად და დანაშაულად არ აღვიქვამ. თუ ის გარემოება, რომ მე ამ პიროვნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის მომხრე ვარ, მანიჭებს შევარდნაძისტის სტატუსს, არ უარვყოფ — შევარდნაძისტი ვარ!

## ლინჩი და «ლინჩის სასამართლო»

**— მაინტერესებს ვინ იყო ლინჩი და რატომ უწოდებენ ადამიანის სახალხო (უფრო სწორად ბარბაროსულ) გასამართლებას ლინჩის წესს.**

***დავით ხაჭაპურიძე***

— გავრცელებული ვერსიის თანახმად, ლინჩის წესით გასამართლების წარმოშობის ისტორიას უკავშირებენ ამერიკელ პოლკოვნიკს ჩარლზ ლინჩს (1736-1796). მას შემოუღია ე. წ. საკუთარი გასამართლების წესი — გაროზგვით სჯიდა ინგლისელთა მომხრეებს. თუმცა მოგვიანებით ლინჩის სასამართლოს ტერმინმა მნიშვნელობა შეიცვალა. იგი სხვა კონტექსტში იხმარება და ნიშნავს რაიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დასჯას გამძვინვარებული ბრბოს მიერ ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე. „ლინჩის სასამართლო“ განსაკუთრებით გავრცელდა XX საუკუნის დასასრულს და ამ წესით უსწორდებოდნენ ზანგებს, რომელთაც ბრალად ედებოდათ თეთრკანიანთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ოფიციალურად დადასტურებული ცნობებით, ამერიკაში 1882-1951 წლებში ლინჩის წესით გასამართლების 4.730 შემთხვევა მომხდარა, რომელთაგანაც 3.657-ჯერ ზანგებს „გაუსწორდნენ“. ფედერაციული კანონმდებლობით და ბევრ შტატში დღესაც ლინჩის წესით გასამართლებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სასჯელს არ ითვალისწინებს.

## სად ბინადრობენ ქვეწარმავლები?!

**— ვცხოვრობ თბილისში, კერძო სახლში. უბნის ბავშვები და მათ შორის ჩემი შვილები ხშირად თამაშობენ მეზობლის მიტოვებულ ეზოში. ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა მათგანმა გველი დაინახა. მშობლებს ძალიან შეგვეშინდა. გვაინტერესებს, არსებობს თუ არა ისეთი სამსახური, რომელიც დაგვეხმარებოდა ამ პრობლემის გადაჭრაში. გთხოვთ, გამოგვეხმაუროთ, ვინაიდან საფრთხე ემუქრება ბავშვებს და არა მარტო მათ.**

***ნარგიზა გულედანი***

კითხვაზე უპასუხებენ: **ავთანდილ ჯოლოკავა,** ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **ჯემალ რატიანი,** ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.



— თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურთან ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულება, რომლის თანახმად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც დედაქალაქის მასშტაბით მოსახლეობას ემსახურება უფასოდ გამოძახების საფუძველზე. გაზაფხულის დადგომისთანავე ამ ინფორმაციამ არაერთხელ გაიჟღერა ტელევიზიითა თუ პრესით. მოქალაქეებს შეუძლიათ ჩვენი ჯგუფის გამოძახება ზოოლოგიის ინსტიტუტის ტელეფონებზე: 22-23-53 და 22-61-48. აქვე დავძენ, რომ ზოოლოგიის ინსტიტუტის ჯგუფი სულაც არ ასრულებს სანეპიდსადგურის მოვალეობას, როგორც ეს მოქალაქეებს ჰგონიათ. ვისარგებლებ შემთხვევით და მოსახლეობას შევახსენებ, რომ ქვეწარმავლის დაბუდებას ამა თუ იმ ადგილზე ხელს უწყობს ანტისანიტარია. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოქალაქეები არ ზრუნავენ თავიანთი საცხოვრებელი სახლებისა თუ ეზოების სისუფთავეზე, რაც იწვევს სხვადასხვა მღრღნელისა და მწერის მომრავლებას. გაუთიბავი ეზო, ნაგავსაყრელი, უყურადღებოდ მიტოვებული ძველი საშენი მასალები და ნანგრევები საუკეთესო სატყუარაა ქვეწარმავლებისთვის, ვინაიდან ასეთ ტერიტორიაზე ბინადრობენ ვირთაგვები, თაგვები და ა.შ. რაც საუკეთესო ნიადაგს უქმნის ქვეწარმავლების მომრავლებას...

## «ბორჯომი» ზომიერად უნდა მიირთვათ

**— იქნებ რჩევა სპეციალისტმა მოგვცეს, თუ რამდენად სასურველია მინერალური წყლის „ბორჯომის“ დალევა სასმელი წყლის ნაცვლად?**

***მაიკო ხარაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ვიქტორ მახათაძე,** კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელი, ექიმი-თერაპევტი, გასტროენტეროლოგი, პროფესორი.

— მინერალური წყალი „ბორჯომი“, მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და ადამიანის ორგანიზმზე დადებითი ფიზიოლოგიური მოქმედების მიხედვით ითვლება სამკურნალო სუფრის წყლად. აქედან გამომდინარე, მას ფართოდ იყენებენ როგორც სამკურნალოდ (უმთავრესად საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებების დროს), ასევე დასალევად, სასმელი (წყალსადენის) წყლის ნაცვლად. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „ბორჯომის“ ხანგრძლივად (თვეობით) და დიდი რაოდენობით სმა არც მკურნალობის მიზნით და, მით უმეტეს, არც ჩვეულებრივი სასმელი წყლის ნაცვლად, მიზანშეწონილი არ არის. ამან შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი არასასურველი ცვლილება წყალმარილოვან ცვლასა და კუჭ-ნაწლავის ფუნქციებში. მაგალითად, ქართულ სუფრაზე მიღებულია ბორჯომისა და სხვა მინერალური წყლის, ასევე წვენების მირთმევა საკვებთან ერთად, რაც არ არის სწორი, ვინაიდან ჭარბი რაოდენობით მიღებული მინერალური წყალი კუჭის სიმჟავეს ანეიტრალებს და ხელს უშლის საკვების მონელებას. იგივე შეიძლება ითქვას ჩვეულებრივ სასმელ წყალზეც, ანუ საკვებზე მისი სისტემატური მიყოლება ადრე თუ გვიან კუჭ-ნაწლავის პრობლემებს იწვევს.

## პირადი მცველი ქალები

**— ძვირფასო რედაქციავ, თქვენი გაზეთის 26-ე ნომერში წავიკითხე ინფორმაცია, რომ საქართველოში პირად მცველ ქალბატონებს ამზადებენ. ჯერ კიდევ 6-7 წლის წინ, მოსკოვში ყოფნისას მქონდა სურვილი გამევლო მსგავსი მომზადება. იქნებ დაწვრილებით მოგვითხროთ, თუ რა მოთხოვნებს უყენებენ მსურველებს.**

***ქეთევან ბერიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ მეტრეველი**, კერძო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი.

— მოთხოვნები, რომელიც ჩვენს სამსახურს გააჩნია, თანაბარია როგორც ქალების, ასევე ვაჟებისთვისაც. პირველ რიგში ადამიანი არ უნდა იყოს კრიმინალური წარსულის მქონე. უნდა იყოს შრომისმოყვარე, ინტელექტუალური, შეეძლოს ტკივილის ატანა, ფიზიკურად იყოს მომზადებული. რატომღაც საზოგადოებაში შექმნილია აზრი, რომ პირადი მცველი განიერი მხარ-ბეჭის პატრონი და ალვისხესავით მაღალი უნდა იყოს. დამერწმუნეთ, ამ საქმეში სხეულის ფორმა და სიმაღლე არაფრის მომცემია (თუმცა, 165 სმ-ზე დაბალი არ უნდა იყოს). უნდა ჰქონდეს დაკვირვების და ანალიზის უნარი, რეაგირებდეს სწრაფად. მთავარ როლს სწორედ ეს ფაქტორები თამაშობს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მნიშვნელობა აქვს მომზადების მსურველთა ასაკსაც. აქამდე არ გვქონია იმის პრეცედენტი, რომ კონკურსი საჯაროდ გამოგვეცხადებინა, თუმცა დარწმუნებული ვართ, ბევრი მსურველი გამოჩნდება. მე ხშირად დავდივარ უმაღლეს სასწავლებლებში და ძირითადად იურიდიული და ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებს ვთავაზობ კონკურსში მონაწილეობას. კონკურსი ორ ეტაპად იყოფა. პირველ რიგში ვამოწმებთ მსურველთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და მეორე ეტაპზე ფიზიკურ მონაცემებს. ჯგუფს ვაკომპლექტებთ საუკეთესო 5 ქალითა და 5 ვაჟით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალი პირადი მცველის პრაქტიკა ჯერ არ არის დამკვიდრებული, ევროპაში ქალებს, როგორც პირად მცველებს, ხშირ შემთხვევაში მამაკაცებს ამჯობინებენ. მომზადება, რომელსაც პირადი მცველები გადიან, ფაქტობრივად სამხედრო დისციპლინას უტოლდება, ამიტომაც მსურველი მამაკაცი აუცილებლად ჯარგამოვლილი უნდა იყოს. ჯგუფს ვამზადებთ 3-5 თვის განმავლობაში.

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

CMYK

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემი 3 წლის გოგონა ხშირად ავადმყოფობს ანგინით. ამ 6 თვეში სამჯერ იავადმყოფა. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ ვუმკურნალო?**

***პატივისცემით მარინა ჩეჩელაშვილი***

ასეთ დროს საჭიროა კომპლექსური მკურნალობა, რომელიც მოიცავს: ანტიბიოტიკოთერაპიას (გამწვავების დროს), ფიზიოპროცედურებს (ლაზეროთერაპია, ინფრაწითელი გამოსხივება, მაგნიტოთერაპია), ნუშურა ჯირკვლების გამორეცხვას ანტისეპტიკური ხსნარებით; თუ ადგილი აქვს გართულებებს — გულ-სისხლძარღვთა სისტემის, თირკმლების პათოლოგიებს, მაშინ საჭიროა ქირურგიული მკურნალობა. მორიგი გამწვავებების პროფილაქტიკისათვის კარგ შედეგებს იძლევა ბრონქომუნალი, აგრეთვე ორგანიზმის გაკაჟება და ვარჯიში.

**რა განსხვავებაა „ყვავილსა“ და „ჩუტყვავილას“ შორის?**

***ღრმა პატივისცემით შ. ნამორაძე***

„ყვავილი“ მეტად საშიში დაავადებაა. დღეისათვის იგი ლიკვიდირებულია ეფექტიანი ვაქცინაციის შედეგად. 1972 წლიდან ყვავილის ვაქცინაცია აღარ კეთდება. მანამდე დაბადებულებს კი, მხარზე აქვთ ვაქცინაციის ნაწიბური. „ჩუტყვავილა“ კი ვირუსული ინფექციაა, რომელიც 10 წლამდე ბავშვს ემართება, ახასიათებს ბუშტუკოვანი გამონაყარი, მის ადგილას შემდგომ ქერქი წარმოიქმნება, ქერქი ძვრება და კანზე კვალს არ ტოვებს (თუ გართულება არ ყოფილა).

**ჩემი 5 წლის გოგონა ჭარბთმიანი დაიბადა. ბავშვი შავგვრემანია და რაც დრო გადის, უფრო უხშირდება და უმუქდება თმა. ხომ ვერაფერს მირჩევთ, სანამ გოგონას თავად გაუჩნდება კომპლექსი?**

***თეონა მერკვილაძე***

ახალშობილთა ჭარბთმიანობა ტანზე (კანი დაფარულია ღინღლით) ნორმალური მოვლენაა, მაგრამ შემდგომში, რამდენიმე თვეში, ღინღლი სცვივა და კანი სუფთავდება. თუ თმიანობა 5 წლის ბავშვს შესამჩნევად მოემატა, ნუ დატოვებთ უყურადღებოდ — თმიანობა მიეკუთვნება მეორად სასქესო ნიშნებს და მისი დარღვევა ჰორმონულ დისბალანსთანაა დაკავშირებული. აჯობებს პატარა ენდოკრინოლოგს აჩვენოთ. თუმცა, ხშირად ჭარბთმიანობა გენეტიკურად განპირობებული კონსტიტუციური თავისებურებაა და არანაირი პათოლოგიური პროცესით არ არის გამოწვეული. განსაკუთრებით თვალში საცემია ეს სიმპტომი შავგვრემანებში, რადგან მათი თმის ფერი კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემას. თუ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ გამოირიცხება ჭარბთმიანობის გამომწვევი სერიოზული პათოლოგიები, მაშინ მასთან გამკლავება კოსმეტიკური საშუალებებით მოგიწევთ (როდესაც ბავშვი გაიზრდება). დღეს მსოფლიოში ამ პრობლემის გადაჭრის სრულიად მარტივი და უმტკივნეულო საშუალებები არსებობს.

**ჩემს წლისა და სამი თვის ბავშვს აწუხებს ბრონქები და მალ-მალე ცივდება. ექიმებმა — ბავშვი კურორტზე წაიყვანეთო. გვირჩიეს ბორჯომი, კიკეთი, შოვი, უწერა. რომელი უფრო სასარგებლო იქნება ბავშვისთვის?**

***პატივისცემით ლ. აბაიშვილი***

ბრონქებისა და ფილტვების ქრონიკული პათოლოგიების დროს ნაჩვენებია ზომიერი მთის კლიმატი. თქვენ მიერ ჩამოთვლილი კურორტები სწორედ აღნიშნულ კლიმატურ ზონას მიეკუთვნება. კონკრეტულად რომელი იქნება უფრო ეფექტური, ამის თქმა შეუძლებელია, რადგან კლიმატის გავლენა ადამიანზე ინდივიდუალურია და ამა თუ იმ კონკრეტულ ორგანიზმს ესა თუ ის კურორტი მეტად ან ნაკლებად უხდება. საერთოდ კი, კლინიკურ პრაქტიკაში საქართველოს მთიანი კურორტები დადებითი გავლენა სასუნთქი გზებით დაავადებულ პაციენტებზე არაერთგზის დადასტურებულია. თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ კურორტზე ბავშვის წაყვანა არ შეიძლება დაავადების გამწვავების ფაზაში.

**ჩემ 15 წლის ვაჟს სახეზე ძალიან ბევრი ხალი აქვს. ზედა ტუჩზე ორი მოვუწვით, მაგრამ ისევ აქვს. ის კი არა, ლოყაზე რამდენიმე გაუჩნდა კიდევ. ვის მივმართო კონსულტაციისთვის?**

***ა.ა.***

ყოველგვარი წარმონაქმნი კანზე, როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს იგი, კვალიფიციურ მკურნალობას საჭიროებს. ეს კი გულისხმობს წარმონაქმნის უჯრედული აგებულების გამოკვლევას (ციტოლოგიურ ანალიზს) და შემდგომ სათანადო მკურნალობის მეთოდის შერჩევას. ეს კი ონკოლოგ-დერმატოლოგის კომპეტენცია გახლავთ.

## [illegible]

**ვეხმაურები მკითხველს, რომელიც თქვენი გაზეთის ერთ-ერთი ნომერში ითხოვდა რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო რეცეპტს. მე თავად ვიყავი შეწუხებული სახსრების ტკივილით წლების განმავლობაში. მეგონა, რომ მისგან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ასე აღარ ვფიქრობ. მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება: აიღეთ ერთი წილი დიდგულას ყვავილები, ოთხი წილი არყის ხის ფოთლები და ხუთი წილი ტირიფის ფესვები. მიღებული ნარევის 3 ს/კ ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით ორნახევარი ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით მდუღარე წყლის ორთქლზე 15 წუთით. შემდეგ გადმოდგით, შეაგრილეთ, გადაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა 4-ჯერ დღეში ჭამამდე. ამ ნაყენთან ერთად ვსვამდი ინდომეტაცინს. მკურნალობის ხანგრძლივობა 2 კვირაა. საგრძნობლად შემიმსუბუქდა მდგომარეობა. სახსრები მხოლოდ იშვიათად მახსენებს თავს, მაშინაც აღნიშნულ ნაყენს ვსვამ და მალევე გამივლის ხოლმე. ვიცი, რომ სახსრების ტკივილი ბევრ ადამიანს აწუხებს. სცადეთ, იქნებ თქვენთვისაც წამლად იქცეს ჩემი რეცეპტი.**

***პატივისცემით თინა ბოსტოღანაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** დიდგულა მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, რომლებიც განაპირობებს მის ოფლმდენ, ანტიანთებით და შარდმდენ მოქმედებას. სწორედ ძლიერი ანტიანთებითი მოქმედების გამოა ეფექტური იგი მიოზიტების (კუნთების ანთების), ნევრალგიების (ნერვის ანთების) და სახსრების დაავადების დროს.

არყის ხის ფოთლებს აქვს ზომიერი ნაღვლმდენი და შარდმდენი მოქმედება ექსპერიმენტული კვლევის დროს არყის ხის წვენი შლის ფოსფატურ და კარბონატულ კენჭებს. აგრეთვე დადგენილია, რომ მისი პრეპარატები ზრდის ორგანიზმის დამცავ ძალებს, დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე და თავის ტვინის ქერქის ფუნქციაზე.

ტირიფი ჯერ კიდევ ძველ ქართულ მედიცინაში გამოიყენებოდა, როგორც სამკურნალო საშუალება სხვადასხვა დაავადების დროს. მასაც აქვს სიცხის დამწევი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ქსოვილთა რეგენერაციის (აღდგენის) მასტიმულირებელი თვისებები.

ამდენად, აღნიშნული რეცეპტი მეტად გონივრულადაა შედგენილი და დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს სახსრების ანთებით-დისტროფიული დაავადების კომპლექსური მკურნალობის დროს.

**მკითხველი — მკითხველს**

**მაწუხებს კანის დაავადება — სებორეა. თუ ვინმემ იცის რომელი მცენარეა ამ დროს ეფექტიანი, გთხოვთ, ნუ დაიზარებთ, შემეხმიანეთ. გმადლობთ გულისხმიერებისათვის.**

**ალ.**

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

# რა ურჩია პრეზიდენტის დიეტოლოგმა „კვირის პალიტრის“ მკითხველს?

## ფალსიფიცირებულ კონიაკს თურმე შევარდნაძესაც აჩეჩებდნენ

***(დასაწყისი იხ. გვ. 13)***

**— რომელიმე გურული კერძი ხომ არ უყვარს განსაკუთრებულად?**

— გურულებს კეცერა ფხალი და კეცზე გამომცხვარი მჭადი უყვართ. მაგრამ ეს კერძი არასოდეს მოუთხოვია. მენიუს შერჩევისას ნაკლებად ვუწევდი ანგარიშს პრეზიდენტის გურულობას. ვცდილობდი, ერთფეროვანი არ ყოფილიყო მისი სადილი, ბადრიჯანს ნიგვზით შევანელებდით თუ მაიონეზით, ჭინჭრის ფხალს მოვუმზადებდით თუ ხორციან კერძს, ყოველთვის ვცდილობდით ნაკლებად მლაშე და ცხარე ყოფილიყო.

ხშირად იმდენი კერძისა და სასმლის ამოლება მიწევდა სუფრიდან, პრეზიდენტს ძალიან მწირი სადილი რჩებოდა...

**— პრეზიდენტს შეუქეხართ ოდესმე?**

— არასოდეს, მაგრამ არც საყვედური უთქვამს... სხვათა შორის, პრეზიდენტი შეგნებულად უდგება კვების საკითხს. მაგალითად, იცის, რომ მწვანე ჩაი სასარგებლოა და ხშირად სვამს მას უშაქროდ. ზოგჯერ ყავასაც მიირთმევს. პრეზიდენტს ვურჩევდი ხშირად მიეღო ქიშმიში, 3-4 ცალი კაკალი და მოხალული თხილი.

**— ბოლო ორი წელია პარლამენტის თავმჯდომარისა და დეპუტატების კვებას მეთვალყურეობთ. პარლამენტში უფრო ნაკლებსარისკოა მუშაობა თუ რაღაც სხვა მიზეზით გადაინაცვლეთ იქ?**

— უბრალოდ, პრეზიდენტი კანცელარიაში აღარ მიირთმევს. უფრო სწორად, სამსახურში მისთვის სადილი ოჯახიდან მიაქვთ. რატომ მოხდა ასე, არ ვიცი. რადგანაც კანცელარიაში დასაქმებული აღარ ვიყავი, პარლამენტში გადავედი.

**— პარლამენტის თავმჯდომარე როგორ იკვებება?**

— ქალბატონი ნინო პარლამენტში იშვიათად სადილობს, ძირითადად, სალათებს ამჯობინებს. როგორც პრეზიდენტს, მასაც მჭადი უყვარს (შესაბამისად, ყველიც). განტვირთვის დღეებში წიწიბურას ან ბრინჯს ვუმზადებთ ცოტაოდენი ზეთითა და მარილით.

**— ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან თქვენს სახიფათო სამსახურს?**

— 5-6 წელიწადი პრეზიდენტთან მარტო ვმუშაობდი (ახლა ჩვენს სამსახურში ჩემ გარდა 4 კვების ექიმია). ამ პერიოდში მართლაც დაძაბულები იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები. განსაკუთრებით არჩევნების პერიოდია რთული. დილით 7 საათზე გავდიოდი სახლიდან და ღამის 12-ზე ვბრუნდებოდი, რადგან რაიონებში გვიწევდა სიარული. ზოგჯერ ვრცელდებოდა ჭორი, პრეზიდენტის წინააღმდეგ რაღაც იგეგმებაო, ამ დროს განსაკუთრებით მობილიზებული ვიყავი, ჩემი ოჯახის წევრები კი — ზედმეტად შეშინებულები და დაძაბულები.

**— როგორ ანაზღაურებას იღებდა ქალი, რომელიც პრეზიდენტის ნაცვლად უნდა მოწამლულიყო?**

— ჩვეულებრივს, — 135 ლარს. ჩვენ ნახევრად გასამხედროებული სამსახური გვაქვს. ზედმეტი სამუშაო დღისთვის ანაზღაურებას არავინ გვიმატებს...

*ახლა კი „კვირის პალიტრის“ მკითხველს ქალბატონი ასმათი დღეს ასე გახმაურებული დიეტების შესახებ რამდენიმე ექსკლუზიურ რჩევას მისცემს:*

***— პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის კვების ექიმი ჩვენს მკითხველს რას ურჩევს? ბოლო დროს მოდად იქცა წონაში დაკლების ათასგვარი დიეტა. თქვენი აზრით, ეს კარგია თუ ცუდი?***

— დღეს თითქმის ყოველი მეორე კაცი გასახდომ დიეტაზეა, ხან კოსმონავტის და ხანაც ჰოლივუდის დიეტას იცავენ. ყველას ვურჩევდი, ნუ შეზღუდავენ მკვეთრად საკვებს. როდესაც მავანი დიეტოლოგი გპირდებათ 10 დღეში 10 კილოგრამს დაგაკლებინებთო, ეს ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. ათ დღეში, სულ რომ იშიმშილოთ, ამდენ ცხიმს ორგანიზმი ვერაფრით დაწვავს. დიეტის „ფანტასტიკური“ შედეგი კი იმით არის განპირობებული, რომ ამ დროს წონის დაკლება ორგანიზმიდან წყლის გამოდევნის ხარჯზე ხდება და არა ცხიმოვანი ქსოვილის განლევით.

ნებისმიერი დიეტა გარკვეულად ძაბავს ადამიანის ფსიქიკას, რაც ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. წონაში დაკლების მსურველები ხშირად მიმართავენ დაბალკალორიულ დიეტას. ეს კი სტრესს იწვევს. სტრესის დროს ადამიანის არც ერთი ორგანო არ ფუნქციონირებს ნორმალურად. ზოგჯერ დიეტით გამოწვეული სტრესი თვეების მანძილზე გრძელდება. სწორედ ასეთ დროს დგება ადამიანის დაავადების რეალური საფრთხე.

თანამედროვე პრაქტიკაში იმდენად დაბალკალორიული დიეტები შემოიღეს, რომ ორგანიზმი ვეღარ ღებულობს აუცილებელ საარსებო საზრდოს. გულის, ღვიძლის, თირკმლების, კუჭის, ელენთისა და სხვა ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საკვების მიღება. წონაში დასაკლებად, სილამაზისათვის კი ადამიანები რისკზე მიდიან, მსხვერპლს იღებენ. როცა ჩვეულ კვებას უბრუნდებიან, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ყველაფერი წყალშია ჩაყრილი. სასურველია ადამიანმა თვეში დაიკლოს მხოლოდ 3-4 კილოგრამი. ეს მათ ჯანმრთელობას არ ვნებს.

**— რას ურჩევთ მათ, ვისაც წონაში დაკლება სურთ?**

— უპირველესად, ყველამ უნდა დაიცვას ჯანმრთელი ცხოვრების წესი. აუცილებელია ოთხჯერადი, ზომიერი კვება. მიირთვით, რაც გსურთ, მაგრამ ნაკლები რაოდენობით. თქვენმა ორგანიზმმა ყველაზე უკეთ იცის, რაც სჭირდება. თუ ხორცის ჭამის სურვილი გაქვთ, ინებეთ, მაგრამ მიიღეთ უცხიმო და მოხარშული. კვება ბალანსირებული უნდა იყოს. ორგანიზმს სჭირდება ცილებიც, ცხიმებიც და ნახშირწყლებიც. მთავარია, მიიღოთ იმდენი კალორია, რაც თქვენი ასაკისა და ფიზიკური დატვირთვის დროს არის საჭირო. ეცადეთ, არაფერი მიირთვათ 19 საათის შემდეგ. რაციონში მინიმუმამდე შეამცირეთ ცომეული, საკონდიტრო ნაწარმი, ცხიმი.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ორგანიზმმა ყველაზე კარგად იცის, რაც სჭირდება. ე. ი. ექიმის ჩარევას არ მიიჩნევთ საჭიროდ?**

— პირიქით. დიეტის დროს ყველაზე მეტად არის აუცილებელი ექიმის კონსულტაცია, გამოკვლევების ჩატარება, მკურნალის რჩევების გათვალისწინება. რაც შეეხება ჩემს ნათქვამს, ორგანიზმი მართლაც თავად გვაგრძნობინებს, რა სჭირდება მას. მაგალითად, ფეხმძიმე ქალს ხშირად უზიანდება კბილები. ეს კი კალციუმის ნაკლებობაზე მიუთითებს. ნაყოფი ძვლოვანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად მას დედის ორგანიზმიდან ითვისებს. სასურველია ამ დროს ქალმა აუცილებლად მიიღოს დღეში 2 გრამამდე კალციუმი. კალციუმის შემცველ პროდუქტებზე ორგანიზმის მოთხოვნილება ისე ძლიერდება, რომ ფეხმძიმე ქალები ზოგჯერ სუფთა ცარცსაც კი ჭამენ. ასევეა გაზაფხულზე... ამ დროს ორგანიზმისთვის აუცილებელია ბოსტნეულისა და ხორცის კერძები. წყლის დიდი რაოდენობით გამოდევნისას, შესაბამისად იზრდება წყალზე მოთხოვნილება და ა.შ.

ზოგჯერ ავადმყოფი ცოტას ჭამს, ან უარს ამბობს საკვებზე. ესეც ორგანიზმის კარნახით ხდება. ამ დროს იგი მთლიანად მობილიზებულია დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად. მას საკვების გადასამუშავებლად „აღარ სცალია“ — მთელ ენერგიას დაავადების დასათრგუნავად იყენებს.

ასე რომ, ნუ ინერვიულებთ, თუ ავადმყოფობის დროს მადა დაკარგეთ. ეს თქვენ განკურნებაში გეხმარებათ.

***მარი ზანდუკელი***

# „ოქროსფერი ფურცელი“

ხახვის სასარგებლო თვისებების შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცით, მის ფურცელზე კი ძალიან ცოტა რამ. არადა თურმე, ხახვის ფურცლის ნახარში და ნაყენი აუმჯობესებს გულის მუშაობას, აქვს შარდმდენის თვისება, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ნატრიუმის ქლორიდების გამოყოფას, ამაგრებს და უფრო ელასტიკურს ხდის სისხლძარღვებს.



გარდა ამისა, თუ ხახვის ფურცლის ნახარშს ან ნაყენს შეიზელთ თმის ძირებში, შეჩერდება თმის ცვენა, მოგშორდებათ ქერტლი და თმა აბრეშუმივით გახდება.

ხახვის ფურცლის ნახარში ან ნაყენი ასე მზადდება:

მომინანქრებულ ქვაბში ჩაყარეთ ერთი მუჭა ხახვის ფურცელი და მოხარშეთ (ან დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ 1 საათი) და სვით, როგორც ჩაი. ნახარშის (ან ნაყენის) ზედაპირზე გაჩენილი ყვითელი ან ყავისფერი ნალექი არის რუტინი, რომელსაც მედიცინაში იყენებენ სისხლძარღვების დაავადებისას, განსაკუთრებით, თავში სისხლჩაქცევის (ინსულტის) საწინააღმდეგოდ, როგორც პროფილაქტიკურ საშუალებას.

***ტრუდ-7 №23***

# ᲡᲝᲓᲐ — ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

**ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოყენებულ წამლებს შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ჩვეულებრივი საჭმელი სოდა. ეს მარილისგემოიანი თეთრი ფხვნილი გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, განსაკუთრებით ქალაქგარეთ, როდესაც ხელთ არ გაქვთ რაიმე სხვა წამალი და ექიმის გამოძახებაც ძნელია. გთავაზობთ რეცეპტებს:**

— *გაცივების მიზეზით გამოწვეული სუსტი ხველებისას* 1 ჩ/ჭ მდუღარე რძეს დაამატეთ 1 ჩ/კ სოდა და ძილის წინ დალიეთ. აუცილებლობის შემთხვევაში — გაიმეორეთ.

— *ზედა სასუნთქი გზების ანთების, მწვავე და ქრონიკული ლარინგიტის დროს* ჩაასხით ჩაიდანში 1 ლ წყალი, დაამატეთ 1 ს/კ სოდა და აადუღეთ. ჩაიდანს ცხვირზე გაუკეთეს მუყაოს მილი და 10-15 წუთის განმავლობაში ისუნთქეთ პირით ცხელი ორთქლი.

— *ანგინის, ლარინგიტის, განსაკუთრებით ფარინგიტის და კბილის ტკივილის, სტომატიტის დროს* 5-6-ჯერ გამოივლეთ პირში სოდიანი წყალი (1-2 ჩ/კ სოდა: 1 ჩ/ჭ თბილ წყალში).

— *სურდოს დროს* დანის წვერით სოდა ჩაყარეთ 2 ჩ/კ თბილ წყალში და დღეში 2-3-ჯერ ჩაიწვეთეთ ცხვირში.

— *გულის აჩქარების დროს* რეკომენდებულია მიიღოთ წყალში გახსნილი 1/2 ჩ/კ სოდა.

— *თავის ტკივილის დროს* სასურველია დალიოთ 1 ჩ/ჭ თბილი რძე ცოტაოდენი სოდით.

— *კუჭი შეიძლება გამოირეცხოთ* სოდიანი წყლით (ოყნა). პროპორცია: 1 ჩ/კ სოდა 1ლ წყალზე.

— *მწვავე ჰემოროის დროს* გაიკეთეთ 2%-იანი სოდიანი ხსნარის საფენები 30 წუთში ერთხელ;

— *თუ თითის დაგიჩირქდათ,* 2ს/კ სოდა ჩაყარეთ 0,5 ცხელ წყალში და 15-20 წუთით ჩაყავით შიგ მტკივნეული თითი. პროცედურა გაიმეორეთ დღეში 3-ჯერ.

— *თუ გაქვთ ცხიმიანი ქერტლი,* დაბანის წინ თავის კანში შეიზილეთ 1 ჩ/ჭ წყალში გახსნილი 1 ჩ/კ სოდა.

— *ხელ-ფეხზე კოჟრების მოსაშორებლად* კვირაში 2-3-ჯერ, 10 წუთის განმავლობაში ჩაყავით თბილ სოდიან წყალში (1 ჩ/კ სოდა 1 ლ წყალში), შემდეგ კარგად გაიმშრალეთ და გაიხეხეთ პემზით.

— *თუ ფეხები ძლიერ გიოფლიანდებათ,* საჭიროა დილა-საღამოს გადაივლოთ სოდიანი წყალი (1 ჩ/კ სოდა 1 ჩ/ჭ წყალში), ღამით კი თითებს შუა ჩაიდეთ ამ ხსნარში დასველებული ბამბის ტამპონები. შეიძლება აგექავოთ, მაგრამ მოითმინეთ.

— *სოკოვანი დაავადების დროს* 1 ს/კ სოდა ჩაყარეთ ცოტა რაოდენობის ოთახის ტემპერატურის წყალში, ხსნარი წაისვით დასნებოვნებულ ადგილებზე, შემდეგ გადაივლეთ წყალი, გაიმშრალეთ და დაიყარეთ სახამებელი.

— *ფეხების შეშუპებისა და დაღლილობის მოსახსნელად* საკმარისია 15 წუთის განმავლობაში გაიკეთოთ სოდიანი წყლის აბაზანები (5 ს/კ სოდა 10 ლ წყალში).

***ტაინაია ვლასტ №12***

# ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲐᲪ ᲛᲐᲕᲜᲔᲐ



უსიამოვნებები და დეპრესია უმთავრესად თან ახლავს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას. მშიერი ადამიანი ადვილი გასაბრაზებელია. საკვების მიღების შემდეგ ორგანიზმში გამომუშავდება ნივთიერება, რომელიც სუსტი ნარკოტიკის ტოლფასია — წარმოიქმნება სიამოვნების და მსუბუქი ეიფორიის გრძნობა; სისხლში შაქრის დონის დაწევას, რაც იწვევს შიმშილის გრძნობას, მოჰყვება ნერვული უჯრედების აღგზნება. ამიტომ, თუ დიდი ხნის მანძილზე ხართ დიეტაზე, შესაძლოა სტრესში ჩავარდეთ.

თუმცა, მაძღრობა არ არის ყოველთვის მხნეობის თანმდევი. ნასადილევს ენერგიის მოზღვავება რომ იგრძნოთ და ძილქუში არ დაგემართოთ, ყურადღება მიაქციეთ რაციონს. მენიუში უნდა ჭარბობდეს C, D, $B_{12}$ ვიტამინების შემცველი პროდუქტები, აგრეთვე კალციუმი, მანგანუმი, ქრომი, იოდი. მიირთვით მეტი თევზეული და ზღვის პროდუქტები, აგრეთვე, წითელი ხორცი, მსუბუქი რძის პროდუქტები, ახალი ბოსტნეული და მწვანილი, მრავალფეროვანი ბოსტნეულის სალათები,. იხმარეთ ლიმონის წვენი. თუ მოგინდათ ტკბილეული ან მარილიანი — მიირთვით. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჯანმრთელმა ორგანიზმმა იცის, როდის და რა აკლია და ცდილობს აინაზღაუროს...

***ოჯი***

მკურნალი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

პირველად საქართველოში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99

მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

ანონიმურობა დაცულია!

# ᲕᲘᲜᲪ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲕᲐᲛᲡ...

ბოლო დროს მთელი მსოფლიო ჩაის ეტანება. ამ მატონიზებელ-მასტიმულირებელ სითხეში გასარკვევად დაგვეხმარება ერთ-ერთი ცნობილი ჩაის კომპანიის მენეჯერი **ლი ჩჟუნ სუ.**

— **ყოველთვის შავ ჩაის ვსვამდით და მხოლოდ ახლახან, თავიდან აღმოვაჩინეთ მწვანე ჩაი. რატომ თვლიან მას ორგანიზმისთვის უფრო სასარგებლოდ?**

— ის შეიცავს ნივთიერება კატეხინს, რომელიც ახშობს იმ ნივთიერების მოქმედებას, რომელიც უჯრედების მუტაციას იწვევს. ის ნაწილობრივ იცავს ჩვენს ორგანიზმს სიმსივნეებისაგან, შეიცავს ტანინს, რომელიც არეგულირებს ცხიმის ცვლას და ანელებს დაბერების პროცესს. ბევრი სპეციალისტის აზრით, მწვანე ჩაი 20-ჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე E ვიტამინი. აგრეთვე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მწვანე ჩაიში გაცილებით მეტია მინერალური ნივთიერებები, ვიდრე შავში. ის მდიდარია თუთიით, რომელიც აუცილებელია ფეხმძიმე ქალებისათვის, კალიუმით, რომელიც პასუხისმგებელია გულ-სისხლძარღვთა მუშაობაზე, აგრეთვე შეიცავს K ვიტამინს, რომელიც სისხლის შედედებას უზრუნველყოფს, მდიდარია ფტორით, რომელიც ხელს უშლის კბილის მინანქრის დაშლას, — იოდით — აუმჯობესებს ენდოკრინული სისტემისა და ფარისებრი ჯირკვლის მუშაობას და კიდევ — C,$B_1$,PP,$B_2$ ვიტამინებით და ა.შ.

— **როგორ მოქმედებს მწვანე ჩაი სისხლის წნევაზე?**

— მწვანე ჩაი დაბლა სწევს სისხლის წნევას. მისი წყალობით მცირდება ათეროსკლეროზის, ინსულტებისა და ინფარქტების რისკი, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს.

— **ახლა იყიდება ჩაი სხვადასხვა ხილის დანამატებით. ისინი მარტო გემოს გამო გამოიყენება. თუ გააჩნიათ რაიმე სამკურნალო თვისებები?**

— თითოეულ ასეთ დანამატს აქვს დამახასიათებელი თვისება. მაგალითად, გარგარი გამოიყენება სისხლნაკლებობის დროს, ბრონქიტის, ტრაქეის და თირკმლების ანთების, მშრალი ხველის დროს. მაყვალი შესანიშნავია (ანუ მაყვლის მწვანე ჩაი) მოწამვლის დროს, ჟასმინი — რევმატიზმის მკურნალობისას, დაბალი არტერიული წნევის დროს, მარწყვი — წყლულების მოსაშუშებლად, კოლიტისას; გულყვითელა — ჰიპერტონიისას, სტენოკარდიისას, ღვიძლის დაავადებისას; ხენდრო — შესანიშნავი შარდმდენი საშუალებაა; ვაშლის მწვანე ჩაის ეტანებიან გასახდომად, ათეროსკლეროზის, სისხლნაკლებობის დროს; ლიმონი საჭიროა ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას, გასტრიტის, დაბალი მჟავიანობისას; ჟოლო — სისხლნაკლებობის, დიაბეტის და ნევროზების დროს; მოცვი — აუმჯობესებს მხედველობას.

— **როგორ სჯობს მწვანე ჩაის სმა?**

— სჯობს მიირთვათ უშაქროდ. შაქრით — ის უგემური ხდება. ხოლო თაფლით — აძლიერებს იმუნურ სისტემას.

— **როგორ დავაყენოთ მწვანე ჩაი?**

— ჩაის ასხამენ მდუღარეს, მაგრამ წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს $80^0$-ს. მწვანე ჩაი შეიძლება 2-3 ჯერ დააყენოთ.

***ზდოროვიე***

# ᲓᲘᲐᲠᲔᲐ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲐ

ხშირად დიარეა (ფაღარათი) თავს „გვესხმის“ იქ და მაშინ, სადაც არ ველოდებით... რა იწვევს ამ უსიამოვნო მოვლენასო, — იკითხავთ. პასუხი კი ასეთია:

1. თუ ძველი ან გაურეცხავი პროდუქტი შეჭამეთ;
2. ჭამეთ უცხო კერძი ან ხილი;
3. მიიღეთ ბევრი „საშიში და მოღალატე“ პროდუქტი (ვაშლი, ყაბაყი, კიტრი, მარწყვი, პურის ბურახი, ჰერკულესი, ქატო, დალიეთ ღია ფერის ლუდი);
4. შეგეშინდათ (ხშირად ფაღარათს იწვევს შიში);
5. გადაიღალეთ სპორტდარბაზში, ვარჯიშს შეუჩვეველმა ორგანიზმმა პროტესტი გამოთქვა;
6. დისბაქტერიოზი.

თუ დიარეა დაგემართათ, სასწრაფოდ მიიღეთ ერთბაშად რამდენიმე (დაახლოებით 20 აბი მაინც) აქტივირებული ნახშირი, შემდეგ — გამოცდილი ხალხური საშუალებები — წყალში მოხარშული ბრინჯი, მოცვის ან ბროწეულის ქერქის ნაყენი, ანწლის ვაჟინი.

დააკვირდით, თუ ფაღარათი უჩვეულო ფერისაა (ღია-ყვითელი ან ჟოლოსფერი, ან მასში გარეულია სისხლი) სასწრაფოდ გამოიძახეთ ექიმი.



თუ დიარეა გამოწვეულია გამოცდების, საქმიანი ან პაემანზე წასვლის შიშით, შეეცადეთ: არ გაალიზიანოთ კუჭი შეუჩვეველი პროდუქტით ან იქონიეთ კუჭის „გასამაგრებელი“ პრეპარატები და სორბენტები, აქტივირებული ნახშირი. თუ ფაღარათი გამოწვეულია სტრესით, საკონსულტაციოდ მიმართეთ ნევროლოგსა და ფსიქიატრს, რადგან ამ სიტუაციამ შეიძლება ბევრჯერ შეგარცხვინოთ...

გთავაზობთ წამლების ნუსხას, რომლებიც ებრძვიან დიარეას:

1. აქტივირებული ნახშირი;
2. პოლიფეპამი;
3. ლოპედიუმი;
4. იმოდიუმი;
5. ნო-შპა (ტკივილებს ხსნის);
6. პანკრეატინი;
7. მეზიმი ან ფესტალი (საჭმლის მომნელებელი ფერმენტები);
8. რეგიდრონი (გაუწყლოებას თავი რომ გავართვათ).

***კომსომოლსკაია პრავდა №35***

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲔᲒᲝᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

## მითი 1. სპორტი დღეგრძელობის საწინდარია

ბავშვობიდან ჩაგვჩიჩინებენ, ფიზიკური ვარჯიშები ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, თანაც, რაც მეტად დავიტვირთებით ფიზიკურად, მით უკეთესიაო. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სპორტსმენები დიდხანს ვერ ცოცხლობენ, ხოლო ყოველდღიური, ინტენსიური ვარჯიში ბევრს კიდევაც ვნებს.

**რომელი სპორტი რა გართულებებს იწვევს:**

**ᲪᲣᲠᲕᲐ** — ქრონიკულ ბრონქიტს, ჰაიმორიტს, ფილტვების დაავადებებს, ყურების ანთებას;

**ᲨᲔᲘᲞᲘᲜᲒᲘ** — ოსტეოქონდროზს, ვენების ვარიკოზულ გაგანიერებას, რადიკულიტს, დაჭიმვას, ჰორმონულ ცვლილებებს;

**ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲘ** — გულის დატვირთვას, სტრესულ მდგომარეობას, იმუნიტეტის დაქვეითებას;

**ᲢᲠᲔᲜᲐᲟᲝᲠᲔᲑᲘ** — იოგების დაწყვეტას, გულის, ღვიძლის დაავადებებს, ტრავმებს.

## მითი 2. დასახლდით ზღვასთან

ბევრისგან ხშირად გაიგონებთ: პენსიაზე რომ გავალ, სადმე, ზღვასთან ახლოს დავსახლდები და ჯანმრთელობაზე ვიზრუნებო.

*დადებითი:* მზე, ზღვის იოდირებული ჰაერი, ხილი დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ორგანიზმიც ვიტამინებით მდიდრდება და ასთმიანებს კი სიცოცხლეც უხანგრძლივდებათ.

*უარყოფითი:* უცხო ადგილზე გადასვლას თან სდევს ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური სტრესები. ამას ადასტურებს გერონტოლოგთა კვლევის შედეგები. ისეთ რეგიონებშიც კი სადაც სიცოცხლისათვის საუცხოო პირობებია, ჩამოსახლებულები გაცილებით დღემოკლენი არიან, ვიდრე სამშობლოში, თუნდაც იქ სიცოცხლისათვის უმკაცრესი პირობები იყოს. მაგალითად, ყირიმში ბარაქიან მხარეში სიცოცხლის ხანგრძლივობა მთელ უკრაინაში ყველაზე დაბალია, რადგანაც აქ თავი მოიყარა დსთ-ის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ხალხმა. *დასკვნა:* მხოლოდ მშობლიურ მიწაში ღრმად ფესვგადგმულნი ცოცხლობენ დიდხანს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲗ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲡᲢᲐᲢᲘᲢᲡ

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

## მითი 3. ორგანიზმი უნდა გაიწმინდოს

ორგანიზმიდან წიდების სრულად გამოდევნის რეკლამით დღეს აჭრელებულია ყველა ჟურნალ-გაზეთი. ამ პროცედურას (უბრალოდ, ოყნა) სთავაზობენ დამსვენებლებს სანატორიუმებშიც.

კუჭ-ნაწლავის გაწმენდა ორგანიზმს სიმსუბუქეს მხოლოდ ცოტა ხნით ანიჭებს. ეს პროცედურა ორგანიზმისთვის მავნეა, რადგანაც მსხვილი ნაწლავის შემცველობის ორი მესამედი არის ის სასარგებლო მიკროორგანიზმები, რომელთა გარეშეც მას უბრალოდ, მუშაობა არ შეუძლია. ოყნა და რეკლამირებული პრეპარატები კი მთლიანად გამორიცხავენ მიკროფლორას, რაც იწვევს დისბაქტერიოზს და სხვა დაავადებებს.

## მითი 4. გვიანი მშობიარობა ქალს აახალგაზრდავებს



თითქმის ყველა „ორმოც წელს“ მიღწეული ქალი დარწმუნებულია, საკმარისია იმშობიაროს და ნაოჭები მაშინვე გაუსწორდება.

მართლაც, ფეხმძიმობა და მშობიარობა ქალის იმუნიტეტის და ტონუსის გამაძლიერებელია, ააქტიურებს ქალის ყველა ფარულ რეზერვს, ორგანიზმს აჯანსაღებს. თუ ქალი არ უჩივის ჰიპერტონიას, დიაბეტს, გულის მანკს და სხვა მძიმე დაავადებებს, 40 წლის შემდეგაც მშვიდად შეუძლია იმშობიაროს.

მაგრამ, მშობიარობა ქალს არც ერთ ასაკში არ აახალგაზრდავებს, ის ყოველთვის რისკავს და თავისი ჯანმრთელობის ნაწილს ბავშვს აძლევს, ხოლო 30 წლის შემდეგ აქტიურად იჩენს თავს ყველა ქრონიკული დაავადება. ყველაზე დიდი საშიშროება ის გახლავთ, რომ 35-40 წლის ქალს შესაძლებელია გაუჩნდეს ბავშვი თანდაყოლილი ნაკლით. ავადმყოფი ბავშვი კი, ქალს ნამდვილად ვერ გაახალგაზრდავებს.

***შტერნი***

რუსეთი

# ვის შეძლის სპეციზოლატორი

შესაძლოა, შუა აგვისტომდე რუსეთის გენპროკურატურამ 5-6 საქმე აღძრას. ამბობენ, მასალები შეგროვებულია ხოდორკოვსკიზე, ფრიდმანზე, დერიპასკასა და მელნიჩენკოზეო. ამ ნუსხაში არ არის რ. აბრამოვიჩი. მას ალბათ ცალკე მოსთხოვენ პასუხს — მაინც სახელმწიფო პირია, გუბერნატორი. საქმეში ჩართული იქნება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან, უკანონო ფინანსურ ოპერაციებთან, ჭუჭყიანი ფულის ჩამორეცხვასთან დაკავშირებული ეპიზოდები. ერთი სიტყვით, კრიმინალი გაჩნდება.

სამართალდამცავები უკან არ იხევენ, ყოველ შემთხვევაში, „იუკოსის" საქმის დახურვას არ აპირებენ. ამბობენ, რომ ოლიგარქებთან დაახლოებული პირები განიხილავენ ულტიმატუმის 5 პუნქტს, რომლებიც თითქოს „იუკოსის" თავკაცს წაუყენეს: შორს დაიჭიროს თავი პოლიტიკიდან, შეწყვიტოს პარტიების დაფინანსება, ნუ შეეცდება დუმის არჩევნებზე თავისი ხალხის გაყვანას, მონახოს საჯაროდ მონანიების გზა (როგორც ეს ბატონმა პოტანინმა გააკეთა), უახლოეს დროში არ წავიდეს ქვეყნიდან.

თავად ხელისუფლებას რა სურს? 2010 წლისთვის გააორმაგოს ერთიანი შიდა პროდუქტი, სახელმწიფო დუმაში შეიყვანოს თავისი მომხრე 300-ზე მეტი დეპუტატი და ა.შ. ამისთვის საჭიროა ხელისუფლების მკაცრი ვერტიკალის შექმნა, რათა ფეხებში არავინ გაებლანდოს თავისი მილიარდებით.

რა პასუხს გასცემენ ოლიგარქები? მათ, მაგალითად, ერთ-ორ დღეში შეუძლიათ ქვეყნის მთელი საფონდო ბაზრის დაცემა, რაც გააკეთეს კიდეც. ორ კვირაში რუსეთის საწარმოთა კაპიტალიზაცია 15 მლრდ დოლარით შემცირდა. 3 მლრდ საზღვარგარეთ გაიტანეს. ეს მხოლოდ დასაწყისია.

*არგუმენტი ი ფაქტი №30*

# მომავალი პრეზიდენტები

## მამა თუ შვილი?



აზერბაიჯანის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალურად დაამტკიცა ჰეიდარ ალიევი პრეზიდენტობის კანდიდატად. არჩევნები ოქტომბერში გაიმართება. ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა მისმა ვაჟმა, ილხამმაც. მოქმედი პრეზიდენტის შტაბმა გადაჭარბებით შეასრულა გეგმა — ჰ. ალიევის კანდიდატურის წამოსაყენებლად საჭირო 45 ათასი ხელმოწერის ნაცვლად, 51 ათასი შეაგროვა. საარჩევნო კამპანიას განსაკუთრებულ სიმძაფრეს მატებს სამი ფაქტორი: პირველი — დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში არასოდეს ყოფილა რეგისტრირებული პრეზიდენტობის ამდენი კანდიდატი (19 ადამიანი), შესაძლოა ეს რიცხვი კიდევ გაიზარდოს. მეორე — ძნელი სათქმელია, არჩევნებში შეძლებს თუ არა მონაწილეობას ჰეიდარ ალიევი, რომელიც ბოლო ორი თვის განმავლობაში მეორედ დაწვა სამკურნალოდ ანკარის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. მესამე და მთავარი კი ის არის, რომ პრეზიდენტობისთვის მამა-შვილი იბრძვის. თავად ილხამმა რეგისტრაციის შემდეგ განაცხადა, — პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი იქნება. ჩემი, როგორც კანდიდატის, რეგისტრაცია კი იმის საშუალებას მომცემს, პროპაგანდა გავუწიო ამჟამინდელ პრეზიდენტსო.

## აკაევი სავარძელს მეუღლეს უთმობს



ყირგიზეთის თავკაცმა ასკარ აკაევმა განაცხადა, რომ 2005 წლის არჩევნებზე თავის კანდიდატურას არ წარადგენს, მაგრამ ბიშკეკში არ გამორიცხავენ, რომ მან „საზოგადოებრიობის მოთხოვნით შეიძლება კვლავ ისურვოს პრეზიდენტობა მეოთხედ, ან მეუღლეს მაირამ აკაევას გადაულოცოს პრეზიდენტის სავარძელი". ბატონი აკაევი გაისად 60 წლისა ხდება. 2000 წელს ის პრეზიდენტად მესამედ აირჩიეს, რამაც ოპოზიცია აღაშფოთა. ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლომ აკაევს მაშინ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმ მოტივით მისცა, რომ აკაევი პირველად პრეზიდენტი „საკავშირო" კონსტიტუციის თანახმად გახდა. არა აქვს მნიშვნელობა, აკაევი იყრის თუ არა კენჭს მეოთხედ, ხელისუფლების სადავეები მაინც მის ხელში დარჩება. შემოდგომაზე ქალბატონი აკაევა საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს. არც ის ეეჭვება ვინმეს, რომ ახალი პარლამენტი მას სპიკერად აირჩევს, საიდანაც ალბათ პრეზიდენტის სავარძელში გადაბრძანდება. ყირგიზეთში ამბობენ, — ასკარ აკაევი უფროსი ვაჟის გაპრეზიდენტებაზე ოცნებობს, მაგრამ ის ჯერ ოცდაათისაც არ არის და მისი ტახტზე ასვლა მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევსო.

## ნაზარბაევი — ქალიშვილს



ყაზახეთის პრეზიდენტის ქალიშვილს, დარიგა ნაზარბაევას, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე მამის მემკვიდრედ თვლიან. იგი ქვეყნის უდიდესი მედიაჰოლდინგის „ჰაბარის" მეპატრონეა, აკონტროლებს სხვა საინფორმაციო საშუალებებსაც. მისი მხარდაჭერით ამუშავდა ყაზახეთის პირველი სათანამგზავრო არხი Caspianet-ი, რომელიც აზიისა და აფრიკის მნიშვნელოვან ნაწილზე ახორციელებს მაუწყებლობას. დარიგა ნაზარბაევა მეთაურობს ჟურნალისტთა კონგრესს, ხელმძღვანელობს სააგენტოს, რომელიც ყაზახეთის იმიჯის გაუმჯობესებისათვის იღვწის. დარიგა ნაზარბაევა ყაზახეთის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად არის აღიარებული. როგორც საჯარო პოლიტიკოსი, ხშირად საუბრობს იმ საკითხებზეც, რომლებსაც სხვები გვერდს უვლიან. მაგალითად, ის პირველი შეეხო ნურსულთან ნაზარბაევისათვის მეტად მტკივნეულ თემას — საკორუფციო სკანდალს, რომელშიც, ამერიკის სამართალდამცავთა მონაცემებით, ყაზახეთის ხელმძღვანელობაა ჩართული. დარიგა ნაზარბაევამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, — მზად ვარ, ჩავიდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენების მისაცემად, მაგრამ ამერიკის თემიდა ჯერჯერობით სდუმსო. ორი წლის წინ ყაზახეთში პრეზიდენტის მემკვიდრედ მის სიძეს, დარიგას მეუღლეს — რაჰათ ალიევს თვლიდნენ, რომელიც ქვეყნის თითქმის ყველა ძალოვანი უწყების მუშაობას უწევდა კოორდინაციას. მაგრამ პრეზიდენტ ნაზარბაევისათვის ცნობილი გახდა, რომ მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ინტერნეტსაიტს, რომელიც დღედაღამ პრეზიდენტის ლანძღვაში იყო და ქება-დიდებას ასხამდა მის სიძეს, თურმე თავად გენერალ რაჰათ ალიევის ხალხი აკონტროლებდა. საიტი საზოგადოებრივ აზრს ამზადებდა „ძლიერ ხელში" პრეზიდენტის ძალაუფლების გადასაცემად. განრისხებულმა ნურსულთან ნაზარბაევმა სიძე აიძულა, გადამდგარიყო, ცოტა ხანში კი ავსტრიაში ელჩად უკრა თავი.

*უცხოური პრესის მიხედვით*

# იტალია, უწინარეს ყოვლისა



კროუფორდში (ტეხასის შტატი), პრეზიდენტ ბუშთან მიწვევა თვალნათლივ წარმოაჩენს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-ის პრეზიდენტი მსოფლიოს ამა თუ იმ ლიდერთან კონტაქტს. დღემდე ეს პატივი ხვდა დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ავსტრალიის, იაპონიის პრემიერ-მინისტრებს, საუდის არაბეთის პრინც აბდალას, მექსიკის, რუსეთის პრეზიდენტებს, ძიან ძემინს, რომელიც აშშ-ში ვიზიტის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე იყო.

იტალიის პრემიერი „რჩეულთა" შორის მოხვდა. შეიძლება ითქვას, ეს პატივი იმის გამოც ერგო, რომ ერაყის კრიზისის დროს ამერიკა-დიდი ბრიტანეთის ოპერაციას დაუჭირა მხარი.

ბოლო დროს აშშ-ს გაურთულდა ურთიერთობა ევროპაში პირველობის მოსურნე ქვეყნებთან (უპირველესად საფრანგეთსა და გერმანიასთან). ვაშინგტონი არ მალავს, რომ გაღიზიანებულია ბერლინისა და პარიზის პოზიციით ერაყის ომის მიმართ, დიდი ევროპის ქვეყნებს შორის მომხდარი უმნიშვნელო კონფლიქტიც კი მის წისქვილზე ასხამს წყალს.

ამერიკა-ევროპისა და შიდაევროპულ ურთიერთობებში ახალი რეალიები ჩნდება. იტალია, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი, უკმაყოფილოა იმით, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ თავი ევროკავშირის მამებად და საკუთარი აზრი ერთიანი ევროპის აზრად გამოაცხადეს. ბუნებრივია, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც ლიდერთა ჯგუფში არ აღმოჩნდნენ, ვერ ეგუებიან „მცირე ერების" როლს და საკუთარი უფლებების აღსადგენად ძლიერ მფარველს ეძებენ. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ასეთი ქვეყნების — ესპანეთისა და იტალიის — პრემიერები მიიწვია ბუშმა კროუფორდში.

*კომერსანტი №127*


# სიახლე ფერმერებისათვის

## სასათბურე, საჩითილე და სანერგე მეურნეობების მოსაწყობად

**საქართველოში სასათბურე მეურნეობები გადასახურავ მასალად დღემდე მინას და ჩვეულებრივ პოლიეთილენის ფირებს (ცელოფანის პარკს) იყენებენ. ასეთი მასალით გადახურული „სათბურები" ვერ უზრუნველყოფს მცენარეთათვის აუცილებელი მიკროკლიმატის შექმნას, ვერ აკავებს მზის მავნე გამოსხივებას, მცენარეებს ვერ იცავს მავნე მწერებისა და ვირუსებისაგან.... ყოველივე ეს აზიანებს ნათესებს. ფერმერი იძულებულია გამოიყენოს ჭარბი რაოდენობის შხამქიმიკატები, რაც უარყოფითად მოქმედებს მოწეული მოსავლის საკვებად ვარგისიანობაზე და სათბურში მომუშავე ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ამას ემატება ზედმეტი ხარჯებიც...**

**სპეციალისტების დაკვირვებებით, საქართველოში ბოლო წლების მანძილზე გახშირდა გვალვიანობა, სუსხიანი და ქარიანი ამინდები, იმატა მზის უარყოფითმა გამოსხივებამაც, ჩნდება მცენარეთა ახალი დაავადებები. ამ შემთხვევაში გარანტირებული და კარგი მოსავლის მისაღებად ერთადერთი გამოსავალია სასათბურე მეურნეობებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც გარემო პირობების გაუთვალისწინებელი ცვლილებების გამო მთელ მსოფლიოში უფრო და უფრო აქტუალური ხდება. სწორედ ამ დაინტერესებას მოჰყვა სიახლე, რომელიც საქართველოში უკვე ხელმისაწვდომია და მესათბურეებსაც საქმიანობას უფრო გაუადვილებს.**

***სპეციალური სასათბურე ფირები*** — ფერმერებისთვის შექმნილმა ამ ახალმა საშუალებამ წლების მანძილზე გაიარა გამოცდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სხვადასხვა ბუნებრივ ექსტრემალურ და ლაბორატორიულ პირობებში

იგი ფართოდ და წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში. მათ შორის უკვე საქართველოშიც. ***ეს სიახლე საქართველოში შ.პ.ს. „შალი"-ს მიერ დაინერგა*** **(მისამართი: მარჯანიშვილის №5, III სართული; ტელ: 96-91-95; 96-91-64; 899 56-91-95).** ამ ფირმის დირექტორის, გიორგი შალიბაშვილის თქმით, დაახლოებით წელიწად-ნახევრის მანძილზე მათ მიერ საკუთარი სახსრებით გაკეთებულ ექსპერიმენტულ სათბურებში მიმდინარეობდა ახალი სასათბურე ფირების ეფექტურობაზე დაკვირვება. ამ ფირებით გაკეთდა სათბურები საქართველოს რამდენიმე რეგიონში (იმერეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში). მიღებულმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ფერმერებს შორის. როგორც მომხმარებელი აღნიშნავს, ახალი სათბური ეკონომიურიც არის, მაგრამ მთავარი შელავათი ის არის, რომ ახალი სასათბურე ფირების წყალობით კარგი მოსავალი განსაკუთრებული მოვლის გარეშეც გარანტირებულია, რადგან ნათესს თვითონ სათბური უვლის. ერთი სიტყვით, სათბურის ეს სპეციალური ფირები გლეხს უადვილებს შრომას, უზოგავს გაცილებით მეტ დროს და ფინანსებს. რაც მთავარია, მომხმარებლამდე მიდის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

***სპეციალურ სასათბურე ფირებს აქვთ მრავალი უპირატესობა***, როგორც ჩვეულებრივი ცელოფანის, ასევე მინის სათბურებთან შედარებით, კერძოდ ფირში არსებული სპეციალური დანამატების წყალობით სასათბურე ფირები უძლებენ ძლიერ ქარს, სეტყვას, ყინვას, თოვლს, ძლიერ სიცხეს, ნათესებს არიდებენ მზის მავნე გამოსხივებას, აგრეთვე სათბურში დღეღამური ტემპერატურა არ განიცდის მკვეთრ ცვლილებას, მცენარეებს იცავენ სხვადასხვა დაავადებისაგან, ***არ ჩნდება და არ მრავლდება ვირუსები და მავნე მწერები, არ წარმოიქმნება ცვარი, ნარგავები არ იხუთება...*** სპეციალური სასათბურე ფირები გამოირჩევიან მეტი სიმტკიცითა და გამძლეობით, მოხმარების ხანგრძლივობით (არის 9-თვიანი, 1,2 და 3-წლიანები); ფირები მოხერხებულია მომხმარებლისათვის ზომების მიხედვითაც. კერძოდ, მისი სიგანე სურვილის მიხედვით, შეიძლება იყოს 12 მეტრამდე, სიგრძე კი შეუზღუდავია.

***ახალი სასათბურე ფირების მთავარი შედეგი: ადრეული და უხვი მოსავალი, საღი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.***

R


მოკლედ

**ლონდონში** განახლდა ახმედ ზაკაევის სასამართლო პროცესი. ბრალდების ერთ-ერთმა მოწმემ, დუხ-ვახა დაშუევმა, 2002 წლის დეკემბერში მიცემული ჩვენება, — ახმედ ზაკაევის ბრძანებით გაიტაცეს მართლმადიდებელი მღვდელიო, ახლა უარყო — ამგვარი ჩვენების მიცემა რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა მაიძულესო.

**ავღანეთში,** შარშან, ხაშხაშის ნათესი 2,5-ჯერ გაიზარდა. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დღემდე არ განადგურებულა სუფთა ნარკოტიკის მწარმოებელი არც ერთი ლაბორატორია. ეს მონაცემები გამოაქვეყნა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრი ქვეყნების (რუსეთი, სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) საბჭოს გენერალურმა მდივანმა ნ. ბორდიუჟამ. მან ისიც აღნიშნა, რომ ბელორუსიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამფეტამინის შემოტანა პოლონეთიდან.

**ლონდონის** აეროპორტ Heathrow-დან ათასობით მგზავრი უბარგოდ გაფრინდა. ხელფასის მომატების მოთხოვნით გაფიცულმა აეროპორტის მუშაკების ნაწილმა შეაფერხა მუშაობა, რეისები გადაიდო, ტერმინალების განტვირთვა გაძნელდა. მგზავრები, რომლებიც ბარგის გარეშე ჩაფრინდნენ დანიშნულების ადგილზე, უკმაყოფილონი არიან. მათ დაჰპირდნენ, რომ ბარგს გაუგზავნიან და ზარალს აუნაზღაურებენ.

**პალესტინის** ხელმძღვანელობამ კანონგარეშედ გამოაცხადა ავტონომიის ტერიტორიაზე მოქმედი ექსტრემისტული დაჯგუფებები. შესაბამის დეკრეტს ხელი მოაწერა იასირ არაფატმა. ანალოგიური შინაარსის დოკუმენტი 1998 წელსაც მიიღეს, მაგრამ მისი პუნქტები არ დაუცავთ.

**სადამ** ჰუსეინის ვაჟების დახოცვა უთუოდ იმოქმედებს ერაყელთა განწყობაზე. უდეისა და ყუსაის სიკვდილი იმის მაჩვენებელია, რომ ჰუსეინი ვერასოდეს დაბრუნდება ქვეყანაში და ამერიკელები მასაც აუცილებლად იპოვიან, — იტყობინება გაზეთი „ტაიმი".

**ყოველკვირეული** გაზეთის, "Die Zeit"-ის გამოკითხვის თანახმად, გერმანიის ყოველი მესამე მცხოვრები (30 წლამდე) ფიქრობს, რომ 11 სექტემბრის ტერაქტი თავად ამერიკის შეერთებული შტატების მოწყობილია.

**ჩრდილოეთ** ესპანეთის ნავარის პროვინციის ქალაქ ესტელაში, სასამართლოს შენობის წინ ბომბი აფეთქდა. დაიჭრა ორი ადამიანი. მოძრაობა „ეტას" წევრებმა, რომლებიც ნავარას ბასკეთის ნაწილად მიიჩნევენ, აფეთქებაზე პასუხისმგებლობა იკისრეს.

**სამხრეთ** ჩინეთში საშინელი ტაიფუნი „იმბუდო" მძვინვარებს. ქარის სიჩქარე საათში დაახლოებით 160კმ-ს აღწევს. ტაიფუნის გამო ტერიტორიაზე, რომელზეც დაახლოებით 7მლნ ადამიანი სახლობს, დახურულია მაღაზიები, დაწესებულებები. ქარიშხალმა 37 ადამიანი იმსხვერპლა. უსახლკაროდ დარჩა დატბორილი ქალაქებისა და დასახლებების 11 ათასი მცხოვრები. ხელისუფლება შიშობს, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდია.

**ჩრდილო-აღმოსავლეთ** იაპონიაში სამი ძლიერი მიწისძვრის შედეგად 600 ადამიანი დაზარალდა, ელექტრობის გარეშე დარჩა 130 ათასი შენობა. უბედურების ზონაში მოქმედებენ მაშველები. მდგომარეობას ამძიმებს კოკისპირული წვიმები.

**ჩრდილოეთ** იტალიაში ორთვიანი გვალვა კოკისპირულმა წვიმამ შეცვალა, ადგილ-ადგილ სეტყვაც წამოვიდა. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა.

**გაზეთმა „ინდეპენდენტმა"** ბრიტანეთის პრემიერისთვის ძალზე არასასიამოვნო სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმად თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგობის მიუხედავად, სწორედ ტონი ბლერის გარემოცვამ მოითხოვა დევიდ კელის ვინაობის გამჟღავნება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სამხედრო ექსპერტმა კელიმ ბი-ბი-სის ჟურნალისტს გაუმხილა ერაყთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაცია. დევიდ კელის თვითმკვლელობის საქმეს იძიებენ.

**კუბამ** აღნიშნა ქალაქ სანტიაგო დე კუბაში მონაკადას ყაზარმების შტურმის ორმოცდაათი წლისთავი. ამ მოვლენამ დაუდო სათავე ბატისტას რეჟიმის დამხობას და ხელისუფლების სათავეში კომანდანტე ფიდელის მოსვლას.

**დუბაი** ახლა ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ადგილია, სადაც პაპანაქება სიცხეა, მაგრამ ციგურებით სრიალიც შეიძლება და თოვლის დედოფალთან შეხვედრაც. აქ ერთი კვირაა მიმდინარეობს ფესტივალი „ზამთარი". ხელოვნური ყინულის მოედნებს ბევრი სტუმარი ჰყავს.

**ჯორჯ ბუშმა** აშშ-ის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდო — თავისუფლების მედალი — გადასცა ჩეხეთის ყოფილ პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს, მეცნიერ-ფიზიკოს ედვარდ ტელერს, პიანისტ ვან კლიბერნს და ცნობილ მსახიობს, ოსკაროსან ჩარლტონ ჰესტონს.

**ჩრდილო** კორეა მზად არის ოფიციალურად გამოაცხადოს თავი ბირთვული კლუბის წევრად. დიპლომატიური წყარო იუწყება, რომ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ აშშ არ დათანხმდება ფხენიანის წინადადებას ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ორმხრივი მოლაპარაკების დაწყებაზე.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

**ჰუსეინის ვაჟების დაღუპვის ცნობამ გაახარა ამერიკა და მისი მომხრეები. ტონი ბლერმა მათი სიკვდილის დღეს ერაყის ისტორიის უმნიშვნელოვანესი დღე უწოდა. თეთრი სახლის ვარდნარში გამოსულმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა: „ახლა ყველა ერაყელმა იცის, რომ ძველი რეჟიმი აღარასოდეს დაბრუნდება“.**

**მსოფლიო ბირჟებზე ნავთობის ფასი დაეცა, აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ თქვა, — ძმები ჰუსეინების სიკვდილი ამერიკის ეკონომიკის აღმავლობას შეუწყობს ხელსო.**


*ვილა, სადაც ძმები ჩაცხრილეს*

# მხოლოდ ყვავის ბუზი დარჩა...

სადამ ჰუსეინის უფროსი ვაჟი უდეი ოდესღაც მის მემკვიდრედ ითვლებოდა. ის ერაყის დიდი მედიამაგნატი იყო. სწორედ მას ეკუთვნოდა „დამოუკიდებელი მედიაჰოლდინგი“, რომელშიც შედიოდა ერაყის საუკეთესო გაზეთი „ბაბილონი“ და ტელეარხი „ახალგაზრდობა“. უდეის ბევრი სიმბოლური პოსტი ეჭირა, იყო ერაყის ჟურნალისტთა კავშირის, ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე. 1999 წელს პარლამენტის დეპუტატადაც აირჩიეს, მაგრამ ერაყში მან სახელი გაითქვა არა როგორც ჟურნალისტმა ან სახელმწიფო მოხელემ, არამედ როგორც სადისტმა და ფსიქოპათმა. სწორედ უდეიმ აწამა თავისი დების ირანში გაქცეული და მერე ვითომდა შეწყალებული ქმრები, რომლებიც სამშობლოში ოჯახებთან ერთად დაბრუნდნენ. უდეის ბრძანებით სცემდნენ ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებს, როცა ისინი მატჩს აგებდნენ. დასავლეთის გაზეთები, განსაკუთრებით ანტიერაყული კამპანიის წინ, აჭრელებული იყო უდეის აღვირახსნილი ცხოვრების ეპიზოდების აღწერით.

მისი საქციელი ყოველთვის დაუსჯელი არრჩებოდა. 1988 წელს უდეიმ მოკლა მამამისის მცველი იმის გამო, რომ იგი პრეზიდენტს საიდუმლოდ ახვედრებდა საყვარელ ქალს. ამ ანგარიშსწორებით უდეიმ დედის პატივი და ღირსება დაიცვა... აღშფოთებულმა სადამმა იგი დროებით შვეიცარიაში გაგზავნა. უდეი მეგობრობდა ერაყში მომუშავე რუს ბიზნესმენებთან და აქტიურად ეხმარებოდა მათ ნავთობის კონტრაბანდაში. მას ძალიან მოსწონდა რუსი ქალები.

მასზე განხორციელებული ერთ-ერთი თავდასხმის შემდეგ სიარული უჭირდა, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს, სასიყვარულო თავგადასავლებში. ამბობენ, რომ რუს ბიზნესმენებს ყოველკვირა ჩაჰყავდათ უდეისთან მოსკოვიდან მეძავები. ჩვეულებრივ, ეს ასე ხდებოდა — ერაყში სარეისო თვითმფრინავით ჩადიოდა ორი ულამაზესი ახალგაზრდა ქალი, მათ ხვდებოდა სპორტული ავტომობილი და ორი დღის შემდეგ „ბაღდადელი პრინცის“ აპარტამენტებში დრონატარები, უხვი საჩუქრებით დახუნძლული ქალები ისევ მოსკოვში ბრუნდებოდნენ.

ამბობენ, უდეის არა მარტო ქალები სტუმრობდნენ, არამედ ცნობილი რუსი პიროვნებებიც, მომღერლები, თოფ-მოდელები.

1996 წელს უდეის თავს დაესხნენ. შესაძლოა თავდასხმა მის მიერ შეურაცხყოფილი ქალების ნათესავებმა მოაწყვეს. უდეის წითელი, ჯავშნიანი „პორშე“ დაცხრილეს, მაგრამ საკეტის ჭუჭრუტანიდან მხოლოდ ერთმა ტყვიამ შეაღწია შიგ. თავდასხმის შემდეგ ფაქტობრივად დამბლადაცემული ჰუსეინის უფროსი ვაჟი ხელჯოხის გარეშე ველარ დადიოდა. მემკვიდრეობის შანსი დაკარგა, მამის ფავორიტი უმცროსი ვაჟი — ყუსაი გახდა.

ყუსაი უფროსი ძმისაგან ძალიან განსხვავდებოდა, მშვიდი, თავშეკავებული ადამიანი იყო, მამის სანდო პირი. მხოლოდ მან და დიქტატორის პირადმა მდივანმა აბედ ჰამიდ მაჰმუდმა ყოველთვის იცოდნენ სადამის ადგილსამყოფელი.

37 წლის ყუსაი პარტია „ბაასის“ ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო (უფროს ძმას ეს პატივი არ ღირსებია), ხელმძღვანელობდა მის სამხედრო


*სადამ ჰუსეინი შვილიშვილთან, პატარა მუსტაფასთან ერთად*

კომიტეტს და კონტროლს უწევდა ქვეყნის ძალოვნებს. ხელმძღვანელობდა ერაყის სპეცსამსახურებს, მამის დაცვის სამსახურს, რესპუბლიკურ გვარდიას — ელიტურ ქვედანაყოფებს, რომლებმაც ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ამერიკის ჯარს. უდეისგან განსხვავებით, საჯაროდ იშვიათად ჩნდებოდა, ამიტომ მასზე ცოტა რამაა ცნობილი.

ყუსაი ჰუსეინი ერაყის სარეპრესიო აპარატს ედგა სათავეში. ამბობენ, რომ ის ციხეების წმენდასაც ახორციელებდა. მისი ბრძანებით იხვრიტებოდა ყოველი მესამე! სწორედ ყუსაიმ ჩაახშო ქვეყნის სამხრეთით შიიტთა ამბოხება, მასვე ეკუთვნოდა ჭაობების ამოშრობის იდეა, რომელსაც შეეწირა იქ მცხოვრები განსაკუთრებული ეთნოსი — „ჭაობის არაბები“. ომის წინ ხელისუფლების თითქმის ყველა სადავემ ყუსაის ხელში მოიყარა თავი, — ფაქტობრივად ის გახდა პასუხისმგებელი ბაღდადის დაცვაზე.

ამერიკელების ვერსიით, ბაღდადი იმიტომ აღმოჩნდა ფაქტობრივად დაუცველი, რომ ბომბი მოხვდა დაზვერვის შენობას, სადაც სადამი და მისი ვაჟები იმყოფებოდნენ. უხელმძღვანელოდ დარჩენილი არმია კი დაიქსაქსა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სამივე ცოცხალი იყო და ამიტომ ამ ვერსიამ ძალა დაკარგა.

ერაყში კოალიციის ჯარების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ რიკარდო სანჩესის თქმით, სადამის ვაჟების სიკვდილამდე ერთი დღით ადრე შეიტყვეს მათი ადგილსამყოფელი.. ქალაქ მოსულის მცხოვრებმა ამერიკელებს შეატყობინა, რომ უდეი და ყუსეი ალ-ფალიახის რაიონის ერთ-ერთ ვილაში იმყოფებოდნენ. ვილა სადამ ჰუსეინის შორეულ ნათესავს, ზეიდანს — მოსულის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს და ადგილობრივი სუნიტური სათვისტომოს შეიხს ეკუთვნოდა. სადამის ვაჟები ნათესავთან რამდენიმე დღის წინ ჩასულან. ჩანს, სირიაში მიდიოდნენ და ზეიდანთან მცირე ხნით აპირებდნენ გაჩერებას. ტელეარხ „ალ-არაბიას“ მიერ გადაღებული კადრებით ნათელი ხდება, რომ ვილაში სულაც არ ემზადებოდნენ თავდაცვისათვის — მაგიდაზე შოკოლადის კანფეტები ეყარა, ყუსაის და უდეის საშინაო ფეხსაცმელები ეცვათ.

...ამერიკელ სამხედროთა მცირე ჯგუფი, დაახლოებით 10 ჯარისკაცი, დილის 9 საათზე შემოერტყა შენობას, სადაც უდეი და ყუსაი იმყოფებოდნენ და მოითხოვეს კარის გაღება. საპასუხოდ ცეცხლი გაუხსნეს. ამერიკელებმა დახმარებას უხმეს, მალე სახლს 200-ზე მეტი სპეცრაზმელი შემოერტყა, შემდეგ დასახმარებლად გამოიძახეს შვეულმფრენები, რომლებმაც ჰაერიდან დაცხრილეს ვილა: ოცზე მეტი რაკეტა ესროლეს. შიგნით მყოფები განაგრძობდნენ წინააღმდეგობას.

39 წლის უდეი და 37 წლის ყუსაი სამშაბათს დახოცეს. პენტაგონის წარმომადგენლებმა ძმების ქსოვილისა და კუნთოვანი სისტემის ნიმუშები ანალიზზე გაგზავნეს. მსოფლიოს უახლოეს 4-6 კვირაში აცნობებენ, მართლა ჰუსეინის ვაჟები დაიღუპნენ ვილაზე თავდასხმის დროს თუ არა.

ამერიკელები არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რატომ დასჭირდათ 6 საათი 4 კაცთან საბრძოლველად. როცა ყველაფერი დამთავრდა, გაირკვა, რომ უდეისა და ყუსაის გარდა, იქ იყვნენ მცველი და ყუსაის 14 წლის ვაჟი მუსტაფა, რომელიც უკანასკნელი იყო, ვინც წინააღმდეგობას უწევდა სპეცრაზმელებს მაშინ, როცა მამამისი და ბიძა უკვე დახოცილები იყვნენ.

სამხედროებისათვის არავის მოუთხოვია პასუხი იმისთვის თუ რატომ ვერ შეძლეს ჰუსეინის ვაჟების ცოცხლად აყვანა. მათზე უკეთ ვის ეცოდინებოდა, ბოლოს და ბოლოს, ჰქონდა თუ არა ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი.

საკოალიციო ჯარების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ადამიანს, რომელმაც მათ შეატყობინა მოსულში სადამის ვაჟების ადგილსამყოფელი, 30 მლნ დოლარი უკვე გადაუხადეს. ამერიკის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ორი ძმის ლიკვიდაცია სამხედროებს სადამ ჰუსეინის კვალში ჩააყენებს.

უკანასკნელი მონაცემებით, უდეისა და ყუსეის ცხედრები ბაღდადის აეროპორტის მაცივრებში ინახება და მანამდე იქნება იქ, ვიდრე ოჯახის წევრთაგან ვინმე მოაკითხავს.

ამერიკელები შიშობენ, რომ თუ გვამებს ერაყიდან გაიტანენ და დაწვავენ, ეს დიდ პროტესტს გამოიწვევს მთელ ისლამურ სამყაროში.

ზოგიერთი წყაროს ცნობით, ინფორმატორი, რომელმაც ამერიკელებს ჰუსეინის ვაჟების ადგილსამყოფელი აცნობა, თავად შეიხი აზ-ზეიდანია, რომლის სახლშიც ისინი დახოცეს. მუჰამედ აზ-ზეიდანს და მის ოჯახს ამერიკული პასპორტები მისცეს და აშშ-ში გაამგზავრეს. ცხადია, მათ ერაყში აღარ დაედგომებოდათ.

გაზეთი „აზ-ზამანი“ წერს, რომ თავად ჰუსეინი ერაყშია, ამერიკელმა გამომძიებლებმა დაჰკითხეს მისი მეუღლე საჯიდა, რომელიც უმცროს ქალიშვილთან ერთად ქალაქ თიქრიტში ცხოვრობს, უფროსი და შუათანა — ბაღდადში, ნათესავებთან არიან.

ამ დღეებში საინფორმაციო საშუალებებმა მთელი მსოფლიოს მოსახლეობის სანახავად „გამოჰფინეს“ დიქტატორის ვაჟების დაცხრილული გვამები და მეტი დამაჯერებლობისთვის, რომ ადვილად შეიცნონ მათში უდეი და ყუსაი, მათ გულდაგულ „მოულამაზეს“ ტყვიებით გადასწორებული პირსახე, ეტყობა, კვალიფიციურმა ვიზაჟისტებმა იმუშავეს (თუმცა, ეს მუსლიმანებისთვის მიუღებელია). გასულ შაბათს უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აშშ-ის სამხედრო შენაერთებმა იმ მიზნით გაასწორეს მიწასთან ვილა, რომელიც სადამის ვაჟების უკანასკნელი თავშესაფარი აღმოჩნდა, რათა ერაყელ ხალხს აღარაფერი აგონებდეს ჰუსეინის რეჟიმს.

პარასკევს ხმა დაირხა, თითქოსდა სახლიც აჩვენეს, სადაც ამჟამად ყვავის ტუზი აფარებდა თავს, მაგრამ განგაში ცრუ აღმოჩნდა...

ჰუსეინი კვლავ მოუხელთებელია.

***უცხოური პრესის მიხედვით***


საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.



**ასლგადამღები აპარატები**
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
1. იჯარა - ლიზინგი
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

**ქსეროასლები**
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
**ფერადი ქსეროასლები**
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
საარჩევნო პლაკატების და ბუკლეტების
**კომპიუტერული დიზაინი**
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა ნივთებზე, „ნაკლეიკები“ თქვენი ბავშვის ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
**Web-დიზაინი**

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1,
მოზარდ-მაყურებელთა თეატრი,
ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ Company LTD



სამრეცხაო „თეთრი გედი“
**გთავაზობთ თეთრეულისა და ხალიჩების რეცხვას**
*ხარისხის გარანტიით და უფასო ტრანსპორტირებით.*
*სასტუმროებსა და რესტორნებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლება.*
☎93-63-62


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
26 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1250 |
| ევრო | 2,4412 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4404 |
| რუსული რუბლი | 0,0701 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4933 |


„ულტრატონის“ ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაჰაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091



შპს „გეოკორი“ აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



ფირმა „ლაზისი“
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
ძალიან იაფად და ხარისხიანად ევროსტანდარტის პროფილით ესპანური სისტემის საკეტებით
ფერები — სხვადასხვა.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან, სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15;
899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ქკვიანი გურული

მხართეძოზე წამოწოლილი ჩემი ორი გურული მეზობელი ცას შეჰყურებს. ამ დროს გადაიფრინა თვითმფრინავმა.

— აი თვითმფრინავი პრეზიდენტისაა თუ უბრალოა? — ეკითხება ერთი მეორეს.

ის კი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— უბრალოა!



— რაფერ მიხთი მაგას?

— რა მიხვედრა უნდა, შე აბდალა, აი თვითმფრინავი რო პრეზიდენტის ყოფილიყო, წინიდან ორი „ჯიპი“ გააცილებდა და ორიც უკან გაჰყვებოდა!

*თემურ სულაძე, ოზურგეთი*

## რა კაციცა ხარ, გეტყობა...

ამას წინათ სანაპიროზე, ავტოინსპექტორსა და ავტოტრანსპორტის მფლობელს, რომელიც უცხონომრიანი ჯერ კიდევ განუბაჟებელი მანქანით გახლდათ, მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებით მოუხდათ შეკამათება.

თავ-თავიანთ სიმართლეში დარწმუნებულმა მოდავე მხარეებმა ლანძღვა-გინების ისეთი კორიანტელი დაატრიალეს, პარლამენტის სხდომაზე რომ მიდის ხოლმე, გაცხარებული დებატებისას.

ბოლოს, კონფლიქტი თითქმის დამამთავრებელ სტადიაში რომ შედიოდა, ავტომანქანის პატრონმა ჩაილაპარაკა: — რას გეტყვი იცი?! რა დონის კაციცა ხარ, ემაგ „პაგონებზეც“ გეტყობაო...

აშკარად ავტოინსპექტორის დაბალი ჩინი ჰქონდა მხედველობაში. თავის მხრივ, წესრიგის დამცველმაც არ დააყოვნა და მიუგო: — შენ კი რას გეტყვი, იცი?! რა დონის კაციცა ხარ, ემაგ მანქანის ნომერზეც გეტყობაო...

ამ სიტყვებმა საბოლოოდ გამოიყვანეს წონასწორობიდან ავტომანქანის მძღოლი, რომელსაც ისედაც წამოჭარხლებული სახე, სულ მთლად „სტოპსიგნალივით“ წითელი გაუხდა.

იგი საჩქაროდ მიუჯდა საჭეს, ლამის სალონში შეიტანა, ისეთი ძალით მიაჯახუნა კარი და ტყვიასავით მოწყვიტა მანქანა ადგილიდან, თუმცა ნომერზე თვალის შევლება მაინც მოვასწარი და სერია „KLE“ რომ ამოვიკითხე, ჩემთვის უკვე გასაგები შეიქნა ავტოინსპექტორის ქარაგმული ნათქვამიცა და მძღოლის ასეთი, ზღვარგადასული გაბრაზების მიზეზიც.



*რეზო მუხიანელი, თბილისი*

## სურათი საშვისათვის

სუფსის ტერმინალის მშენებლობაზე მოგვთხოვეს საშვების გაკეთება, უნდა მივსულიყავით ინგლისელთა ოფისში, სადაც იყო კომპიუტერი და ფოტოგრაფი.

მუშებს შორის იყო სამი სვანი. კეთილი, გულუბრყვილო, მშრომელი ხალხი და ისინიც გაემართნენ სურათის გადასაღებად.



გზაზე გეოდეზისტი მუშაობდა ნიველირით, გადაუდგნენ სვანები წინ. გეოდეზისტი იქნევს ხელს, გაიწიეთო, სვანებს კი ნიველირი ფოტოაპარატი ჰგონიათ და იჯგიმებიან მის წინ:

— დროზე გადაგვიღე სურათიო, — დაიღალნენ „პოზიორობით“.

გეოდეზისტი ცოტა დაიბნა, მერე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და სვანებს უთხრა:

— მე შავ-თეთრს ვიღებ, საშვებისთვის კი ფერადი ფოტო უნდაო და მიასწავლა, სადაც უნდა მისულიყვნენ.

*ირაკლი ქოიავა, ფოთი.*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ეზოში მეზობლებმა ტრაბახი დაიწყეს, ვინ სად უშვებდა ცოლს დასასვენებლად, ვინ სად. ზოგმა ანტალია, ზოგმა ვარნა, ზოგმა ქობულეთი, ზოგმა ურეკი და რა ვიცი, რა აღარ დაასახელა. ქუთაისელ სვანს ჰკითხეს — შენ რას აპირებო. არც აცია, არც აცხელა — არსად არ ვუშვებ, მე თვითონ მივუწვები გვერდზე, აქანეო...

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

— ჩვენი გამგებელი ნამეტანი მდიდარი ყოფილა! — ეუბნება ჭიჭიკია ბიჭიკიას.

— ჰო, ძაან მდიდარია!

— მერე არ ეშინია?

— რავა არა, პამპერსით დეიარება თურმე!

*ბაკურ ბაქრაძე, თბილისი*



## ნამდვილი, ნამდვილი ამბები

### — მა, რითვინა ვზივარ!..



თელავის გამგებელს მედეა მეზვრიშვილს მორიგი ინტერვიუს ასაღებად ეახლა ჟურნალისტი. სხვა (უმთავრესად ტრადიციულ) შეკითხვებთან ერთად ჟურნალისტმა ერთი „არაორდინარული“ კითხვაც შეაპარა:

— ქალბატონო მედეა, თქვენზე ამბობენ, არჩევნების მოგებას, შარშანდელის მსგავსად, ძალადობით აპირებსო...

— მა, რითვინა ვზივარ აქ, ფლავ კი არა ვჭამ!.. — აუღელვებლად უპასუხა გამგებელმა.

*„კახელი“*

### — შენც აქ მოგიყვანეს, კაცო?!

ამ ზაფხულს ცნობილი საჩხერელი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი მშობლიურ სოფელ ჭორვილაში ჩამოსულა რამდენიმე დღით. მიუვლ-მოუვლია მშობლიური სანახები, ერთ მშვენიერ დღეს კი თევზაობა მოუსურვებია. ჩაუცვამს „ბუშლატი“, ჩექმები, ბავშვობის დროინდელი ანკესი მოუძებნია და განუშორებელი დაცვიანმეგობრებიანად მდინარეზე წასულა. გადააგდებენ თურმე ანკესებს, მაგრამ თევზი არა და არ მოდის. მოშორებით ერთი მოხუცი კაცი ზის და არხეინად თევზაობს. მოისვრის ანკესს და მაშინვე ასხმარტალებული თევზი ამოჰყავს. მოზრდილი ვედრო ლამის პირთამდე აუვსია...



დაინტერესებულა ბიზნესმენი. გამაგებინეთ, რა ხდება, ჩვენ, აგერ ათმა კაცმა ერთი ჭიჭყინაც ვერ დავიჭირეთ, ეგ კი წუთს არ აცდენსო. მისულან მეთევზესთან. ისიც უშურველად დახმარებია თევზაობის მსურველთ. ისეთი ადგილი მიუსწავლებია, სადაც მართლა დაუჭერიათ თევზი (ბევრი არა, მაგრამ ფავიანთი ჭია გაუხარებიათ). ბიძინა ივანიშვილი მოხუცის თევზაობის მეთოდით აღფრთოვანებულა და მასთან საუბარიც გაუბამს. მოხუცს სხვათა შორის ისიც უთქვამს, ერთი ჩვენებური კაცი გვყავს, ივანიშვილი, კაი საქმეს აკეთებს. ბევრს დეეხმარა აქოურს, ბევრს გოუმართა ხელი, აქაც სასახლე ააშენა და ასე ამბობენ, პარიზშიცო. მარა რათ გინდა, გარშემო იმისთანა უვარგისი ხალხი ყავს შემოკრებილი, ყველა თავის თავზე ფიქრობს, ყველას თავის ჭკუაზე უნდა ატაროსო, ათ სიტყვას რო ეტყვიან, იქიდან რვა ტყუილიაო... ნეტაი შეიძლებოდეს და მაგ ივანიშვილმა ალალი და პატიოსანი ხალხი დეიყენოს გვერდში, აი მაშინ წავა მაგის საქმე წინ თუ წავაო...

ბიზნესმენს მადლობა გადაუხდია მოხუცი მეთევზისთვის და თავისი ამალიანად იქაურობას გასცლია.

არ გასულა ნახევარი საათი და მეთევზეს ორი შეიარაღებული კაცი „დასხმია“ თავს, ივანიშვილი გიბარებსო. მორჩილად წაჰყოლია ბერიკაცი. შეუყვანიათ უზარმაზარ დარბაზში, რომლის ერთ კუთხეში ისევ „ბუშლატში“ გამოწყობილი იჯდა თურმე ბატონი ბიძინა. შეუხედავს ბერიკაცს უკვე ნაცნობისთვის (სულ ცოტა ხნის წინ რომ თევზაობაში გაუმართა ხელი და ბიზნესმენზე ჭორაობითაც რომ ერთად იჯერეს გული) და ცოტა არ იყოს, შეშინებულს უთქვამს:

— აუ!.. შენც აქანა ხარ, კაცო?! კი მარა, რა ვთქვით ახლა ჩვენ ამისთანა იმ ივანიშვილზე, რომ ორივენი აქ მოგვიყვანესო!..

**P.S.** იმასაც ამბობენ, ბერიკაცისთვის ივანიშვილს ერთჯერადი „ინვესტიციაც“ მიუცია და სოლიდური „სტიპენდიაც“ დაუნიშნავსო...

*თამაზ ხელაძე, ვანი*

## ქვეყანა, სადაც ხალხს ფცქვნიან, ბანანს კი — არა?!

(ფელეტონი)

ერთ დილით მეზობელი მეწვია, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული ჩანდა...

— შენა, რაღაცებსა სწერავ, არა? — თვალი თვალში გამიყარა და სკამზე დაუპატიჟებლად ჩამოჯდა...

— ვახერხებ, ძია ლექსო! — ღიმილით მივუგე და მის გვერდით მოვკალათდი...

— ჰოდა, ისეთი ამბავი უნდა მოგიყვე, თმა ყალყზე დაგიდგება!

საწერ-კალამი მოვიმარჯვე, ყოველი შემთხვევისთვის სავარცხელიც ახლომახლო დავიგულე, შესაძლო ყალყზე დამდგარი თმის წესრიგში მოსაყვანად და სმენად ვიქეცი...

— გუშინა, თბილისში ვიყავი საყიდლებზედა... ადრე ამ საქმეზედა დედაკაცი დამიდიოდა, მარა, ახლა ვერ ვენდე... ხო იცი, რაც ხდება ქალაქადა: სხვის ჯიბეში ისე ყოფენ ხელსა, როგორც საკუთარში... ჰოდა, ვაგზლის ფულის გადასახურდავებელ „ბუტკებამდისა“ მშვიდობიანად მივაღწიეთ მეცა და ჩემმა ასდოლარიანმაცა. პირდაპირ იქ მედო (დანარჩენი ყურში ჩამჩურჩულა რესპონდენტმა) და კაი დედმამიშვილი იყო, ვინმეს ხელი წასცდენოდა... აი, იქიდან გამოსულს კი რეტი დამესხა — ფული მეცოტავა...

— „მომიტეხეთ“ (ხომ იცით, როგორ გახშირდა ახლა ასეთი მანიპულაციები მსგავს ობიექტებში), არა?! — შევვარდი უკან „ბუტკაში“ ჩემი დოლარივით გამწვანებული...





— ვაჰ, ბიძაჩემო, შენც გაგეგება ასეთი საქმეებისა რამე?! — გაშალეს ხელი ნირწამხდარმა „ვაუკაცებმა“ და უტიფრად შემომაჩერდნენ...

არც ვაციე, არც ვაცხელე, მაშინვე დამუნათება დავუწყე, რომ ეს ოფიციალური დაწესებულებაა, რომ ის ასი დოლარი შვილივით მყავდა ნაზარდი, რომ...

— შენ, ბიძაჩემო, ფულის „მოტეხვის“ გარდა სხვა რამის მოტეხვაც თუ იცი? — შემაწყვეტინა მგლის თავზე სახარების კითხვა ერთ-ერთმა...

— რისა კაცო?! — ავიწურე მხრებში...

— მაგალითად, კისრის, ხელის, ფეხის, თუნდაც ხერხემლის... — გავშრი და თავი გადავაქნიე...

— ჰოდა, ძალიან კარგი, ვინც ბევრი იცის, დიდხანს არ ცოცხლობს...

...სიცოცხლე ვარჩიე და იქაურობა დამარცხებული გენერალივით დავტოვე.

...

— როგორია, გამოვა რამე? — ფეხზე წამოდგა ერთიანად ათრთოლებული ლექსო და გამომცდელად შემომხედა...

— კარგია, ოღონდ, ის გაიხსენე, რომელი ჯიხური იყო, რომ ფელეტონს კონკრეტული სახე მივცეთ...

— რატომაც არა, იმ „ბუტკი“ წინა ქალი ბანანსა ყიდდა, ესა იმიტომ მახსოვს, რომა იქიდან გამოსულმა ჯავრიან გულზე ერთი ცალი ვიყიდე და გაუფცქვნელად ჩავკბიჩე...

*შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ფელეტონებს და იუმორესკებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## მილოცვა



**ნინო ბურჭულაძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს და პატარა თამაზის ამქვეყნად მოვლინებას! სიკეთეს, ჯანმრთელობას გისურვებთ. ღმერთმა ბედნიერი დედობა მოგმადლოს.

*ხათუნას მეგობრები*

**ნინიკო პაპოვს!**

ჩვენო პაწაწინავ, ოჯახის დიდო სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს! იყავი დედიკოსავით ლამაზი და ჭკვიანი; გქონდეს ყველაფერი კარგი, რაც ქვეყანაზე არსებობს. გფარავდეს უფალი და წმინდა ნინო, ვის სახელსაც ატარებ.

*შენი დიდი ბაბო ეთერი, თინა ბაბო, დალი ბებო, ძია ილიკო პაპუაშვილები*

## მადლობა

ვაკის რაიონის აბონენტებს გვსურს დიდი მადლიერება გამოვხატოთ სააქციო საზოგადოება თბილგაზის მე-5 ცენტრის ექსპლუატაციის სამსახურის უფროსის **ნოდარ ციგრიაშვილის** მიმართ, მის მიერ გამოჩენილი უანგარო, ყურადღებიანი და თავაზიანი მოპყრობის გამო. ღმერთმა გაბედნიეროთ და გახაროთ.

*ვაკის რაიონის აბონენტთა სახელით, თეა კახიანი*

მადლობას ვუხდით კასპის რაიონის სოფ ქვემო ხანდაკის ტერიტორიაზე მდებარე შპს „ევროცემენტის" დირექტორს ბატონ **ვასილ (ტუხო) გზირიშვილს** – მისი შემწეობით მოხდა რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ბატონო ვასილ!

*საავადმყოფოს განყოფილების გამგე ნანული ბასიაშვილი*

## ბინები

იყიდება „დინამოს" სტადიონთან ახლოს, საკუთარი, 1-სართულიანი სახლი, საცხოვრებელი ფართით – 100 კვმ, ეზო-ბაღით – 210 კვმ, სარდაფით, კაპიტალური გარაჟით – 32 კვმ, ავტონომიური გათბობით, სხვა დამხმარე სათავსოებით, ტელეფონით. ფასი: $37.000. ტელ: 34-52-33; 38-91-96. ქეთი

სასწრაფოდ! საგურამოდან 1 კმ-ში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფ – 350 კვმ, ეზო – 1200კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით – თავისი საბაზანო-ტუალეტებით, შიდა აუზით, ბუხრით, კაპიტალური ღობით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ბ/აირით, ცხელი და ცივი წყლით. ტელ: 899 94-11-94

[illegible]ეთის რ-ნის სოფ. მისაქციელში, 3000 კვმ მიწა სახლით, ჰესიდან 100 მ-ში. ტელ: 893 34-33-86

იყიდება ქობულეთში ზღვასთან ახლოს, საუკეთესო ადგილას, 2,5-ოთახიანი სუფთა ბინა, 7(9). ფასი $7.500. ტელ: 899 91-64-81

## გთავაზობთ სამუშაოს

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში სათანამშრომლოდ. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება – ყოველდღიური, თვეში – საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დავითი. მის. „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94; 899 90-54-78

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

## მომსახურება

ფსიქოლოგიური დახმარება, კონსულტაცია, ფსიქოთერაპია: დეპრესია, შიში, აკვიატება, ნევროზი, უძილობა, კოშმარები, თვითმკვლელობის სურვილი, ეჭვიანობა, არაენერგიულობა, ფსიქოსექსუალური და სექსოპათოლოგიური დარღვევები, ორსულთა ფსიქოსომატური დარღვევები, ბავშვთა ფსიქორეაბილიტაცია, ოჯახური და საზოგადოებრივი კონფლიქტები, სიყვარული და ტინეიჯერული პრობლემები. მის: ალმაშენებლის №164. II სართ. მე-17 კაბ. ტელ: 66-53-50

საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი გთავაზობთ ჭარბთმიანობისაგან განკურნებას მხოლოდ ერთხელ გაკეთებული ეპილაციის შედეგად. ასეთი მეთოდით და აპარატურით ვმუშაობთ მხოლოდ ჩვენ! შედეგის არქონის შემთხვევაში (რაც არ ხდება), გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ. მოგვმართეთ უკიდურესად გაუხეშებული თმის დროსაც. მიღება ყოველთვე, 1-10 რიცხვამდე ქუთაისში, 10-30 რიცხვამდე – თბილისში, წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: 893 31-05-49. ლალი

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი პირველივე სეანსზე. სახის გაწმენდა საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, აზმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები"! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ფირმების რეგისტრაცია (შპს, არასამთავრობო ორგანიზაცია), აუდიტი, ქონების შეფასება, საბუღალტრო მომსახურება, საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციების ჩაბარება. ტელ: 33-30-88; 61-36-42 (საღამოს)

სახლების, ბინების, ოფისების, აგარაკების მშენებლობა, რემონტი-რეკონსტრუქცია, საძირკვლიდან გასაღების ჩაბარებით; მიშენება, მანსარდი, შელესვა, პარკეტი, ელგაყვანილობა, სანტექნიკა, ბუხრები და სხვა ნებისმიერი სირთულე და ხარისხი. ტელ: 30-71-59; 893 91-96-89

სამშენებლო ფირმის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები გთავაზობენ ნებისმიერი შენობა-ნაგებობის (ბინის, აგარაკის, ოფისის, რესტორნის, მაღაზიისა და ავტოფარეხის) სამშენებლო სამუშაოების შესრულებას. აგრეთვე, ეზოების მოპირკეთება-გამწვანებას ეგზოტიკური მცენარეებით. ტელ: 877 72-55-71

## ტურიზმი

ხავერდოვანი სეზონი ქობულეთში! 10-დღიანი საგზურები 60 ლარიდან, 3-ჯერადი კვებით, „ივერიასთან", ფიჭვნარში. ბავშვებზე და ჯგუფებზე – შეღავათები. მობრძანდით: თბილისი, დავით აღმაშენებლის 113/115, (ღრმად ეზოში, სამკ. ცენტრი „ფანასკერტელი"). კაბ №31. ტ: 69-18-38 (ბინა); 91-18-38 (სამს); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

ტურისტული ფირმა „ქართი" გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში, ფიჭვნარში და ცენტრში, კერძო სექტორებში კარგი პირობებით, 3-ჯერადი კვებით. მის: ალმაშენებლის №115, კაბ. №20 (ტურისტული ფირმა „ქართი"). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89; 899 24-98-59. ნონა, ირინა

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეშური მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური მეთოდებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

უცხოური თანამედროვე მეთოდებით, სწრაფი შედეგებით – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმი ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მასწავლებელი, ყველა ასაკში, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, ალმდეგნი უცხოური აპარატებით, ალუმნებით ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (თლიფსონებს), სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75. ლოგოპედიურ-ფსიქოლოგიური ცენტრი, ქ-ნი ინა კომახიძე

სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი თუთისაგან მედმუშაკი მაყვალა ცინცაძე წინაპართა გადმოცემით ამზადებს მალამოებს და საფენებს. მკურნალობს სახსრებს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), ართროზს, სამწვერა ნერვის ანთებას, პოლიართრიტს, რადიკულიტს (მხოლოდ პაიმორიტი, ფრონტიტი იკურნება 8-10 დღეში სრული გარანტიით). ტელ: 35-81-81, 34-62-51

## ვასწავლი

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით, ფასდაკლებით. შესწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, ნიღბები, ნელსაცხებლები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, ლილოს 26 (მ. „ფუნიკულიორის"). ტ: 66-53-56, 69-09-19; 893 33-09-66

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

კოლეჯ „საქართველოს" ბრიტანული გერმანული ენის ჯგუფში (გაცვლითი პროგრამით) სამუშაოს მიღება წარმოებს I აგვისტოდან 20 აგვისტომდე. 21 აგვისტოს შედეგი გასაუბრება, რომელსაც ჩაატარებს გერმანიიდან მოწვეული სპეციალისტი. ტელ: 39-49-04; 37-38-10 (დილისა და საღამოს საათებში)

პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ფაკულტეტებზე, ქართულ-რუსულ სექტორებზე: 1. პროგრამირება; 2. კომპიუტერული მეცნიერებანი (კომპიუტერული გრაფიკა, ქსელის ადმინისტრირება); 3. ბიზნესინფორმაციის მართვის სისტემები; 4. საზოგადოებრივი ურთიერთობები; 5. უცხო ენა და ლიტერატურა. მის: ქეთევან წამებულის №25. ტელ: 77-44-56

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკური, მანიკური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

ოკულტური მეცნიერების, პარაფსიქოლოგიის და მაგიის შესწავლა. კარმული სტრუქტურები, წინა ცხოვრების ხედვა, ასტრალური მოგზაურობები, თეორიისა და ფართომასშტაბიანი პრაქტიკის გავლით. ტელ: 66-53-50

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## სხვადასხვა

მიმდინარეობს შ.პ.ს. „ავტოექსპორტის" (რეგისტრირებულია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1995 წლის 19 დეკემბერს, რეგისტრაციის ნომერი 5/4-268) ლიკვიდაცია. ორგანიზაციებს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დასაფარად გთხოვთ მიმართოთ ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს ბ-ნ თემურ კოხოძეს მისამართზე: ქ. თბილისი, დიღმის მასივი VI კვ. 22ბ კორპ. ტელ. 52-49-20; 52-52-54; 94-02-83

პირველად საქართველოში – ფინანსური დამოუკიდებლობა! ამერიკული კომპანია იწყებს ბიზნესის განვითარებას ამიერკავკასიაში. არის რამდენიმე ვარიანტი. რისკის ფაქტორი გამორიცხულია. გვესაჭიროება პარტნიორები. დაგვიკავშირდით რეგიონებიდანაც. ტელ: 877 71-69-35. ნოდარი


# WWW.SHOPGE.COM

## გასახდომი სავარჯიშო ქამარი – AB Tronic – "აბტრონიკი"



*გსურთ გახდომა?*
*გსურთ გათავისუფლდეთ ცელულიტისგან?*
*გსურთ მოიცილოთ ზედმეტი ცხიმები?*
*გეზარებათ ვარჯიში?*

გასახდომი სავარჯიშო ქამარი "აბტრონიკი" ეფექტური საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად. იგი ძირეულად განსხვავდება სხვა მსგავსი ქამრებისგან და ახალი სიტყვაა **AB** სისტემებში. თუ სხვა ქამრებს აქვთ მხოლოდ მასაჟის რეჟიმი, "აბტრონიკს" გააჩნია დაზელვისა და ვარჯიშის ფუნქციებიც. მასში გამოყენებულია ნეოპრენის მასალა, რომლის საშუალებითაც "აბტრონიკი" წარმოქმნის მსუბუქ ვიბრაციულ დარტყმებს. ასეთი უსაფრთხო ვიბრაცია უზრუნველყოფს თქვენი კანქვეშა მამოძრავებელი ნერვების აქტივიზაციასა და კუნთის შეკუმშვას. რაც არ უნდა მკაცრ დიეტას იცავდეთ, თქვენი კუნთები მაინც ეშვება და კარგავს ტონუსს, რაც თავისთავად ფორმას უკარგავს სხეულს. "აბტრონიკის" ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ამ მოშვებული კუნთების გამოვლენა, მათი გამკვრივება, ცხიმების დაწვა და ცელულიტის დაშლა, კანის სტრუქტურის გაუმჯობესება და, რაც მთავარია, სხეულის იმ ნაწილებზე ზემოქმედება, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას.



მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, რითაც "აბტრონიკი" გამოირჩევა სხვა ქამრებისგან, არის ის, რომ იგი აღჭურვილია **LCD** მონიტორით. Mმისი საშუალებით თქვენ თვალნათლივ შეგიძლიათ სხვადასხვა კუნთებზე განსხვავებული სავარჯიშო რეჟიმების შერჩევა. "აბტრონიკს" ასევე მოყვება სხვადასხვა ზომის ქამარი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ მოირგოთ იგი როგორც წელზე, ასევე ხელებზე და ბარძაყებზე.

"აბტრონიკის" ქამარი არ წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოს. იგი დამზადებულია მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვარჯიშის გარეშე თქვენთვის სასურველი მიზნების მისაღწევად სწორ კვებასთან ერთად. ყოველდღიურად 30 წუთის განმავლობაში ქამრის გამოყენებით თქვენ იგრძნობთ შედეგს სულ რაღაც ოთხ კვირაში.

გასახდომი სავარჯიშო ქამარი **AB Tronic** – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი 154 ლარი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტ მაღაზია - **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



# ვარეგულიროთ ალერგიის მომაბეზრებელი სიმპტომები

*„სეზონური ალერგიის ფორმულა" და „ელერჯი ფაითერზ" დაგეხმარებათ ორგანიზმის ბუნებრივი ბალანსის აღდგენაში;*



- ხსნის სეზონურად გამოწვეულ ალერგიულ სიმპტომებს;
- აჩერებს ცრემლდენას, რინიტს, ცემინებას, ქავილს;
- არ შეიცავს ეფედრინს, არ იწვევს მოთენთილობას.




ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსი", მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
კვირის გარდა 10.00 – 18.00
**www.shopge.com**

### აკაკი დოლიძის მოსაგონარი



გურჯაანის რაიონში დღესაც მოკრძალებით საუბრობენ ღვაწლმოსილი პედაგოგის აკაკი დოლიძის ღვაწლზე. სოფელ მაზარაძის სკოლა, რომელსაც იგი მთელი 43 წელი ხელმძღვანელობდა, ყოველთვის სამაგალითო იყო მთელ რაიონში. ბატონი აკაკის ხელში უამრავი თაობა გაიზარდა. იგი თავის მოწაფეებს პირველ ყოვლისა სიკეთეს, სიყვარულს და ადამიანობას ასწავლიდა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ამიტომაც მიეკუთვნა მისი სახელი სოფლის საშუალო სკოლას. გვეამაყება, რომ მისი სამუდამო განსასვენებელიც ჩვენს სოფელშია. ბატონი აკაკის აღზრდილები ყურადღებას არ მოაკლებენ მის საფლავს. ხშირად მიიტანენ ცოცხალ ყვავილებს, დაანთებენ წმინდა სანთელს, წაუქცევენ ჭიქა ღვინოს... ბატონ აკაკის ამქვეყნად კარგი, ქართული ოჯახი დარჩა. გვჯერა, მისი შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ მის კეთილ საქმეებს. ჩვენ კი, ბატონი აკაკის გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე პატივი გვინდა მივაგოთ მის ხსოვნას. სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს უფალმა.

*გურჯაანის რაიონის სოფელ მაზარაძის მცხოვრებნი*

### თემურ ნანავას გახსენება



ათი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი 25 ივლისიდან, რაც თემურ ნანავა ჩვენთან არ არის. მისი ლამაზი სიცოცხლე სიკვდილისათვის გაიმეტეს. უნუგეშოდ დარჩენილ ცოლ-შვილს, გულდამწვარ დედ-მამას, დას და სიძეს, ლულუნ ქადარიას ოჯახს მან უდიდესი სევდა და ტკივილი დაუტოვა. დიდი იყო მწუხარება ჩვენი ოჯახისათვის. ის ჩვენი საყვარელი სიძე იყო. გაუსაძლისია მარინას დაქვრივება ჩვენთვის, რომელიც ღირსეულად ზრდის თავის შვილებს.

თემურის კეთილი, დიდსულოვანი ბუნება მუდამ გაგვყვება ტკბილ და ცრემლიან მოგონებად. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

*ნატო და თემურ თოფურიები*

### ნინო რუხაძის (რუხას) ხსოვნას!



დღე არ გასულა ამ ერთი წლის განმავლობაში, შენი წასვლით გამოწვეულ ტკივილს თავიდან რომ არ მოეკლას ჩემი გული. ყოველი განსაცდელის ჟამს ვიხსენებ შენს გამძლეობას, ვაჟკაცობას, რომლითაც ასე გაგვაკვირვე ყველა. ლამაზი იყო შენი ცხოვრება, ბოლო წლები, ბოლო წუთებიც კი. ეს არ ჰგავდა სიკვდილს. ეს ნამდვილი გარდაცვალება იყო. მინდა გვერდში დავუდგე შენს ოჯახს და მძიმე ჯვარი ოდნავ მაინც შევუმსუბუქო. შენი ნათლული ილოცებს შენი სულისთვის, ღმერთმა დაგამკვიდროს ცათა სასუფეველში.

### რევაზ ჭაჭუას ხსოვნას!

*სიკვდილის შემდეგ დანახული სიცოცხლე...*



ისე ლამაზად იცხოვრე, მშვენიერი, ძლიერი და ნიჭიერი პიროვნება იყავი, სიცოცხლით სავსე, ენერგიული, ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ ასე მალე დაასრულებდი მშვენიერ სიცოცხლეს... სადაც კი გიმსახურია, თუნდაც დროის უმცირესი მონაკვეთით, ყველგან შენი სიკეთის და დიდი ადამიანობის ნაკვალევი დაგიტოვებია.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მხოლოდ სამი თვე მოღვაწეობდი, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა – საშინელებით გაოგნებული თანამშრომლების თვალებში ცრემლი და ტანჯვა კიაფობდა ტკივილთან ერთად, გლოვობდა ყველა. გული ძალიან გვტკივა, სიცოცხლეს უჯრო მოუხდებოდი, სიკვდილი ჯერ ადრე იყო, მაგრამ სწორად უთქვამთ: „სიკვდილსაც კარგი ადამიანები სურს". სიცოცხლეში ბევრი რამ დაგრჩა გასაკეთებელი, ჩვენ კი მხოლოდ თქვენი ხსოვნა დაგვრჩა როგორც ფრესკიდან გადმოსული ანგელოზის აჩრდილი, ხსოვნა, რომელსაც თქვენსავით სიკვდილი ვერ წაგვართმევს.

და ბოლოს, როგორც ვწერდი, თუ მართლა არსებობს მეორე, სხვა ცხოვრება, სიცოცხლის ბოლოს, სიკვდილის შემდეგ მაინც, იქნებ პოვოთ აღიარება...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი მშვენიერი სული.

*ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯ-თა სამკ. დაწესებულების თანამშრომლები*

### ვატო (ვახტანგ) ჩიხრაძის გახსენება



ორმოცი დღე გავიდა, უშენობის ორმოცი ტკივილიანი დღე. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, 18 წლის თბილისელი ბიჭი იყავი, ვაჟკაცური, თავმოყვარე, ლამაზი – ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ისე კი, განა ბევრია დღეს ჩვენ გვერდით ისეთი, ძალადობას, უსამართლობას, სუსტის დაჩაგვრას ყველგან და ყოველთვის უყოყმანოდ და დაუფიქრებლად რომ აღუდგება წინ?! განა ბევრს შეუძლია, ნაცნობსა თუ უცნობს უანგაროდ გაუმართოს ხელი?! თუმცა სხვანაირი არც შეიძლებოდა ყოფილიყავი, შენი ღირსეული და კეთილშობილი მშობლების შვილი, რომელთა ნათესი სიკეთე უფლისკენ მიმავალ გზას უთუოდ გაგინათებს, რომელთა სიცოცხლე ახლა მხოლოდ შენთვის ლოცვა და შენი უმცროსი ძმისთვის – გაგასთვის არსებობაა, რომელმაც თავისთან ერთად შენი საკეთებელიც უნდა აკეთოს და შენი ტვირთიც ზიდოს. დედაშენისთვის – ამქვეყნად ყველაზე მეტად რომ გიყვარდა და შენი უნაპირო სიყვარულითა თუ თანადგომით სიცოცხლეს ულამაზებდი და ტკივილებს უამებდი, აწი ყოველი დღის დაღამება, მხოლოდ შენამდე გასავლელი გზის შემოკლება იქნება მხოლოდ. რაოდენ ღვთისნიერი უნდა იყო, მიტევების რა უნარს უნდა ფლობდე, რომ შენი შვილის მკვლელთა მიმართ ერთი საწყევარი სიტყვაც არ დაგცდეს.

რაჭა გიყვარდა, რაჭის მთებში ნადირობა და ხეტიალი. იქ იყო შენი ფესვები და გრძნობდი ამ ფესვებს. ძარღვებში დაუღვინებელი სისხლი მაჭარივით გიდუღდა. გინდოდა ერთიანად დახარჯულიყავი, გასაცემი გაგეცა, მოსასწრები მოგესწრო, თითქოს გრძნობდი ნაადრევ აღსასრულს. აკი მოასწარი კიდეც! ბევრი, თავის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ვერ გასცემს შენოდენ სიყვარულსა და სიკეთეს. ამბობენ, – ღმერთსაც კარგი უნდაო. ჩვენ მაინც გვგონია, რომ ღმერთს არ ურევია ხელი შენს სიკვდილში, უფალს შენნაირები ამ ცოდვილ მიწაზე სჭირდება სიმართლისა და სიკეთის დასამკვიდრებლად. ეს სატანაა, ასე რომ ბობოქრობს დღეს და თავის მსახურთა ხელით ირგვლივ ბოროტებას თესავს. ისიც ნათქვამია: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი". რაკი მტერმა იცოდა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერს ღირსეულად ვერ მოგწვდებოდა, უნდა ლაჩრულად, ზურგიდან დაემარცხებინე. აკი ასეც მოგექცნენ უსუსური ნაძირალები, დღემდე თავისუფალ ჰაერს რომ სუნთქავენ. მაგრამ არსებობს უფლის სამსჯავრო, შეუვალი სამსჯავრო, სადაც არც შენდობის ყიდვა შეიძლება და არც ცოდვის გამოსყიდვა.

უშენობა უსაშველო ტკივილია ჩვენთვის, ჩვენო ვატო, ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს.

*ახლობლები*

### ვატო ჩიხრაძის მონატრება



ჩვენო პატარა მეგობარო! ორმოცი ცრემლიანი დღე მიჰყვა ერთმანეთს, დრო დარდსა და ტკივილში გაილია. აღარ ავსებს სამსახურის კედლებს შენი ხალისიანი ხმა; შენი მონატრება დაუფლებია ირგვლივ ყოველივეს. დავდივართ ოთახიდან ოთახში და გვებებთ, ასე გვგონია, ეს-ესაა შემოაღებ კარს და ძველებურად აგვაჟრიამულებ, გაგვახალისებ. ვატო, გვენატრება ის დრო, როცა შენ გვერდით ბედნიერები და უდარდელები ვიყავით. ახლა კი შენს გალიმებულ სახეს სურათებში ვეფერებით და ველაღერსებით.

უსაზღვროდ გვენატრები, გვიყვარხარ. ზენაარს ვავედრებთ შენს ლამაზ სულს. გვჯერა, რომ სიცოცხლეში ესოდენ ლამაზი და კეთილშობილი, იმ ქვეყნადაც რჩეულთა შორის დაიმკვიდრებ სასუფეველს.

*ჯონი ბიძია და შენი გოგონები*

### მამუკა ნბლიაშვილის მონატრება



ჩვენო ლამაზო მამუკა! აუწერელია ის მწუხარება, რასაც შენი ოჯახი განვიცდით უშენოდ. ყველასგან გამორჩეული იყავი და ღმერთმაც შენ აგირჩია, როგორც საუკეთესო. ჩემო საყვარელო და სანატრელო შვილო! მოდის შენი დაბადების დღე, რომელიც ძალიან გიყვარდა, რომელსაც მთელი თვის წინ ელოდი. მოდის, მაგრამ უშენოდ და ცრემლებით. შენი მხიარული ოჯახი განადგურებული და ჩაფერფლილია.

3 აგვისტოს მოევლინე ქვეყანას და ამ თვეშივე 25 წლის ასაკში დაგვტოვე. შენ სიყვარულისთვის იყავი დაბადებული. შენს პატარა გულში ყველას სიყვარულს იტევდი, ვისაც სჭირდებოდი, უთქმელად მასთან იყავი. ამიტომაც გაგაცილა მთელმა მუხრანმა მწარე ცრემლებით.

ჩვენო მოურჩენელო ტკივილო! მენატრება შენი ხმის გაგონება, შენი დანახვა, შენი გაცინება. ჩემო ლამაზო, უსაზღვროდ ალალი გულის პატრონო, როგორ ვიფიქრებდი, რომ უშენოდ სიცოცხლეს შევძლებდით. შენი დისშვილი მარიამი, რომელიც უზომოდ გიყვარდა, თავისი პატარა ხელებით გინთებს სანთლებს. ყოველდღე დავდივართ შენს პატარა სახლში, გეფერებით, გილამაზებთ ყვავილებით და ამით ვიკლავთ შენი მონატრების წყურვილს. გაჭირვებით ვუძლებთ ამ გაუსაძლის ცხოვრებას, რაც შენ შემდეგ დაგვრჩა.

გწამდეს, ჩემო მამუკა, სანამ ვიარსებებთ, სანთელსაკმეველი არ მოაკლდება შენს ვაჟკაცურ სულს.

ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი გამწარებული მშობლები, დები*

### მირიან ნარიმანიძის ხსოვნას!



რა უცებ გავიდა ერთი წელი! შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი კი უწინდებურად აუტანელი და მოუნელებელია.

ფაქტი, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ, დღემდე წარმოუდგენელია და თითქოს, დიდი ხნის მონატრებულს ისევ უნებურად გელოდებით, ქუჩებში შენს სახეს ამაოდ ვეძებთ, მაინც შენი ხმის გაგონებას ველით. ფოტოები და წარსულის მოგონებები ძალიან ცოტაა, ის წუთიერადაც ვერ გვივსებს უშენობით გამოწვეულ საშინელ სიცარიელეს.

უცებ, ერთ წამში გაქრა უამრავი ოცნება, ფიქრი, იმედი. შენ ხომ ზღაპრული მომავლის რწმენით და მიზნებით გაემგზავრე უცხოეთში? რატომ დაბრუნდი ასეთი უსიცოცხლო?! რა სამწუხაროა ეს ტრაგიკული დასასრული, რამხელა მოლოდინს დაესვა წერტილი...

ვერაფრით ვინუგეშებთ თავს, ვერც შენს მშობლებს ვუმსუბუქებთ სასოწარკვეთილებამდე მიღწეულ მწუხარებას – ეს შეუძლებელია.

ხსნას მხოლოდ ლოცვასა და უფლის რწმენაში ვეძებთ, რადგან გვჯერა, ზეცაში დამკვიდრებული შენი სული მარადიული და უკვდავია. ამქვეყნად დარჩენილი შენი ხსოვნა კი თითოეული ჩვენთაგანისთვის ყველაფერზე ძვირფასია და მას დავიწყება არასდროს უწერია.

*დეიდაშვილები*

### მარგარიტა ღონღაძე-ციხელაშვილის გახსენება!



ორმოცი დღის უშენობა ისევე დაუჯერებელი და ძნელია, როგორც ნათელი – მზის გარეშე!

შენდამი მონატრების წყურვილს ვერაფრით ვიოკებთ. ყველას ენატრები, ვერ გივიწყებენ.

მშვიდად იძინე, საყვარელო ადამიანო!

*შვილები და შვილიშვილები*

### შინაგი და ია ნაცვლიშვილების ხსოვნას!





სულ რამდენიმე წლის უკან ივლისი ამ ოჯახისთვის ყველაზე ბედნიერ თვედ ითვლებოდა... 19 რიცხვი მამის – შინაგი ნაცვლიშვილის დაბადების დღე იყო და იმდენი საინტერესო ადამიანი იკრიბებოდა მათთან სახლში, რომ ერთ რამედ ღირდა იმ სუფრასთან მოხვედრა. იყო სიმღერა, ხუმრობა და ოხუნჯობა, რისი ნიჭითაც მართლაც გამოირჩეოდნენ მისი კოლეგები ჩანტლაძის თეატრიდან. ხელოვნებაზე თვითონაც უზომოდ შეყვარებული შინაგი ხან მოსკოვში ემსახურებოდა ამ დიდ ქურუმს, ხან საქართველოში; 24 ივლისი ამ გემრიელი ქართული ოჯახის შექმნის დღე იყო, რომელსაც ტრადიციულად აღნიშნავდნენ ნაცვლიშვილები. თავდაპირველად რუსეთის დედაქალაქში მოუწიათ თურმე ცხოვრება ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. პირველმა, რამაც მისი მეუღლე გააკვირვა, შინაგის ირგვლივ გამეფებული თბილი თბილისური გარემო იყო. გორკის ქუჩაზე ქუდის მოხდით და თავის დაკვრით ესალმებოდნენ თურმე ერთმანეთს ქართველები და არამარტო ქართველები. ერთი წლის თავზე პირველი შვილი გაუჩნდათ – ია. 28 ივლისს სწორედ მის დაბადებას დღესასწაულობდნენ მეგობრების წრეში. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ამ სამ თარიღს 14 ივლისიც დაერთო – ბასტილიის აღების დღე, რომლისთვისაც მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა ფრანგულზე უზომოდ შეყვარებული ია. მოწვევები ყოველწლიურად ჰქონდა საელჩოდან. მეტკვიდრეობით გადმოცემული ნიჭი სიმღერაშიც დაჰყვა ის. ახლაც სიყვარულით იხსენებენ ამ საღამოებზე მის მიერ მთელი გულით ნამღერ ჯაზს.

ეს იყო რამდენიმე წლის წინ. ახლაც აღნიშნავენ ამ ოჯახში იგივე დღეებს, მაგრამ შინაგისა და იას გარეშე. მართლაც დასანანია სევდანარევ სუფრაზე მარტოხულა დედის ნახვა, რომელსაც ნუგეშად მხოლოდ მოგონებებილა შემორჩა.

### ვახტანგ ხათაშვილის გახსენება



ჩემო პატარა შვილო, გილოცავ დაბადების დღეს! უკვე მეორე წელია, რაც შენს დაბადების დღეს უშენოდ ვხვდებით; რა ძნელი ყოფილა, მოგილოცო დაბადების დღე და სამოთხეში ყოფნა გისურვო, როცა მე ყველაზე მეტად მჭირდები, შენი გაცინება და მოფერება მჭირდება, მჭირდება ის სიყვარული, რომელიც დავკარგე და რასაც დედაშვილობა ერქვა.

1 წლის და 6 თვის იყავი, როცა შენი თავი უეცარმა უბედურებამ წამართვა, ახლა კი 1 წელი და 6 თვეა, რაც არ მინახიხარ და არ მოგფერებივარ. ჩვენი განშორების შემდეგ ყველაფერმა დაკარგა ფასი. რაც ყველაზე ძვირფასი დამრჩა, მოგონებებია, სწორედ ის მოგონებები, სადაც შენ ცოცხლობ, იცინი და „დედას" მეძახი... 26 ივლისს 3 წლის გახდებოდი და ვინ იცის, რამხელა ვაჟკაცი მეყოლებოდი. ახლა, ახლა კი შენი სახე, შენი ხელები, რომლითაც გვეფერებოდი, კედლის სურათებზე დარჩა, დარჩა სამუდამოდ. მარტო მოგონებები და სურათები ბედნიერებისთვის ცოტაა. მარტო სიზმრებში ფერება არ კმარა. რა მოხდებოდა, ცხადში მყოლოდი გვერდით; რა იქნებოდა, სიცოცხლის ბოლომდე შენ გვერდით მეცხოვრა, მაგრამ რაც ამქვეყნად დამრჩა, ტკივილი, ცრემლი და მოგონებებია, რომელიც ყოველთვის ტკივილითა და ცრემლით მავსებს.

გილოცავ, ვახტანგ, დაბადების დღეს და სამოთხეში ყოფნას გისურვებ, ჩემო ერთადერთო სიხარულო.

*დედა სოფიო ავსაჯანიშვილი*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ფარმაცევტული ფაკულტეტი, სოციალური და კლინიკური ფარმაციის კათედრა, საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ 67 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, დიდი ინტელიგენტური მომხიბვლელობისა და ადამიანური ღირსებების მქონე, სტუდენტი ახალგაზრდობისა და ფარმაცევტთა მრავალი თაობის საყვარელი მასწავლებელი

**რეზო (ივანე) ივანეს ძე მურღულია**

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.



## ამ ტკივილს, ვისი, ვერ გაუძლებდა...

**კოკა იგნატოვი** ქაჩელის ქუჩაზე იზრდებოდა. დედამისი – ქენია ჩიქოვანი ძალიან ლამაზი ქალი იყო. ცოლად გაჰყვა იური ნიკოლოზის ძე იგნატოვს, ეროვნებით რუსს, არისტოკრატსა და სიმპათიურ მამაკაცს, რომელიც თბილისში მოღვაწეობდა და უსაზღვროდ შეუყვარდა მშვენიერი ქართველი ქალბატონი. პროფესიით ორივენი ინჟინრები იყვნენ. თბილისის შუაგულში გაიზარდა კოკა იგნატოვი. მას ბავშვობიდან ბევრი საინტერესო მოგონება ჰქონდა.

იმ სახლის გვერდით, სადაც მაშინდელი თბილისის პარტიული მეთაურები, ე.წ. „ჩეკისტები" ცხოვრობდნენ, ყველაზე მეტად დაამახსოვრდა ბერიას დედა, რომელიც ყოველდღე მიდიოდა ეკლესიაში. ქაჩელის ქუჩის მოუსვენარი ბიჭები, თურმე, ძვრებოდნენ იმ ცნობილი „ჩეკისტების" სახლის სარდაფში და იპარავდნენ კანფეტებს. „ჩეკისტებს" ჰქონიათ უზარმაზარი სარდაფი, სადაც საკვებ პროდუქტებს ინახავდნენ. მერე უკვე კოკა იგნატოვმა მთელი მსოფლიო რომ შემოიარა, რა არ ნახა, მაგრამ სულ ამბობდა, თურმე: „ეგეთი ემოცია, როგორიც ჩეკისტების სარდაფში მქონდა, ძეხვებისა და კონსერვის ქილების შემხედვარეს, მსოფლიოს არც ერთ უნივერმაღში აღარ განმიცდიაო".

1949 წლიდან იგნატოვების ოჯახმა ახალი სახლი შეიძინა ვერაზე...

კოკა ბარნოვის ქუჩაზე, მაშინდელ ვაჟთა რუსულ სკოლაში დადიოდა. იქვე გამოავლინა ნიჭი ხატვაში: ეს სკოლა გამორჩეული იყო მთელ თბილისში. თვითონ კოკა ამბობდა: ჩემი სკოლა კი იყო საშუალო, მაგრამ სინამდვილეში ის გახლდათ არაორდინარული გიმნაზია და ყველა ის პედაგოგი, რომელიც კომუნისტურ რეჟიმს გადაურჩა და არ დახვრიტეს, მე მასწავლიდაო. გადარჩენილ არისტოკრატებს – ძველ პედაგოგებს ტიპური გარეგნობა ჰქონდათ. დადიოდნენ პენსნეებით, შლიაპებით, გამოირჩეოდნენ ქცევის დახვეწილობით, მეტყველებით. ეს ყველაფერი გავლენას ახდენდა აღსაზრდელთა სულიერებაზე, მაგრამ კოკა იგნატოვისათვის ისინი კიდევ ერთი კუთხით იყვნენ საინტერესონი. კოკა ხატავდა მათ კარიკატურებს... ეს ნახატები დღესაც ინახება იგნატოვის სახლმუზეუმში.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში ჩაირიცხა. ერთ წელიწადში სამი წლის პროგრამა გაიარა, ტექნიკუმი დაამთავრა და სამხატვრო აკადემიაში გააგრძელა სწავლა. სხვათა შორის, სულ ამბობდა, თურმე: მაშინდელი აკადემია მართლა აკადემია იყო, მყავდა საოცარი პედაგოგები და ძალიან ბევრით ვარ დავალებული მათგანო.

კოკა იგნატოვის ქალიშვილი, ქალბატონი ქეთევანი იხსენებს: „მამა რთული კაცი იყო, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა. დედამისი მრავალი წლის განმავლობაში ედგა მხარში, იმიტომ რომ კარგად ხედებოდა, თუ რა მძიმე იყო ხელოვანის ხვედრი, მით უმეტეს, იმ რეჟიმში... 1961 წელს მამამ პირველი ფრესკა დახატა... ეს იყო თბილისის ზღვაზე ახალაშენებულ რესტორან „იორში". ამ რესტორნის არქიტექტორი იყო ჩემი ბაბუა დედის მხრიდან – ლადო ალექსი-მესხიშვილი. მან მისცა მამას პირველი შეკვეთა, როცა ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, აკადემიას ამთავრებდა. მთელი თავისი ახალგაზრდული ენთუზიაზმი, იდეები, ისეთი განწყობა, რომელიც მხოლოდ ოცი წლის ასაკში შეიძლება ჰქონდეს კაცს, ამ ფრესკაში ჩააქსოვა. მალე შემოვიდა საჩივარი, რომ ფრესკა არ შეესაბამებოდა იმდროინდელ მოთხოვნებს, მიადგნენ და როგორც ნამდვილმა ბარბაროსებმა, გადააღებინეს თეთრად მთელი ნამუშევარი. ეს დიდი სულიერი ტრავმა იყო... ტკივილად დარჩა მამას მთელი ცხოვრების მანძილზე.

მერე, მართლაც ბევრი ტკივილი შეხვდა: ბიჭვინთაში ფრესკა დაკარგულია, კინოს სახლში – დამწვარი, ფუნიკულიორზე – განადგურებული, ამოჭრილი... ასეთ ამბებს მძიმე განცდები ახლავს, მოქმედებს მხატვრის ხასიათზე... იწყება დეპრესია თუ სერიოზული უგუნებობა, რწმენის დაკარგვა, გარდატეხები... მამას ხშირად უთქვამს: ღირს, რო?... მე ასე მესმის, ასე ვხატავ და თუ ეს მიუღებელია, მაშინ რატომ ვხატოო?!"

ასეთივე მძიმე დრო დაუდგა ოთხმოციან წლებში. მაშინ გამოსავალი იპოვა, წავიდა საზღვარგარეთ. ესეც რთული იყო. კოკა იგნატოვს არ უნდოდა, რომ მისი წასვლა ვინმეს პოლიტიკურ უთანხმოებად აღექვა. ეს იყო აბსოლუტური შემოქმედებითი ძიება. მიდიოდა, როგორც მხატვარი. ჯერ ამერიკაში იყო... მერე ევროპაში. ბოლოს პარიზში დაფუძნდა. თვლიდა, რომ საცხოვრებლად პარიზი ყველა სხვა ქალაქს ერჩივნა... ოღონდ არა თბილისს. ეს ორი ქალაქი უყვარდა ძალიან – თბილისი და პარიზი. ასაკში რომ შევიდა, ყველაფრის გადაფასება მოხდა, მაშინ პარიზიც აღარ უნდოდა და მარტო თბილისით ცხოვრობდა. აქ ყველა იცნობდა... ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. „ამას წინათ ერთი ქურთი ბიჭი შემხვდა, ახლა მძღოლად მუშაობს რომელიღაც ორგანიზაციაში, 1987 წელს მამამ „მერსედესი" ჩამოიყვანა თბილისში. ამ ქურთის ბიჭმა მითხრა: მაგას როგორ დავუვიწყებ, 14 წლის ვიყავი, როცა მითხრა: – მოდი, ბიჭო, დაჯექი. „მერსედესით" გაიარეო. ეს მანქანა ბავშვს ხომ ოცნებად ექნებოდა... მათხოვა მანქანაო და მე მთელ ვერას „კრუგი" დავარტყიო... ასეთი ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან. კოკა რომ გარდაიცვალა, ვინ აღარ მოდიოდა სამძიმარზე... მეეზოვე, გამყიდველი, მეგობრებზე ხომ აღარაფერს ვამბობ. მამას მიაჩნდა, რომ ეს ის ხალხია, ვისაც ხატავდა... მთაწმინდის ფრესკასაც რომ ხატავდა, ესენი ედგნენ თვალწინ: მეზობელი, მეეზოვე, გამყიდველი", – გაიხსენა მხატვრის ქალიშვილმა.

მუშაობდა ყოველთვის, განუწყვეტლივ... განმარტოება უყვარდა ტილოსთან. ბოლო წლებში პროდუქტიულად მუშაობდა თავის სახელოსნოში, გონიოში. მოიხურავდა კარს, რადიოს ბოლო ხმაზე აუწევდა და ამ ფონზე მუშაობდა. აუცილებლად აინტერესებდა ვიღაცის აზრი... ხელოვანის ბუნებას რაღაცნაირად ქალაქელი ბიჭის ბუნებაც ერწყმოდა. მოჩხუბარი იყო. როგორც ამბობენ, ხშირად ცხვირიც ჰქონდა გატეხილი. მის ქალიშვილს ბავშვობის მოგონებად დარჩა, რომ რამდენჯერმე აც მამას გააყოლეს ვაკის პარკში, მილიციამ დაიჭირა კოკა ჩხუბისათვის, ქეთევანი კი ატირებული შინ წაიყვანეს დედასთან...

კოკა იგნატოვის სახლი სავსე იყო სტუმრებით, მეგობრებით. ხშირად მიდიოდნენ მათთან ბელა ახმადულინა, ბორის მესერესი, ბარიშნიკოვი, მარინა ვლადი, ვისოცკი. კოკა იგნატოვის ქალიშვილმა გაიხსენა: ბარიშნიკოვი სპექტაკლის შემდეგ ჩვენთან მოვიდა, სუფრა გავშალე, ისაუბრეს. ორ კვირაში საბჭოთა კავშირიდან წავიდა. ამის მერე კოკა კა-გე-ბე-ში დაიბარეს და გამოჰკითხეს, რას ელაპარაკებოდა ბარიშნიკოვი ორი კვირით ადრე, ვიდრე საქართველოს დატოვებდა...

კოკა იგნატოვი არაჩვეულებრივი მამა იყო. ქალიშვილი 17 წლისა შესრულდა, როცა მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ მას არ უგრძნია მამასთან სიშორე... პირიქით... მამა ადრეული ასაკიდანვე ატარებდა თეატრში, მხატვრების სახელოსნოებში. „ჭინჭრაქას" ნახვის შემდეგ კულისებში შეიყვანდა და დიდ სერგო ზაქარიაძეს აჩვენებდა: „მეტი სიახლოვე, სიყვარული და მეგობრობა, რაც მამამ მაგრძნობინა, ვერც წარმოედგინა", – ასეთი განცდა დატოვა ერთადერთ ქალიშვილში. „სულ რომ არაფერი ვიყო პიროვნულად, მარტო ის მეყოფა, რომ ჩემი მამის შვილი ვარ, მარტო მე კი არა, ჩემს სამ შვილსაც იმდენი რამ უჩვენა, რომ ერთი ადამიანისგან მაქსიმუმზე მეტიც არის..."

შარშან, 29 ივლისს 65 წელი შეუსრულდა. ორ კვირაში კიდეც გარდაიცვალა. მანამდე ჰქონდა ბოლო დაბადების დღე. 25 მეგობარი ეწვია თურმე, „თავისი ბიჭები", როგორც ამბობდა. თვითონ ველარ გამოსულა სუფრასთან. საძინებელში იწვა. უთხოვია: კარი გამიღეთ, სადღეგრძელოები მაინტერესებს, რას იტყვიან ერთიო... იცოდა, მძიმე სენი სჭირდა... ქალიშვილმა გვიამბო: „ჭკვიანი კაცი იყო, რეალისტი, ვერ მოატყუებდი, მიუხედავად ირეალური სამყაროსი, რომელსაც ხატავდა. საფრანგეთში მკურნალობდა. იქ სხვა სისტემაა, პირდაპირ ეუბნებიან, რაც სჭირს პაციენტს. კონკრეტულად კოკას შემთხვევაში, მინდა გითხრათ, ამან გაამართლა. მან იცოდა, რა უნდა მოესწრო... ბოლო 4 წელი ჰქონდა მძიმე. აქედან 3 წელი იცხოვრა ძალიან ნაყოფიერად. რაც ამ დროში მოასწრო, ბევრი მთელ სიცოცხლეში ვერ აკეთებს. გამოფენა ჰქონდა თბილისში, მოსკოვში – სამხატვრო აკადემიაში, პარიზში, ორჯერ მოაწყო გამოფენა იტალიაში. სულ მაინტერესებდა ლონდონიო... წავიდა, დაათვალიერა. მოიარა იტალია მანქანით... ორჯერ მოასწრო ჩემი უფროსი ქალიშვილის პარიზში წაყვანა, ერთხელ – ტყუპებისა. გონიოში მაქვს რაღაც დასამთავრებელიო, – დაამთავრა. ამ 4 წელიწადში შექმნა აუარებელი ნამუშევარი. ბოლოს შექმნა უზარმაზარი გრაფიკული ციკლი, რომლისთვისაც გარდაცვალებამდე წელიწად-ნახევრით ადრე დაჯილდოვდა შოთა რუსთაველის პრემიით. ეს მძიმე ავადმყოფმა გააკეთა. ფერწერაში რომ ველარ მუშაობდა, მოძებნა გამოსავალი, გადავიდა გრაფიკაში. პარიზში რომ იყო, ველარ ისვენებდა, წამიყვანეთ საქართველოში, ჩქარა წამიყვანეთო.

ვეუბნებოდი – რა დროს საქართველოა, აქ მკურნალობა გიტარდება-მეთქი. აღარ მინდა არაფერი, ჩამიყვანეთ საქართველოში, უნდა მოვასწრო რაღაცებიო... ეს რაღაცები იყო: აუცილებლად უნდა ეჭამა ხინკალი, გადმოეხედა თავისი სახლის აივნიდან, ენახა ჩიჩიკა – თავისი უსაყვარლესი მეგობარი და ბავშვებთან – შვილიშვილებთან ურთიერთობა მოესწრო. ჩამოვიდა, ეს ყველაფერი გეგმაზომიერად შეასრულა და თითქოს თავისი ცხოვრების მინიმუმიც დაასრულა. ძალიან ძლიერი ადამიანი იყო და აბსოლუტურად არაეგოისტი. ეს განსაკუთრებით ავადმყოფობისას გამომჟღავნდა. სულ იმაზე ფიქრობდა, ნაკლებად შევეწუხებინეთ ყველანი, როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურადაც.

ხშირად გვეუბნებოდა: არ იდარდოთ, კარგად ვარ, არაფერი არ მტკივა, წადით, გაერთეთო... მე მამშვიდებდა... ყველაფერი კარგი ვნახე ცხოვრებაში, სწორად ვიცხოვრე... არ შეგეშინდეს ჩემი სიკვდილისო... და ასეთ ძლიერ ადამიანს მაინც ვერ ვუთხარი, რომ ფუნიკულიორზე ის პანო ამოჭრეს და გააფუჭეს... ამ ტკივილს ვიცი, ვერ გაუძლებდა".

*ლელა ჯიჯავაძე*

# რწმენისთვის



# წამებული...

ნინო თუშიშვილი-ხატიაშვილი ღვთის მონა იყო. ექვსი შვილის დედა დიდად მორწმუნე გახლდათ. ხშირად ეკითხებოდა მოძღვრებს რჩევას. ყველაზე ახლოს იყო სიონის მღვდელთან მამა გაბრიელთან.

მისი ვაჟი, მხატვარი სულიკო ხატიაშვილი, იხსენებს: — „დედას ტაძრიდან მოჰქონდა ნაკურთხი წყალი და სეფისკვერი. პატარა სურით ინახავდა ნაკურთხ წყალს და ყველას, ვინც მოისურვებდა, უზიარებდა ხოლმე... უფლის სახელს და საქმეებს ქადაგებდა, ამიტომ მილიცია დევნიდა. ისინი, ვისაც მისი ქადაგება ჰქონდა მოსმენილი, მეუბნებიან ხოლმე — მას თავად ღმერთი ალაპარაკებდაო!.. თანაც, უცნაური ძალა ეძლეოდა: ზოგჯერ ცად ხელებს ალაპყრობდა და კაცებს ეუბნებოდა — აბა, ჩამომაშვებინეთო. ათი კაციც რომ დასჭიდებოდა, ვერ მოერეოდნენ. ლოცვისას ყველაზე ხშირად ასე ევედრებოდა ღმერთს: „საქართველო გადამირჩინე, რომ შვილები და შვილიშვილები, ქართველობა ბოროტს არ ეზიაროსო!..“ დედას ბევრი ხატი ჰქონდა, მათ შორის ჩემი დახატულიც, რის გამოც ხშირად გვიბარებდნენ მილიციაში, გვამცირებდნენ, მეც რამდენიმეჯერ მცემეს, სულ თავში მირტყეს. ჩემი ხატები...

მაშინ 32 წლისა ვიყავი. სკოლაში ვასწავლიდი ხატვა-ხაზვას. დედაჩემის საქმიანობის გამო აბუჩად ამიგდეს.. ერთხელ ბავშვები პეტრე-პავლეს ეკლესიასთან აეყვანა სამხედრო სწავლების პედაგოგს და იქ ამ დროს დედაჩემი თურმე ჩოქვით უვლიდა ტაძარს და ლოცულობდა, იესო ქრისტეს ეხვეწებოდა, რწმენით შეენარჩუნებინა ხალხისთვის საქართველო და მთელი ქვეყანა. ბავშვებიდან თითქოს ეშმაკი შეუჩნდათო, ხან ერთი შეახტებოდა დაჩოქილ ქალს ზურგზე, ხან მეორე.. მასწავლებელიც არაფერს ეუბნებოდა. დედა კი ღმერთს ევედრებოდა: „მიუტევე, რამეთუ არა იციან, რასა იქმანო!..“

იმ დღესვე სამხედროს მასწავლებელმა სახალხოდ მითხრა, — ბიჭო, დედაშენი რა ქვეყნის გადამრჩენია, თავი არავის მოაკვლევინოსო! — და მიამბო, რაც მომხდარიყო.

...გონება დამიბნელდა, — დედაჩემი შინ არ დამიხვდეს, თორემ მოვკლავ-მეთქი!.. შინ მისულს დედა ხატებთან მლოცველი დამიხვდა. ვუყვირე, — რა ღმერთი, რის ხატები, ცოცხლად რად გვმარხავ-მეთქი. მოვკიდე ხელი, უნდა გამომეგდო სამლოცველო კუთხიდან.. დედამ ხელის დაჭერა სცადა, დავასწარი... დავარტყი. წაიქცა, შუბლი იატაკს დაარტყა და ისეთი ხმა გამოსცა, შემზარა, მაგრამ მაინც ვყვიროდი, — მოგკლავ-მეთქი. მეორე ოთახში გავვარდი, არ ვიცი, რისთვის. უცებ გავშეშდი. ვეღარც ხმას ვიღებ, ვერც ვინძრევი. ვწვალობ, სიკვდილს ვნატრობ ერთ ადგილზე მიჯაჭვული. საათზე მეტი გავიდა, მზეც ჩავიდა. დედა თავის ხატებთან გდია უგონოდ. მე გონზე ვარ, თვალიც გახელილი მაქვს, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვრი, ვერც ხმას ვიღებ, რომ მშველელს ვუხმო...

ამ წამებაში ვარ, რომ დავინახე, აღმოსავლეთიდან ჩემკენ წამოვიდა მანათობელი წერტილი. თანდათან დიდდებოდა. ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ მოადგა კედელს, კედელი გაირღვა და... სახლში შემოვიდა დაახლოებით ჩემი ხნის მამაკაცი, წვეროსანი, თეთრი პერანგი ემოსა, ვარდისფერი მანტია ჰქონდა მოსხმული. ისეთ ნათელს ასხივებდა, რომ სულ გააკაშკაშა ბნელი ოთახი. ყურადღებით ვათვალიერებდი შიშით შეპყრობილი. აშკარად დავინახე: ხელებზე ნაჭდევები ჰქონდა, ფეხზე ქოშები ეცვა და მათზეც ჩანდა ლურსმნის ნაკვალევი. თავს შარავანდი ადგა, ცეცხლივით მოელვარე, მომწვანო-მოყვითალო ფერისა, სახეც ალისფრად უელავდა. მიკვირდა, რომ არ ეწვებოდა...

ფოლადის ხმით მკვახედ მითხრა: „სიმონ, რა ქენი ეს?!“ თავზარდაცემულ კაცს მუხლი მომეკვეთა — სიმონი ჩემი ნათლობის სახელია, სულიკო თავად დავირქვი.

მინდა მარჯვენა ავწიო, ხელს ვაცოდვილებ. ძლივს მოვახერხე პირჯვრის გადაწერა. ვუთხარი: „უფალო, მომიტევე, არ ვიცოდი!..“ მან შერბილებული კილოთი მითხრა: „სიმონ, შვილო, განა დედაშენი რასაც ამბობს და ქადაგებს, თვითონ იგონებს, ზეციდან ვკარნახობთ. აქაც ჩვენ ვართ (თითით მიწისკენ მიმითითა, წუთისოფელზე მანიშნა) და „იქ“ რომ მოხვალთ, მერე რა პასუხს გვაძლევ?!.“

ტირილი ამივარდა: — ურწმუნო ვიყავი, ასეთი რამისა არ მჯეროდა, მაპატიე-მეთქი!.. წასასვლელად რომ მიტრიალდა, უკვე მშვიდი მზერით შემომხედა და მითხრა, — სიკეთე აკეთეო და როგორც მოვიდა, იმ გზითვე წავიდა. მას შემდეგ თავად გავხდი მქადაგებელი და მინდა ყველამ გაიგოს სასწაული, რომელიც უფალმა მომივლინა!.

...უფალი იშვიათად ეჩვენება ვინმეს და როცა ასეთი რამ ხდება, უდიდესი მოწყალებაა მოკვდავის თავს. ბატონი სულიკო ხატიაშვილი უდავოდ ასეთი რჩეულთაგანია და მისი სული თავად იესომ იხსნა წარწყმედისაგან, საუკუნო ტანჯვისაგან, რომელიც შთამომავლობაზეც გადადის ხოლმე. რაც შეეხება ბატონი სულიკოს დედას, ქალბატონ ნინოს, მაპატიოს ღმერთმა, თუ რამე მეშლება, მაგრამ უეჭველია, რწმენისთვის წამებულ წმინდანთა შორისაა და მისი სული ზეციდანაც ლოცულობს სამშობლოს, რწმენისა და ერის გადასარჩენად!...

**ინგა ჯაყელი**

# „მარიას“ პოლიგლოტის ნიჭი ჰქონდა

ყოველთვის მიზიდავდა იდუმალი ამბები და მეც არაერთი ამგვარი რამ გადამხდენია თავს.. პირველად უცნაურობა 15 წლისას შემემთხვა. ბიძაჩემმა და მისმა მეგობრებმა ტახზე სანადიროდ წამიყვანეს. ცოტათი ჩამოვრჩი მონადირეებს. უცებ მაყვლიანის მიღმა ლაწალუწი მომესმა. გავიტრუნე, ეგებ ტახია-მეთქი. ამასობაში უზარმაზარი დათვი გამოჩნდა. გავქვავდი. დათვი ჩემკენ წამოვიდა. ჯერ ოთხზე მდგარი მომჩერებოდა! მერე მომიახლოვდა, წამოიმართა. ტორები მხრებზე დამაწყო და სახე ამილოკა. შიში სრულიად გამიქრა. დათვი კი იდგა და „მეფერებოდა“. მერე, კატის კნუტმა რომ იცის, ისე ჩამომისვა თათი მკერდზე, უცნაურად შემომხედა, წაიწკმუტუნასავით და მაყვლიანს შეერია. ბიძაჩემი და მისი ძმაკაცები გახევებულიყვნენ, სახეზე ფერი არ ედოთ. მე კი უცნაურ ძალას ვგრძნობდი. მივხვდი, ნადირობა ჩემი საქმე არ იყო, მაგრამ დღემდე არ ვიცი, რას ნიშნავდა დათვის საქციელი.

მეორედ იტალიაში შემემთხვა უცნაური რამ. 8 წელი ვცხოვრობდი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ძმაკაცი მყავდა — ჯოვანი, ოჯახის გასაცნობად წამიყვანა თავის მამულში. მყისვე თავლისკენ გამაქანა — ახლა ის უნდა განახო, რითაც ვამაყობო. ორმოცდაათამდე სხვადასხვა ჯიშის წმინდა სისხლის ცხენი ჰყავდათ. ერთი, არაბული ურა-კვიცი, გაუხედნავი ყოფილა — თურმე არავის იკარებდა. ცხენზე ნაჯდომი არ ვიყავი, მაგრამ ჯოვანის ვუთხარი, კომოს მე გავხედნი-მეთქი. ამასობაში მეჯინიბემ კომოს სადგომის კარი გამოაღო და ულამაზესი რაში ცეცხლივით გაიჭრა ველად. უცებ შედგა, მობრუნდა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემკენ, მერე თვალის დახამხამებაში აიტოტა. ყველას ეგონა, დამტორავდა, მაგრამ უცნაურად დაიჭიხვინა და სახის ლოკვა დამიწყო... ცოტა ხანში კომოს უნაგირი დავადგი... სამი დღე დავრჩი ჯოვანისთან სტუმრად — ურჩი ცხენი ჩემი მორჩილი იყო. ერთი კვირის შემდეგ ფაბრიციომ საშინელი ამბავი შეგვატყობინა. კომოს გაჯირითება ერთ მეჯინიბეს უცდია, მაგრამ ცხენს მხედარი გადმოუგდია და გაუთელავს. ცოფიანიაო, დაუსკვნიათ და მოუკლავთ...

ნადირ-ფრინველი არასოდეს გამირბის, პირიქით, ჩემკენ ილტვიან, თანაც არა მარტო ისინი, არამედ წყლის ცხოველებიც კი. შესაძლოა, დღესაც დაცურავდეს ხმელთაშუა ზღვაში ჩემი ძველი მეგობარი დელფინი, რომელიც თითქოს შეყვარებული იყო ჩემზე. „მარია“ ზღვის ერთ ყურეში „გავიცანი“. ცურვის დროს უცებ ჩემს ახლოს ამოხტა ტალღებიდან, ჰაერში ამოტრიალდა და სტვენა-სტვენით ჩემ გარშემო დაიწყო ცურვა. დღესაც არ ვიცი, „ბიჭი“ იყო თუ „გოგო“, მაგრამ კეკლუცობის გამო დელფინი ქალბატონად მივიჩნიე და „მარია“ შევარქვი. „მარიას“ პოლიგლოტის ნიჭი ჰქონდა. ოთხ ენაზე შემეძლო ლაპარაკი მასთან (მეტი არ ვიცოდი) — წადი, მოდი, ამოხტი, გაცურე, გაუჩინარდი, მომეფერე, იმღერე და ა.შ. ყველა ენაზე, ჟესტიკულაციის გარეშე ესმოდა. ერთხელ, როცა წყალში ირლანდიელი გოგონა დოლი შედიოდა, ვაი-უშველებელი ატეხა. დაახლოებით ერთი მეტრის სიშორეზე მიჰყვებოდა დოლის, რომელიც ძალიან ღრმად მიცურავდა ზღვაში. ცოტა ხნის შემდეგ დავინახეთ, დელფინი თითქოს რაღაცას გვანიშნებდა. მერე გაუჩინარდა. მალე თვალი მოვკარით, დოლის მოათრევდა. გოგონა ნაპირზე გამოვიყვანეთ, თურმე ორივე ფეხში ძარღვი განასკვოდა! „მარიამ“ იგრძნო, გოგონას საფრთხე რომ ელოდა... იმ დელფინზე მზე და მთვარე ამოგვდიოდა. საქართველოში წამოსვლის წინადღეს, ზღვასთან მივედი „მარიას“ სანახავად. მთელი დღე ველოდი. არ გამოჩნდა. მეორე დილითაც ველოდი „სატრფოს“ გამოჩენას, მაგრამ ამაოდ. დამშვიდობებისას ბიჭებმა მითხრეს: შენი შეყვარებული წინასწარმეტყველია. მიხვდა, რომ მიდიხარ, გულნატკენია და ამიტომ არ ჩნდებაო. სულ ვფიქრობ, ნუთუ იტალიაში კვლავ ჩასვლის შემდეგაც ვერ ვნახავ ჩემს უცნაურ მეგობარს, რომელიც ხშირად მესიზმრება? ძილში მასთან შეხვედრის შემდეგ კი, ცხადში ყველა საქმე შესანიშნავად მიმდის. დღემდე მაინტერესებს იმ იდუმალი ძალის საიდუმლო, რომელიც ასე მაკავშირებს ჩვენს უტყვ მეგობრებთან. მონადირეებმა, ბუნებათმცოდნეებმა ვერაფერი ამიხსნეს...

**აჩიკო ლანჩავა**

### „საზალდო-სალადო“ გვერდის

## პასუხები

I. აბა, გამოიცანი:

1) — გ); 2) — დ); 3) — გ); 4) — ბ); 5) — ა); 6) — დ.

II. დათვი.



# კარმადონის ხეობაში დაღუპულებს ძეგლს დაუდგამენ



შარშან კარმადონის ხეობაში დაიღუპა ტურისტთა ჯგუფი, რომელთა შორის იყო ცნობილი რუსი მსახიობი სერგეი ბოდროვი. ჩრდილო ოსეთის ხელისუფლებამ ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად გადაწყვიტა ძეგლის აღმართვა. შეიქმნა სპეციალური კომისია ჩრდილო ოსეთის მხატვართა კავშირის წევრების, არქიტექტორთა და ხელოვნებათმცოდნეთა შემადგენლობით, რომელსაც უნდა შეერჩია ძეგლის პროექტი. კონკურსის მეორე ტურში შეირჩა სამი პროექტი (ავტორები: ნ. ნესტერენკო, ტ. გაგოევა და ს. ბასკაევა), მაგრამ სამივე ჯერ კიდევ დასამუშავებელია. ეს ძეგლი იქნება ჯგუფური კომპოზიცია. ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტ ალექსანდრ ძასოხოვის საგანგებო ბრძანებულებით, ძეგლის გახსნა ნავარაუდევია 20 სექტემბრისთვის, თუკი, რაღა თქმა უნდა, დროზე შეირჩა მონუმენტის ის ვარიანტი, რომელიც ყველას დააკმაყოფილებს.

*არგუმენტი ი ფაქტი №29*

# ბილ კლინტონი — მსოფლიოში უძვირესი ლექტორი



აშშ-ის ექსპრეზიდენტი ბილ კლინტონი ერთი ლექციის წაკითხვაში 100.000 დოლარს იღებს. მის ლექციებზე მოთხოვნილება დიდია. გლობალიზაციის, ერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე მისი მოსაზრებების მოსმენა ბევრ დაწესებულებას უნდა. ყველაზე დიდი ჰონორარი, რომელიც კლინტონმა ერთ ლექციაში აიღო, იყო 350 ათასი დოლარი. იაპონურმა ფარმაცევტულმა საწარმომ ლექციების სამდღიან ციკლში ყოფილ პრეზიდენტს 450 ათასი დოლარი გადაუხადა. ხოლო შოტლანდიასა და ინგლისში გამოსვლისთვის მან მიიღო 400.000 დოლარი. დიდი თანხა გადაუხადა კლინტონს საფინანსო წარმოებამ და საპროგრამო უზრუნველყოფის მწარმოებელმა ფირმამ. შეღავათიან ფასად მან მხოლოდ ლონდონის ეკონომიკის სკოლას ჩაუტარა ლექციები — 28.100 დოლარად. კლინტონს ხშირად აკრიტიკებენ მისი საარაკო ჰონორარების გამო. მაგრამ იგი ერთადერთი პრეზიდენტი არ არის, რომელიც კაპიტალს ამგვარად აგროვებს. მაგალითად, უფროსმა ჯორჯ ბუშმა ლექციების წაკითხვით 4 მლნ დოლარი აიღო. ლექტორების ნაციონალური ასოციაციის მონაცემებით, აშშ-ში მუშაობს 6 ათასი პროფესიული ლექტორი. აქედან 2% წელიწადში გამოიმუშავებს 1 მლნ დოლარს, ხოლო 35% — იღებს 50 ათას დოლარს.

*დენგი №26*

# როცა ნებით არ გაჩუქებენ, ძალით იჩუქეთ



ავსტრალიელმა მომღერალმა ნატალი იმბრულიამ ლონდონის მაღაზიაში საზაფხულო ფასდაკლებით ვაჭრობაზე სარფიანად წაიმუშავა: მას ევალებოდა მაღაზიასთან მისულიყო ორცხენიანი ლამაზი ეტლით გაღებამდე რამდენიმე წუთით ადრე. ხოლო, როცა მაღაზიაში აღტკინებული ბრბო შევარდებოდა, იმბრულიას შეეძლო იქაურობა მშვიდად დაეტოვებინა. სეზონურ ვაჭრობას მომღერალთან ერთად ხსნიდა Harrods-ის მფლობელიც — მოჰამედ ალ-ფაიედი. სწორედ მასზე იყო გაანგარიშებული მიზანსცენა, რომელიც ნატალიმ გაითამაშა. მან, ჯერ დაუფარავი აღფრთოვანებით 50 ათას გირვანქა სტერლინგად ღირებულ ბრილიანტის სამაჯურს დაუწყო თვალიერება, მერე თქვა, — ბრილიანტებზე ვგიჟდებიო. მაგრამ მილიარდერმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ მიხვდა, სად უარაკებდა ქალი. მაშინ ნატალიმ ჯიქურ მიახალა, — ეს სამაჯური უნდა მაჩუქოთო. ალ-ფაიედს რაღა უნდა ექნა...

*ნიუზუიქი*

# პანდა ხელშეუხებელია!



ჩინელ გლეხს, რომელმაც გიგანტური პანდა მოკლა და გაატყავა, 14 წლის პატიმრობა და ჯარიმად 1.000 დოლარზე მეტი მიუსაჯეს.

გლეხმა პანდა 1999 წელს მოკლა. მთაში ნადირობისას, სამი პანდა შენიშნა. ორი მაშინვე გაიქცა, მესამე, შედარებით პატარა, ხეზე აცოცდა. თუმცა ამაოდ — გლეხმა მოკლა და მისი ტყავი 24 დოლარად გაყიდა. თავის მხრივ, ახალმა პატრონმაც გადაწყვიტა ხელის მოთბობა და ტყავი 243 დოლარად მიჰყიდა ვიღაცას. სწორედ ეს „ვიღაც“ დაიჭირა პოლიციამ, როცა იგი პანდას ტყავს ყიდდა. მონადირის გარდა (რომელსაც ყველაზე გრძელვადიანი სასჯელი ერგო) ციხეში ხუთ კაცს მიაბრძანებენ — მათ პანდას ტყავით უკანონო ვაჭრობა ედებათ ბრალად და თითოეული 12-12 წელს მოიხდის.

*როიტერი*

# ცაზე 70 სექსტილიონი ვარსკვლავია!

ავსტრალიელმა ასტრონომებმა თანამედროვე უახლესი აპარატურის მეშვეობით, ცარგვალზე, რომელსაც ჩვენი თვალი სწვდება, 70 სექსტილიონი ვარსკვლავი დათვალეს.

ეს ციფრი გამოიხატება 7-იანითა და 22 ნულით!

უმთვარო ღამეში, შეუიარაღებელი თვალით, ადამიანს შეუძლია 5 ათასი ვარსკვლავი დათვალოს, ხოლო გაჩახჩახებული ქალაქის თავზე — ასიოდ ვარსკვლავს თუ შეამჩნევს.

*ლენტა რუ*

# უჩვეულო ქორწილი



გაუთავებელმა გვალვამ ინდოეთში 1.500 ადამიანი იმსხვერპლა. ამჟამად წვიმას ელირსა მოსახლეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან არა. კარნატაკას ადმინისტრაციულ ცენტრში კვლავ გვალვა მძვინვარებს და მოსახლეობა პანიკაშია ჩავარდნილი. ტრადიციულმა ხერხებმა და რიტუალებმა შედეგი ვერ გამოიღო. მშობლები ბავშვებს გარეთ ვერ უშვებენ, რადგან ეშინიათ, მსხვერპლად არ შესწირონ წვიმის ღმერთ ინდრეს. შეწუხებულმა მოსახლეობამ ძველი ადათები გაიხსენა — შარშან ორი ბაყაყი დააქორწინა, წელს კი ნეფე-დედოფლად ვირები აირჩია. ეს უჩვეულო ქორწინება შედგა ღმერთ განეშის ტაძარში. საპატარძლო განგა ტრადიციულ ინდურ საქორწინო ტანისამოსში გამოაწყვეს, სასიძოს კი ქათქათა დჰოტი ჩააცვეს. ხუცესმა აღასრულა ცერემონია. მაყრებმა ნეფე-დედოფალი ცოცხალი გირლანდებით შეამკეს. ვირები კმაყოფილნი ჩანდნენ. ქალაქის ქუჩებში გასეირნების შემდეგ სტუმრები დაბრუნდნენ ტაძარში ტრადიციულ საქორწინო სუფრაზე. ქორწილს არც მუსიკა აკლდა.

*მირ ნოვოსტეი №28*

# გავინავარდოთ, მაკაკა!



ინგლისური პარკის, ლონგლიტ საფარის მაიმუნებს ძალიან უყვართ თურმე დამთვალიერებელთა ავტომობილების სახურავზე დასკუპება და გასეირნება.

იმის შიშით, ცხოველები ბორბლებს არ ჩაუცვივდნენო, ზოოპარკის თანამშრომლებმა პარკის ტერიტორიაზე ავტომანქანების შეყვანა აკრძალეს.

პრიმატებმა მოიწყინეს საყვარელი გართობის გარეშე, ამიტომ ზედამხედველებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები: ვოლიერებთან ძველი ავტომობილები დადგეს და ახლა მაიმუნები საჭის ტრიალითა და კლაქსონის გუგუნით იჯერებენ გულს.

*ეხო პლანეტი*

# ფაბერჟეს უკანასკნელი ნამუშევარი



მოსკოვის კრემლის მიძინების დარბაზში გამოფენილი იყო კარლ ფაბერჟეს ნაშრომთა განსაცვიფრებელი ნამუშევრები. პირველად გამოიფინა ოსტატის დაუსრულებელი სააღდგომო კვერცხი „ტახტის მემკვიდრის თანავარსკვლავედი“, რომელიც ოდესღაც ნიკოლოზ მეორეს შეუკვეთია. პირველად და უკანასკნელად განთქმულმა ოსტატმა ვერ შეასრულა მეფის დაკვეთა — რევოლუციამ მოუსწრო. დიდხანს არავინ იცოდა, სად გაქრა იგი. ახლახან „კვერცხი“ აღმოჩნდა მინერალოგიის მუზეუმში. სპეციალისტებმა ეს ნამუშევარი რუსეთის დანგრეული იმპერიის სიმბოლოდ მიიჩნიეს. 50 სააღდგომო კვერცხიდან, რომელიც ცნობილმა ფირმამ შექმნა 1885 წლიდან, რუსეთში მხოლოდ ათია და ამჟამად „იარაღის პალატას“ ამშვენებს. დანარჩენი დაიკარგა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს მეთერთმეტე — ა. ფერსმანის სახელობის მუზეუმში ამგვარად მოხვედრილა: ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ ფაბერჟეს ერთი შვილი აგათონი რუსეთში დარჩენილა და მუშაობდა აკად. ა. ფერსმანთან ექსპერტად. ბოლოს, ისიც იძულებული გახდა, გაქცეულიყო. წასვლამდე მან ყველაფერი, ძვირფასი ქვებიც კი, გადასცა ა. ფერსმანს. მათ შორის იყო ზემოხსენებული სააღდგომო კვერცხი. იგი გაკეთებულია მთის ბროლისგან და აუწერლად ლამაზი მუქი მწვანე მინისაგან. გამოხატავს ცის თაღს, მოოჭვილია წვრილი ბრილიანტებით. აკლია მხოლოდ ციფერბლატი და მსხვილი ბრილიანტები, რასაც უნდა შეეკრა ცის თაღი, მისთვის საგანგებოდ შექმნილ ღრუბლებში ჩასმისას.

*მოსკვა №21*

# უფროსი მე ვარ, გაიგე?



ნორვეგიელი 73-73 წლის ტყუპი დები დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ და მის გადასაწყვეტად სასამართლოს მიმართეს. უნდა გაირკვეს — რომელია მათ შორის უფროსი. საქმე ის არის, რომ მათ უფროსი ძმა გარდაეცვალათ, მემკვიდრეობა კი — ფერმა — მის მომდევნო დედმამიშვილს უნდა დარჩეს. დები 1929 წელს მოევლინნენ ქვეყანას 15 წუთის ინტერვალის დაშორებით. ახლა ვიღას გაახსენდება, რომელი იყო პირველი ან რომელი — მეორე. ეს ხომ მშობლებმაც კი არ იცოდნენ ზუსტად. ახლა დებს თემიდას იმედი აქვთ — ვისაც იგი აღიარებს უფროსად, მემკვიდრეობაც მას დარჩება.

*ოკნა №26*

# წარმოადგინეთ მართვის მოწმობა და... შლაპა



ერიკ კატცელს ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი ავტომობილის საქარე მინაზე ქვითარი დახვდა — მძღოლი ავტომობილის უშლაპოდ ტარებისათვის ჯარიმდებოდა. კანონმორჩილმა გერმანელმა მაშინვე პოლიციას მიაშურა. პოლისმენები ჯარიმის ქვითარმა გააოგნა. გაოგნება მალე აღშფოთებად იქცა — განყოფილებას იმავენაირი ქვითრით კიდევ რამდენიმე მძღოლმა მიაკითხა. როგორც აღმოჩნდა, საჭესთან ჯდომისას არც ერთი არ ატარებს შლაპებს, კეპებსა თუ პანამებს... ექსპერტიზით დაადგინეს, რომ ქვითრები ნაყალბევია. უბნის ახალგაზრდებს უოხუნჯიათ.

*პარი მატჩი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

დ ა ი ს ვ ე ნ ე ჩ ვ ე ნ ს გ ა ზ ე თ თ ა ნ ე რ თ ა დ

ა თ ს ა ლ ჯ ი ე ი ლ ა ს ა დ ე რ ტ ო რ ი თ ი ი



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ბერნარდ შოუს სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**დ.** ქვეყანა, რომლის პრინცი იყო ჰამლეტი; **ა.** რა ერქვა თხას, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება კრეტაზე დამალული ყრმა ზევსი; **ი.** იტალია — ტიფოზი, ესპანეთი — ტორსედორი, ბრაზილია — ?; **ს.** ფინური აბანო; **ვ.** ადვოკატი; **ე.** მეგრული კერძი; **ნ.** თავის თავზე შეყვარებული ყმაწვილი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა ნიმფა ექოს; **ე.** უღელტეხილი, რომელსაც გადადიოდნენ რაჭაში სამაჩაბლოს გზით მიმავალი მგზავრები; **ჩ.** მწვანე ოქრო; **ვ.** ჰიტლერის უსაყვარლესი კომპოზიტორი; **ე.** ვულკანი კუნძულ სიცილიაზე; **ნ.** ბაირონის ერთ-ერთი სახელი; **ს.** წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; **გ.** საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; **ა.** მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში წინასწარ უხდიან ვინმეს; **ზ.** მუსიკალური საკრავი, რომლის სახელსაც იმ ადამიანს მიაძახებენ ხოლმე, რომელიც ხმამაღლა ყვირის; **ე.** სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **თ.** ქართველი მხატვარი, რომლის სახელობის სამხატვრო სასწავლებელიც თბილისში არის გახსნილი; **თ.** ფელამუში; **ა.** უღელტეხილი ხევსურეთში; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **რ.** თენგიზ კიტოვანის გვარდიის დისლოკაციის ადგილი თბილისის ომამდე; **თ.** ივნისის თვის ქართული ხალხური სახელწოდება; **ა.** სიმინდის სამშობლო; **დ.** მდინარე ევროპაში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**გ.** გოთები; **ა.** აკაკი; **ე.** ეჟვანი; **რ.** რეიტინგი; **თ.** თასმა; **ე.** ეშმაკი; **დ.** დიონისე; **ა.** ავჭალა; **დ.** დერბი; **ა.** ატილა; **ი.** ისთვუდი; **ს.** სოკრატე; **ვ.** ვუალი; **ე.** ელცინი; **ნ.** ნეიტრონი; **ე.** ეკალი; **ჩ.** ჩაროზი; **ვ.** ვაპორეტო; **ე.** ეტალონი; **ნ.** ნოტრდამი; **თ.** თიანეთი; **ა.** აგრაფია; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ელვა; **რ.** როდენი; **თ.** თხემი; **ა.** არბალეტი; **დ.** დრაიზერი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: თავის მოჭრით კაცი არ პატარავდება.**

# ბერის ხელში „გაჩენილი" და ქვრივის „გამოზრდილი" სამეფო სასმელი

მსოფლიოს ყველაზე სადღესასწაულო და სამხიარულო ღვინოდ შამპანურია აღიარებული. ამ სასმლის გამოგონებას ფრანგები იჩემებენ და ქვეყანაშიც ისეთი კანონმდებლობა აქვთ მიღებული, რომ შამპანის (პროვინცია საფრანგეთში, საიდანაც მოდის ღვინის სახელწოდება) საზღვრებს გარეთ დამზადებული ღვინო შამპანურად არ ითვლება. მათ შამპანურის გამოგონების სავარაუდო თარიღიც კი გამოიანგარიშეს და ამ ღვინის გარშემო ლამაზი ლეგენდებიც შეთხზეს (ამაზე ქვემოთ). თუმცა შამპანელების სამწუხაროდ უძველეს ისტორიულ ნარკვევებში მრავლად არის მოხსენიებული სხვადასხვა შუშხუნა ღვინო. მათ მიირთმევდნენ კოლხეთში, ყირიმში, ბურგუნდიასა და პიემონტშიც... თვით შამპანშიც დიდი ხანი არ არის, რაც ღვინო აშუშხუნდა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი, თუმცა იქაურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ მათ შეიმუშავეს და შეინარჩუნეს შამპანურის წარმოების ტექნოლოგია.

შამპანში მეღვინეობა რომაელების მბრძანებლობის დროს განვითარდა; მაშინ იქ ჩვეულებრივ ღვინოებს აწარმოებდნენ, უმთავრესად — წითელს. რომის იმპერატორმა დომიციანემ რომაელი მეღვინეების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, 92 წელს შამპანის ვენახების გაჩეხა ბრძანა და პროვინციაში მეღვინეობა 280 წლამდე ჩაკვდა. სწორედ ამ წელს დართო ნება შამპანელებს იმპერატორმა — პრობუსმა, კვლავ გაეშენებინათ ვენახები.



დომ პერინიონი და მისი სახელობის ღვინო

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ შამპანში საეკლესიო ღვინოების წარმოება დაიწყეს. გარკვეულ პერიოდებში იმდენად კარგი ღვინო გამოსდიოდათ, რომ სამეფო კარის ერთადერთ მიმწოდებლებიც იყვნენ ხოლმე. თუმცა ჭირვეული კლიმატის გამო ღვინო ყოველთვის არ იყო ხარისხიანი და ასეთ წლებში შამპანი ზარალობდა. შამპანელმა მეღვინეებმა ადრიდანვე შეამჩნიეს, რომ რამდენიმე სახის ღვინო, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, მეორედ იწყებდა კასრებში დუღილს და ქაფსაც იკეთებდა. თუმცა ამის მიზეზი დიდხანს ვერ დაადგინეს. საქვეყნოდ გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, XV საუკუნის დამლევს ამ მოვლენის ხელოვნურად მართვა შეძლო ბენედიქტელმა ბერმა დომ პიერ პერინიონმა ოვილეს სააბატოდან (ლათინური სიტყვა domus — ბატონი, არის მიმართვის ფორმა სამღვდელო პირისადმი). სწორედ ამ ბატონს მიაწერენ შამპანიზაციის მეთოდის გამოგონებას. საქმე ის არის, რომ



პერინიონი ოვილეს სააბატოს ხაზინადარი იყო და მევენახეობა-მეღვინეობასაც განაგებდა. ლეგენდის თანახმად, პერინიონმა „ასწავლა" ღვინოს „სწორად აქაფება". ამ შედეგს ის ღვინოში შაქრისა და საფუვრის ჩამატებით და სქელ შუშის ბოთლებში შენახვით აღწევდა (შაქარი დუღილს იწყებდა და გამოყოფილი ნახშირორჟანგი სითხეში ერეოდა). დომ პერინიონს ეკუთვნის სხვადასხვა ვენახიდან მოკრეფილი განსხვავებული ყურძნის ღვინოების ერთმანეთში შერევის იდეა. შამპანურის დამზადების ამ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ციკლს შემდგომში „ასამბლაჟი" ეწოდა. ბოთლის საიმედო სახურავით დალუქვაც შამპანელ ბერს მოაფიქრდა: ძველებური, კანაფით დამაგრებული, ზეთით გაჟღენთილი ნაჭრისა ან ხის საცობები — ახლით, კორპის ხის კანისგან დამზადებულით შეცვალა. სწორედ ამ გამოჩენილმა ბერმა შესთავაზა საზოგადოებას მის მიერ დაწურული ღვინო მაღალი, ვიწროყელიანი ბოკლებით შეესვათ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პერინიონმა მხედველობა დაკარგა, მაგრამ ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია, ისევ ეწარმოებინა საუკეთესო ხარისხის ღვინოები. თანამედროვეთა გადმოცემით, სუნითა და გემოთი ის უშეცდომოდ განასხვავებდა სხვადასხვა ჯიშისა და ადგილმდებარეობის ვენახების ღვინოებს. ეს ისტორია იმდენადაა გამჯდარი ფრანგების გონებაში, რომ მისი ეჭვქვეშ დაყენება, უკეთეს შემთხვევაში, ჩხუბით დამთავრდება. თუმცა ზოგიერთი არაფრანგი მეცნიერი ამტკიცებს, რომ შამპანურის დამზადების ტექნოლოგია ჯერ კიდევ რომაელებმა დახვეწეს და პერინიონმა, უბრალოდ, მათ რეცეპტს მიაგნოო. ზოგი მეცნიერი კი მიიჩნევს — პერინიონი მოგონილი პიროვნებააო. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდებენ საოცარ დამთხვევას: აბატის დაბადებისა და გარდაცვალების წლები აბსოლუტურად ემთხვევა საფრანგეთის მეფე-მზის, ლუდოვიკო XV-ის ცხოვრების პერიოდს (1638-1715).



კლიკოს ქვრივმა შთამომავლებს წარმატებული ბიზნესი დაუტოვა

მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ აღიარეს შუშის ბოთლების უპირატესობა, 1728 წლამდე შამპანურს მაინც ხის კასრებში ასხამდნენ. ამ წელს საფრანგეთის მეფემ, ლუი XV-მ გამოსცა ბრძანება, შამპანური მხოლოდ შუშის ბოთლებში ჩამოესხათ. თანდათან შამპანური უფრო პოპულარული ხდებოდა. მიუხედავად სიძვირისა, სამეფო კარის უსაყვარლესი სასმელი დიდგვაროვნებშიც დიდი მოთხოვნით სარგებლობდა. მაშინ ღვინო მცირე მოცულობით იწარმოებოდა, რადგანაც ბოთლების უმეტესობა ვერ უძლებდა წნევას და სკდებოდა. ამდენად, მეღვინეები „გადარჩენილ" ბოთლს მისი „დაღუპული" თანამოძმეების ფასსაც ამატებდნენ. ამ დეფექტს დიდხანს ვერაფერი მოუხერხეს, სანამ ფარმაცევტმა ჟან-ბატისტ ფრანსუამ არ გამოიკვლია შაქრის რაოდენობისა და მეორადი დუღილის ურთიერთდამოკიდებულება. ახალმა აღმოჩენამ მეღვინეები ძალიან გაახარა, ძვირფასი სითხით სავსე ბოთლები აღარ სკდებოდა, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თვით ბოთლების დამზადების ტექნოლოგიაც დაიხვეწა და საცობიც მიუზლეთი (ლითონის მავთულით) დამაგრდა. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უზარალო წარმოებისა, მეღვინეებს გუნებაშიც არ გაუვლიათ შამპანურის გაიაფება.



რეიმსი — შამპანურის დედაქალაქი

შამპანურის ისტორიაში კიდევ ერთი ლეგენდარული ფიგურა არსებობს — კლიკოს ქვრივი. საერთოდ, მეღვინეების ქვრივებმა დიდი როლი ითამაშეს შამპანურის პოპულარიზაციაში. ამ ქალებმა მემკვიდრეობით მიიღეს საქმე და დიდი მონდომებისა და სიჯიუტის წყალობით მოიპოვეს საპატიო ადგილი იმ გარემოში, სადაც მანამდე ქალებს არაფერი ესაქმებოდათ. ასეთები იყვნენ: ქვრივი კლიკო-პონსარდენი, ქვრივი ლორან-პერიე, ქვრივი პომერი, ქვრივი ენრიო... მათ საფრანგეთში „შამპანურის ქვრივებს" უწოდებენ.

ნიკოლ პონსარდენი 21 წლის იყო, როდესაც 1798 წელს ფრანსუა კლიკოს მიათხოვეს. ამ ქორწილით ორი დიდი სავენახო მეურნეობა შეერთდა და 6 წლის შემდეგ, როცა ქალი დაქვრივდა, მის მმართველობაში უზარმაზარი მეურნეობა მოხვდა. ამ ქალბატონმა კომერციის არაჩვეულებრივი ალღო გამოავლინა და საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქმრის გვარს. მიუხედავად საომარი მოქმედებებისა ნიკოლი ახერხებდა საკუთარი ღვინის ექსპორტს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. როდესაც ნაპოლეონი დამარცხდა, კლიკომ გამარჯვებულ მხარეებს ათასობით ბოთლი გაუგზავნა საჩუქრად. მსგავსი ძღვენი (10.000 ბოთლი) მიიღო რუსეთის იმპერატორმაც. ამის შემდეგ რუსეთის სამეფო კარი კლიკოს მუდმივ კლიენტად იქცა. პრუსიის მმართველი ფრიდრიხ-ვილჰელმ V იმდენად დიდ შეკვეთებს აძლევდა ქვრივს, რომ მას „კლიკოს მეფე" უწოდეს. უნდა ითქვას ისიც, რომ კლიკოს ქვრივის წარმატებები მარტო ღვინის გაყიდვით არ შემოიფარგლა. მის მიერ 1822 წელს დაარსებული სავაჭრო სახლი მომგებიანად ვაჭრობდა მატყლითა და სხვა სამეურნეო საქონლით. ქალბატონი კლიკო უშუალოდ მონაწილეობდა ღვინის წარმოებაში, თვითონ ადევნებდა თვალყურს ძვირფასი ღვინის რიგებს ღრმა სარდაფებში. სწორედ მისი გამოგონილია პიუპიტრები რემუაჟისთვის. ნიკოლ კლიკომ 89 წელი იცხოვრა და 1866 წელს გარდაიცვალა. მან შთამომავლებს წარმატების მწვერვალზე მყოფი სავაჭრო სახლი და მსოფლიოში სახელგანთქმული შამპანურის წარმოების ტრადიცია დაუტოვა.

დღესდღეობით შამპანური ღვინოების მწარმოებელი ათობით ფირმა არსებობს. ღვინის ფასი მის ტირაჟირებაზეა დამოკიდებული. მაგალითისთვის, თუ კლიკოს სავაჭრო სახლი წელიწადში ათ მილიონ ბოთლზე მეტს ასხამს, შამპანური „ანრი ბილიოტი" სულ 12-ათასიანი ტირაჟით გამოდის. აქედან გამომდინარე, „კლიკოს ქვრივზე" ბევრად უფრო ძვირად ფასობს.

## როგორ მზადდება შამპანური

შამპანურის დამზადების ტექნოლოგია ძალიან რთული და ძვირადღირებულია. დომ პერინიონის ხანის შემდეგ ის ფაქტობრივად არ შეცვლილა.

დაკრეფილი ყურძნის დაწურვა სასწრაფოდაა საჭირო, რათა ნაყოფმა ჭკნობა ვერ მოასწროს და მარცვლების მუქმა კანმა რბილობს ფერი არ შეუცვალოს. ყველაზე ხშირად ყურძენს 4-ტონიან ძველებურ წნეხში წურავენ. საშამპანურე ჯიშების დაწურვა ძალიან ფაქიზი საქმეა. ამ დროს მარცვალი ბოლომდე არ ისრისება, რათა გასრესილმა კანმა მუქად არ შეღებოს ყურძნის წვენი. დაწურვის შედეგად 160 კილოგრამი ყურძნიდან მიიღება 102 ლიტრი უფერო წვენი (ეს რაოდენობა სპეციალური კანონითაა დაწესებული). დაწურვისგან მიღებული წვენის უკანასკნელი ფრაქციის შამპანურ ღვინოებში გამოყენება სასტიკადაა აკრძალული. დაწურვის შემდეგ წვენს ფილტრავენ და აცილებენ სხვადასხვა მინარევს: ფოთლებს, კურკასა და მიწას.

წვენის პირველადი დუღილი ხშირად უჟანგავი ფოლადის ან ემალირებულ დიდ რეზერვუარებში მიმდინარეობს. ზოგიერთი მწარმოებელი ძველებურ მუხის კასრებსაც იყენებს. დუღილი 1-2 კვირას გრძელდება და შედეგად თეთრი მშრალი ღვინო მიიღება.

ღვინის საბოლოოდ დადუღების შემდეგ, თებერვალში იწყება ასამბლაჟი. ეს პროცედურა გულისხმობს შამპანის სხვადასხვა ვენახიდან მოყვანილი ღვინის ერთმანეთში არევას და ე.წ. კიუვეს მიღებას. ხშირად ასამბლაჟისთვის სარეზერვო, ანუ წინა მოსავლის ღვინოებსაც იყენებენ. სწორედ ასამბლაჟი განსაზღვრავს ღვინის ხარისხს, მის გემოსა და კატეგორიას (საკუთარი კიუვეს შემადგენლობა ყოველი სავაჭრო სახლის საამაყო საიდუმლოა). ამის შემდეგ ღვინო ისხმება ბოთლებში, ემატება შაქარი, საფუარი და იხუფება. ჯერ კიდევ რომაელების მბრძანებლობის პერიოდში შამპანში კირს მოიპოვებდნენ. იმ ხნიდან შემორჩენილი მაღაროები მუდმივი 9-12$^0$C ტემპერატურით საუკეთესო სარდაფებად იქცა შამპანურის შესანახად (ყველაზე დიდი, მრავალკილომეტრიანი სარდაფები ქალაქ რეიმსსა და ეპერნეშია). ამ სარდაფებში ბოთლები ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ინახება. შაქრისა და საფუვრის ზემოქმედებით ღვინო მეორედ დუღს. ამის შედეგად მისი სიმაგრე 12-12,5$^0$ ხდება, ხოლო ბოთლის კედლებზე ილექება ნალექი, რომელიც შემდგომში უნდა მოსცილდეს. ეს პროცესი დაახლოებით 15 თვე გრძელდება.



სპეციალური წნეხი

ღვინის დადგომის შემდეგ იწყება რემუაჟი. ეს ტექნოლოგიის ერთ-ერთი ეტაპია, როდესაც ბოთლებს სპეციალურ პიუპიტრებზე ათავსებენ. ეს ეტაპი რამდენიმე კვირა გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში რემუაჟის სპეციალისტი ყოველდღე სხვადასხვა, გარკვეული კუთხით ატრიალებს ბოთლებს და ყელს თანდათან ქვემოთ უწევს. ნალექი, რომელიც ბოთლის კედლებზე იყო, ნელ-ნელა სცილდება შუშას და საცობთან იყრის თავს. 6 კვირის შემდეგ ღვინო აბსოლუტურად გამჭვირვალე ხდება. ბოთლის ყელს მინუს 30$^0$C-ამდე აცივებენ, საცობს ხსნიან და გაყინული ნალექი გაზის ზემოქმედებით ბოთლიდან ვარდება. სითხის დანაკლისს სარეზერვო ღვინით ავსებენ, რომელშიც შაქარია გახსნილი. შაქრის რაოდენობა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ღვინო უნდა მიიღონ — ბრუტი, მშრალი თუ ნახევრად მშრალი.

ბოთლებს ახალი, მარკირებული საცობებით ხუფავენ, შემდეგ კი 2-6 თვის განმავლობაში ისევ სარდაფში აბრუნებენ, რათა ჩამატებულმა ღვინომ საჭირო კონდიციას მიაღწიოს და საცობიც „თავის ადგილზე დადგეს". მომზადების უკანასკნელი ეტაპია ბოთლზე ეტიკეტის დაკვრა.



რემუაჟი

## სად მოჰყავთ საშამპანურე ყურძენი

საშამპანურე ვენახების ტერიტორია მხოლოდ 30 ათასი ჰექტარია. ეს საფრანგეთის მთელი ვენახების ტერიტორიის მხოლოდ 2-2,5%-ს შეადგენს. ეს ტერიტორია 48 და 49 პარალელებს შორისაა განლაგებული და საფრანგეთის ყველაზე „ჩრდილოეთ ვენახებად" იწოდება. კლიმატი აქ საკმაოდ მკაცრია. ხშირია ძლიერი ყინვები. წელიწადში ცივი დღეების რაოდენობა 60-დან 80-მდეა. საშუალო წლიური ტემპერატურა 10,5$^0$C-ია. სწორედ აქ შექმნა ბუნებამ ის იდეალური პირობები, რომელიც შამპანურის წარმოებისთვისაა საჭირო და მხოლოდ აქ მოყვანილი ყურძნისგან იწურება ის ღვინო, რომელსაც შეიძლება ერქვას ნამდვილი შამპანური და Appellation d'Origine Controlee (AOC) კატეგორიას შეესაბამება. (AOC) კატეგორია ნიშნავს საფრანგეთის სახელმწიფოს გარანტიას იმაზე, რომ ღვინო ნამდვილად იმ ელიტური ყურძნისგან არის დაწურული, რომლისგანაც უნდა მზადდებოდეს შამპანური. ღვინოებს, რომლებიც მზადდება შამპანიზაციის მეთოდით, მაგრამ არ ეკუთვნის ამ კატეგორიას, შეიძლება ეწოდოს მხოლოდ შუშხუნა ღვინო.

შამპანის პროვინციაში 19 ათას მეპატრონეს 300.000-ზე მეტი ვენახი ეკუთვნის




## როგორი სახის შამპანური არსებობს

ნახევრად მშრალი შამპანურის გაჩენაც ლეგენდებით არის მოსილი. ფრანგებს მიაჩნიათ, რომ შამპანური მშრალი უნდა იყოს. ნახევრად მშრალი სასმელი კლიკოს ქვრივს სპეციალურად რუსეთის ბაზრისთვის შეუქმნია. საერთოდ, შამპანური მით უფრო ფასობს, რაც ნაკლები შაქარი აქვს. შაქრით ხომ ღვინის გემოს შეცვლა, ანუ მისი ნაკლოვანებების დაფარვა შეიძლება. Brut zero, Ultra brut, Brut absolu, brut de brut, brut non dose, brut integral — ეს ის ღვინოებია, რომელთაც ნალექის გამოცლის შემდეგ შაქარი საერთოდ არ ემატება.

ღვინის ყველაზე გავრცელებული შემდეგი სახეობებია:

Exta Brut — ყველაზე მშრალი;
Brut — ძალიან მშრალი;
Exta sec — მშრალი;
Sec — ნახევრად მშრალი;
Demi-sec — ნახევრად ტკბილი.

CMYK

# „არწივებმა“ დინამო „გადაყლაპეს“

**ტირანა. 23 ივლისი. 21 საათი. ქემალ სტაფა. 3.000 (ტევადობა 20.000)**

**ტირანა — დინამო 3:0 დ.დ. (პენ. 4:2)**

**პირველი მატჩი 0:3**

**1:0 ლიკი (12), 2:0 ფორტუზი (64), ჰალილი (77)**

**პენალტები, 1:0 პატუში, 1:0 გოგობერიშვილი (აცილა), 2:0 ლიკი, 2:1 სამხარაძე, 3:1 დედე, 3:2 ხიზანეიშვილი, 4:2 ჰალილი, 4:2 ახალაია (მეკარე)**

**ტირანა: ეგბო, დედე, ჰაიდარი, პინარი, სინა (მერკოჩი 82), ე. ბულკუ (ს. ბულკუ 63), პატუში, ლიკი, მუკა, ფორტუზი, ჯაფა (ჰალილი 63).**

**მწვრთნელი: სულეიმან მემა**

**დინამო: ზოიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ბურდული, გოგობერიშვილი, კვირკველია, ანჩაბაძე (კანდელაკი 24), დარასელია (კარლოსი 63), მელქაძე (სამხარაძე 57), ახალაია.**

**მწვრთნელი: ივო შუშაკი**



ალბანური ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ცოდნით, მაინცდამაინც თავს ვერ მოვიწონებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „ტირანა“ პირველი (შეიძლება უკანასკნელიც) იქაური კლუბია, რომელიც სტუმრად 0:3-ის წაგების შემდეგ ევროთასების მომდევნო ეტაპზე გავიდა. „ტირანა“ „ტირანად“ და ჩვენ ჩვენი ვთქვათ. გუნდს, რომელიც 3:0-ს იგებს და საპასუხო შეხვედრაში უზარმაზარ უპირატესობას ვერ შეირგებს და ქარს გააყოლებს, გუნდი აღარ ჰქვია. თანამედროვე ფეხბურთში ასეთები აღარ ხდება — ჩვენებმა მოახერხეს! და მერე ვისთან — უსახელო ალბანურ კლუბთან, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ევროპის საფეხბურთო რუკაზე საერთოდ ვერ მოიძიებდა კაცი. ასეთ სირცხვილს და თავს ლაფის დასხმას სჯობდა შინაც იმავე ანგარიშით წაგვეგო. სასწაულის თვით ალბანელებსაც არ სჯეროდათ. ტირანაში, „ქემალ სტაფას“ სტადიონზე სამი ათასამდე კაცი მივიდა თავისი გუნდის გასამხნევებლად. ერთადერთი, ვინც ამბობდა, „დინამოს“ დავამარცხებთ და შემდეგ ეტაპზე გავალთო, იქაურთა მწვრთნელი სულეიმან მემა გახლდათ. ამ ნათქვამს კი ალბანელი ჟურნალისტები ხუმრობით ასეთ კომენტარს უკეთებდნენ — ტირანაში საშინლად ცხელა და ეტყობა ბუნებამ ჩვენი მწვრთნელის ფსიქიკაზეც იმოქმედაო.

ტირანაში მართლა საშინლად ცხელოდა, მაგრამ მარტო ჩვენთვის იყო სიცხე? ან რომელი ისლანდიიდან ან გრენლანდიიდან ჩასულები ჩვენ ვიყავით, სიცხე რომ გაგვკვირვებოდა. საპასუხო მატჩის წინ ივო შუშაკი აცხადებდა — ტირანაში სწრაფ გოლს გავიტანთ, რაც დამშვიდების საშუალებას მოგვცემსო. ვითომ თბილისში გატანილი სამი გოლი არ კმაროდა დასამშვიდებლად? ხომ შეიძლებოდა „დინამოს“ მოედანზე ოთხი, თუნდაც ხუთი ნომინალური მცველი გამოეყვანა და ანგარიშის შენარჩუნებაზე ეფიქრა. ელემენტარული ჭეშმარიტებაა — როცა მეტოქე იძულებულია უკანმოუხედავად შემოგიტიოს, კონტრშეტევაზე თამაშია საჭირო და არა რაღაც ახლის გამოგონება. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ საერთოდ ვერავინ ვერ მიხვდა, რა ტაქტიკით ითამაშა „დინამომ“, რომელმაც ერთი კინკილა საგოლე მომენტიც ვერ შექმნა „ქემალ სტაფას“ სტადიონზე. ალბანელებს კი, რაც გაიტანეს, ერთი იმდენიც უნდა გაეტანათ. ასეც მოხდებოდა, „ტირანას“ საშუალო ევროპული დონის შემტევებლები რომ მაინც ჰყოლოდა. თუმცა რა — ვინც ჰყავდა, „დინამოს“ ნოკაუტში ჩასაგდებად ისიც ეყო.

თბილისში დაბრუნებულმა ივო შუშაკმა ჟურნალისტებთან შეხვედრა არ იუკადრისა და მარცხი თავის თავზე კი აიღო, მაგრამ ამით რა? შუშაკი ახლახან ეროვნული ნაკრების თავკაცადაც დაინიშნა. ტირანაში წაგების გამო ქართველი ქომაგი მას ალბათ არ დაუსტვენს. ბოლოს და ბოლოს ერთი თამაში ვის არ წაუგია, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს — ხორვატის რეპუტაცია ალბანეთში სამარცხვინო წაგების შემდეგ, გვარიანად შეირყა.

ქართული ფეხბურთი კი ერთხელაც ჩაფლავდა. თბილისის „დინამო“ ქართული ფეხბურთის სახეა — მწარე რეალობის პირისპირ ამჟამად ალბანელმა ვითომ „არწივებმა“ დაგვაყენეს.

**ჩემპიონთა ლიგა I საკვალიფიკაციო ეტაპი, საპასუხო შეხვედრები**

ტირანა (ალბ.) — დინამო (საქ.) 3:0 პირველი მატჩი 0:3 პენ. 4:2
ირტიში (ყაზახეთი) — ომონია (კვიპროსი) 1:2 (0:0)
კაუნასი (ლიტვა) — ტორსჰავნი (ფარერები) 4:1 (1:0)
ლეოტარი (ბოსნია) — გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 2:0 (0:0)
სკონტო (ლატვია) — სლიმა (მალტა) 3:1 (0:2)
ფლორა (ესტონეთი) — შერიფი (მოლდოვა) 1:1 (0:1)
ჰიკი (ფინეთი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 1:0 (0:0)
ბოჰემიანსი (ირლანდია) — ბატე (ბელარუსი) 3:0 (0:1)
ბარი თაუნი (უელსი) — ვარდარი (მაკედონია) 2:1 (0:3)
რეიკიავიკი (ისლანდია) — პიუნიკი (სომხეთი) 1:1 (0:1)

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა**

მტკ (უნგრეთი) — ჰიკი (ფინეთი)
პიუნიკი (სომხეთი) — ცსკა (ბულგარეთი)
კაუნასი (ლიტვა) — სელტიკი (შოტლანდია)
ლეოტარი (ბოსნია) — სლავია (ჩეხეთი)
შერიფი (მოლდოვა) — შახტარი (უკრაინა)
ჟილინა (სლოვაკეთი) — მაკაბი (ისრაელი)
ბოჰემიანსი (ირლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია)
მარიბორი (სლოვენია) — დინამო (ხორვატია)
ცსკა (რუსეთი) — ვარდარი (მაკედონია)
რაპიდი (რუმინეთი) — ანდერლეხტი (ბელგია)
პარტიზანი (სერბეთი) — იურდინგენი (შვედეთი)
ვისლა (პოლონეთი) — ომონია (კვიპროსი)
კოპენჰაგენი (დანია) — სლიმა (მალტა)
ტირანა (ალბანეთი) — გრაცერი (ავსტრია)
პირველი მატჩები გაიმართება 30 ივლისს, საპასუხო — 6 აგვისტოს.

**III საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა**

ცსკა (რუსეთი)/ვარდარი (მაკედონია) — სპარტა (ჩეხეთი)
მტკ (უნგრეთი)/ ჰიკი (ფინეთი) — კაუნასი (ლიტვა)/სელტიკი (შოტლანდია)
რეინჯერსი (შოტლანდია) — კოპენჰაგენი (დანია)/სლიმა (მალტა)
აუსტრია (ავსტრია) — მარსელი (საფრანგეთი)
ბრიუგე (ბელგია) — დორტმუნდი (გერმანია)
შერიფი (მოლდოვა)/შახტარი(უკრაინა) — ლოკომოტივი (რუსეთი)
ლაციო (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)
დინამო (უკრაინა) — მარიბორი (სლოვენია)/დინამო (ხორვატია)
ბოჰემიანსი (ირლანდია)/რუსენბორგი (ნორვეგია) — დეპორტივო (ესპანეთი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — აეკი (საბერძნეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი)/მაკაბი (ისრაელი) — ჩელსი (ინგლისი)
სელტა (ესპანეთი) — ლეოტარი (ბოსნია)/სლავია (ჩეხეთი)
პარტიზანი (სერბეთი)/იურდინგენი (შვედეთი) — ნიუკასლი (ინგლისი)
გალათასარაი (თურქეთი) — პიუნიკი (სომხეთი)/ცსკა (ბულგარეთი)
რაპიდი (ავსტრია)/ანდერლეხტი (ბელგია) — ვისლა (პოლონეთი)/ომონია (კვიპროსი)
ტირანა (ალბანეთი)/გრაცერი (ავსტრია) — აიაქსი (ჰოლანდია)
პირველი მატჩები გაიმართება 12-13 აგვისტოს, განმეორებითი — 26-27 აგვისტოს.

# ქინქლაძეს „პორტსმუთში“ იწვევენ



გიორგი ქინქლაძე, რომელსაც „დერბი ქაუნთისთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა და კარგა ხანს გაურკვეველ ვითარებაში იყო, კარიერას ალბათ ინგლისშივე გააგრძელებს, თანაც არა პირველ დივიზიონში, არამედ პრემიერლიგაში. ქართველი ნახევარმცველის შეძენით პრემიერლიგაში გადასული „პორტსმუთი“ დაინტერესდა, სავარაუდოა, რომ კონტრაქტი ამ დღეებში გაფორმდება. „პორტსმუთის“ მთავარი მწვრთნელი ცნობილი ბრიტანელი სპეციალისტი ჰარი რედნაპია, მისი ასისტენტი კი ქინქლაძის ძველი ნაცნობი ჯიმ სმიტი, რომელიც „დერბის“ მაშინ თავკაცობდა, როცა „ცხვრები“ პრემიერლიგაში გამოდიოდნენ. სწორედ სმიტის ინიციატივა ყოფილა ქართველი ნახევარმცველის გადაბირება. „პორტსმუთი“ ინგლისის უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძოლებს. გუნდმა საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელები შეიძინა: ტედი შერინგემი — „ტოტენჰემიდან“, ბორის ჟიჟკოვიჩი — „ლევერკუზენიდან“, პატრიკ ბერგერი — „ლივერპულიდან“, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ზემოთ დასახელებულთ გიორგი ქინქლაძეც შეუერთდება.

# მაკაი „ბაიერნს“ დარჩა



როგორც იქნა, საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი როი მაკაი, რომელიც აქამდე ესპანური „დეპორტივოს“ ღირსებას იცავდა, ამიერიდან მიუნხენის „ბაიერნში“ ითამაშებს. გერმანულმა სუპერკლუბმა ჰოლანდიელი მეგოლის შესაძენად 21.000.000 ევრო გაიღო. ბედის ირონიაა ის, რომ შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან „ბაიერნი“ სწორედ როი მაკაის გოლებმა გამოაგდო. ორ შეხვედრაში მაკაიმ „ბაიერნს“ ოთხი(!) გოლი გაუტანა. ჰოლანდიელის მიუნხენში გადაბარგების შესახებ პირველი კომენტარი ბავარიელთა ფორვარდმა, ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა გააკეთა: ჩემი და მაკაის დუეტი ნებისმიერი გუნდის დაცვისათვის დიდი ხათაბალა იქნებაო. „ოქროს ბუცის“ მფლობელის შეძენა „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდათ, თუმცა 15.000.000 ევროზე მეტის გადახდა არც ინგლისურმა და არც ესპანურმა კლუბმა არ ისურვა.

# იერომ ყატარს მიაშურა



მადრიდის „რეალის“ ყოფილი კაპიტანი ფერნანდო იერო, რომელიც „სამეფო კლუბიდან“ სამიოდე კვირის წინ დაითხოვეს, კარიერას აზიაში გააგრძელებს და უახლოეს მომავალში ყატარის ერთ-ერთ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. იეროს შეძენა იტალიურ „რომასაც“ სურდა, თუმცა აზიელებმა იმდენად სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს იეროს, ესპანელმა სერია A-ს ყატარის ჩემპიონატში ბურთაობა არჩია. შეგახსენებთ, რომ იერომდე ყატარის კლუბებთან კონტრაქტები გააფორმეს გაბრიელ ბატისტუტამ, შტეფან ეფენბერგმა და ფრანკ ლებეფმა. ყატარში მიემგზავრება გერმანიის ნაკრების ყოფილი ლიდერი ენდი მიოლერიც. 35 წლის მიოლერმა კარიერა წინა სეზონში დაასრულა „შალკეში“, ყატარში კი სამწვრთნელო საქმიანობას მოჰკიდებს ხელს.

# ერიჰაა!

„ფეხბურთი კაცების თამაშია“ — რამდენჯერმე იმეორებს ლანჩხუთის „გურიაზე“ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში ერთ-ერთი გმირი. მაშინ ქალთა ფეხბურთი ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს ევროპაში. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ქალების ფეხბურთი კიდევ უფრო განვითარდებოდა, მაგრამ იმას, რაც მალე შეიძლება მოხდეს, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიის სერია A-ში, ანუ ლიგაში, რომელიც მსოფლიოში უძლიერესად მოიხსენიება და სადაც ჩვენებური კახი კალაძეც თამაშობს, შესაძლოა ქალებმაც ითამაშონ! კლუბ „პერუჯას“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სულ მალე „პერუჯას“ რიგებში ქალი ფეხბურთელი გამოჩნდება, ვინ — კონკრეტულად არ უთქვამს. კლუბის პრეზიდენტის ლუჩანო გაუჩის აზრით, ქალთა და კაცთა თანაბარუფლებიანობა ფეხბურთსაც ეხება, კანონით კი ქალების და კაცების ერთად თამაში აკრძალული არ არის. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

# ბარიკელოს თასი მოჰპარეს



„ფერარის“ ბრაზილიელმა პილოტმა რუბენს ბარიკელომ, რომელმაც წინა კვირაში სილვერსტოუნში ბრიტანეთის დიდი პრიზი მოიგო, სან პაცოუში ჩაფრენისას მთავარი პრიზი — თასი მოიკითხა და ვერსად აღმოაჩინა. აეროპორტში ბარიკელოს უამრავი თაყვანისმცემელი დახვდა, მასაც უნდოდა თასით ხელდამშვენებული შეხვედროდა ქომაგს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. „სავარაუდოდ ჩემი ჩანთა ვიღაცამ ლონდონის აეროპორტში გახსნა და თასი მოიპარა, თუ ორიგინალი ვერ ვიპოვეთ, რბოლის ორგანიზატორებს ვთხოვ, ასლი მაინც დამიმზადონ“, — განუცხადა ჟურნალისტებს დაღონებულმა ბარიკელომ, რომელმაც ბრიტანეთის დიდი პრიზი კარიერაში პირველად მოიგო.

***გვერდი მოამზადა ჯაბა ლეონიძემ***

CMYK

## №29 (355) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 444 მკითხველი გამოეხმაურა. ერთი ბარათი არასწორად იყო შევსებული. 170-მა ქალმა და 273-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელმა არაპროფესიონალმა მსახიობმა შექმნა ყველაზე შთამბეჭდავი სახე ქართულ კინოში“?**

მკითხველთა აზრით, არაპროფესიონალ მსახიობთა შორის ყველაზე მსახიობური სერგო ორჯონიკიძეა, რომელმაც მართლაც შთამბეჭდავად განასახიერა ზურიკელას როლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“. რესპონდენტთა 27,3%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური 8 ქულით. მინიმალური ქულა კი მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ოთხმა მკითხველმა „გაიმეტა“ (0,9%). **6,35** საშუალო ქულით ზურიკელა ვაშალომიძის „პროტოტიპი“ პირველ ადგილზეა.

კინოს მოყვარულ მკითხველთაგან ყველაზე მეტი მაქსიმალური შეფასება — 199, ანუ 45% წილად ერგო თემიკო ჩირგაძეს — ბატონი ვაჟას როლის შემსრულებელს ფილმში „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, თუმცა იგი მინიმალური ქულითაც უფრო მეტმა რესპონდენტმა შეაფასა, ვიდრე „ზურიკელა“. საბოლოოდ, 5,87 საშუალო ქულით თემიკო ჩირგაძე რეიტინგში მეორე ადგილზეა.

მკითხველთა სიყვარულით უდავოდ სარგებლობს ცნობილი მოჭიდავე ლევან თედიაშვილი, რომელმაც საკმაოდ მაღალი ოსტატობით განასახიერა თავის დროზე სამართლიანობისთვის მებრძოლი გოგიას როლი ფილმში „ხარება და გოგია“.

ლალი ბადურაშვილი, მშვენიერი შორენა „დიდოსტატის მარჯვენიდან“ 78-მა მკითხველმა „გაწირა“ მინიმალური ერთი ქულისათვის და იგი მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

შეიძლება ითქვას, რომ მოულოდნელი იყო გულჩინა დადიანის მარცხი — მკითხველთა 30,93-მა დაუწერა მას მინიმალური ქულა. როგორც ჩანს, ფაცია „პირველი მერცხალის“ მთავარი გმირის, იასონის (მსახიობი დოდო აბაშიძე) ჩრდილში მართლაც დაიჩრდილა.




საპრიზოს ზუსტად კი არა, მიახლოებითაც ვერც ერთმა მკითხველმა ვერ დაამთხვია თავისი ბარათი რეიტინგი. ასე რომ, ჩვენს მკითხველს მომავალ ნომერში სიურპრიზი ელის. ეს სიურპრიზი ჯეკ-პოტია — საპრიზო ფონდი **200** ლარს შეადგენს!

წარმატებებს გისურვებთ!

## №30 (356) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით — ~~100~~ 200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და მკითხველის პრემიაში

**№30 (356) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 30 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 31 ივლისის 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №30 (356) — საამაყო ქართველი

**თქვენი აზრით, ვინ შეიძლება გვეამაყებოდეს დღეს ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№30(356) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გიორგი ასანიძე | |
| 2 | ნინო ანანიაშვილი | |
| 3 | გიორგი კანდელაკი | |
| 4 | რობერტ სტურუა | |
| 5 | კახა კალაძე | |
| 6 | პაატა ბურჭულაძე | |
| 7 | ზურაბ წერეთელი | |
| 8 | ლიანა ისაკაძე | |

**მკითხველის რეიტინგი**

დაასახელეთ ივლისის თვის ადამიანი საქართველოში

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათსავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას (ბლოკს) მისცემდით ხმას?

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | ლეიბორისტული (შრომის) პარტია | 29,3 |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა — დემოკრ. ფრონტი | 20,2 |
| 3. | ახალი მემარჯვენეები | 7,2 |
| 4. | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | 4,8 |
| 5-6. | აღორძინების კავშირი | 4,4 |
| 5-6. | გაერთიანებული დემოკრატები | 4,4 |
| 7. | ეროვნულ-დემოკრატიული პარტია | 1,1 |
| 8-9. | საქართველოს მოქალაქეთა კავშირი | 0,8 |
| 8-9. | ერთობა | 0,8 |
| 10. | ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი | 0,5 |

დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მკითხველთა საკმაოდ დიდი, 13,6 ამჟამად მოქმედი პარტიებიდან და ბლოკებიდან ხმას არც ერთს არ მისცემდა, 2,2-ს კი გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

***მკითხველის რეიტინგში 361-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

## ფოტოვიქტორინა © • ფოტოპალიტრა •



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

— თქვენ თუ ამას მიხვდებით?.. კაი, კაი, მაინც გიკარნახებთ: — ყოველთვის ვდგავარ იქ, სადაც — ოფიციოზი...

**ე.შ.** — (ფიქრობს): აფსუს, რა „პაგონებს“ აფუჭებს?!
**დ.თ.** — (ფიქრობს): აფსუს რა სავარძელს აფუჭებს?!
**ფოტოგრაფი** — (ფიქრობს): აფსუს რა ქვეყანას აფუჭებენ?!

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — სად არის დათო, ჩვენი რჩეული კომანდოს ბატალიონი?
**დ.თ.** — ასე დაიბარეს, მოხალისეებად წამოვედით და ხალისი დაგვეკარგაო.

***გია ჯოხაძე, თბილისი***

**დ.თ. ე.შ.**-ს. — ბ-ნო პრეზიდენტო, შეიძლებაა საპირფარეშოში წავიდეე?
**ე.შ.** — ამას მე ვერ გადავწყვიტავ, დასავლეთს უნდა შევუთანხმდე.

***გიორგი გვილავა, ჩხოროწყუ***

**ე.შ.** — დათო, ჯარი სად არი?
**დ.თ.** — ბიუჯეტის სეკვესტრის მერე ჯარში მხოლოდ გენერლები დავრჩით.

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

**ე.შ.** — ე.ი. შენ ამბობ, რომ მაჭავარიანმა საფერფლე 22 მეტრზე ესროლა, არა? იცი, რომ ეს მსოფლიო რეკორდია საფერფლის სროლაში!
**დ.თ.** — მაგას ვახტანგ რჩეულიშვილმა შეაგინა, ხუთა უფროსო!

***მამუკა იაშვილი, თბილისი***



დავით თევზაძე, ედუარდ შევარდნაძე

**ე.შ.** — (ფიქრობს): რა უბედურება გვჭირს ეს, ქართველებს, ერთმა ქართული არ იცოდა, ეს არის და, სულ ვერ ლაპარაკობს.

***გიორგი ლოლომაძე, ქუთაისი***

**ე.შ.** — *„გამიწყობილხარ, დათიკო, ფელდმარშალ კეიტელივით! ცოტა ღიმილიც ისწავლე, ნუ იბღვირები მგელივით!!!“*

***ლევან კვანტალიანი, თბილისი***

**ე.შ.** — *თავი აწი, ჩემო დავით, თვალი თვალში გაგიყარო, მართლა გინდა რაგატკებით რომ სუ-ები ჩამოყარო?*

***ემზარ გოგოლაძე, რუსთავი***

**ე.შ.** — მასე არ დარჩე, ბიჭო! გვითხარი რამე!
**დ.თ.** — დავბომბამ!

***უავტორო***

C

## ფოტოგანწყობა



ფოტოგანწყობა – რა გრძელი ენა გაქვს?.. ჰო, მე...

## ბრიტნი მონროს ჯინსებში იწონებს თავს



ბრიტნი სპირსს ერთ-ერთმა მისმა თაყვანისმცემელმა 80.000-დოლარიანი საჩუქარი გაუკეთა, რომელიც აუქციონზე შეიძინა. ეს გახლავთ მერილინ მონროს ნაქონი ჯინსის შარვალი. მომღერალი თავს იწონებს „ახალ“ ჯინსში, რომლითაც შეავსო თავისი ჯინსის ნაჭრის ტანსაცმლის უზარმაზარი კოლექცია.

**29/VII**

**უკანასკნელი მეოთხედი**

**გილოცავთ!**

**მთელი კვირა მაგნიტური დღეების გარეშე...**

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



* * *



ცოლი უჩიჩინებს ქმარს:

— მოცილდი მაგ ტელევიზორს! ჩადი მაღაზიაში პურზე!

— ამ თავსხმაში სად წავიდე, კარგი პატრონი ძაღლსაც არ გააგდებს გარეთ.

— ღმერთო, შენ მიშველე! რა იდიოტია! მერე ვინ გეუბნება, ძაღლიც თან წაიყვანეო!..



**თარაზულად:** თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი გიტარისტი; 4. იტალიური მაკარონი; 6. ლექსთა მთხზველი; 7. პეტრარკას შეყვარებული; 8. მთვარეზე ნამყოფი ამერიკელი კოსმონავტი; 9. ლოკატორის ძირითადი ნაწილი; 12. ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილი; 15. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი; 17. კორტზე ღადაობის მოყვარული ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი; 18. იტალიური წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი; 19. საბერძნეთის დედაქალაქი; 21. ძველი ქვეყანა მცირე აზიაში აღწერილი ჰომეროსის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს და სტრაბონის ნაწარმოებებში; 22. ლეილა აბაშიძის პერსონაჟი ფილმში „ჭრიჭინა“; 24. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 26. ბალახოვანი მცენარე, გამოყენებული მედიცინაში, პარფიუმერიასა და კულინარიაში; 27. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი; 28. წარწერა კინოფილმზე; 29. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლენილი ექიმი; 30. შტატი აშშ-ში, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ფინიქსი.

**შვეულად:** 1. სიტყვის, გამოთქმის, გრამატიკული ფორმის მნიშვნელობა; 2. ძველი რომაელი მწერალი, ავტორი სათავგადასავლო-ალეგორიული რომანისა „მეტამორფოზები XI წიგნად“, ჩვენთან ცნობილი სათაურით „ოქროს ვირი“. 3. შუააზიელი მხედართმთავარი, რომელმაც გაანადგურა „ოქროს ურდო“ და შექმნა სახელმწიფო დედაქალაქით სამარყანდში; 4. გამარჯვებით გამოწვეული ემოცია; 5. დროის შუალედი; 10. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 11. აღმოსავლური თამაში; 13. ჩეხეთის დედაქალაქი; 14. ძველი ბერძნები ამ მდინარეს ფაზისს უწოდებდნენ; 15. კორეული საავტომობილო ფირმა; 16. საჰაერო ბრძოლების ოსტატი. 20. ამომრჩეველთა ერთობლიობა, რომელნიც მხარს უჭერენ რომელიმე პროგრამას, პარტიას ან კანდიდატურას; 21. უმაღლესი სასწავლებლის განყოფილება, ასწავლიან გარკვეულ მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს; 23. სახელწოდება, რომელიც შეარქვა მისი სილამაზით მოხიბლულმა კოლუმბმა კუნძულ ჰაიტის; 24. ქაღალდის ან ჩვრის ნაჭერი, რომელზედაც ახვევენ თმის კულულებს ცივად დახვევის დროს; 25. ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი საქართველოში, მოხსენიებული „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც „თავადი ციხეთა აფხაზეთისა“.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**



## მძიმე ცხოვრება „ოსკარით“



„ოსკარის“ ქანდაკებამ, რომელიც ამერიკელმა მსახიობმა ედრიან ბროუდიმ მიიღო რომან პოლანსკის ფილმში „პიანისტი“, ძალიან გაურთულა ცხოვრება მსახიობს. „ოსკარის“ გარეშე ცხოვრობდა თავისთვის მშვიდად, მის პირად ცხოვრებაში პაპარაცები არ ჰყოფდნენ ცხვირს, ყველგან უკან არ სდევდნენ. ახლა კი, მსახიობი ტუალეტშიც ვერ შედის სხვებისგან უჩუმრად. რამდენიმე დღის წინ თვითმფრინავში ბროუდის ერთი ქალბატონი შეეჭრა ტუალეტში და არაფრით არ უნდოდა გამოსვლა. თავმდაბალი ედრიანი ძალიან დაიძაბა, როცა შეამჩნია როგორი ეჭვით უყურებდა იმ სცენის შემდეგ ორი სტიუარდი. ხოლო მას შემდეგ, რაც ოსკაროსანი მსახიობი შერონ სტოუნთან ერთად სასტუმრო „ფოურ სეასონს“-ში შეამჩნიეს, ამერიკის პრესა აჭრელდა სტატიებით. არც მსოფლიო პრესა ჩამორჩა აჟიოტაჟს, არ ჩააგდო მომენტი და სტატია სტატიაზე დაბეჭდა, თუ როგორ გაცვალა სტოუნმა მედიამაგნატი ქმარი ახალგამომცხვარ ოსკაროსან მსახიობში...

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**30** **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№30 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 31 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა ღუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.